კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
CAUCASUS INTERNATIONAL UNIVERSITY

The 12th

# International Scientific Conference
## for BA, MA and PhD students

ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტთა

## მეთორმეტე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

# ABSTRACTS
# თეზისები

June 15

TBILISI
GEORGIA

# სარჩევი
# CONTENTS


**საერთაშორისო ურთიერთობების სექცია**
**SECTION OF INTERNATIONAL RELATIONS** 4

საერთაშორისო უსაფრთხოების ქვესექცია
SUBSECTION OF INTERNATIONAL SECUTIRY 28

**ჟურნალისტიკის სექცია**
**SECTION OF JOURNALISM** 54

ქვესექცია №1
SUBSECTION №1 54

ქვესექცია №2
SUBSECTION №2 67

**სამართლის სექცია**
**SECTION OF LAW** 80

სისხლის სამართლის ქვესექცია
SUBSECTION OF CRIMINAL LAW 80

კერძო სამართლის ქვესექცია
SUBSECTION OF PRIVATE LAW 98

საჯარო სამართლის ქვესექცია
SUBSECTION OF PUBLIC LAW 122

**მედიცინის სექცია**
**SECTION OF MEDICINE** 151

ქვესექცია №1
SUBSECTION №1 151

ქვესექცია №2
SUBSECTION №2 176

**ბიზნესისა და ტექნოლოგიების სექცია**
**SECTION OF BUSINESS AND TECHNOLOGY** 194

ბიზნესის ქვესექცია
SUBSECTION OF BUSINESS 194

ეკონომიკის ქვესექცია
SUBSECTION OF ECONOMICS 218

ტურიზმის ქვესექცია
SUBSECTION OF TOURISM 231

ინფორმაციული ტექნოლოგიების ქვესექცია
SUBSECTION OF INFORMATION TECHNOLOGY 249

**მევენახეობა-მეღვინეობის სექცია**
**SECTION OF VITICULTURE-WINEMAKING** 267

**მომავალ სტუდენტთა სექცია**
**SECTION OF PROSPECTIVE STUDENTS** 294

# სექცია
# SECTION
# საერთაშორისო ურთიერთობები
# INTERNATIONAL RELATIONS

**ანა სამხარაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან შოშიაშვილი**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## ირანის ინტერესები სამხრეთ კავკასიაში

საქართველო-ირანს შორის ურთიერთობები რთულ რელიგიურ, პოლიტიკურ და მრავალსაუკუნოვან ისტორიას ითვლის. ირანი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონული ძალაა სამხრეთ კავკასიაში. საქართველოსთან ირანი მხოლოდ ეკონომიკურ დონეზე თანამშრომლობს. სამხრეთ კავკასიის მიწების დიდი ნაწილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში სპარსეთის სამეფოთა მმართველობის ქვეშ იყო. ისინი დიდ კულტურულ გავლენას ახდენდნენ დღევანდელი სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სამეფოებსა და სამთავროებზე.

სამხრეთ კავკასიაში ისლამური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის გაანალიზებისას მნიშვნელოვან როლს ირანის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა თამაშობს. ირანის ხანგრძლივ ისტორიასთან ერთად, ქვეყნის გეოგრაფიაც, დიდწილად, განაპირობებს იმას, რომ ქვეყნის პოლიტიკური კლასისთვის ირანი არ მთავრდება იქ, სადაც მისი საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრებია. ათასწლეულების განმავლობაში ის განსხვავებული ფორმაციებით გვევლინება. იქნება ეს იმპერიები თუ თანამედროვე ისლამური რესპუბლიკა, ქვეყნის სტრატეგიული ხედვები დიდად არ იცვლება. ამ ხედვებს კი, ძირითადად, გეოგრაფია აყალიბებს. აქემენიდების იმპერიიდან მოყოლებული, ქართულ სახელმწიფოს როგორც პოლიტიკური, ისე კულტურული კავშირები აკავშირებდა ირანთან. სპარსეთის იმპერია აქემენიდების, სასანიდების, სეფიანების, ყაჯარების მმართველობის პერიოდში მუდმივად იჩენდა ინტერესს საქართველოს ტერიტორიის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ კავკასიაში სპარსეთის იმპერია საუკუნეების განმავლობაში უმთავრეს პოლიტიკურ მოთამაშეს წარმოადგენდა, XIX საუკუნეში ის რუსეთმა რეგიონიდან მთლიანად ,,გააძევა“.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ირანს ისევ მიეცა კავკასიის ქვეყნებთან დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების საშუალება.

სამხრეთ კავკასიისადმი ირანის საგარეო პოლიტიკური მიდგომა, დიდწილად, დაფუძნებული იყო 1990-იან წლებში ჩამოყალიბებული სტატუს-ქვოთი, რომელიც სომხეთის მიერ აზერბაიჯანის საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიის ნაწილის ოკუპირების შედეგად მოხდა. ირანისთვის სამხრეთ კავკასიაში რუსული გავლენა არ წარმოადგენდა ფუნდამენტურ საფრთხეს. პირიქით, მოსკოვის მცდელობები, რეგიონი შემოემტკიცებინა თეირანში, უფრო დადებითად ფასდებოდა, რადგან რუსეთი გარანტი იყო აშშ-ის და, ზოგადად, დასავლეთის გავლენის შეკავებისა. არც თურქეთის როლი იყო ხელისშემშლელი ფაქტორი. 1990-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, თბილისსა და თეირანს შორის ურთიერთობა, ადრეულ წლებთან შედარებით, ნაკლებად ინტენსიური და მრავლისმომცველია.

1990-იან წლებში, მოკლე პერიოდის განმავლობაში, საქართველო და ირანი კონკურენციას უწევდნენ ერთმანეთს ცენტრალური ნავთობსადენის მშენებლობის საქმეში კასპიის ზღვის აზერბაიჯანული სექტორიდან, რომელსაც ნავთობი გარე ბაზარზე უნდა გაეტანა. 2015 წლის 14 ივლისს, ირანსა და P5+11 შორის გაფორმებული ვენის ბირთვული

შეთანხმება ახალ მნიშვნელოვან ფურცელს შლის ირანისა და მახლობელი რეგიონის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამის შემდეგ, ისლამურ რესპუბლიკას საშუალება ეძლევა სრულყოფილად დაბრუნდეს საერთაშორისო ასპარეზზე და თავისუფლად აწარმოოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სახის ურთიერთობები ისეთ ქვეყნებთან (მათ შორის საქართველოსთან), რომლებიც მასთან ინტენსიურ კავშირებს ერიდებოდნენ ირანის გავლენიან წრეებში გავრცელებული შეხედულებით, საქართველო ისტორიულად ირანის ნაწილი იყო, რომელიც დაკარგა, თუმცა, როგორც კი ,,დრო დადგება“, ირანი არ გამორიცხავს საკუთარი გავლენის მასზე აღდგენას. მსგავსი შეხედულებების ფონზე არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ირანი მტკივნეულად აღიქვამს სამხრეთ კავკასიაში არარეგიონული აქტორების (ევროპა, აშშ) გამოჩენას: მისი აზრით, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საკითხები მხოლოდ ტრადიციული რეგიონული მოთამაშეების (რუსეთი, თურქეთი, ირანი) გადასაწყვეტი უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, ირანისთვის სტრატეგიულად ხელსაყრელი ტერიტორია იყო სამხრეთ კავკასია, სადაც მიუხედავად დიდი მოსახლეობის არარსებობისა, საგრძნობი სავაჭრო-ეკონომიკური პოტენციალი იყო. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ირანმა ფრთხილად, მაგრამ დიდი ინტერესით დაიწყო საქართველოში განვითარებულ პროცესებზე დაკვირვება. სწორედ ირანი იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა.

თემაში განხილულია ირანის ინტერესები სამხრეთ კავკასიაში (საქართველოს მაგალითზე), ბირთვული შეთანხმება და ირან-საქართველოს ურთიერთობები.

**Ana Samkharadze**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Ketevan Shoshiashvili**
Doctor, Associate Professor

## Iran’s Interests in the South Caucasus

Relations between Georgia and Iran have a complex religious, political and centuries-old history. Iran is one of the important regional powers in the South Caucasus. Iran cooperates with Georgia only on the economic level. A large part of the lands of the South Caucasus was under the rule of the Persian kingdoms for a long time. They had a great cultural influence on the kingdoms and principalities on the territory of today’s Armenia, Azerbaijan and Georgia.

When analyzing the foreign policy of the Islamic Republic in the South Caucasus, the geographical location of Iran plays an important role. Along with the long history of Iran, the geography of the country largely determines that for the country’s political class, Iran does not end where its internationally recognized borders are. Be it empires or the modern Islamic Republic, the country’s strategic visions do not change much. These visions are mainly shaped by geography. Since the Achaemenid Empire, both political and cultural ties connected the Georgian state with Iran. During

the rule of the Achaemenids, Sassanids, Safavids, and Qajars, the Persian Empire constantly showed interest in the territory of Georgia. Despite the fact that the Persian Empire was the main political player in the South Caucasus for centuries, in the 19th century Russia completely „kicked“ it out of the region.

After the collapse of the Soviet Union, Iran was again given the opportunity to pursue an independent policy as regards the Caucasian countries.

Iran’s foreign policy approach to the South Caucasus was largely based on the status quo established in the 1990s as a result of Armenia’s occupation of part of Azerbaijan’s internationally recognized territory. For Iran, Russian influence in the South Caucasus did not represent a fundamental threat. On the contrary, Moscow’s efforts to strengthen the region were evaluated more positively in Tehran, because Russia was the guarantor of restraining the influence of the USA and, in general, the West. The role of Turkey was not a hindering factor either. Since the beginning of the 1990s, the relationship between Tbilisi and Tehran has been less intense and comprehensive than in the early years.

In the 1990s, for a short period, Georgia and Iran competed with each other in the construction of a central oil pipeline from the Azerbaijani sector of the Caspian Sea, which was supposed to take oil to the external market. On July 14, 2015, the Vienna nuclear agreement signed between Iran and the P5+11 opens a new important page in the political and economic life of Iran and the neighboring region. After that, the Islamic Republic is allowed to fully return to the international arena and freely conduct political, economic and other types of relations such as With the countries (including Georgia) that avoided intense relations with it, according to the opinion spread in the influential circles of Iran, Georgia was historically a part of Iran that it lost, however, as soon as the „time comes“, Iran does not rule out regaining its influence over it. Against the background of such views, we should not be surprised if Iran perceives the appearance of non-regional actors (Europe, USA) in the South Caucasus as painful: in its opinion, the issues of Georgia, Armenia and Azerbaijan should be decided only by traditional regional players (Russia, Turkey, Iran).

Thus, a strategically favorable area for Iran was the South Caucasus, where, despite the absence of large population, there was considerable trade and economic potential. Ever since the 90s of the last century, Iran cautiously, but with great interest, began to observe the processes developed in Georgia. Iran was one of the first countries to recognize Georgia’s independence.

The topic discusses Iran’s interests in the South Caucasus (on the example of Georgia), the nuclear agreement and Iran-Georgia relations.

**ედენა ალიევი, გიორგი ქვლივიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ფარეშიშვილი**
დოქტორანტი, აკადემიური ასისტენტი

## თურქეთის სახალხო რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური პოზიციები და მათი თანხვედრა ქართულ ინტერესებთან

თურქეთის სახალხო რესპუბლიკური პარტია(RPP) არის მძლავრი პოლიტიკური პარტია თურქეთში, რომელიც დაარსდა 1923 წელს თურქეთის რესპუბლიკის დამფუძნებლის, მუსტაფა ქემალ ათათურქის მიერ. როგორც ქვეყნის ერთ-ერთმა უძველესმა პოლიტიკურმა პარტიამ, RPP-მა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თურქეთის პოლიტიკური ლანდშაფტის ჩამოყალიბებაზე. 2024 წლის თურქეთის მუნიციპალურ არჩევნებში თურქეთის სახალხო რესპუბლიკურმა პარტიამ, რომელიც ქვეყნის მთავარი ოპოზიციური ძალაა, გამარჯვება მოიპოვა თითქმის ყველა დიდ ქალაქში,რითაც შეასუსტა მმართველი პარტიის პოზიციები და კარგი საფუძველი შეიქმნა 2028 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებისთვის.

თურქეთი საქართველოს მეზობელი სახელმწიფო, სტრატეგიული პარტნიორი და მეგობარი ქვეყნაა. გარდა ამისა, ის არის საქართველოს ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო პარტნიორი. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ თურქეთში არსებული პოლიტიკური ვითარება და ხელისუფლების პოზიციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოზე. შესაბამისად, ჩვენთვის მნიშვნელოვანია წინასწარ შევიქმნათ გარკვეული წარმოდგენები იმ პარტიის პოლიტიკურ პოზიციებზე, რომელმაც, შესაძლოა, მომავალ არჩევნებში ჩაანაცვლოს თურქეთის ამჟამინდელი ხელისუფლება.

**Edena Aliev, Giorgi Kvlividze**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Giorgi Pareshishvili**
PhD Candidate, Academic Assistant

## The Political Positions of the People's Republican Party of Turkey and Their Compatibility with Georgian Interests

The Republican People's Party of Turkey (RPP) is a powerful political party in Turkey, founded in 1923 by the founder of the Republic of Turkey, Mustafa Kemal Atatürk. As one of the country's oldest political parties, the RPP has played an important role in shaping Turkey's political landscape. In Turkey's 2024 municipal elections, the People's Republican Party of Turkey, the

country's main opposition force, won almost all major cities, weakening the ruling party's position and setting the stage for the 2028 presidential and parliamentary elections.

Turkey is a neighboring state of Georgia, a strategic partner and a friendly country. In addition, it is one of the main trade partners of Georgia. All this indicates that the current political situation in Turkey and the positions of the government have a significant impact on Georgia. Therefore, it is important for us to form certain ideas about the political positions of the party that may replace the current government of Turkey in the upcoming elections.

**ელენე მეშველიანი, თიკა პაპალაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან შოშიაშვილი**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## ახალგაზრდების მონაწილეობა დემოკრატიის პროცესში

ახალგაზრდული საქმიანობა, დროთა განმავლობაში, სულ უფრო მეტ აქტუალურობას იძენს მთელი მსოფლიოს მაშტაბით და იგი უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ფუნქციის მატარებელი ხდება. ზოგადად, ახალგაზრდული საქმიანობა ახალგაზრდების გაძლიერებისკენ მიმართული მრავალფეროვანი ღონისძიებების ერთობლიობაა, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდებისათვის განათლების, ცნობიერების ამაღლებას.

ახალგაზრდული საქმიანობის მთავარი მიზანია, შეუქმნას ახალგაზრდებს შესაძლებლობები, რათა მომავალში მათ შეძლონ საკუთარი მომავლის ,,გამოძერწვა". ახალგაზრდული საქმიანობის რამდენიმე ტიპი არსებობს და ესენია: უნივერსალური, გარკვეულ ჯგუფზე, უნივერსალური ახალგაზრდული, ფოკუსირებული ახალგაზრდული. ამ საქმიანობის მთავარი პრინციპია ,,არ ავნო", ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ადამიანის და ცოცხალი ობიექტის მიმართ უკეთესობისკენ წინსვლას უწყობს ხელს.

ახალგაზრდული საქმიანობა ასევე ეხება ახალგაზრდების ადგილს და მათ პრობლემებს საზოგადოებაში და საჯარო სფეროში. იგი ასევე ეხება გავლენას საზოგადოებაზე, პოლიტიკასა და ძალაუფლების პოზიციაზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ისინი ახალგაზრდებს აყენებენ არახელსაყრელ პირობებში, ახდენენ მათ მარგინალიზაციას, ან გარიყვას.

**Elene Meshveliani, Tika Papalashvili**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Ketevan Shoshiashvili**
Doctor, Associate Professor

## Youth Participation in the Democratic Process

Youth activities, over time, are more and more relevant all over the world, and they carry more and more important functions. General Youth Empowerment Campaigns are a combination of activities aimed at educating the youth.

The goal of youth activities is to create opportunities for young people to "sculpt" their own future. There are several types of youth activities: universal, individual group, universal youth, focused youth.

The main principle of this activity is "do no harm" to any business that is directed towards human beings and living objects. Youth is also the growth of people and among them in society and in the public sphere. It is also about society, politics and positions of power, especially if they can put them at a disadvantage, marginalize or exclude them.

**გიორგი მხეიძე, დიმიტრი ცანავა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვახტანგ მაისაია**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## სამხრეთ კავკასიის "სამეულის" პოლიტიკური ინტეგრაციების ისტორიული გამოცდილება

ისტორიულად ყოველთვის მჭიდრო პოლიტიკური კავშირები არსებობდა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს შორის. გეოპოლიტიკური მოცემულობებიდან გამომდინარე, ყოველთვის ჩნდებოდა იდენტური გამოწვევები სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების წინაშე, რომელიც სხვადასხვა სახით აჩენდა პოლიტიკური ინტეგრაციის საჭიროების კონტურებს. აღნიშნულის ნათელი მაგალითი გამოიკვეთა რუსეთის იმპერიის დაშლის შემდგომ, როდესაც 1918 წელს ოფიციალურად დაფუძნდა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა.

პოლიტიკური ინტეგრაციის არაერთ მცდელობას ჰქონდა ადგილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაშლის შემდგომ. რეგიონში არსებულმა კონფლიქტებმა და საფრთხეებმა არასტაბილური დღის წესრიგი შექმნა. ასევე, მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, გაჟღერებულ იქნა სხვადასხვა სახის იდეა, რომლებიც სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების პოლიტიკური კავშირების გაღრმავებას ემსახურებოდა. ზემოხსენებულის ნათელი მაგალითები იყო: „კავკასიის საერთო სახლი“, „მშვიდობიანი კავკასია“, „კავკასიის შეერთებული შტატები“ და ა.შ.

**Giorgi Mkheidze, Dimitri Tsanava**
Caucasus International University
Master
**Scientific Supervisor: Vakhtang Maisaia**
Doctor, Associate Professor

## Historical Experience of Political Integrations of the South Caucasus "Triple"

Historically, there have always been close political ties between the states of the South Caucasus. Based on the geopolitical conditions, identical challenges always emerged before the states of the South Caucasus, which showed the contours of the need for political integration in different ways. A clear example of this was revealed after the collapse of the Russian Empire, when the Transcaucasian Democratic Federal Republic was officially established in 1918. More than one attempt at political integration took place after the collapse of the Union of Soviet Socialist Republics. The conflicts and threats in the region have created an unstable agenda. Also, due to the difficult political and economic situation, various ideas were voiced, which served to deepen the political ties of the South Caucasus states. Clear examples of the above were: "Common House of the Caucasus", "Peaceful Caucasus", "United States of the Caucasus", etc

**თორნიკე ელაშვილი, მარიამ ხაზალია**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკა გიგაური**
მაგისტრი, მოწვეული ლექტორი

## პარტიული და საზოგადოებრივი ევროსკეპტიციზმი ორი სახელმწიფოს - გერმანიისა და პოლონეთის მაგალითზე

ევროსკეპტიციზმი მეინსტრიმის ნაწილია პოლონეთსა და გერმანიაში. საკითხი აქტუალურია მათი განსხვავებული ისტორიული, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტის გამო. მნიშვნელოვანია, რომ ორივე სახელმწიფოში როგორც სახელმწიფო, ასევე პარტიულ დონეზე ევროსკეპტიციზმი დღის წესრიგის ნაწილია. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთ-უკრაინის ფონზე გერმანიამ 2მლნ-მდე მიგრანტი მიიღო. ამან კი კიდევ უფრო მეტად გააააქტიურა ულტრამემარჯვენე პარტიები.

კვლევის მიზანია შევისწავლოთ, თუ როგორ ვლინდება ევროსკეპტიციზმი პარტიებსა და საზოგადოებაში. კვლევის ამოცანებია:

1. პოლონეთისა და გერმანიის საზოგადოების ევროსკეპტიკური დამოკიდებულების გავრცელებისა და ინტენსივობის შეფასება.

2. ევროსკეპტიციზმის ძირითადი მამოძრავებლების იდენტიფიცირება თითოეულ ქვეყანაში, მათ შორის ისტორიული, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები.

საკვლევი კითხვები ფორმირდა შემდეგნაირად:

• როგორია ევროკავშირის მიმართ გაბატონებული დამოკიდებულება პოლონეთსა და გერმანიაში?

• რა გავლენას ახდენს ევროსკეპტიციზმი შიდა პოლიტიკაში პოლონეთსა და გერმანიაში?

მეთოდოლოგიად გამოყენებული იქნება თვისებრივი კვლევის მეთოდები, კერძოდ, დოკუმენტების ანალიზი, რომელიც მოიცავს აღნიშნულ თემას, აგრეთვე პარტიული გამოსვლებისა და პარტიის განცხადებათა ანალიზი. აგრეთვე მიზნობრივად შევარჩევთ ექსპერტებს ექსპერტული ინტერვიუსათვის, რათა მოხდეს შედეგების ვალიდაცია.

**Tornike Elashvili, Mariam Khazalia**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Nika Gigauri**
Master, Visiting Lecturer

## On the Example of Two States of Party and Public Euroscepticism-Germany and Poland

Means of mass communication are inseparable part of a public life. They influence the socio-political and cultural agenda of the society and make a significant contribution in the development process of a democratic state and society. Thanks to its rich arsenal of visual media, television stands out in terms of influence. It is one of the main sources of information and it is characterized by operationality and interacts with mass audiences in continuous mode. Based on the information given above, social responsibility of television is high, its polyfunctional significance is perfectly demonstrated in morning shows (breakfast television), audience of morning programs consists from dissimilar types of viewers and groups. By that means, it’s interesting to what extent morning programs in Georgian TV media are able to achieve set goals and provide high-quality journalistic product to public? The aim of the study is to investigate mentioned issue. As a research object was selected the private TV company "Imedi" and its morning informative-entertainment program "Imedis Dila". In the framework of the research we have investigated the purposefulness of morning informative entertainment program, thematic-genre structure, the personification of the presenters and if professional standards and ethical norms are taken into consideration. Conclusions are followed by practical recommendations.

**კესო კაკულია**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან შოშიაშვილი**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## ეთნიკური უმცირესობები და სამოქალაქო ინტეგრაციის პერსპექტივები საქართველოში

საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა, სადაც უძველესი დროიდან ცხოვრობენ სხვადასხვა ეთნოსის და რელიგიის წარმომადგენლები. გლობალიზაციის პოროცესში თანამედროვე მსოფლიოსთვის ეთნიკური მრავალფეროვნება და მშვიდობიანი თანაცხოვრობა ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს. მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ბოლოო მონაცემებით, საქართველოში ეთნიკური უმცირესობები მთლიანი მოსახლეობის 13.2%-ს შეადგენს, ხოლო მათ შორის უმრავლესობას აზერბაიჯანელები და სომხები წარმოადგენენ.

საქართველოში ეთნიკურ უმცირესობათა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა მძიმეა, რასაც კვლევებიც ადასტურებს. ამ პრობლემების საპირწონედ, წარმატებული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი გულისხმობს უმცირესობების ინტეგრირებას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. იგი ასევე საჭიროებს დამოკიდებულებების ცვლილებას ეთნიკურად ქართული მოსახლეობის უდიდეს ნაწილში.

დაბოლოს, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ მეტი ყურადღება დაუთმოს და პრაქტიკული ნაბიჯები გადადგას უმცირესობების მიმართ სტრატეგიის შემუშავებისკენ, რათა უზრუნველყოს უმცირესობების სრულფასოვანი და თანაბარი მონაწილეობა ქვეყნის ყოველდღიურობაში, რაც მნიშვნელოვანია ტოლერანტული სახელმწიფოსა და ერის მშენებლობისთვის.

**Keso Kakulia**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Ketevan Shoshiashvili**
Doctor, Associate Professor

## Ethnic Minorities and Prospects of Civil Integration in Georgia

Georgia is a multi-ethnic country, where representatives of different ethnic groups and religions have lived since ancient times. In the process of globalization, ethnic diversity and peaceful coexistence is one of the problematic issues for the modern world. According to the latest data of the general population census, ethnic minorities in Georgia constitute 13.2% of the total population and the majority of them are Azerbaijanis and Armenians. The social and economic situation of ethnic minorities in Georgia is difficult, which is confirmed by studies. As a counterbalance to these problems, the process of building a successful state involves the integration of minorities into the political, economic and cultural life of the country. It also requires a change of attitudes in the

largest part of the ethnically Georgian population. Finally, it is important that the state pays more attention and takes practical steps towards the development of a strategy for minorities in order to ensure the full and equal participation of minorities in the country's daily life, which is important for building a tolerant state and nation.

**ქეთი შუბითიძე, მარიამ ბალახაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ფარეშიშვილი**
დოქტორანტი, აკადემიური ასისტენტი

## მუსლიმი მესხების ისტორია და მათი რეპატრიაციის პერსპექტივა

80 წლის წინ 120000 მუსლიმი მესხი ცენტრალურ აზიაში გადაასახლეს, ერთ ღამეში დაიცალა ათობით მესხური სოფელი. დიდი ხნის განმავლობაში მუდმივად ჩნდებოდა კითხვა გადასახლებულთა ეთნიკური წარმომავლობის შესახებ. კითხვაზე,თუ ვინ არიან მუსლიმი მესხები, პასუხი ისეთივე რთულია, როგორიც მათი ისტორია, ამ ეთნიკური ჯგუფის სახელწოდება სოციალური და პოლიტიკური კონტექსტის, აგრეთვე, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე იცვლებოდა და იწოდებოდნენ ,,მუსლიმ მესხებად'', ,,ქართველ მესხებად'', ,, მესხებად'', თურქ მესხებად'' ან ,,ახალციხელებად''.

მუსლიმი მესხების, წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. მიუხედავად ამისა შეიძლება გამოიყოს ორი ძირითადი ხედვა: „პრო-თურქული" — თურქი მესხები წარმაოდგენენ ეთნიკურად თურქებს და ძირითადად ოსმალური მოახალშენეების შთამომავლები არიან. „პრო-ქართული" — თურქი მესხები, რომლებიც მეტყველებენ თურქული ენის ყარსულ დიალექტზე და ეკუთვნიან სუნიტური ისლამის ჰანაფის მიმართულებას, არიან გათურქებული მესხები, რომლებიც ისლამზე XVI საუკუნესა და 1829 წლებს შორის მოექცნენ, როდესაც ისტორიული მესხეთი ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში შედიოდა.

რაც შეეხება მათ ისტორიას, გაცილებით ადრე იწყება, დაახლოებით მე-16 საუკუნეში, როდესაც ოსმალეთის იმპერიამ დაიპყრო ისტორიული მესხეთი. ოსმალური პოლიტიკის შედეგად მოსახლოება იძულებელი გახდა ისლამი მიეღო, რაც აისახა მათ ყოფაზე, სარწმუნოებასა და ენაზე. მათი ისტორია საკმაოდ რთული და ჩხლართულია. გადამწყვეტი მომენტი 1881 წლის ყარსის ხელშეკრულებაა, რომლის მიხედვითაც, ისტორიული მესხეთის სამხრეთი ნაწილი თურქეთის, ხოლო ჩრდილოეთ ნაწილი, სამცხე და ჯავახეთი, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევიდა.

ყველაზე დიდი ზიანი მუსლიმ მესხთა ეროვნულ ცნობიერებას მაინც საბჭოთა ხელისუფლების დროს მიადგა, ჯერ კიდევ 1923 წელს ისინი აზერბაიჯანელებად ჩაწერეს და მასობრივად გადაუკეთეს გვარები, შემდეგ კი ისინი თათრებად გამოაცხადეს და ქართული სწავლა-განათლება აუკრძალეს. 1930 - იანი წლების საბუთებით დგინდება, რომ სამცხე-ჯავახეთის მუსლიმი მოსახლეობა ქართული სკოლების გახსნას და ქართული გვარების

მინიჭებას ითხოვდა. მათი ეროვნული ცნობიერების გაქრობის საბოლოო წერტილი 1944 წლის დეპორტაცია გახლავთ.

1944 წლის 15 ნოემბერს, საბჭოთა ხელისუფლებამ სამხრეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში განახორციელა მკაცრად გასაიდუმლოებული და მასშტაბური ოპერაცია: ათეულობით ათასი მუსლიმი მესხი და მათთან ერთად ყარაფაფახები, ქურთები, ბოშები და თურქები იძულებით აყარეს თავიანთი საცხოვრებელი ადგილიდან და შუა აზიაში გადაასახლეს. აღნიშნული დეპორტაცია განხორციელდა სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 31 ივლისის N6279-სს დადგენილებისა და იმავე წლის 20 სექტემბრის სსრკ შსს N00117 ბრძანების საფუძველზე.

ვფიქრობთ, საინტერესოა მესხეთიდან დეპორტირებული მოსახლეობის დღევანდელი მდგომარეობა, მათი ინტერესი საქართველოში დაბრუნებასთან დაკავშირებით, მათი ეროვნული ცნობიერება და მათი რეპატრიაციის საკითხი, ამავდროულად, საინტერესოა ქართული პოლიტიკური აზრი, ქართველი ქრისტიანული მოსახლეობის დამოკიდებულება მათ და საქართველოში მცხოვრები დანარჩენი ქართველი მუსლიმი მოსახლეობის მიმართ.

**Keti Shubitidze, Mariam Balakhashvili**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Giorgi Pareshishvili**
PhD Candidate, Academic Assistant

## The History of “Muslim Meskhetians “and the Perspective of Their Repatriation

80 years ago, 120,000 Muslim Meskhetians were resettled in Central Asia overnight. A single village was emptied out in one night. Over the course of many years, questions constantly arose regarding the ethnic demographics of the resettled population. Regarding these questions, who the Muslim Meskhetians are, and how they are similar or different, reflecting on their history, the identity of this ethnic group shifted from a social and political context, as well as a geographical standpoint. They were referred to as "Muslim Meskhetians", "Georgian Meskhetians", "Meskhetians", "Turkish Meskhetians", or "Akhalkalakians". In connection with the issues of birth, life, and resettlement of Muslim Meskhetians, there are different opinions. Despite this, two main perspectives can be identified: "Pro-Turkish" - Turkish Meskhetians identify ethnically as Turks and are primarily descendants of Ottoman settlers. "Pro-Georgian" - Turkish Meskhetians, who converted to Islam between the 16th century and 1829 when the historical Meskheti region was part of the Ottoman Empire. Due to Ottoman political policies, the population became hostile to Islam, which was considered by them as foreign to their faith and language. Their history is quite complex and controversial. A significant turning point was the decree of exile named "Treaty of Kars", in 1881, when the southern part of historical Meskheti fell under Turkish rule, while the northern part became part of the Russian Empire as Samtskhe and Javakheti. The biggest damage to the national consciousness of the Muslim Meskhetians was done during the time of the Soviet government, as early as 1923 they were recorded as Azerbaijanis and their surnames were massively changed, and then they were declared Tatars and forbidden to stay and study in Georgia. The documents of the

1930s state that the Muslim population of Samtskhe-Javakheti demanded the opening of Georgian schools and the granting Georgian surnames. The final point of disappearance of their national consciousness was the 1944 deportation. On November 15, 1944, the Soviet authorities carried out a strictly secret and large-scale operation in a number of regions of southern Georgia: tens of thousands of Muslim Meskheks and with them Karafaks, Kurds, Gypsies and Turks were forcibly expelled from their place of residence and deported to Central Asia. The said deportation was carried out by the State Committee of Defense of the USSR On the basis of the resolution N6279 of July 31, 1944 and the order of the Ministry of Internal Affairs of the USSR N00117 of September 20 of the same year. It is interesting to note that the current status of the deported Muslim Meskhetian population, their desire to return to Georgia, their ethnic identity, and their repatriation issue are still of great interest, especially in connection with Georgian political aspirations, the Christian Georgian population's attitude toward them, and the remaining Georgian Muslim population living in Georgia.

**ბაკურ ხუბულავა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალიკა გუჩუა**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## „გერმანიის პოლიტიკური პარტიები და კოალიციური საპარლამენტო მმართველობის მოდელი“

პარტიათა სიმრავლემ და დაპირისპირებამ დიდი როლი ითამაშა ვაიმარის რესპუბლიკის დაცემაში და გერმანიის ისტორიის მძიმე წარსულშიც. მათი როლი მეტად მძიმე გამოდგა. იგივე განმეორდა მესამე რაიხის და მეორე მსოფლიო ომის წინარე პერიოდში. მსგავსი გამოცდილების შემდეგ გერმანელი ერი მიხვდა, რომ საჭირო იყო კონსოლიდაცია და თანამშრომლობა საზოგადოებისა და სახელმწიფოს გადასარჩენად. გერმანელმა ხალხმა და პოლიტიკურმა პარტიებმა აჩვენეს მზარდი ტენდენცია კონსოლიდაციისკენ ფედერალური რესპუბლიკის პირველი დღეებიდან. მცირე პარტიები ან უფრო დიდ პარტიებს შეუერთდნენ, უმნიშვნელოდ შემცირდნენ, ან, უბრალოდ, გაქრნენ. გაერთიანებულ გერმანიას თითქმის სამი ათწლეული ჰყავდა 4 -5 პარტია; ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი (Christlich-Demokratische Union; CDU) და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია (Sozial-demokratische Partei Deutschlands; SPD), რომელთაგან არც ერთს არ შეუძლია ადვილად მიაღწიოს საპარლამენტო უმრავლესობას.

გარდა ამისა, არსებობს ოთხი პატარა, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი პარტია: ქრისტიანულ-სოციალური კავშირი (Christlich-Soziale Union; CSU), CDU-ს ბავარიული უმცროსი ძმა. თავისუფალი დემოკრატიული პარტია (FDP), რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის მთავრობების უმეტესობაში უმცროსი კოალიციის პარტნიორია; ალიანსი ’90/მწვანეები (Bündnis ’90/Die Grünen), პარტია, რომელიც შეიქმნა 1993 წელს ეკოლოგ მწვანეთა პარტიისა და აღმოსავლეთ გერმანიის ალიანსის 90-ის შერწყმით და მემარცხენე პარტია, ყოფილი დემოკრატიული სოციალიზმის პარტია (Partei des

Demokratischen Sozialismus; PDS), გერმანიის სოციალისტური ერთიანობის პარტიის (SED) მემკვიდრე, რომელიც მოგვიანებით შეუერთდა მემარცხენე ჯგუფებს დასავლეთ გერმანიაში. გარე პოლიტიკურმა პარტიებმა, როგორებიცა არიან რესპუბლიკელები (Die Republikaner), გერმანიის სახალხო კავშირი (Deutsche Volksunion; DVU) და გერმანიის მეკობრეების პარტია (Piratenpartei Deutschland), მიაღწიეს გარკვეულ წარმატებას ადგილობრივ და სახელმწიფო დონეზე, მაგრამ არ მოიპოვეს წარმომადგენლობა. 2010 წლების დასაწყისში კი გერმანიაში გაჩნდა ახალი მოთამაშე, Alternative for Germany - ალტერნატივა გერმანიისთვის, რადიკალი მემარჯვენე ძალა, რომელიც უმალ ჩაეწერა ზემოთ ჩამოთვლი პარტიების იერარქიაში და უკვე 10 წელია მათი რეიტინგი 10-დან -15 %-ს უტოლდება და თითოეულ არჩევნებში მანდატები გარანტირებული აქვთ. ეროვნულ დონეზე არჩევნებისთვის 5%-იანი ბარიერი აღმოჩნდა უაღრესად ეფექტური ინსტრუმენტი ნებისმიერი ზოლის რადიკალური პარტიების გამორიცხვისა და დაშლილი პარტიების ჩამოყალიბების თავიდან ასაცილებლად. თუმცა, საარჩევნო სისტემის პროპორციულმა ელემენტმა განაპირობა კოალიციური მთავრობების ფორმირება.

1966 წლიდან ყველა ფედერალური მთავრობა შედგებოდა მინიმუმ ორი პარტიისგან. მსხვილ პარტიებში უთანხმოება შეიცავს თითოეული შესაბამისი პარტიის ფრთებსა და ფრაქციებს. 2022 წლის შედეგებითაც კოალიცია შეკრა სამმა პარტიამ - სოციალ-დემოკრატიული პარტია, მწვანეები და თავისუფალი დემოკრატები.

**Bakur Khubulava**
Caucasus International University
Doctoral
**Scientific Supervisor: Alika Guchua**
Doctor, Associate Professor

## German Political Parties and the Model of Coalition Parliamentary Government

Abstract The number of parties and conflicts played a big role in the fall of the Weimar republic, and their role in the difficult past of German history turned out to be very heavy. The same was repeated in the period before the third reich and the Second World War. Similar to such experiences, the German nation realized that consolidation and cooperation were necessary to save the society and the state the German people and political parties have shown a growing tendency towards consolidation since the early days of the federal republic. Smaller parties have either merged with larger parties, shrank into insignificant or simply disappeared. united Germany had 4-5 parties for almost three decades: the Cristian democratic union (christlich-demokratische union, CDU) and the social democratic part of Germany (Sozialdemokratische partei Deutschlands, SPD), neither of which can easily achieve a parliamentary majority.in addition, there are four smaller but still important parties, the Christian-social union (Christlich-Soziale union, CSU), the Bavarian younger sibling of the CDU. the free Democratic Party(FDP), a junior coalition partner in most post-world war II German governments, alliance 90, the greens(Bundnis'90/Die Grunen) a party created in 1993by the merger of the ecological Green Party and the East German alliance

90,and a left-wing party, formerly the party of democratic socialism (partei des demokratischen Sozialismus, PDS) the successor to the socialist unity party of Germany (SED), which later joined left-wing groups in west Germany outside political parties such as the republicans(Die Republikaner), the German people's union (Deutsche volksunion, DVU)and the pirate party of Germany (piratenpartei Deutschland) achieved some success at the local and state level, but did not win representation. At the beginning of 2010 a new player appeared in Germany, alternative to Germany a radical rightwing force, which immediately entered the above-mentioned parties in the hierarchy and for 10 years now their rating has been equal to 10-15% and they have guaranteed mandates in each election, at national level. the 5 percent threshold for election has proven to be a highly effective tool for excluding radical parties of any stripe and preventing the formation of splinter parties, however the proportional element of the electoral system led to the formation of coalition governments. Since 1966, every federal government has consisted of the least two parties. Disagreement within the major parties involve wings and factions of each respective party. With the results of 2022, three parties formed a coalition the social Democratic Party, the Greens and the Free Democrats.

**მაია ქირია**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან შოშიაშვილი**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## რელიგიის როლი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში

სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი სტრატეგია ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთმანეთისგან განცალკევებაა. მსგავს მიდგომას იზიარებენ სხვადასხვა რეჟიმის მქონე ქვეყნები - როგორც დემოკრატიული, ასევე ავტორიტარული. საგულისხმოა, რომ თითოეულმა სახელმწიფომ შესაძლოა მისთვის შესაფერისი უნიკალური მეთოდი, გზა მოძებნოს აღნიშნული პოლიტიკის განსახორციელებლად. ეს გზები შესაძლოა გულისხმობდნენ რელიგიური გაერთიანებების რეგისტრირებასა და ფრთხილ მონიტორინგს, ასევე, მათი უფლებამოსილებების განსაზღვრას.

საქართველო არის ოფიციალურად სეკულარული ქვეყანა, რომელიც ტოლერანტულია მსოფლიო რელიგიების და სარწმუნების მიმართ. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ უძველესი დროიდან  ქართველი მეფეები შემწყნარებლურ დამოკიდებულებას გამოხატავდნენ ქვეყანაში მცხოვრებ სხვადასხვა რელიგიების მიმართ.რელიგიის თავისუფლების დაცვის ხარისხი ქვეყნის დემოკრატიულობისა და პლურალიზმის საზომია და გავლენას ახდენს სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური და კულტურული ჯგუფების პოლიტიკურ და სოციალურ ინკლუზიაზე, სოციალურ სტაბილურობასა და მშვიდობაზე.  რელიგიის თავისუფლებას სხვა ძირითად უფლებებთან ერთად არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია და სამართლებლივი აქტის საფუძველზე იცავს. საქართველოსთვის დამახასიათებელი რელიგიური მრავალფეროვნება, როგორც საერთო ეროვნული სიმდიდრე, დაცვა და

საკანონმდებლო უზრუნველყოფა, რომელიც ხელს შეუწყობს განსხვავებულ რელიგიურ ჯგუფებს თავისუფალ განვითარებაში, დემოკრატიისკენ გადადგმული წარმატებული ნაბიჯია.

საქართველოს სახელმწიფოს მიერ წარმოადგენილი რელიგიური განვითრების დოკუმნეტის მიხედვით, რომელსაც აკისრია რელიგიის სფეროში მარეგულირებელი როლი, ასევე აყალიბებს და ავითარებს სტრატეგიულ ხედვებს, მიზნებსა და პრინციპებს რელგიასთან მიმართებით. ვინაიდან, სახელმწიფო უსაფრთხოებაში ძირითადი რელიგიური საფრთხე შეიძლება იყოს რელიგიურ უმცირესობებსა და ქვეყნის მოქალაქეებს შორის განვითარებული კონფლიქტები.


**Maia Kiria**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Ketevan Shoshiashvili**
Doctor, Associate Professor


## The Role of Religion in the Political Life of Georgia

One of the strategies of the state policy is to separate the church and the state from each other. Countries with different regimes - both democratic and authoritarian - share a similar approach. It is important that each state may find a suitable, unique method, a way to implement the mentioned policy. These ways may involve registering and carefully monitoring religious associations, as well as defining their powers.

Georgia is an officially secular country that is tolerant of world religions and beliefs. This is confirmed by the fact that since ancient times Georgian kings have expressed tolerant attitude towards different religions living in the country. The degree of protection of religious freedom is a measure of the country's democracy and pluralism and affects the political and social inclusion of different ethnic, religious and cultural groups, social stability and peace. Freedom of religion, along with other basic rights, is protected by a number of international organizations and legal acts. The religious diversity characteristic of Georgia as a common national wealth, protection and legislative provision that will support the free development of different religious groups is a successful step towards democracy.

According to the document of religious development presented by the state of Georgia, which has a regulatory role in the field of religion, it also forms and develops strategic visions, goals and principles in relation to religion. Since, the main religious threat in the state security can be the conflicts between religious minorities and the citizens of the country...

**ნიკოლოზ ბულია**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ფარეშიშვილი**
დოქტორანტი,აკადემიური ასისტენტი

## ამერიკის დამფუძნებელი მამები, დამოუკიდებლობის დეკლარაცია

ჩვენი სასაუბრო თემა ძალზე საინტერესოა, მიუხედვად იმისა, რომ საუბარი ისეთ ახალგაზრდა სახელმწიფოზე გვიწევს, როგორიც შეერთებული შტატებია. ამ პროექტზე მუშაობისას შევისწავლით იმდროინდელი ამერიკისა და ინგლისის პოლიტიკურ დამოკიდებულებას ერთმანეთისადმი, ასევე, დამოუკიდებლობის დეკლარაციის, დოკუმენტის არსსა და იმ ადამიანებს, რომლებზეც ტექსტში ვსაუბრობთ. ვეცადე, რომ ადამიანებისთვის მარტივ და გასაგებ ენაზე გადმომეცა მთავარი სათქმელი. მინდოდა იმ კითხვებისთვის გამეცა პასუხი, რომელებიც ადამიანებს ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ უჩნდებათ, **„რითი განსხვავდება იგი დანარჩენი ქვეყნებისგან? რა ხდის მას განსაკუთრებულს?“** მისი გაცნობისას გავიგებთ ქვეყნის ისტორიაში განვითარებული კარგი თუ ცუდი მოვლენებისა და იმ მიზეზების შესახებ, რამაც აიძულა ამერიკელი ხალხი „ჩვეული გზიდან“ გადაეხვია და ისტორიაში ახალი ფურცელი გადაეშალა. მივხვდებით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ეს მოვლენები პროგრესული სამყაროსთვის.

**Nikoloz Bulia**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Giorgi Pareshishvili**
PhD Candidate, Academic Assistant

## America's Founding Fathers and the Declaration of Independence

Our topic of conversation is very interesting, even though we are talking about young state like United States. While working on this project I studied the political attitudes of America and England of the time toward each other, as well as essence of the Declaration of the Independence, the document and the people we speak in the text. I tried to convey the main issue in a simple and understandable language. I wanted to give answers to questions which are brought up while talking about the United states, "How is it different from the rest of the countries? What makes it special? During hearing, we will learn about the good and bad events in the country's history and the reasons that forced American people to deviate from the "usual path" and open a new page of history. We will see how important these events were to the progressive world.

**ნუნუ მუხაშავრია, მარიამ რიკაძე**
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: მირანდა აბრამიშვილი**
მოწვეული ლექტორი

## რეალიზმის სკოლა და მისი გავლენა სახელმწიფოების პოლიტიკურ კურსზე

საერთაშორისო ურთიერთობებსა და საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ანალიზი ერთმანეთისგან განსხვავებული, ძირითადი პოლიტიკური თეორიების საფუძველზე ხდება. აღნიშნულ ნაშრომში განხილული იქნება ერთ-ერთი ძირითადი თეორიული სკოლა, რომელიც ბევრი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის განხორციელებაზე ახდენს გავლენას და ეს არის რეალიზმი. ამასთანავე, ნაშრომი შეეხება ისეთი განვითარებული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები და განვითარებად სახელმწიფოს, ჩინეთს, შორეულ აღმოსავლეთში.

აღნიშნული ნაშრომი სამაგიდო კვლევაა, შესაბამისად, ძირითადი ისტორიული და თეორიული წყაროების ანალიზზე დაყრდნობით, პასუხები გაეცემა ისეთ კრიტიკულ კითხვებს, როგორიცაა რეალიზმის, როგორც თეორიული სკოლის, გავლენა განვითარებულ და განვითარებად სახელმწიფოებზე, კერძოდ, ამ შემთხვევაში, აღნიშნული ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე, მათ საგარეო პოლიტიკურ კურსზე.

რეალიზმი, საკუთარი იდეებიდან და ღირებულებებიდან გამომდინარე, წარმოადგენს იმ მთავარ ღერძს, რომლის გარშემოც ბრუნავენ სახელმწიფოები. საგარეო პოლიტიკის ანალიზისთვის ალბათ ყველაზე ხელსაყრელია სწორედ აღნიშნული პოლიტიკური თეორიის საფუძვლებიდან ამოვიდეთ.

**Nunu Mukhashavria, Mariam Rikadze**
Ilia State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Miranda Abramishvili**
Visiting Lecturer

## The School of Realism and its Influence on the Foreign Policy Course of State

Several fundamental political theories serve as the foundation for the study of international relations and current political developments. This essay will address realism, one of the primary theoretical schools that shapes how many states carry out their foreign policies. The study will also discuss the foreign policies of developing China and industrialized nations like the United States of America in the Far East. Since the aforementioned paper is a desk study, answers to important questions like the impact of realism as a theoretical school on developed and developing states—

specifically, in this case, on the social and economic conditions of the mentioned countries and their fsoreign policy trajectory - will be provided based on the examination of the primary historical and theoretical sources. Based on its own ideas and values, realism is the main axis around which states rotate. For the analysis of foreign policy, it is probably most advantageous to start from the foundations of the mentioned political theory.

**რუსუდან ზარიძე, თათია ოსიაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ფარეშიშვილი**
დოქტორანტი, აკადემიური ასისტენტი

## არაბული გაზაფხულის პოლიტიკური ასპექტები ეგვიპტეში

არაბულ სამყაროში მიმდინარე რევოლუციების ტალღას ჰქონდა ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლები . ტუნისში დაწყებულმა რევოლუციამ „ დომინოს ეფექტი“ იქონია მთლიან არაბულ სამყაროზე და აფრიკის კონტინენტზე. თუმცა ტუნისში მიღწეული რევოლუციური წარმატება არ აღმოჩნდა ყველა ქვეყნისთვის შესაძლებელი.

ეგვიპტეში რევოლუციურ ქმედებებს ხელს უწყობდა არსებული მდგომარეობა: აზრთა სხვადასხვაობა, არასტაბილურობა, იმედგაცრუებული მოსახლეობა, პოლიტიკური რეჟიმი და სხვა. შიდა პრობლემებს თან ახლდა საგარეო პოლიტიკური ძვრები. ეგვიპტეში რევოლუციური ტალღის გაღვივებაზე განსაკუთრებული როლი ითამაშა სოციალურმა მდგომარეობამ, უკიდურესმა გაჭირვებამ, დემოგრაფიულმა პრობლემამ, რამაც გამოიწვია მომიტინგეების თაჰრირის მოედანზე გამოსვლა.

2011 წლის რევოლუციის მიზანი იყო არსებული რეჟიმის დემონტაჟი, 29 წლიანი უწყვეტი მმართველობის პერიოდის დასრულებას ხელი შეუწყო შეიარაღებული ძალების მხარდაჭერამ რევოლუციური ფრთისთვის, სახელმწიფოში დემოკრატიულად ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, რის შედეგადაც ისლამისტური პარტია „ მუსლიმთა საძმო“ მოვიდა ხელისუფლების სათავეში . თუმცა ერთი წლის თავზე ახალი რევოლუცია დაიწყო ,რომელიც სამხედრო ძალით პარლამენტის გადაყენებით დამთავრდა. რევოლუციების ტალღის შედეგად არასტაბილური ვითარება შეიქმნა ორი წლის განმავლობაში, რაც 2014 წელს დამთავრდა და მას შემდეგ ხელისუფლება უცვლელია. თუმცა არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები უცვლელი დარჩა.

**Rusudan Zaridze, Tatia Osiashvili**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Giorgi Pareshishvili**
PhD Candidate, Academic Assistant

## Political Aspects of the Arab Spring in Egypt

The wave of revolutions in the Arab world had economic and political foundations. The revolution started in Tunisia had a "domino effect" on the entire Arab world and the African continent. However, the revolutionary success achieved in Tunisia was not possible for all countries. Revolutionary actions in Egypt were facilitated by the existing situation: differences of opinion, instability, disillusioned population, political regime and others. Internal problems were accompanied by foreign political changes. The social situation, extreme poverty, and demographic problems played a special role in igniting the revolutionary wave in Egypt, which caused the protestors to come to Tahrir Square. The goal of the 2011 revolution was to dismantle the existing regime, the end of the 29-year period of continuous rule was facilitated by the support of the armed forces for the revolutionary wing, parliamentary elections were democratically held in the state, as a result of which the Islamist party "Muslim Brotherhood" came to the head of the government. However, a year later, a new revolution began, which ended with the removal of the parliament by military force. As a result of the wave of revolutions, an unstable situation was created for two years, which ended in 2014, and since then the government has not changed. However, the existing political and economic problems remained unchanged.

**თემურ დიღმელაშვილი, ლიკა ლაგვილავა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალიკა გუჩუა**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## ნატოს კიბერთავდაცვის პოლიტიკა და სტრატეგია

დღევანდელ ურთიერთდაკავშირებულ სამყაროში, სადაც კიბერსივრცე სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამხედრო ოპერაციებში, დაზვერვის შეგროვებასა და სამოქალაქო ინფრასტრუქტურაში, კიბერუსაფრთხოება გახდა უმთავრესი საზრუნავი ერებისა და ალიანსებისთვის. ნატო, როგორც უსაფრთხოების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანიზაცია მსოფლიოში, აღიარებს კიბერთავდაცვის ძლიერი შესაძლებლობების მნიშვნელობას, რათა დაიცვას თავისი წევრები განვითარებადი კიბერ საფრთხეებისგან. ამ გამოწვევების გადასაჭრელად ნატომ შეიმუშავა კიბერთავდაცვის ყოვლისმომცველი პოლიტიკა და სტრატეგია, რომელიც აერთიანებს ტექნოლოგიურ

ინოვაციებს, წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობას და თავდაცვის ტრადიციული პრინციპების ციფრულ დომენთან ადაპტაციას.

ნატოს კიბერთავდაცვის პოლიტიკა და სტრატეგია წარმოადგენს ყოვლისმომცველ და პროაქტიულ მიდგომას კიბერსივრცით გამოწვეული რთული და დინამიური გამოწვევების გადასაჭრელად. კოლექტიური თავდაცვის, პარტნიორობის, გამძლეობის, შეკავების, ადაპტაციისა და სამართლებრივი და ეთიკური პრინციპების დაცვით, ნატო ცდილობს გააძლიეროს ალიანსის უსაფრთხოება და სტაბილურობა ციფრულ ეპოქაში. კიბერსივრცე აგრძელებს განვითარებას და კიბერ საფრთხეების გამრავლებას, ნატო რჩება ერთგული გააძლიეროს თავისი კიბერთავდაცვის შესაძლებლობები და ითანამშრომლოს პარტნიორებთან, რათა უზრუნველყოს უსაფრთხო კიბერგარემო ყველა წევრი სახელმწიფოსთვის.

**Temur Digmelashvili, Lika Lagvilava**
Caucasus International University
Doctoral
**Scientific Supervisor: Alika Guchua**
Doctor, Associate Professor

## NATO Cyber Defense Policy and Strategy

In today's interconnected world, where cyberspace plays an increasingly important role in military operations, intelligence gathering and civilian infrastructure, cyber security has become a top concern for nations and alliances. As one of the most important security organizations in the world, NATO recognizes the importance of strong cyber defense capabilities to protect its members from evolving cyber threats. To address these challenges, NATO has developed a comprehensive cyber defense policy and strategy that combines technological innovation, cooperation among member states, and the adaptation of traditional defense principles to the digital domain. NATO's Cyber Defense Policy and Strategy is a comprehensive and proactive approach to addressing the complex and dynamic challenges posed by cyberspace. By upholding the principles of collective defense, partnership, resilience, deterrence, adaptation, and legal and ethical principles, NATO seeks to strengthen the Alliance's security and stability in the digital age. As cyberspace continues to evolve and cyber threats multiply, NATO remains committed to strengthening its cyber defense capabilities and working with partners to ensure a secure cyber environment for all member states.

**თეონა ლეჟავა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალიკა გუჩუა**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## რუსეთის საგარეო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის რეგიონში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ მთავარი მოთამაშე გამხდარიყო სამხრეთ კავკასიაში. მოსკოვი დაკავებულია თავისი ძალაუფლების პროექციით და არ ტოვებს გარე აქტორებისთვის სივრცეს ჩარევისთვის.

თუმცა, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა რადიკალურად განსხვავებული გზები და საგარეო პოლიტიკური მიმართულებები აირჩიეს. ამან აიძულა რუსეთი, რომ თავისი სტრატეგიული მიდგომა მოარგო თითოეულ ამ სახელმწიფოს. აგრესორის როლიდან დაწყებული შუამავლისა და უსაფრთხოების გარანტორით დასრულებული, კრემლი ცდილობს გააძლიეროს თავისი გავლენა რეგიონში სხვადასხვა მძიმე და რბილი ძალაუფლების ინსტრუმენტების გამოყენებით. გარკვეულწილად, ეგრეთ წოდებულმა მთიანი ყარაბაღის მეორე ომმა მოსკოვს საშუალება მისცა გაეძლიერებინა თავისი პოზიციები სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოში სამხედრო წარმომადგენლობის დამყარებით.

უკრაინის ომმა გამოიწვია უფრო დიდი არასტაბილურობა რეგიონში. რუსეთის სისუსტეების აშკარა დემონსტრირებამ გააჩინა კითხვები სამომავლო ძალაუფლების დინამიკასთან დაკავშირებით სამხრეთ კავკასიაში. აღნიშნული საკვლევი თემა განიხილავს როგორც ისტორიულ კონტექსტს, ასევე სამხრეთ კავკასიის ამჟამინდელ განვითარებას ამ რეგიონის როლის გაანალიზებისას რუსეთის საგარეო პოლიტიკურ აზროვნებაში.

**საკვანძო სიტყვები:** *სამხრეთ კავკასია; რუსეთი; უკრაინა; საგარეო პოლიტიკა.*

**Teona Lezhava**
Caucasus International University
Master
**Scientific Supervisor: Alika Guchua**
Doctor, Associate Professor

## Russian Federation Foreign Policy in the South CaucasusRegion

Since the dissolution of the Soviet Union, Russia has been determined to become a key player in the South Caucasus. Moscow has been preoccupied by projecting its power and leaving no space to outside actors to intervene.

Yet, since regaining independence, Georgia, Armenia and Azerbaijan chose radically different paths and foreign policy directions. This has forced Russia to tailor its strategic approach to each of these states. From the role of an aggressor to the one of a mediator and security guarantor, the Kremlin has been attempting to consolidate its influence in the region through the use of various hard and soft power

tools. To a certain extent, the so-called second Nagorno-Karabakh war has enabled Moscow to strengthen its positioning by establishing military presence in all three South Caucasus states.

The war in Ukraine has sparked greater instability in the region. An overt demonstration of the Russian weaknesses has raised questions about the future power dynamics in the South Caucasus. This session will look at both the historical context and current development in the South Caucasus while analyzing the role of this region within Russian foreign policy thinking.

**Keywords:** South Caucasus; Russia; Ukraine; Foreign Policy

**ნინო ღაღანიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან შოშიაშვილი**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## საქართველო-პოლონეთის ურთიერთობები XIX საუკუნიდან დღემდე

საქართველოსა და პოლონეთს შორის ღრმა პოლიტიკური, ეკონომიკური, ისტორიული და კულტურული კავშირები არსებობს შუა საუკუნეებიდან მოყოლებული თანამედროვეობამდე.

პოლონეთი წარმოადგენს იმ ქვეყანას, რომელიც მუდმივად უჭერს მხარს საქართველოს ევროპულ ინტეგრაციას და, გარდა ამისა, არის მნიშნელოვანი საკომუნიკაციო დერეფანი საქართველოსა და ნატოს შორის.

სსრკ-ს დაშლის შემდეგ პოლონეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები 1992 წელს აღდგა. აქედან მოყოლებული, პოლონეთი საქართველოს დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანების მხარდამჭერია, რის დასტურსაც წარმოადენს პოლონეთის ეროვნული უსაფრთხოების უახლესი კონცეფცია (2020), სადაც საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაცია განისაზღვრა.

პოლონეთსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა მრავალმხრივია. პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და საგანმანათლებლო კუთხით. ისტორიაში ძალიან ცოტაა შემთხვევა, როდესაც გეოგრაფიულად განცალკევებული და ეთნიკურად განსხვავებული ხალხები ერთმანეთთან ასეთი მტკიცე მეგობრული ურთიერთობების დაფუძნებას ახერხებენ. საქართველოს, ისევე როგორც პოლონეთის, მიზანს წარმოდგენს ურთიერთკავშირის შენარჩუნება და პარტნიორობა.

**Nino Ghaghanidze**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Ketevan Shoshiashvili**
Doctor, Associate Professor

## Georgian-Polish Relations from the 19th Century to the Present Day

There are deep political, economic, historical and cultural relations between Georgia and Poland from the Middle Ages to modern times.

Poland represents the country that constantly holds support for Georgia's European integration, and In addition, is a significant communication corridor between Georgia and NATO.

After the collapse of the USSR, diplomatic relations between Poland and Georgia were restored in 1992. Since then, Poland has been the protector of Georgia's independence, and territorial integrity, and It is a supporter of joining the Euro-Atlantic space, as evidenced by the latest concept of national security of Poland (2020), where Euro-Atlantic integration of Georgia was determined as a foreign policy priority.

Cooperation between Poland and Georgia is multifaceted. Political, economic, military and from an educational point of view. There are very few cases in history when geographically separated and ethnically different peoples manage to establish such strong friendly relations with each other. The goal of Georgia, as well as Poland, is to maintain mutual relations and partnership.

# სექცია
# SECTION

## საერთაშორისო ურთიერთობები
## INTERNATIONAL RELATIONS

ქვესექცია — საერთაშორისო უსაფრთხოება

SUBSECTION — INTERNATIONAL SECURITY

**ავთანდილ ხურციძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვახტანგ მაისაია**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## ჭარბი მოგება და სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოება: დანიის ეკონომიკური კრიზისი (Case Sudy)

ნაშრომი განიხილავს თანამედროვე პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკმაოდ პოპულარულ საკითხს, რომელიც დაკავშირებულია ე.წ. „უფასო ფულის" და ზედმეტ მოგების თემებთან. საკითხის შესასწავლად და სწორად გასააზრებლად თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს - დანიის ეკონომიკური კრიზისი, რომლის მაპროვოცირებელი გახდა ფარმაცევტული კომპანია "Novo Nordisk"-ის დიდი საერთაშორისო წარმატება. მოცემული მაგალითის შესწავლის საფუძველზე ჩვენ შევძლებთ გამოვყოთ ის საფრთხეები, რომლებიც მნიშვნელოვანი ცვლილებების მიზეზი გახდა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის და იქცა დიდ გამოწვევად დანიის მთავრობისთვის.

კვლევა საფეხურეობრივად წარმოაჩენს, თუ როგორ შეუძლია გარკვეული სექტორების ან ინდუსტრიების მიერ მიღებულმა ჭარბმა მოგებამ მოახდინოს გავლენა სახელმწიფოს ეკონომიკურ სტაბილურობასა და მდგრადობაზე.

ნაშრომის მიზანია: ეკონომიკური კრიზისის ხელშემწყობი ფაქტორების განსაზღვრა გადაჭარბებული დამოკიდებულების რეჟიმში; გარე ფინანსური შოკებისა და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის როლის წარმოჩენა კრიზისის მართვის ფორმატში. ბოლოს წარმოდგენილი იქნება კვლევის შედეგად მიღებული გარკვეული დასკვნები და რეკომენდაციები.

**საკვანძო სიტყვები:** *ჭარბი მოგება, უფასო ფული, ეკონომიკური უსაფრთხოება, დანიის კრიზისი.*

**Avtandil Khurtsidze**
Caucasus International University
Master
**Scientific Supervisor: Vakhtang Maisaia**
Doctor, Associate Professor

## Surplus Profits and the Economic Security of the State: the Danish Economic Crisis (Case Study)

The paper discusses a rather popular issue in modern political and public life, which is related to the so-called topics of "free money" and excess profits. A striking example to study and understand the issue correctly is the Danish economic crisis, which was provoked by the great international success of the pharmaceutical company "Novo Nordisk". Based on the study of this example, we will be able to identify the threats that caused significant changes to the country's economic security and became a great challenge for the Danish government. The paper presents step-by-step how excess profits earned by certain sectors or industries can affect the economic stability and

sustainability of a state. The paper aims to determine the contributing factors of the economic crisis in the mode of excessive dependence; Presenting the role of external financial shocks and the economic policy of the state in the format of crisis management. Finally, certain conclusions and recommendations obtained as a result of the research will be presented.

**Keywords:** excess profits, free money, economic security, Danish crisis.

**გურამ ლილუაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალიკა გუჩუა**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## პოლიტიკური რადიკალიზმის გავლენა საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე

პოლიტიკური რადიკალიზმი და მასთან დაკავშირებული საკითხები რიგი მიმართულებებისა და თავისებურებებით ხასიათდება. თანამედროვე საქართველოში პოლიტიკური რადიკალიზმი სულ უფრო და უფრო მძლავრი ხდება. ბოლო წლებში პოლიტიკური რადიკალიზმი ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა, რომელიც თანამედროვე ადამიანის ცხოვრების სტილსა და ცნობიერებაზე, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემაზე, უდიდეს ზეგავლენას ახდენს.

მოცემულ ნაშრომში განხილულია პოლიტიკური რადიკალიზმის გავლენა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების აპარატზე. იგი აანალიზებს, თუ როგორ მოქმედებს ქვეყნის უსაფრთხოების დინამიკაზე რადიკალური პოლიტიკური იდეოლოგიები და მოძრაობები. ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული კვლევები მიზნად ისახავს გამოიძიოს სხვადასხვა ასპექტი, როგორებიცაა რადიკალური ჯგუფების გაძლიერება, მათი დღის წესრიგი, ტაქტიკა და პოტენციური საფრთხეები საქართველოს სტაბილურობასა და უსაფრთხოებაზე.

გლობალურად რადიკალური იდეოლოგიების აღზევებასთან ერთად საქართველო ისევე, როგორც მრავალი სხვა ქვეყანა, დგას უამრავი გამოწვევის წინაშე, მაგალითად, სტაბილურობის შენარჩუნებისა და საკუთარი მოქალაქეების შიდა და გარე მოსალოდნელი საფრთხეების თვალსაზრისით. ისტორიული კონტექსტების, მიმდინარე ტენდენციებისა და სამომავლო პროგნოზების შესწავლით, ნაშრომი მიზნად ისახავს წარმოაჩინოს პოლიტიკური რადიკალიზმის გამოწვევები და შემოგვთავაზოს სტრატეგიები საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემის მდგრადობის გასაძლიერებლად.

ნაშრომი, ასევე, იკვლევს პოლიტიკური პოლარიზაციის ფენომენს და მის შემდგომ დეპოლარიზაციას თანამედროვე საზოგადოებებში. ის იკვლევს პოლარიზაციის გამომწვევ ფაქტორებს, მათ შორის იდეოლოგიურ დაყოფას, პარტიულ მედიასა და სოციალურ-ეკონომიკურ უთანასწორობას.

**საკვანძო სიტყვები:** *პოლიტიკური რადიკალიზმი, ეროვნული უსაფრთხოება, ექსტრემიზმი, რადიკალური მოძრაობები, პოლარიზაცია, დეპოლარიზაცია, სოციალური ერთიანობა.*

**Guram Liluashvili**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Alika Guchua**
Doctor, Associate Professor

## The Influence of Political Radicalism on the National Security of Georgia

Political radicalism and related issues are characterized by a number of directions and features. In modern Georgia, political radicalism is becoming more and more powerful. In recent years, political radicalism is one of the most urgent problems, which has the greatest impact on the lifestyle and consciousness of modern people, on the national security system of Georgia. This paper discusses the impact of political radicalism on the national security apparatus of Georgia. It analyzes how radical political ideologies and movements affect the country's security dynamics. The research carried out within the scope of the work aims to investigate various aspects such as the strengthening of radical groups, their agenda, tactics and potential threats to the stability and security of Georgia. With the rise of radical ideologies globally, Georgia, like many other countries, faces numerous challenges, such as maintaining stability and facing internal and external threats to its citizens. By examining historical contexts, current trends, and future projections, the paper is aimed at presenting the challenges of political radicalism and suggests strategies to strengthen the resilience of Georgia's national security system. The paper also examines the phenomenon of political polarization and its subsequent depolarization in modern societies. He examines the factors behind polarization, including ideological divisions, partisan media, and socioeconomic inequality.

**Keywords:** Political radicalism, national security, extremism, radical movements, polarization, depolarization, social unity.

**ბესიკ თავართქილაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალიკა გუჩუა**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## საქართველოს ევროკავშირის კანდიდატის სტატუტუსი: გამოწვევები და საფრთხეები გაწევრიენების გზაზე

ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის წინაშე არსებული პოლიტიკური და სოციალური სახის საფრთხეები, რომელიც საფრთხეს უქმნის ქვეყნის გაწევრიანებას ევროკავშირში. სტატუსის გაცემით ევროკავშირი აღიარებს, რომ ქვეყანს ნამდვილად აქვს გაწევრიანების ამბიცია და პოტენციალი. ამისთვისაც ჯერ ბოლომდე მზად არ არის, მაგრამ გარკვეული დაკმაყოფილების შემთხვევაში მას ექნება

უფლება, რომ ევროკავშირის წევრი გახდეს. ეს არის ევროკავშირის მხრიდან ქვეყნის პოლიტიკურად უმაღლესი აღიარების ფორმა, რომლის შემდგომაც უშუალოდ წევრობა მოდის.

უნდა აღინიშნოს, რომ გარდა პოლიტიკური აღიარებისა, კანდიდატის სტატუსი ევროკავშირის ფინანსურ რესურსებთან წვდომასაც იძლევა. ეს სტატუსი საქართველოს გზას უხსნის გაწევრიანების წინა ფინანსურ ინსტრუმენტზე – IPA-ზე, რომლის ბიუჯეტიც 14 მილიარდ ევროს შეადგენს. გარდა ამისა, ევროკავშირი ქვეყანას ცალკეული პროგრამებით, გრანტებით, შეღავათიანი სესხებითა და ფინანსური ინსტრუმენთებითაც ეხმარება. ამ ყველაფრის გათვალისიწნებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატის სტატუსის მიღება ქვეყნისთვის დიდ წარმატებას წარმოადგენს.

**საკვანძო სიტყვები:** *ევროკავშირი, ეკონომიკა, დიპლომატიური ურთიერთობები, საფრთხეები, ფინანსური ინსტრუმენტები.*

**Besik Tavartkiladze**
Caucasus International University
Master
**Scientific Supervisor: Alika Guchua**
Doctor, Associate Professor

## Georgia's EU Candidate Status: Challenges and Threats of Accession

The paper discusses and analyzes the political and social threats facing the EU candidate status, which threatens the country's accession to the EU. By granting the status, the EU recognizes that the country really has the ambition and potential to join. It is not yet fully ready for this, but in case of certain satisfaction, it will have the right to become a member of the European Union. This is the highest form of political recognition of the country by the European Union, after which membership may be granted directly. It should be noted that in addition to political recognition, candidate status also provides access to EU financial resources. This status paves the way for Georgia to join the pre-accession financial instrument – IPA, whose budget is 14 billion euros. In addition, the European Union helps the country with separate programs, grants, preferential loans and financial instruments. Considering all of the above, it can be safely said that getting the candidate status is a great success for the country.

**Keywords:** European Union, economy, diplomatic relations, threats, financial instruments

**ლიზა ბაიაზოვა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ფარეშიშვილი**
დოქტორანტი, აკადემიური ასისტენტი

## საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხე თანამედროვე პოლიტიკაში

ტერორიზმი არის საერთაშორისო ხასიათის დანაშაულის ნაირსახეობა, რომელიც მიმართულია გარკვეული მიზნების მისაღწევად, უმეტესად, პოლიტიკური, რელიგიური, იდეოლოგიური. ამისთვის ტერორიზმი მიმართავს ძალადობას, ტერორისტული აქტების საჯაროდ განხორციელებას, მოსახლეობის ან ხელისუფლების დაშინებას და მასზე პირდაპირი ან ირიბ ზეწოლას. მისთვის დამახასიათებელი ნიშანია სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქეების ტერორისტულ ჯგუფებში გაერთიანება, ის ძირითადად ხორციელდება ხალხმრავალ ადგილებში რასაც ეწირება მშვიდობიანი მოსახლეობა და ნადგურდება ინფრასტრუქტურა. არსებობს ვარაუდი, რომ ტერორიზმი სათავეს 1605 წელს იღებს, როდესაც ინგლისელ ჰაი ფოუქსს აფეთქების გზით სურდა მეფე ჯეიმს I–ის მოკვლა. დღეს-დღეობით შექმნილია საერთაშორისო ტერორისტული დაჯგუფებები, როგორებიცაა: ალ ქაიდა, ISIS, თალიბანი, ჰამასი, კუ-კლუს-კლანი.

თანამედროვე მსოფლიოსთვის ერთ-ერთი დასამახსოვრებელი ტერაქტი იყო ალ-ქაიდას თვითმკვლელ ტერორისტთა კოორდინირებულ თავდასხმათა სერია აშშ-ის ტერიტორიაზე 2001 წლის 11 სექტემბერს. ამ დღეს ცხრამეტმა ისლამისტმა ტერორისტმა გაიტაცა ოთხი კომერციული სამგზავრო თვითმფრინავი. გამტაცებლებმა გამიზნულად დააჯახეს ორი თვითმფრინავი ნიუ-იორკში მსოფლიოო სავაჭრო ცენტრის ორ ცათამბჯენს, რის შედეგადაც დაიღუპა ყველა მგზავრი და ამ შენობებში იმ მომენტში მყოფი ხალხის დიდი ნაწილი.

ტერორიზმმა მიიღო გლობალური სახე, რომელიც საფრთხეს უქმნის მთლიან მსოფლიოს. ამ მხრივ მუშაობენ საერთაშორისო თუ რეგიონული ორგანიზაციები, რომლებიც ცდილობენ ამ პრობლემის გადაჭრას.

**Liza Baiazova**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Giorgi Pareshishvili**
PhD Candidate, Academic Assistant

## The Threat of International Terrorism in Modern Politics

Terrorism is a type of international crime aimed at achieving certain goals, mostly political, religious, ideological. For this, terrorism refers to violence, public execution of terrorist acts, intimidation of the population or government and direct or indirect pressure on it. Its characteristic

feature is the unification of citizens of different states into terrorist groups, it is mainly carried out in crowded places, which kills civilians and destroys infrastructure. There is an assumption that terrorism originates in 1605, when the Englishman High Fawkes wanted to kill King James I by means of an explosion. International terrorist groups such as Al-Qaeda, ISIS, Taliban, Hamas, Ku-Klus-Klan have been created nowadays. One of the memorable tracts for the modern world was the series of coordinated attacks by al-Qaeda suicide terrorists on the US territory on September 11, 2001. On this day, 19 Islamist terrorists hijacked four commercial airliners. The hijackers deliberately crashed two planes into the two skyscrapers of the World Trade Center in New York, killing all passengers and most of the people inside the buildings at the time. Terrorism has taken a global form, which threatens the whole world. In this regard, international or regional organizations are working to solve this problem.

**მაკა ბასილიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით კუხალაშვილი**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## კიბერ შეტევების სადაზვერვო ხასიათი

საერთაშორისო პოლიტიკაში ვითარდება ტექნოლოგიები და მათი გამოყენებით დამაზიანებელი საქმიანობის საფრთხის ალბათობაც დიდია. სახელმწიფოები სადაზვერვო სამსახურების მეშვეობით, საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ და მოწინააღმდეგე ქვეყნის ინტერესების დასაზიანებლად საქმიანობენ და აქტიურად იყენებენ საინფორმაციო სივრცეს კიბერშეტევების განსახორციელებლად. შედეგად ინფორმაციული უსაფრთხოება მნიშვნელოვანია სახელმწიფოსათვის.

კვლევით დადგინდება სადაზვერვო საქმიანობის მაკავშირებლები კიბერშეტევების შემთხვევებთან. გამოიკვეთება სადაზვერვო ხასიათის კიბერშეტევების სამიზნე ობიექტები, გამოყენებული მეთოდები.

კვლევა მოგვცემს შესაძლებლობას გავარკვიოთ კიბერუსაფრთხოების მაკავშირებლები სახელმწიფოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკური უსაფრთხოების სეგმენტებთან. მოგვეცემა პირობითი საფრთხეების იდენტიფიცირებისა და მათზე რეაგირების ზომების გამოკვეთის შესაძლებლობა.

აღნიშნული კვლევის აქტუალობა განპირობებულია საკვლევი მიმართულებით სამეცნიერო ნაშრომების სიმწირით, პრაქტიკულად, შეუსწავლელობით. იგი მნიშვნელოვანი იქნება პრობლემით დაინტერესებული მკვლევრებისათვის, სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურების თანამშრომლებისათვის, გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფებისათვის, ფართო საზოგადოებისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** *კიბერსივრცე, კიბერშეტევა, სადაზვერვო საქმიანობა.*

**Maka Basilidze**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Davit Kukhalashvili**
Doctor, Associate Professor

## Intelligence Nature of Cyber Attacks

Technologies are developing in international politics, and the probability of damaging activities using them is high. States, through intelligence services, work for their own interests and to harm the interests of the opposing country and actively use the information space to carry out cyberattacks. As a result, information security is important for the state. The research will determine the links between intelligence activities and cases of cyberattacks. The target objects of cyber-attacks of an intelligence nature, the methods used, are highlighted. The research will give us an opportunity to find out the links between cyber security and the political, economic, military and scientific-technical security segments of the state. We will be given the opportunity to identify conditional threats and outline measures to respond to them. The relevance of the mentioned research is due to the scarcity of scientific works in the research direction, practically unstudied. It will be important for researchers interested in the problem, employees of intelligence and counter-intelligence services, decision-making groups, and the general public.

**Keywords:** cyber space, cyberattack, intelligence activity.

**მარიამ ბეინაშვილი, ლუკა ლეფსაია**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ბენაშვილი**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## რუსეთ-უკრაინის ომის ზეგავლენა რუსეთის სტრატეგიული დოკუმენტების ფორმირებაში ნატო-ევროკავშირთან ურთიერთობის კონტექსტში (რუსეთის სტრატეგიული დოკუმენტების შედარებითი ანალიზი)

საზოგადოდ, სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის კურსს, მეტწილად, განაპირობებს მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა და რესურსები, თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი აქვს საომარ მოქმედებებს. 2014 და 2022 წლებში რუსეთის ფედერაციამ დაიწყო ომი უკრაინაში. აღნიშნულ ომს აქვს დიდი გავლენა მსოფლიო პოლიტიკურ წესრიგზე. სწორედ ამიტომ, ვთვლით, რომ საინტერესოა შევისწავლოთ, თუ როგორ შეცვალა რუსეთ-უკრაინის ომმა დასავლური ქვეყნების აღქმა რუსეთის ფედერაციისთვის; როგორ შეიცვალა რუსეთის

საგარეო პოლიტიკის ვექტორები ომის დაწყების შემდეგ და რა როლს იკავებენ დასავლური სახელმწიფოები მის სტრატეგიულ დოკუმენტებში.

კვლევის მიზანია რუსეთის სტრატეგიული დოკუმენტების (2013 და 2023 წლების საგარეო პოლიტიკის კონცეფციები) შედარებითი ანალიზის საფუძველზე შევისწავლოთ, რა ასპექტებში შეიცვალა ომის შემდეგ დასავლური ქვეყნების მიმართ რუსეთის ფედერაციის პოლიტიკა და აღქმა რუსეთის სტრატეგიულ დოკუმენტებში, კერძოდ, საგარეო პოლიტიკის დოქტრინაში.

კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებულია პირველადი და მეორეული დოკუმენტების ანალიზი, ვინაიდან პირველადი წყაროები საშუალებას გვაძლევს მოვიპოვოთ პირველადი მონაცემები და მეორეული წყაროებით დავამუშავოთ იგი.

**საკვანძო სიტყვები:** *რუსეთი; ომი; სტრატეგიული დოკუმენტები; დასავლეთის ქვეყნები.*

**Mariam Beinashvili, Luka Lephsaia**
Tbilisi State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Giorgi Benashvili**
Doctor, Associate Professor

## The Impact of the Russia-Ukraine War on the Formation of Russia's Strategic Documents in the Context of NATO-EU Relations (Comparative Analysis of Russia's Strategic Documents)

In general, the course of foreign policy of the state is largely determined by its geopolitical location and resources, however, military operations have an equally important role. Between 2014 and 2022, the Russian Federation started a war in Ukraine. This war has a great influence on the national political order. That is why we consider it interesting to study how the Russia-Ukraine war has changed the perception of the Russian Federation in Western countries. How the vectors of Russia's foreign policy have changed since the start of the war and what role the Western states play in its strategic documents. The purpose of the research is to study, based on the comparative analysis of the Russian strategic documents (foreign policy concepts of 2013 and 2023), in what aspects the policy and perception of the Russian Federation towards Western countries changed after the war in the Russian strategic documents, in particular the foreign policy doctrine. Analysis of primary and secondary documents is used as a research methodology, since primary sources allow us to obtain primary data and process it with secondary sources.

**Keywords:** Russia; The war; Strategic documents; Western countries.

**მეგი ჯომიდავა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით კუხალაშვილი**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## ლობიზმის სადაზვერვო ხასიათი

ეკონომიკური უსაფრთხოება სახელმწიფოს ეროვნული უშიშროების შემადგენელ მნიშვნელოვან კომპონენტს, ე.ი უცხო სახელმწიფოთა სადაზვერვო ზემოქმედების მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენს. დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოში არსებული ოპერატიული ვითარების შესახებ ინფორმაციის ფლობა დამაზიანებელი შეღწევადობისათვის ხელსაყრელ ვითარებას ქმნის. ეს ინფორმაცია მიიღება ოპერატიულ-აგენტურული ლობისტური დაჯგუფებების მეშვეობით, რომლებიც ხელისუფლებას აწვდიან ინფორმაციას და ზემოქმედებენ გადაწყვეტილების მიმღებ ჯგუფზე.

ლოგიკურია, რომ ლობიზმი შეიცავს რეალურ საფრთხეს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურთა მიერ ქვეყნის დაზვერვის კუთხით, რაც გამოიხატება ლობისტურ დაჯგუფებებში ჩანერგილი ორგანიზებული აგენტურული აპარატის მძლავრი მექანიზმით, სახელმწიფო ორგანოებში შეღწევადობის პოტენციური საშუალებებით.

აგენტურულმა ლობისტურმა საქმიანობამ შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს საბაზრო მექანიზმზე, რაც შეიძლება გამოიხატოს კონკურენციის შეზღუდვით, რესურსების არათანაბარი განაწილებით, პლუტოკრატიული შემოსავლების ზრდით, სინდიკატური გაერთიანებების არალეგალური საქმიანობით, ოფშორული ზონებიდან შემოსული შავი ფულის გათეთრებით. ეს ქმედებები შეიძლება გახდეს სტიმული „შავი“ უკანონო ფულის ინტეგრირებისა ქვეყნის შიდა საფინანსო სისტემაში, სახელმწიფო უწყებებში კორუფციის სტიმულირებისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარების ფარგლებში.

**Megi Jomidava**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Davit Kukhalashvili**
Doctor, Associate Professor

## The Role of Intelligence Lobbying

Economic security is an important component of the state's national security, i.e.an important segment of foreign intelligence influence. Having information about the operational situation in the state of the intelligence object creates a favorable situation for damaging penetration. This information is obtained through operative-agency lobby groups that provide information to the government and influence the decision-making group. It is logical that lobbying contains a real danger in terms of the country's intelligence by foreign special services, which is manifested by the

powerful mechanism of the organized agency apparatus embedded in lobbying groups, with potential means of infiltrating state bodies. Agency lobbying activities can have a negative impact on the market mechanism, which can be manifested by limiting competition, unequal distribution of resources, increasing plutocratic incomes, illegal activities of syndicates, laundering of black money from offshore zones. These actions can serve as an incentive to integrate "black" illegal money into the domestic financial system of the country, stimulate corruption in state agencies and develop the shadow economy.

**მუხრან შუბითიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალიკა გუჩუა**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## "საქართველოს ფაქტორი ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაში და თანამშრომლობის მექანიზმები"

საქართველოს გეოსტრატეგიული პოზიცია უკავია რეგიონში, როგორც ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელ სახელმწიფოს, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ევროატლანტიკური უსაფრთხოებისა და რეგიონული სტაბილურობისთვის. როგორც სამხრეთ კავკასიის მთავარი მოთამაშე, საქართველოს ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში აძლიერებს მის მნიშვნელობას და ხელს უწყობს რეგიონულ სტაბილურობას.

საქართველო ერთგული რჩება დასავლური ინტგრაციის მიმართ. აღსანიშნავია, რომ ქვეყანა აქტიურად მონაწილეობს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ოპერაციებში, რაც ხელს უწყობს რეგიონულ და გლობალურ უსაფრთხოებას. მიუხედავად ისეთი გამოწვევებისა, როგორიცაა მოუგვარებელი ტერიტორიული კონფლიქტები, განსაკუთრებით, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის 20%-ის ოკუპაციის მიუხედავად, საქართველო რჩება ევროატლანტიკური ინტეგრაციის ერთგული და აძლიერებს საკუთარ რეგიონულ გავლენას და თანამშრომლობას პარტნიორ სახელმწიფოებთან.

ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობა ენერგეტიკული და სატრანზიტო მიმართულებით კავკასიისა რეგიონისა და ევროპისთვის ხაზს უსვამს ქვეყნის განსაკუთრებულ როლს. ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში აქტიური მონაწილეობა საქართველოს საშუალებას აძლევს, იყოს აქტიური კონტრიბუტორი კოლექტიურ უსაფრთხოებაში და ხელი შეუწყოს რეგიონულ სტაბილურობას.

**Mukhran Shubitidze**
Caucasus International University
Master
**Scientific Supervisor: Alika Guchua**
Doctor, Associate Professor

## Georgian Factor in Euro-Atlantic Security and Cooperation Mechanisms

Georgia occupies a geostrategic position in the region as a connecting state between Europe and Asia, which is vital for Euro-Atlantic security and regional stability. As a major player in the South Caucasus, Georgia's integration into Euro-Atlantic structures strengthens its importance and contributes to regional stability. Georgia remains committed to Western integration. It should be noted that the country actively participates in international operations against terrorism, which contributes to regional and global security. Despite challenges such as unresolved territorial conflicts, especially Russia's occupation of 20% of Georgia's territory, Georgia remains committed to Euro-Atlantic integration and is strengthening its regional influence and cooperation with partner states. The country's strategic importance in the energy and transit direction for the Caucasus region and Europe emphasizes the country's special role. Active participation in strengthening Euro-Atlantic security allows Georgia to be an active contributor to collective security and promote regional stability

**ნანო გელანტია, ანანო ნოზაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ფარეშიშვილი**
დოქტორანტი, აკადემიური ასისტენტი

## 2024 წლის ტერაქტი მოსკოვში და მისი გავლენა რეგიონის უსაფრთხოებაზე

საერთაშორისო ტერორიზმმა კიდევ ერთხელ მძაფრად შეგვახსენა თავი, ამჯერად რუსეთში. 2024 წლის 22 მარტს კრასნოგორსკში თავდასხმა მოაწყო ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებულმა ხუთმა პირმა, რომლებიც სროლით შეიჭრნენ საკონცერტო დარბაზში და ცეცხლი გაუხსნეს კონცერტის დაწყების მოლოდინში, შენობის ჰოლში მყოფ ადამიანებს. ამ ტერაქტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა, მსოფლიოს პოლიტიკურმა ლიდერებმა მწუხარების გამოხატვასთან ერთად ეჭვებიც გამოთქვეს ტერაქტის რეალურობასთა დაკავშირებით და გაიხსენეს, თუ როგორ მოვიდა ვლადიმირ პუტინი მთავრობაში.

რუსი პოლიტიკოსების ნაწილი ტერაქტში უკრაინას ადანაშაულებს, თუმცა თავად უკრაინის წარმომადგენლები და მთლიანად დასავლეთის მხარე უარყოფს უკრაინის კავშირს ტერაქტთან. ბოლოს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტერაქტზე პასუხისმგებლობას ,,ისლამური სახელმწიფო'' (ISIS) იღებს. აქ ნაწილობრივ საუბარია „ისლამური სახელმწიფოს" ავღანეთში ბაზირებულ დანაყოფზე, რომლებსაც სამაგიეროს გადახდა სურდათ რუსეთისთვის ავღანეთის, ჩეჩნეთისა და სირიის გამო, თუმცა ეს ინფორმაცია დაზუსტებული არ არის. მოსკოვში განხორციელებულმა ტერაქტმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა ტერორიზმის საშინელება და მუდმივი საფრთხე, ნათლად დავინახეთ, რომ ტერორიზმი საზღვრებს არ ცნობს. ნაშრომში განხილული იქნება ტერაქტის წინაპირობები, უშუალო პროცესი და მისი გავლენა რეგიონის უსაფრთხოებაზე, ასევე მის მიერ გამოწვეული შიშის ტალღა, რომელმაც მთელ ცივილურ სამყაროს გადაუარა.

**Nano Gelantia, Anano Nozadze**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Giorgi Pareshishvili**
PhD Candidate, Academic Assistant

## 2024 Terrorist Attack in Moscow and its Impact on the Security of the Region

International terrorism once again reminded itself to us strongly, this time in Russia. On March 22, 2024, Krasnogorsk was attacked by five people armed with automatic rifles, who burst into the concert hall with gunfire and opened fire on people in the Hall of the building in anticipation of the start of the concert. Political leaders of the world expressed doubts about the reality of the terrorist attack and recalled how Vladimir Putin came to the government. Some Russian politicians blame Ukraine for the terrorist attack, but the representatives of Ukraine itself and the west side as a whole deny Ukraine's connection with the terrorist attack. According to the latest information, the Islamic State (ISIS) takes responsibility for the terrorist attack. Here we are partly talking about the Afghanistan-based unit of the" Islamic State", which wanted to retaliate against Russia for Afghanistan, Chechnya and Syria, but this information has not been clarified. The terrorist attack in Moscow once again reminded us of the horror and constant threat of terrorism, we clearly saw that terrorism does not recognize borders. The paper will discuss the preconditions of the terrorist attack, the immediate process and its impact on the security of the region, as well as the wave of fear caused by it, which has crossed the entire civilized world.

**ნოურ ჰამმამი, ხატია ქათამაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ფარეშიშვილი**
დოქტორანტი, აკადემიური ასისტენტი

## პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის გავლენა რეგიონალურ და საერთაშორისო ქვეყნებზე

ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებს შორის ყველაზე საკამათო და კომპლექსური პალესტინა-ისრაელის უმართავი კონფლიქტია. მისი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და რელიგიური ფაქტორების, ასევე ხანგრძლივობისა და ფართო ზეგავლენის გამო. რაც განასხვავებს ამ კონფლიქტს, არის მისი გლობალური გავლენა, რადგან ის აღარ შემოიფარგლება მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის რეგიონით, არამედ გასცდა რეგიონულ საზღვრებს და იქცა საერთაშორისო საკითხად.

ისტორიულ, რელიგიურ და ტერიტორიულ დავებზე დაფუძნებულმა კონფლიქტმა გამოიწვია ძალადობა, პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური არასტაბილურობა და ჰუმანიტარული კრიზისები რეგიონში. ის ფაქტორი, რომ პალესტინა-ისრაელის ომი უკვე მთელი მსოფლიოს მოსახლეობას აყენებს რისკის ქვეშ, ართულებს კონფლიქტის მოგვარებას.

ნაშრომში განხილული იქნება კონფლიქტის ფართო ზეგავლენა მთელ მსოფლიოზე. განსაკუთრებით 7 ოქტომბრის თავდასხმებიდან დღემდე, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა დაძაბულობა ახლო აღმოსავლეთში. ასევე ყურადღება გამახვილებული იქნება დაძაბულ დიპლომატიურ ურთიერთობებსა და კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილ პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ-ჰუმანიტარულ კრიზისებზე. პალესტინა-ისრაელის კონფლიქტი დღემდე გრძელდება, რაც წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს. იგი უზარმაზარ უსაფრთხოებისა და პოლიტიკურ გამოწვევებს უქმნის რეგიონს და მსოფლიოს. ეს ყოველივე უფრო აქტუალურს ხდის მშვიდობიანი და ეფექტური გადაწყვეტის პოვნის აუცილებლობას.

**Nour Hammami, Khatia Katamadze**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Giorgi Pareshishvili**
PhD Candidate, Academic Assistant

## The Impact of the Palestinian-Israeli Conflict on Regional and International Countries

Among the conflicts in the Middle East, the most controversial and complex is the uncontrolled Palestinian-Israeli conflict. Because of its political, economic, cultural and religious factors, as well as its duration and wide impact. What sets this conflict apart is its global impact, as it is no longer confined to the Middle East region, but has transcended regional borders and become an

international issue. The conflict, based on historical, religious and territorial disputes, has led to violence, political-economic and social instability and humanitarian crises in the region. The fact that the conflict is already putting the entire world's population at risk complicates the resolution of the conflict. The research examines the wider impact of the conflict around the world. Especially since the October 7th attacks until now, which has greatly increased tensions in the Middle East. Attention will also be focused on tense diplomatic relations and political-economic and social-humanitarian crises arising as a result of the conflict. The Palestinian-Israeli conflict continues to this day, which is a serious threat. It poses enormous security and political challenges to the region and the world. All this makes more urgent the need to find a peaceful and effective solution.

**თეკლა გოგოლაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ფარეშიშვილი**
დოქტორანტი, აკადემიური ასისტენტი

## აფხაზეთის სეპარატიზმი

აფხაზეთის მოსახლეობაში სეპარატისტული იდეების ქადაგება XX საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო, ხოლო პიკს 90-იან წლებში მიაღწია. ეს საკითხი საკმაოდ აქტუალურია იმის ფონზე, რაც აფხაზეთი დახურულ სივრცეში იმყოფება, სადაც გარე სამყაროდან ინფორმაცია იბლოკება და მხოლოდ ის აღწევს, რისი მოსმენაც შეიძლება.

ისტორიული და შედარებითი ანალიზის მეთოდების გამოყენებით საკონფერენციო თემაში ყურადღება გამახვილებულია იმ პოლიტიკურ პროცესებზე, რამაც გავლენა იქონია აფხაზ მოსახლეობაში სეპარატიზმის გაღვივებაზე. აფხაზები აცხადებდნენ, რომ ქართველების მხრიდან ადგილი ჰქონდა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ან კულტურული უფლებების შეზღუდვას.

ნაშრომში განვიხილავთ, თუ როგორ უპასუხა ქართულმა მხარემ აფხაზურ პროვოკაციას და რა არგუმენტებით გაამყარა თავისი პოზიცია. საქართველოში ტერიტორიულ ნიადაგზე დაწყებული კონფლიქტი მესამე ძალის მიერ იყო ინსპირირებული.

რუსეთის იმპერიის მიერ აქტიურად მიმდინარებდა ანტიქართული პროპაგანდა, რაც აფხაზებსა და ქართველებს შორის დაპირისპირების გაჩენას ისახავდა მიზნად. საგულისხმოა კოსოვო, რომელიც რუსეთმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა და განაცხადა, რომ, თუ კოსოვოს აქვს დამოუკიდებლობის მოპოვების უფლება, მაშინ იგივე უნდა მოხდეს აფხაზეთთან მიმართებით. აუცილებლად ვისაუბრებ, რამდენად არის შესაძლებელი კოსოვოსა და საქართველოს ერთ ჭრილში წარმოდგენა, ასევე განვიხილავ საერთაშორისო სამართლებრივ ასპექტებს და რამდენად ჰქონდა აფხაზეთს სამართლებრივი საფუძველი - მოეთხოვა საქართველოსგან გამოყოფა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება.

**Tekla Gogoladze**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Giorgi Pareshishvili**
PhD Candidate, Academic Assistant

## Separatism of Abkhazia

The preaching of separatist ideas among the population of Abkhazia began at the beginning of the 20th century and reached its peak in the 90s. This issue is quite relevant because Abkhazia is in a closed space, where information from the outside world is blocked and only what can be heard is reached. Using the methods of historical and comparative analysis, the conference topic focuses on the political processes that influenced separatism among the Abkhaz population. Abkhazians claimed that political, economic, social or cultural rights were restricted by Georgians. In the paper, I will discuss how the Georgian side responded to the Abkhazian provocation and with what arguments it strengthened its position. The conflict started in Georgia on the territorial ground and was inspired by a third force. Anti-Georgian propaganda was actively carried out by the Russian Empire, which was aimed at creating a conflict between Abkhazians and Georgians. It is a covenant with Kosovo, which Russia used to its advantage and declared that if Kosovo has the right to gain independence, then the same should happen with Abkhazia. We will try to show how possible it is. Considering Kosovo and Georgia in the same perspective, we will also consider the international legal aspects and to what extent Abkhazia had a legal basis to request to separate from Georgia and become an independent state.

**მაკა არახამია**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიგლა გობეჩია**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## ჰიბრიდული ომი – ისტორიული ექსკურსი და თანამედროვე გამოწვევები

თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების დროს დაპირისპირების არაპირდაპირი ფორმების გამოყენებას სულ უფრო და უფრო ინტენსიური ხასიათი აქვს. ნაშრომის კვლევის საგანია „ჰიბრიდული ომი“, როგორც სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების დროს არაპირდაპირი დაპირისპირების ფორმა და მისი მეთოდების ტრანსფორმაცია კაცობრიობის განვითარების ისტორიის მანძილზე. ჰიბრიდულ ომს უწოდებენ სამხედრო თუ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად დიპლომატიური, სამხედრო, ეკონომიკური, საინფორმაციო საშუალებებისა და

კონვენციური, არარეგულარული (პარტიზანული და ასიმეტრიული), ტერორიზმის, კრიმინალური და კიბერ ბრძოლის მეთოდების ღია და ფარულ გამოყენებას. ჰიბრიდული ომი ხშირად აერთიანებს საინფორმაციო ომს, როგორც ერთ-ერთ კომპონენტს. „ჰიბრიდული“ მოქმედებების ძირითადი კომპონენტებისა და ისტორიული გამოცდილების ანალიზის საფუძველზე შეიძლება, დავასკვნათ, რომ ჰიბრიდულ ომს ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. ომებისა და შეიარაღებული კონფლიქტების წარმოების გამოცდილების ანალიზის საფუძველზე,დადგინდა, რომ „ჰიბრიდული“ მოქმედებების საფრთხე ძალიან აქტუალურია თანამედროვე ეპოქაში და კიდევ უფრო აქტუალური გახდება მომავალში. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰიბრიდული ომის ბუნების საფუძვლიანი შესწავლა მისგან მომდინარე საფრთხეების პრევენციის, ზარალის შემცირების და კონტრმოქმედების სტრატეგიების შემუშავების კუთხით.


**Maka Arakhamia**
Georgian Technical University
Doctoral
**Scientific Supervisor: Gigla Gobechia**
Doctor, Associate Professor


### Hybrid Warfare - Historical Excursion and Modern Challenges


In the modern world, the use of indirect forms of confrontation during inter-state conflicts becomes more and more intense. The subject of the research is "hybrid war" as a form of indirect confrontation during interstate conflicts and the transformation of its methods throughout the history of human development. Hybrid war is the open and covert use of diplomatic, military, economic, informational means and conventional, irregular (guerrilla and asymmetric), terrorism, criminal and cyber warfare methods to achieve military or political goals. Hybrid warfare often incorporates information warfare as one of its components. Based on the analysis of the main components of "hybrid" operations and historical experience, we can conclude that hybrid war has deep historical roots. Based on the analysis of the experience of conducting wars and armed conflicts, it was determined that the threat of "hybrid" actions is very relevant in the modern era and will become even more relevant in the future. Therefore, it is especially important to thoroughly study the nature of hybrid warfare in terms of prevention, damage reduction and counteraction strategies.

**დემეტრე ლომაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა,
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ კიკნაძე**
დოქტორი, პროფესორი

## ევროკავშირის დიფერენცირებული ინტეგრაცია  და გამოწვევები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში

დიფერენცირებული ინტეგრაციის კონცეფცია ჩამოყალიბდა, როგორც პრაგმატული მიდგომა ევროკავშირის წევრ და არაწევრ სახელმწიფოებში, რათა თანხვედრაში მოეყვანა მზადყოფნისა და მისწრაფებების სხვადასხვა დონე ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში დიფერენცირებული ინტეგრაციის გამოყენება რამდენიმე გამოწვევის წინაშე დგას. ამ ქვეყნებს შორის განსხვავებული პოლიტიკური სისტემები, ეკონომიკური სტრუქტურები და ევროინტეგრაციის მისწრაფებების დონეები სირთულეებს წარმოადგენს. მეტიც, გეოპოლიტიკური დაძაბულობა და გარე გავლენა კიდევ უფრო ართულებს რეგიონში ევროინტეგრაციის გზას.

**Demetre Lomadze**
Caucasus International University
Doctoral
**Scientific Supervisor: Tamar Kiknadze**
Doctor, Professor

## EU's Differentiated Integration and Challenges in Georgia, Ukraine and Moldova

The concept of differentiated integration has emerged as a pragmatic approach to accommodate the diverse levels of readiness and aspirations among EU member states and non-member countries on their journey towards EU integration. The application of differentiated integration in EaP countries faces several challenges. Divergent political systems, economic structures, and levels of European integration aspirations among these nations present complexities. Moreover, geopolitical tensions and external influences further complicate the path to European integration in the region.

**თამარ კაპანაძე**
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამაზ გოგბერაშვილი**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## მიგრაციული პროცესები და ლტოლვილების საკითხის გავლენა საქართველოს პოლიტიკაზე

ბოლო წლებში მსოფლიო მიგრაცია საგრძნობლად იზრდება, საზღვრებიც უფრო და უფრო ,,გამჭირვალე'' ხდება, ადამიანებს საშუალება ეძლევათ ნებისმიერ დროს და ადგილას შეძლონ წასვლა. მიგრაციიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად მაღალი ანაზღაურების მიღების სურვილი და საკუთარი თავის მეტად რეალიზაციის განცდა სახელდება. ბევრი ახალგაზრდა მიდის საქართველოდანაც, უმეტესად ემიგრანტების ასაკი 15-დან 65-წლამდე მერყეობს,მაგრამ ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ მათი დიდი ნაწილი უკან აღარ ბრუნდება, უმეტესობა კი ლტოლვილად ბარდება.

ეს ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოში მიგრაციისა და ლტოლვილთა დინამიკის ყოვლისმომცველ ანალიზს, ამ რთული ფენომენის, სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკური და ჰუმანიტარული განზომილებების შესწავლას.

კვლევა ეყრდნობა ისტორიულ კონტექსტს, მიმდინარე მოვლენებს, მათ შორის ემიგრანტებისა და ლტოლვილების პირად გამოცდილებას. იგი ცდილობს ხელი შეუწყოს საქართველოს მოქალაქეთა მიგრაციის გამომწვევი მიზეზების მეტად დეტალიზირებასა და აღმოფხვრას. ამავე დროს, უფრო ფართო გავლენის წარმოჩენას რეგიონალურ და გლობალურ დინამიკაზე.

**Tamar Kapanadze**
Akaki Tsereteli State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Tamaz Gogberashvili**
Doctor, Associate Professor

## Migration Processes and the Impact of the Refugee Issue on Georgian Politics

In recent years, world migration has been increasing significantly, the borders are becoming more and more “transparent”, people are given the opportunity to leave at any time and place. One of the most important reasons for migration is the desire to receive a high salary and the feeling of greater self-realization. Many young people also leave Georgia, the age of most emigrants ranges from 15 to 65 years old, but the most noteworthy thing is that a large part of them never return, and most of them become refugees. This work is aimed at a comprehensive analysis of the dynamics of migration and refugees in Georgia, studying the sociopolitical, economic and humanitarian

dimensions of this complex phenomenon. Research is based on historical context, current events, including personal experiences of immigrants and refugees. It tries to contribute to detailing and eliminating the causes of migration of Georgian citizens. At the same time, projecting a broader impact on regional and global dynamics.

**ხატია წურწუმია**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ფარეშიშვილი**
დოქტორანტი, აკადემიური ასისტენტი

## მცდარი წარმოდგენები, როგორც გამოწვევა: რადიკალიზმის შესწავლა სტერეოტიპების მიღმა

21-ე საუკუნის გამოწვევა ფუნდამენტალიზმია, რომელიც ტერორიზმის, მასშტაბური გამოსვლების დროს იჩენს თავს. როდესაც რელიგურ ფუნდამენტალიზმზე ვამახვილებთ ყურადღებას, მხოლოდ მუსლიმთა ფუნდამენტალზიმს განვიხილავთ. სტერეოტიპების მიღმა რადიკალიზმის შესწავლა მოითხოვს რადიკალური იდეოლოგიებისა და მოძრაობების მრავალმხრივ ბუნებას. მიუხედავად იმისა, რომ პოპულარული მედია ხშირად ასახავს რადიკალიზმს გამარტივებული ტერმინებით, აუცილებელია გავიგოთ ძირითადი ფაქტორები, მოტივაციები და სირთულეები, რომლებიც უბიძგებს ინდივიდებს ან ჯგუფებს რადიკალური რწმენისა და ქმედებებისკენ. თავდაპირველად აუცილებელია განვასხვავოთ რადიკალური იდეოლოგია და ძირითადი ისლამური რწმენა.

რადიკალიზმი წარმოადგენს ისლამის ექსტრემისტულ ინტერპრეტაციას, რომელიც ხასიათდება ძალადობით და მკაცრი დოქტრინალური პრინციპების დაწესებით. თუმცა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის აღიარებას, რომ ასეთ იდეოლოგიებს მხარს უჭერს მუსლიმური თემის გარე უმცირესობა, რომელიც არ ასახავს უმრავლესობის რწმენას ან ქმედებებს. უფრო მეტიც, ტერორიზმის მხოლოდ ისლამისთვის მიკუთვნება უგულვებელყოფს რთულ სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობენ რადიკალიზაციას.

ეკონომიკური მარგინალიზაცია, პოლიტიკური უფლებების ჩამორთმევა და სოციალური გაუცხოება ხშირად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინდივიდების ექსტრემისტული იდეოლოგიებისკენ მიქცევაში. აქედან გამომდინარე, რადიკალიზაციის ძირეული მიზეზების აღმოფხვრა მოითხოვს სოციალურ-ეკონომიკური დინამიკის ყოვლისმომცველ გააზრებას.

**Khatia Tsurtsumia**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Giorgi Pareshishvili**
PhD Candidate, Academic Assistant

## Challenging Misconceptions: Exploring Radicalism Beyond Stereotypes

The challenge of the 21st century is fundamentalism, which appears during terrorism and large-scale demonstrations. When we focus on religious fundamentalism, we only consider Muslim fundamentalism. Exploring radicalism beyond stereotypes requires the multifaceted nature of radical ideologies and movements. Although the popular media often portrays radicalism in simplistic terms, it is important to understand the underlying factors, motivations, and complexities that lead individuals or groups to radical beliefs and actions. Firstly, it is necessary to distinguish between radical ideology and basic Islamic beliefs. Radicalism is an extremist interpretation of Islam characterized by violence and the imposition of strict doctrinal principles. However, it is crucial to recognize that such ideologies are supported by an external minority of the Muslim community that does not reflect the beliefs or actions of the majority. Moreover, attributing terrorism solely to Islam ignores the complex socio-political factors that contribute to radicalization. Economic marginalization, disenfranchisement, and social alienation often play a significant role in driving individuals toward extremist ideologies. Therefore, addressing the root causes of radicalization requires a comprehensive understanding of social-economic dynamics.

**ლიზი კუჭუაშვილი, ქეთი ბიძინაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალიკა გუჩუა**
დოქტორი,  ასოცირებული პროფესორი

## გლობალიზაციის პროცესის გავლენა თანამედროვე საერთაშორისო სისტემაზე

21-ე საუკუნეში სახელმწიფოები ურთიერთდამოკიდებულნი გახდნენ და წარმოიშვა უამრავი პრობლემა, როგორიცაა: ტერორიზმი, კიბერტერორიზმი და ა.შ. გლობალიზაციის პროცესი საკმაოდ აქტუალური საკითხია დღევანდელ რეალობაში და ნათელია ის ფაქტი, რომ აღნიშნული პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს ოცდამეერთე საუკუნეში. გლობალიზაციას, რა თქმა უნდა, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები გააჩნია. 21-ე საუკუნეში გაბატონებულია უნიპოლარული სისტემა, რადგან აშშ ცივი ომის შემდეგ დარჩა ერთადერთ სუპერსახელმწიფოდ, რომელიც აკმაყოფილებს სუპერსახელმწიფოს ყველა მოთხოვნას, პოლიტიკურს, ეკონომიკურს, კულტურულს, სამხედროს და ა.შ.

გლობალიზაცია ხშირად გაიგივებულია ვესტერნიზაციასთან, რაც გულისხმობს ეროვნული ცხოვრების გადაყვანას დასავლურ ღირებულებებზე. საინტერესოა, რას უნდა ელოდოს სამყარო, როდესაც ფრენსის ფუკუიამას წინასწარმეტყველება, რომელიც "ისტორიის დასასრულში" გადმოსცა მსოფლიოს შესახებ, უტოპიური უფრო აღმოჩნდა, ვიდრე რეალური. ამ დროს საყურადღებოა სამუელ ჰანტინგტონის "ცივილიზაციათა შეჯახება", რომელმაც ცივილიცაზიებს შორის გარდაუვალი კონფლიქტები ივარაუდა.

შეძლებს კი სამყარო გლობალიზაციის პროცესის მეშვეობით გახდეს ერთიანი ცოცხალი ორგანიზმი, გააერთიანოს ეთნიკურად განსხვავებული ჯგუფები და დაიწყოს ისტორიაში ახალი ეპოქა, როგორც მსოფლიო, სადაც ერთი სახელმწიფო არსებობს.

**საკვანძო სიტყვები:** *გლობალიზაცია, აშშ, საერთაშორისო სისტემა, ერი-სახელმწიფო.*

**Lizi Kutchuashvili, Keti Bidzinashvili**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Alika Guchua**
Doctor, Associate Professor

## Impact of the Globalization Process on the Modern International System

In the 21st century states have become interdependent and many problems appeared such as: terrorism, cyber-terrorism, etc. The process of globalization is quite relevant issue in today's reality and it is clear that this process is becoming more intensive. Globalization process of course, has its both positive and negative sides. In the 21st century, the world has become unipolar, because after the Cold War, the USA has remained as the only superpower which satisfies all the requirements of a superpower state, such as political, economic, cultural, military, etc. Globalization is often viewed as the process of westernization and meaning of this is transferring national life to Western values. Indeed, it is very interesting what the world has to wait for, when Francis Fukuyama told the world his prophecy which was presented in his work called as "The End of History" and was about the planet that turned out to be utopian and wasn't a real event. At the same time, Samuel P. Huntington in "Clash of Civilizations" predicted inevitable conflict between civilizations. So, the question here should be if it is really possible for the world to become one living organism, to unite ethnically different nations and to start new historical era, where there is only one state in the whole world.

**ლიზი ცოტნიაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალიკა გუჩუა**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## აშშ-ჩინეთის პოლიტიკური ურთიერთობების ასპექტებში ტიბეტისა და ტაივანის ფაქტორი

ამერიკის შეერთებული შტატები და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, მსოფლიოს ეს ორი მულტიკულტურული სახელმწიფო, მოწინავე პოზიციებს იკავებს მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე განსაკუთრებულად ძლიერი ეკონომიკით და მდგრადი თავდაცვის სისტემით. აშშ-სა და ჩინეთს შორის ურთიერთობა სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე კომპლექსურ ხასიათს ატარებს. ორ ,,ზესახელმწიფოს'' შორის დაძაბულობამ პიკს მიაღწია ცივი ომის დროს. ამ პერიოდში ამერიკელთათვის ,,წითელი ჩინეთი“ იმაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენდა, ვიდრე საბჭოთა კავშრი.

ნაშრომის მიზანია წარმოვაჩინოთ მსოფლიოს ორი წამყვანი სახელმწიფოს ურთიერთობის განსაზღვრელი ფაქტორები, განსაკუთრებით ტაივანისა და ტიბეტის საკითხის ჭრილში და მათი ურთერთობის გავლენები მსოფლიო საერთაშორისო სისტემაზე.

შეგვიძლია ვთქავთ, რომ ჩინეთის ინტერესი ტაივანისადმი მდგომარეობს მისი ტერიტორიული სუვერენიტეტის დამტკიცებისა და ტაივანის დამოუკიდებლობის გამოცხადების აღკვეთაში. აშშ მიზნად ისახავს რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებას და ტაივანის ავტონომიის მხარდაჭერას. ტიბეტთან დაკავშირებით, ჩინეთი ცდილობს კონტროლის შენარჩუნებას და სეპარატისტული მოძრაობების ჩახშობას, ხოლო აშშ მხარს უჭერს ადამიანის უფლებებს და ტიბეტელი ხალხის ავტონომიას.

**საკვანძო სიტყვები:** *ჩინეთი, აშშ, ტიბეტი, ტაივანი.*

**Lizi Tsotniashvili**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Alika Guchua**
Doctor, Associate Professor

## Tibet and Taiwan Factor in Aspects of USA-China Political Relations

The United States of America and the People’s Republic of China, these two multicultural states occupy vital positions in the world politics with particularly strong economies and effective defense systems. The relations between the USA and China have always been complex throughout history. The tension between the two „superpowers“ reached its peak during the Cold War. At that time,

„Red China“ posed a bigger threat to the Americans than the Soviet Union. The aim of our thesis is to show the determining factors of the relations between the two world's leading states, especially in terms of the issue of Taiwan and Tibet, and the effects of their disputes on the world international system. Concisely, China's interest in Taiwan lies in asserting its territorial sovereignty and preventing Taiwan from declaring independence. The US aims to maintain stability in the region and support Taiwan's autonomy. In Tibet, China seeks to maintain control and suppress separatist movements, while the US supports human rights and the autonomy of the Tibetan people. Key words: China, USA, Tibet, Taiwan

**ნათია ბლიაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ფარეშიშვილი**
დოქტორანტი, აკადემიური ასისტენტი

## რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის პროცესი დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე

რუსული ოკუპაცია საქართველოში არის გადამწყვეტი ქვეყნის თანამედროვე ისტორიაში, რომელიც გამოირჩევა რთული გეოპოლიტიკური დინამიკით და გრძელვადიანი სოციალურ-პოლიტიკური შედეგებით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაძლიერდა რუსეთის გავლენა კავკასიის რეგიონში, რაც დასრულდა სამხედრო ინტერვენციებითა და საქართველოს გარკვეულ ტერიტორიებზე დე ფაქტო კონტროლის დამყარებით, განსაკუთრებით აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომით დაწყებული, ეს ნაშრომი განიხილავს რუსეთის გავლენისა და კონტროლის მრავალმხრივ განზომილებებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებში.

მულტიდისციპლინური მიდგომის გამოყენებით, ის იკვლევს ისტორიულ კონტექსტს, საერთაშორისო რეაგირებას და გავლენას საქართველოს სუვერენიტეტზე, უსაფრთხოებასა და ტერიტორიულ მთლიანობაზე. გარდა ამისა, კვლევა სწავლობს ადამიანის უფლებების დარღვევებს, მოსახლეობის გადაადგილებას და რეგიონული სტაბილურობისა და კონფლიქტების მოგვარების მცდელობებს. როგორც რუსი, ისე ქართველი აქტორების განვითარებადი სტრატეგიების გაანალიზებით, ეს ნაშრომი მიზნად ისახავს ოკუპაციის სირთულესა და მის გავლენას საქართველოს საშინაო პოლიტიკაზე, უსაფრთხოების არქიტექტურაზე და ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ მისწრაფებებზე.

**Natia Bliadze**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Giorgi Pareshishvili**
PhD Candidate, Academic Assistant

## The Process of Occupation of Georgia by Russia from Independence to the Present Day

The Russian occupation in Georgia stands as a pivotal chapter in the country's modern history, marked by complex geopolitical dynamics and enduring sociopolitical ramifications. Beginning with the Russo-Georgian War of 2008, this paper examines the multifaceted dimensions of Russian influence and control in the breakaway regions of Abkhazia and South Ossetia. Then in 2008, the occupation of Tskhinvali region took place, from where thousands of peaceful Georgian citizens were forced to leave their homes. The process of occupation continues to this day. Utilizing a multidisciplinary approach, it explores the historical context, international response, and the impact on Georgia sovereignty, security, and territorial integrity. Furthermore, the study delves into the human rights violations, displacement of populations, and the challenges posed to regional stability and conflict resolution efforts. By analyzing the evolving strategies of both Russian and Georgian actors, this paper aims to provide insights into the complexities of the occupation and its implications for Georgia domestic politics, security architecture, and aspirations for Euro-Atlantic integration.

**სალომე გორგილაძე, ანა ალიქაძე**
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი გორგილაძე**
დოქტორი, პროფესორი

## რეპრესია - როგორც ხისტი ძალა და რუსული ტერორის შედეგები აჭარაში

ნაშრომში შესწავლილი იქნება XX საუკუნის 30-იანი წლების საბჭოთა რეპრესიები სოციალურ, კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონტექსტში. ორკესტრირებული ტერორის (დიდი ტერორი) ფიზიკურ-ფსიქოლოგიური შედეგები სისტემის თავისებურებების ანალიზით.

ნაშრომის მიზანია აჩვენოს ხისტი ძალის იდეოლოგიურ-გონებრივი ლიკვიდაციის მექანიზმები და სადამსჯელო ინსტრუმენტების გამოყენება მორჩილებისა და მართვის ეფექტურად განსახორციელებლად. კლასიფიცირებულია მისი ტოტალური ზემოქმედების მეთოდები: დაშინება, შანტაჟი, მოსყიდვა, დასმენა, იძულება, გადასახლება, დაპატიმრება და

დახვრეტა, ხელისუფლების „სავარაუდო“ მტრების წინააღმდეგობის განეიტრალების მიზნით. მოსალოდნელი შედეგია, ნაშრომში გამოყენებული მასალის - საარქივო და სტატისტიკური მონაცემების, რეპრესირებულთა ოჯახების ინტერვიუირების, სამეცნიერო მონოგრაფიის თვისობრივი განხილვის საფუძველზე, დემოგრაფიული სურათის უკეთ წარმოჩენა, რაც საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ საბჭოთა მასობრივი ფსიქოზის ხასიათი.

**Salome Gorgiladze, Ana Alikadze**
Batumi Shota Rustaveli State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Irakli Gorgiladze**
Doctor, Professor

## Repressions – as a Brute Force and Consequences of Russian Terror in Adjara

This research will be studying the consequences of Soviet repressive politics of 1930s from different perspectives, such as: social, cultural, political and economic. This research will also explore into physical and psychological results of the orchestrated terror (The Great Purge) considering specifics of the system. The goal for this research is, to show all the levers that the system has, to impose its ideology and the way of thought upon individuals. Secondly, the research wants to show how the system used all the means it had for effective governance and imposition of total control. We have classified the means that the system used for its total influence on people: intimidation, blackmailing, bribery, snitching, pressuring, repatriation, relocation, arrests and death sentences for neutralization of resistance coming from “possible” enemies of the state. The expected result of the research, based on used materials: data from archives, statistical data, interviews with the family members of repressed and scientific monographs, is to show a better picture of what was happening with the demographics in that period, which allows us to analyze the nature of the mass Soviet psychosis.

# სექცია
# SECTION

## ჟურნალისტიკა
## JOURNALISM

### ქვესექცია
### SUBSECTION N1

**ანა ქუბრიაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ციცინო ბუკია**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## სოციალური საკითხების გაშუქება ბეჭდურ მედიაში (ახალი თაობისა და კვირის პალიტრის მაგალითზე, ნოემბერი 2023 წ.)

სოციალური საკითხების გაშუქება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან პრობლემათა წარმოჩენას უკავშირდება, აქედან გამომდინარე, მედიასაშუალებები მოვალენი არიან აუდიტორიას შესაბამისი კონტენტი შესთავაზონ. აქტუალური პრობლემატიკის წამოწევა მედიაორგანიზაციების პირდაპირი მოვალეობაა.

სოციალურ საკითხებში, როგორც წესი, განხილულია საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი თემები, მაგალითად: ნარკომანია, შიდსი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პრობლემები, სუიციდი, ტრეფიკინგი და ა.შ.

ზემოთ ხსენებული საკითხების გაშუქებისას, ნებისმიერი მედიაორგანიზაცია თუ ჟურნალისტი ვალდებულია, უხეშად არ ჩაერიოს ადამიანის პირად ცხოვრებაში. ჟურნალისტის საქმიანობა უნდა წარიმართოს ისე, რომ ზიანი არ მიადგეს როგორც ცალკეულ პიროვნებას, ისე აუდიტორიას. აქედან გამომდინარე, მართებულია ჟურნალისტებმა გამოიყენონ „მედიის პროფესიული სტანდარტები“ და „საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“.

განვიხილავთ გაზეთ „ახალი თაობის“ 2023 წლის ნოემბრისა და „კვირის პალიტრის“ ვებგვერდის იმავე პერიოდის კონტენტს, რათა გავარკვიოთ, როგორ აშუქებს ქართული ბეჭდური მედია სოციალურ საკითხებს და რამდენად დაცულია ეთიკური და პროფესიონალური სტანდარტები ხსენებულ თემაზე მუშაობისას.

**Ana Kubriashvili**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Tsitsino Bukia**
Doctor, Associate Professor

## Coverage of Social Issues in Print Media (on the Example of “Akhali Taoba”and “Kviris Palitra")

The coverage of social issues is related to the presentation of important problems for society, therefore, media outlets are obliged to offer relevant content to the audience. It is the direct duty of media organizations to raise current issues. In social issues, as a rule, socially important topics are discussed, for example: drug addiction, AIDS, problems of people with disabilities, suicide, trafficking, etc. When covering the above-mentioned issues, any media organization or journalist

is obliged not to rudely interfere in a person's private life. The activity of a journalist should be carried out in such a way that it does not harm either the individual or the audience. Thus, it is appropriate for journalists to use "Professional Standards of the Media" and "Charter of Journalistic Ethics of Georgia". We will examine the content of the November 2023 edition of the newspaper "Akhali Taoba" and the website "Kviris Palitra" from the same period in order to find out how the Georgian print media covers social issues and how ethical and professional standards are respected when working on the mentioned topic.

**ლიკა გოდერიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ხათუნა კაჭარავა**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## საზოგადოებრივი მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკა

სახელმწიფო ტელევიზიის პირველი არხი, რომელიც 1956 წელს დაარსდა, 2004 წელს მაუწყებლობის კანონის მიღების საფუძველზე, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხად ტრანსფორმირდა. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიზანია, უპასუხოს საზოგადოების ინტერესს და მაქსიმალურად უზრუნველყოს მუშაობის უმაღლესი სტანდარტი, პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით. მაყურებელთან ურთიერთობისას მთავარი ნდობაა, რომლის მოპოვებაც აუცილებელია. საზოგადოებრივ მაუწყებელში ფუნქციონირებს “სადისციპლინო კომისია”, რომელიც მაუწყებლის თანამშრომელთა მხრიდან შრომით-სამართლებრივი, ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევაზე რეაგირებს, აღნიშნული საბჭო გასცემს რეკომენდაციებს კონკრეტული დისციპლინური სანქციის გამოყენების თაობაზე.

კონკრეტული მედიასაშუალების სარედაქციო პრინციპები ეფუძნება ევროპის მაუწყებელთა კავშირის ექვს ძირითად ღირებულებას, რაც განაპირობებს საზოგადოებრივი მაუწყებლობის არსებობის აუცილებლობას ჭეშმარიტ დემოკრატიულ საზოგადოებაში. მნიშვნელოვანია, კონკრეტული მედიასაშუალების დამოუკიდებლობის ხარისხის კვლევა და ანალიზი, რაც პირდაპირ კავშირშია დამოუკიდებელი ქვეყნის ინტერესებთან.

**Lika Goderidze**
Caucasus International University
Master
**Scientific Supervisor: Khatuna Kacharava**
Doctor, Associate Professor

## Editorial Policy of Public Broadcaster

The first channel of state television, being established in 1956, was transformed into the first channel of Public Broadcasting in 2004, based on the adoption of the Broadcasting Law. The goal of the Public Broadcaster is to respond to the interest of the public and to ensure the highest standard of work in compliance with the principles of professional ethics. When dealing with the audience, the main thing is trust, which is necessary to gain. The "Disciplinary Commission" operates in the Public Broadcaster, which reacts to violations of the obligations by the broadcaster's employees stipulated by the labor-legal, normative acts. The mentioned Council issues recommendations regarding the application of specific disciplinary sanctions. The editorial principles of a particular media outlet are based on the six basic values of the Union of European Broadcasters, which determine the necessity of public broadcasting in a truly democratic society. It is important to research and analyze the degree of independence of a specific media outlet, which is directly related to the interests of an independent country.

**ლიკა ფაჩუაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზაზა ცოტნიაშვილი**
დოქტორი, პროფესორი

## საინფორმაციო ომი სოციალურ მედიაში (რუსეთ–უკრაინის ომი 2023)

სოციალური მედია თანამედროვე ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა და გარკვეულწილად ტრადიციული მედიასაშუალებები ჩაანაცვლა. საზაოგადოებას შეტყობინების მიღებასთან ერთად აქვს საშუალება შექმნას საკუთარი გვერდი და კონტენტი. კომენტარების ველში დააფიქსიროს აზრი, გადააზიაროს, თუ გაასაჩივროს ინფორმაციები. დღეს ყველაზე პოპულარული ქსელებია - „Facebook“, „Instagram“ „X“ (Twitter), „Telegram.“

თითოეული იდეურად და შინაარსობრივად ერთ პოლიტიკას ატარებს, თუმცა გააჩნიათ ინდივიდუალური შტრიხებიც. სოციალურ მედიაში ინფორმაციის განთავსების ყველასთვის ხელმისაწვდომობა, თავის მხრივ, დეზინფორმაციისა და ცრუ ინფორმაციებიის გავრცელების რისკებს ზრდის. დეზინფორმაცია მიზანმიმართულად ვრცელდება და ის ყველგან

შეღწევადია. რუსეთ-უკრაინის ომმა გვიჩვენა, რომ კონფლიქტის მხარეები ხშირად საკუთარი პროპაგანდისტული მიზნებით აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელებს.

დაპირისპირება 2022 წლის 24 თებერვალს ფრონტის ხაზზე დაიწყო, თუმცა ციფრული მედიაც მოიცვა არაერთმა დეზინფორმაციულმა მასალამ. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მომხმარებელმა იცოდეს სწორი წყაროებისა და ინფორმატორების შესახებ. თავადაც შეეძლოთ ინფორმაციების გაფილტვრა, დროული რეაგირება, რათა საბოლოოდ, საზოგადოება არ შევიდეს შეცდომაში. თანდათან ამ დაგროვილმა ინფორმაციებმა მედიაში სოციალური ომიც გამოწვია და ორ დაპირისპირებულ ქვეყანას შორის იგი ერთგვარ იარაღად გამოიყენება.

**Lika Pachuashvili**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Zaza Tsotniashvili**
Doctor, Professor

## Information Warfare in Social Media (Russia-Ukraine War 2023)

Social media has become an integral part of modern life. Community has an opportunity to create their own pages and content, as well as comment, share or report information. Today, the most popular networks are "Facebook", "Instagram", "X" (Twitter), "Telegram". They follow the same policy in terms of ideas and content, although they have individual features. The risks of spreading disinformation and false information are further increased by the fact that on social media anyone has the opportunity to post. Disinformation is purposefully spread. The Russia-Ukraine war showed us that the parties to the conflict often actively use social networks for their own propaganda purposes. It is likely that this conflict caused various crises in Europe after World War II. The war that started on the front line has spread to the digital media as well, with a lot of disinformation. Therefore, it is necessary for the user to know about the right sources, informants, and also to be able to filter the right and wrong information, to react in time, so that the society is not mistaken. Gradually, this accumulated information led to a social war in the media and it is used as a kind of weapon between two opposing countries.

**თამარ თაგვაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მინდიაშვილი**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## ჟურნალ ,,ცისკრის“ არჩილ ჯორჯაძისეული ინტერპრეტაციები

მე-19 საუკუნე გარდამტეხი პერიოდია ქართული საზოგადოებისთვის პოლიტიკური, კულტურული, სოციალური, ლიტერატურული თუ მენტალური თვალსაზრისით, იმდენად, რამდენადაც დამოუკიდებლობის დაკარგვამ მოსახლეობის დიდი ნაწილის ნიჰილისტური დამოკიდებულება, ხოლო მეორე ნაწილის გააქტიურება და ერის გადარჩენისთვის ბრძოლა გამოიწვია, ამ პროცესში განსაკუთრებული წვლილი ქართულმა პრესამ შეიტანა, იმდენად, რამდენადაც იტვირთა საკმაოდ რთული ფუნქცია - საზოგადოებრივი აზრის ფორმირება და გაჯანსაღება.

აღნიშნულ პროცესებში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს არჩილ ჯორჯაძის როლი, რომელიც თავიდანვე აცნობიერებდა ქართული პერიოდული გამოცემების მნიშვნელობას და ცდილობდა, ერთი მხრივ, ქართული პრესის პოპულარიზაციას, ხოლო, მეორე მხრივ, პოლიტიკური აზროვნების ფორმირებას.

ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ჟურნალმა „ცისკარმა“ შეასრულა განსაკუთრებული როლი ქართული სააზროვნო სისტემის განვითარებაში, თუმცა ამ ეტაპზე ჩვენი ინტერესის საგანია არჩილ ჯორჯაძისეული თვალსაზრისი ამ პერიოდული გამოცემის შესახებ.

არჩილ ჯორჯაძე ეროვნული სხეულის დეზორგანიზაციის პერიოდს დასრულებულად მიიჩნევს 1852 წლისთვის, როცა გამოვიდა პირველი ,,ქართული სიტყვიერებითი ჟურნალი“ - ,,ცისკარი“, რომელიც მთავრობის დახმარებით დაარსდა. ,,ცისკრის“ სამი განყოფილებიდან - ,,ლექსთ თხზულება“, ,,სწავლა და ხელოვნება“, ,,სოფლური სახლის პატრონობა“ - მისი აზრით, ყველაზე უკეთესი ლექსების განყოფილებაა, იმის მიუხედავად, რომ ზოგჯერ უნიჭო პოეტების ლექსებიც იბეჭდებოდა. ჟურნალის ტექნიკურ მხარესაც როგორც სუსტს, ასე აფასებს. ხარვეზების მიუხედავად, სხვა კულტურულ მოვლენებთან ერთად (წიგნების ბეჭდვა, თეატრი) ,,ცისკრის“ გამოსვლას ქართული საზოგადოებრიობის განვითარების ახალ ეტაპად მიიჩნევს.

არჩილ ჯორჯაძე ქართული კულტურის აღორძინების ამ პირველ ეტაპს მთავრობისა და საზოგადოების თანამშრომლობას უწოდებს. თვლის, რომ ქართველ თავადაზნაურთა წრეში ისტორიულად არსებული ერთგულების გრძნობა და მფარველობის ქვეშ მყოფი ერისადმი ვალდებულების ასრულების კეთილგონიერი პოლიტიკა ერთმანეთს შეერწყა. ასე განიხილავს ვორონცოვის მმართველობის შედეგებს. მიიჩნევს, რომ მის მოსვლამდე უკვე ვითარდებოდა ქართველი საზოგადოების ის დამოკიდებულება, რაც მეფისნაცვალმა თავისი პოლიტიკური გეგმის განსახორციელებლად გამოიყენა. ამ პოლიტიკის შედეგი იყო მნიშვნელოვანი მოვლენა - ჟურნალ ,,ცისკრის“ დაარსება, რომელმაც არჩილ ჯორჯაძის თვალსაზრისით, ქართული პერიოდული პრესის განვითარებას ჩაუყარა საფუძველი.

**Tamar Tagvadze**
Caucasus International University
Doctoral
**Scientific Supervisor: Nino Mindiashvili**
Doctor, Associate Professor

## Archil Jorjadze's Interpretations of Magazine “Tsiskari“

The 19th century is a turning point for Georgian society from a political, cultural, social, literary, or mental point of view. As the loss of independence led to the nihilistic attitude of a large part of the population and the activation of the second part and the struggle for the survival of the nation, the Georgian press made a special contribution to this process, to the extent that it carried out a rather difficult function: the formation and improvement of public opinion.

In the mentioned processes, the role of Archil Jorjadze, who was aware of the importance of Georgian periodicals from the beginning and tried to popularize the Georgian press on the one hand and form political thinking on the other, should be especially noted.

There is no doubt that the magazine “Tsiskari“ played a special role in the development of the Georgian thinking system, although at this stage our interest is Archil Jorjadze's point of view about this periodical.

Archil Jorjadze considers the period of disorganization of the national body to be over by 1852, when the first Georgian verbal magazine, “Tsiskari,"which was founded with the help of the government, was published. From the three sections of “Tsiskari“, “text essay," “study and art," and “ownership of a rural house," in his opinion, the best section is that of poems, despite the fact that sometimes the poems of untalanted poets were printed. He evaluates the technical side of the magazine as weak. Despite the shortcomings, together with other cultural events (printing of books, theater), he considers the release of "Tsiskari" as a new stage in the development of Georgian society. Archil Jorjadze calls this first stage of the revival of Georgian culture the cooperation of the government and society. He believes that the historically existing sense of loyalty in the circle of Georgian nobles and the wise policy of fulfilling the obligation to the nation under protection have merged. This is how he discusses the results of Vorontsov's rule. He believes that before his arrival, the attitude of Georgian society, which the vicegerent used to implement his political plan, was already developing. The result of this policy was an important event: the establishment of the magazine "Tsiskari," which, from the point of view of Archil Jorjadze, laid the foundation for the development of the Georgian periodical press.

**თათია კოკობინაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ქალაგანიძე**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო პოლიტიკა გადაცემა „მაცნეს“ მაგალითზე

ჟურნალისტიკამ განვითარების არაერთი ეტაპი განვლო. ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ნაბიჯი იყო გზა რადიოდან ტელევიზიამდე, როცა სამყაროსთვის მიწოდებულ ინფორმაციას ბგერასთან ერთად, გამოსახულებაც დაემატა. თანამედროვე ტელევიზიის მთელი ხიბლიც ჯანსაღ კონკურენციაშია. ჟურნალისტური ოქროს სტანდარტებით მნიშვნელოვანია ინფორმაციის სანდოობა, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა, ის, რაც ხშირად საინფორმაციო გამოშვების ავტორსა თუ წამყვანს ვალდებულს ხდის, რომ ამბავი მაქსიმალურად ობიექტურად და პლურალისტურად გადასცეს.

ტელევიზიის მუშაობის ხარისხის დასადგენად აუცილებელია კონკრეტული ემპირიული ველის შესწავლა -ანალიზი. წინამდებარე საკვლევი თემის აქტუალურობა იმაში მდგომარეობს, რომ საკვლევი თემა რეგიონულ არხს ეხება. მათი მუშაობის პრინციპი, პროფესიული სტანდარტებისადმი დამოკიდებულება, კომუნიკაციის უნარი, ესთეტიკური მსოფლმხედველობა, წამყვანების პროფესიული ოსტატობა ის მახასიათებლებია, რაზე დაკვირვებამაც შედეგად მოგვცა კონკრეტული სურათი. ქვეყნის რეგიონული არხებიდან არჩევანი სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიაზე გავაკეთეთ, რომელმაც, მართალია განსხვავებული ფორმით, მაგრამ საქმიანობა 1987 წელს დაიწყო.

კვლევის ფოკუსი ტელეკომპანიის საინფორმაციო სამსახურის გამოშვება „მაცნეს“ უკავშირდება. საკვლევი პერიოდი ერთ თვეს მოიცავს, რაც ტრადიციული თვალთახედვით საკმარისი არ არის, თუმცა გარკვეულ ტენდენციებს მაინც ააშკარავებს.

კვლევის ძირითად მეთოდად შევარჩიეთ კონტენტანალიზის თვისებრივი (მონიტორინგი) და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. ჰიპოთეზა გამართლდა და კიდევ უფრო საინტერესო აღმოჩნდა: ფინანსური თუ ადამიანური რესურსების ნაკლებობის პირობებში როგორ ახერხებს რეგიონული ტელევიზია - ფეხი აუწყოს ლასუელის პენტადის ხუთ მთავარ წესს, რომლებითაც კომუნიკაციის პროცესი იქმნება.

**Tatia Kokobinadze**
Caucasus international university
Bachelor
**Scientific Supervisor: Nino Chalaganidze**
Doctor, Associate Professor

## The Information Policy of Public Broadcaster's Ajara Television - on the Example of Program “Herald”

Journalism has gone through several stages of development. One of the most impressive steps was the path from radio to television, when images were added to the world's information along with sound. All the charm of modern television lies in healthy competition. According to journalistic gold standards, the reliability, objectivity and impartiality of information is important, which often obliges the author or presenter of a news release to convey the story as objectively and pluralistically as possible. To determine the quality of television work, it is necessary to study and analyze a specific empirical field. The relevance of the present research topic lies in the fact that the research topic concerns a regional channel. The principle of their work, attitude towards professional standards, communication skills, aesthetic worldview, professional mastery of the presenters are the characteristics, the observation of which gave us a concrete picture as a result. From the regional channels of the country, we chose the Ajara TV of the State Public Broadcasting Company, which, although in a different form, started its activities in 1987. The focus of the research is related to the "Herald" release of the TV company's information service. The research period covers one month, which is not enough from a traditional point of view, although it still reveals certain trends. We selected the qualitative (monitoring) and quantitative research methods of content analysis as the main research method. The hypothesis was justified and it turned out to be even more interesting: under the conditions of lack of financial or human resources, how does regional television manage to follow the five main rules of Laswell's pentad, by which the communication process is created.

**თათია მჭედლიშვილი**
საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარინე ვეკუა**
დოქტორი, პროფესორი

## საქართველოს ევროინტეგრაციის თემის გაშუქება ქართულ მედიაში

საქართველოს ბოლო ათწლეულების განვითარების პრიორიტეტად გაცხადებული აქვს ინტეგრირება ევროპულ სტრუქტურებში, რაც მკაფიოდ აისახა ქვეყნის კონსტიტუციაში. საქართველოსა და ევროპის ურთიერთობას გააჩნია ხანგრძლივი ისტორიული გზა. 2014 წელი საქართველოსთვის იყო ერთ-ერთი აღსანიშნავი მიღწევა ამ გზაზე, როდესაც ხელი

მოეწერა უაღრესად მნიშვნელოვან ასოცირების შესახებ შეთანხმებას; 2023 წელს კი საქართველოს მიენიჭა კანდიდატის ქვეყნის სტატუსი, რითიც საფუძველი ჩაეყარა და გამყარდა საქართველოს ევროკავშირთან შორსმიმავალი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრირება. აღნიშნული საკითხი მუდმივად რჩებოდა ქართული მედიის წამყვან თემებად.
ჩემი ნაშრომის მიზანია გავაანალიზო, თუ რამდენად თანმიმდევრულად, მიზანდასახულად შუქდებოდა აღნიშნული პრობლემატიკა; რა ფორმებსა და მეთოდებს იყენებდნენ ჟურნალისტები და რა სარედაქციო პოლიტიკასა და სტრატეგიას აყალიბებდა სხვადასხვა მედიასაშუალება.

**Tatia Mchedlishvili**
Georgian International University
Master
**Scientific Supervisor: Marine Vekua**
Doctor, Professor

### Georgian Media Coverage of Georgia's EU Integration

Integration into European structures was declared as the priority of Georgia's development in recent decades, which was clearly reflected in the country's constitution. The relationship between Georgia and Europe has a long historical path. One of Georgia's outstanding achievements along the way was 2014, when a very important association agreement was signed; in 2023, Georgia was granted the status of a candidate country, which laid the foundation and strengthened Georgia's far-reaching political and economic integration with the European Union. The mentioned issue has always been the leading topic of the Georgian media. The purpose of my work is to analyze how consistently and purposefully the specified problem was covered; what forms and methods were used by journalists and what editorial policies and strategy were formed by various media outlets.

**სოფო კევლიშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ქალაგანიძე**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

### ახალი ამბების პერსონიფიკაცია „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის“ მუშაობის მაგალითზე

ჟურნალისტიკის ცნების ინტერპრეტირება მრავალგვარად შეიძლება, დაწყებული პროფესიული საქმიანობის მნიშვნელობიდან სასწავლო დისციპლინით დასრულებული.

იმის გამო, რომ იგი ცხოვრების ყველა სფეროს აშუქებს, ,,მეოთხე ხელისუფლებასაც" უწოდებენ და ეს უსვამს ხაზს მის ძალასა და პასუხისმგებლობასა. ტექნოლოგიის განვითარებას თან სდევს ჟურნალისტიკის ცვლილებები. ბეჭდურ სიტყვას ჯერ რადიო მოჰყვა, შემდეგ ტელევიზია, ბოლოს ასპარეზზე ინტერნეტ მედია გამოვიდა. ყოველი მათგანი ერთ მოვალეობას ასრულებს, თუმცა სხვადასხვა ხერხითა და გამოსახვითი საშუალებების არსენალით.

რეალობის აღნუსხვის მიზნით, ტელევიზია დაარსების დღიდან თანამედროვე ტექნოლოგიებს ეყრდნობოდა. დინამიკური გამოსახულების გადაცემის წყალობით, მან აუდიტორიის ინტერესი და სანდოობა იმთავითვე დაიმკვიდრა. დღესაც ტელესამსახურების გამოწვევები გაცილებით უფრო რთული და თვისობრივად გაზრდილია. მათი მიზანი საზოგადოების დემოკრატიზაცია, საინფორმაციო სივრცის გაფართოება და მასზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფაა.

აქტუალურობიდან გამომდინარე, არჩევანი, 1956 წლიდან მოქმედ, ყველაზე დიდი ისტორიული ტრადიციის მქონე მედია არხზე - პირველ არხზე შევაჩერეთ, რომელსაც დღეს „საზოგადოებრივ მაუწყებლად" ვიცნობთ და სახელმწიფო ტელევიზიის სამართალმემკვიდრეა (საინფორმაციო პროგრამა ,,მოამბე"). კვლევის ჰიპოთეზა უკავშირდება ობიექტურობის ცნებას, რომელიც საინფორმაციო ახალი ამბების სისხლხორცეული მოთხოვნაა და ნეიტრალური, მიუკერძოებელი მედიის უმთავრესი მახასიათებელი. ყურადღება გამახვილებულია ახალი ამბების წამყვანთა ქცევაზე, სტილსა და მუშაობის სპეციფიკაზე.

**Sopo Kevlishvili**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Nino Chalaganidze**
Doctor, Associate Professor

## The Personification of News on the Example of the Work of "the First Channel of the Georgian Public Broadcaster"

The concept of journalism can be interpreted in various ways, for example as a professional activity and or as an educational discipline. As it covers all areas of life, it is called the "fourth government" and this emphasizes its power and accountability. The development of technology is accompanied by changes in journalism. The printed word was followed first by radio, then by television, and finally by the Internet media. Each of them performs one duty, applying different tools and means of expression. In order to reflect reality television has relied on various technology since its establishment. Thanks to the dynamic image transmission, it has captured the interest and credibility of the audience since its origin. Even today, the challenges of teleservices are much more complex and qualitatively different. Their goal is democratization of society, information space expansion and ensuring equal access to it. Based on relevance, we chose the media channel with the greatest historical tradition - the first channel operating since 1956, which is known as "Public

Broadcaster" and is the legal successor of the state television (information program "Moambe"). The research hypothesis is related to the concept of objectivity, which is a vital requirement of informational news and the main characteristic of a neutral, unbiased media.

**თეონა გოგოლაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ქალაგანიძე**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

**საინფორმაციო გამოშვების ფუნციონირების თავისებურებები (ტელეკომპანია "იმედის" 20:00 საათიანი "ქრონიკის" მაგალითზე; საკვლევი პერიოდი 04/10/23-31/10/23)**

ტელევიზიის როლი საზოგადოებრივი ცხოვრების წარმართვასა და განვითარებაში განუზომელია. გარდა გასართობი ფუნქციისა, იგი იძლევა მნიშვნელოვან შესაძლებლობებს განათლების, ურთიერთგაგებისა და კულტურული განვითარების ხელშეწყობისთვის, როგორც ქვეყნებს შორის, ისე მათ შიგნით. კაცობრიობის მიერ დაგროვილი ინფორმაციისა და კულტურული ღირებულებების ხელმისაწვდომობა, გამოხატვის თავისუფლება და, შედეგად, იდეების თავისუფალი ნაკადი - სწორედ ესაა მედიისა და, უპირატესად, ტელევიზიის უპირატესობა. გაიზარდა ნდობის საკითხი, რადგან აუდიტორია ეცნობა არა მხოლოდ ჟურნალისტის მიერ მოყოლილ ამბავს, არამედ საკუთრი თვალითაც ხედავს პროცესს.

საღამოს, მაშინ, როცა საზოგადოების ძირითადი ნაწილი დროს სახლში ატარებს, მნიშვნელოვანია ახალ ამბებს "სწორ" არხზე უყუროს, ობიექტურ წამყვანებთან ერთად. ჩვენი კვლევის ობიექტი ტელეკომპანია „იმედის" საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკა", უფრო ზუსტად კი, საღამოს მთავარი საინფორმაციო გამოშვებაა. პროგრამას სამაუწყებლო ბადეში ერთი საათი ეთმობა და ეთერში ყოველ დღე, კვირის გარდა, ე.წ. „საუკეთესო დროს" 20:00 საათზე გადის.

ჩვენი მიზანია, გამოვკვეთოთ საინფორმაციო პროგრამის მახასიათებლები და შესაბამისობა პროფესიულ სტანდარტთან. ჰიპოთეზის მიხედვით, მთავარი პრობლემა მიუკერძოებლობას უკავშირდება, რადგან არხი პროსახელისუფლებოა. არხის სარედაქციო პოლიტიკა თავისთავად გარკვეული ტენდენციების გამტარია. შესწავლილი მასალის საფუძველზე ცხადდება, რომ "იმედის" მთავარი საინფორმაციო გამოშვება "ქრონიკა" საზოგადოების ყველა წევრის გემოვნებასა და ინტერესებს ვერ აკმაყოფილებს.

**Teona Gogoladze**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Nino Chalaganidze**
Doctor, Associate Professor

## Peculiarities of the Functioning of the News Release (on the Example of "Chronicle" of "Imedi" TV Company at 20:00; Research Period 04/10/23-31/10/23)

The role of television in leading and developing public life is immeasurable. In addition to its entertainment function, it provides important opportunities for promoting education, understanding and cultural development both between and within countries. Access to information and cultural values accumulated by mankind, freedom of expression and, as a result, free flow of ideas - this is the advantage of the media, especially television. The issue of trust has increased, as the audience gets to know not only the story told by the journalist, but also sees the process with their own eyes. In the evening, when the majority of the public spends time at home, it is important to watch the news on the "right" channel, with objective anchors. The subject of our research is the TV company "Imedi" news release "Chronicle". More precisely, it is the main news program of the evening. One hour is allocated to the program in the broadcasting network and is on the air every day, except for Sundays, the so-called "Prime Time" airs at 8:00 p.m. Our goal is to outline the features of the information program and its compliance with the professional standards. According to the hypothesis, the main problem is related to impartiality, because the channel is progovernment. The editorial policy of the channel itself is a conductor of certain trends. Based on the studied material, it is revealed that the main news release of "Imedi" "Chronicle" cannot meet the tastes and interests of all members of society.

# სექცია
# SECTION

# ჟურნალისტიკა
# JOURNALISM

## ქვესექცია
## SUBSECTION N2

**დავით დოლიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარინე ვეკუა**
დოქტორი, პროფესორი

## დასავლური და ანტიდასავლური პროპაგანდა ქართულ მედიასივრცეში

მასმედიას მნიშვნელოვანი როლი აკისრია თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში, როგორც კომუნიკაციის მთავარ არხს. მოსახლეობა ეყრდნობა საინფორმაციო მედიას, როგორც ინფორმაციის ძირითად წყაროს და საფუძველს, რომელზედაც ისინი აყალიბებენ თავიანთ მოსაზრებებს და იღებენ ხმის მიცემის გადაწყვეტილებას.

პროპაგანდისა და დეზინფორმაციის გავრცელების პრობლემა მთელ მსოფლიოში ძალზე აქტუალურია. ბუნებრივია, ამ საერთაშორისო გამოწვევასთან გასამკლავებლად არაერთი მკვლევართა ჯგუფი თუ ცალკე აღებული მეცნიერი მუშაობს. თავდაპირველად საჭირო იყო მედიაპროპაგანდის ძირითადი მახასიათებლებისა და ზოგადი სტრუქტურის შესწავლა.

ამის შემდეგ, განისაზღვრა, თუ რა ტექნიკების გამოყენებით ხდება მისი გავრცელება მიზნობრივ აუდიტორიაზე. ჩამოყალიბდა მეთოდები, რომლებითაც მოხდა პროპაგანდის ტიპების დიფერენცირება და მის სიღრმეებში ჩაწვდომა თითოეულის უკეთ შესასწავლად. ამ ყოველივეს შემდგომ, შეიქმნა მედიაპროპაგანდისა და დეზინფორმირების წარმოების ერთგვარი სტრუქტურა.

სწორედ ეს სტრუქტურა გახდა ერთგვარი სახელმძღვანელო პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ბუნებრივია, ყველა ქვეყანაში აღნიშნული სტრუქტურა ერთნაირი წარმატებით ვერ იმუშავებს უნივერსალური ფორმულასავით, თუმცაღა, მაინც შესაძლებელია მისი გამოყენებით საზოგადოების ცრუ ნარატივებისა და ყალბი ახალი ამბების გავრცელებისგან ეფექტურად დაცვა.

ქართულ მედიასივრცეში ძირითადად ვაწყდებით პოლიტიკური პროპაგანდის გავრცელებას. გვხვდება როგორც ვიწრო პარტიული, ასევე გლობალური კონტექსტის შემცველი ნარატივებიც, როგორიცაა, მაგალითად, დასავლური და ანტიდასავლური პროპაგანდა. ხშირად გვაქვს შემთხვევები, როდესაც ტრადიციული მედიის გამოყენებით, ან სოციალური ქსელებით, ვრცელდება ნებისმიერი ტიპის, ფორმისა და შინაარსის დეზინფორმაცია, ან ყალბი ახალი ამბები, ე.წ. Fake News.

როდესაც საქართველოში არსებულ მედიაბაზარს მიმოვიხილავთ და ვცდილობთ განვსაზღვროთ, თუ რომელი მედიასაშუალება რომელ პოლიტიკურ პარტიასთან ან იდეოლოგიასთან ასოცირდება, იქამდე უნდა აღვნიშნოთ, რომ მედიასაშუალებათა განსხვავება მხოლოდ პარტიულ დღის წესრიგში არ გამოიხატება. ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი მაინც ის ნარატივია, რომელსაც ისინი ავრცელებენ. ამ მხრივ, შეგვიძლია ქართული მედია დავყოთ ორ პირობით ჯგუფად: **დასავლური** და **ანტიდასავლური** მედიაორგანიზაციები.

**Davit Dolidze**
Caucasus International University
Doctoral
**Scientific Supervisor: Marine Vekua**
Doctor, Professor

## Western and Anti-Western Propaganda in the Georgian Media Space

Mass media has a very important role in modern democratic society as the main channel of communication. The population relies on the news media as the major source of information and the basis on which they form their opinions and make voting decisions.

The problem of spreading propaganda and disinformation is very urgent all over the world. Naturally, a number of research groups and individual scientists are working to deal with this international challenge. At first it was necessary to study the principal characteristics and general structure of media propaganda.

Afterwards, it is determined what techniques are used to distribute it to the target audience. Methods for differentiating the types of propaganda and delving deeper into each one were developed. After all this, a kind of structure of media propaganda and disinformation production was created.

In the Georgian media space, we mainly encounter the spread of political propaganda. Narratives with a narrow partisan as well as a global context can be found. Such as, for example, Western and anti-Western propaganda. We often have cases when disinformation or fake news of any type, form and content is spread using traditional media or social networks, the so-called- Fake news.

When we review the existing media market in Georgia and try to determine which media outlet is associated with which political party or ideology, we should point out that the difference between media outlets is not only expressed in the party agenda. The main distinguishing mark, however, is the narrative they propagate. In this regard, we can divide the Georgian media into two conditional groups: Western and anti-Western media organizations.

There are mass media that do not hide their anti-Western position. They openly oppose European values and agendas. In many cases, they also spread Russian propaganda. The main goal of their activity is naturally to create and stir up anti-Western sentiments in Georgia.

Recently, we have been actively facing vigorous attempts to discredit journalists or certain media outlets. All this is clearly expressed in criticism devoid of arguments, as well as in referring to them with epithets containing various negative contexts, and it is natural that its main goal is to lose trust in the pro-Western media in the eyes of the public.

This method of discrediting the media is one of the main features of Russian propaganda. Similar rhetoric is actively coming from pro-Russian and Russian-affiliated sources. As we mentioned, the use of similar methods by Russian propaganda is quite well tested. And as for the reasons for using this tactic, this issue is quite complex and consists of a lot of factors.

**თამარ ოკუჯავა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: რუსუდან კვარაცხელია**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

### მედიის როლი ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების დარეგულირებაში

ჟურნალისტიკის ისტორია არც გუშინ დაწყებულა და არც რამდენიმე ათეული წლის წინ. ადამიანს დასაბამიდან აქვს ინფორმაციის მოპოვება-გავრცელების სურვილი და მედია სწორედ ამ საქმეს ემსახურება. თითოეული თაობა თავის ჟურნალისტიკას ქმნის, თუმცა მთავარი ისაა, რომ მათი მიზანი ერთია.

იმის გათვალისწინებით, რომ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები ურთიერთგავლენას ახდენენ პიროვნებას, ადამიანთა ჯგუფსა და საზოგადოებას შორის, მათი როლი ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების დარეგულირებაში მნიშვნელოვანია. კერძოდ, მედიის მიერ სწორად განხილული და წარმოჩენილი საკითხი საზოგადოებაში არსებულ დაძაბულობას შეასუსტებს, შემდგომში კი მოაგვარებს.

ჩვენი საკვლევი თემის ფარგლებში შევისწავლეთ, საქართველოში მიმდინარე აქტუალური პოლიტიკური პროცესების („გავრილოვის ღამე“ - 2019 წლის 20-21 ივნისი; 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები; 5 ივლისის მოვლენები; 2022 წლის 7-10 მარტი; „არა რუსულ კანონს“ – 2024 წელი) გაშუქებისას

•როგორია ტელეკომპანიების („იმედი“, „მთავარი არხი“) პოზიცია;

•ცდილობენ თუ არა ისინი სიტუაციის დარეგულირებას;

•რამდენად იცავენ ეთიკურ ნორმებს ჟურნალისტური საქმიანობის შესრულებისას. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ჩვენს ქვეყანაში დაძაბული პოლიტიკური ვითარებაა, მედიის საქმიანობაც მეტწილად პოლარიზებული და ტენდენციურია. თუმცა უნდა ითქვას, ყველაფრის მიუხედავად, მათი პროფესიული საქმიანობა მნიშვნელოვანი და დასაფასებელია.

**Tamar Okujava**
Caucasus international university
Master
**Scientific Supervisor: Rusudan Kvaratskhelia**
Doctor, Associate Professor

### The Role of the Media in Regulating the Current Political Processes in the Country

The history of journalism did not start yesterday or a few decades ago. From the beginning, people have a desire to obtain and spread information, and the media serves this purpose. Each generation creates its own journalism, but the main thing is that their goal is the same. Considering that the means of mass communication influence a person, a group of people and society, their role in regulating the political processes in the country is important. In particular, the issue properly

discussed and presented by the media will weaken the existing tension in the society, and subsequently resolve it.

Within the framework of our research topic, we studied current political processes in Georgia ("Gavrilov's night" - June 20-21, 2019; 2020 parliamentary elections; July 5 events; March 7-10, 2022; "No Russian law" - 2024)

The paper focuses on the following points:
• What is the position of TV companies ("Imedi", "Main Channel");
• Do they try to settle the situation?
•To what extent they follow ethical norms while performing journalistic activities. As a result of the research, it was revealed that, there is a tense political situation in our country, the activities of the media are largely polarized and tendentious. However, it must be said that despite everything, their professional activity is important and appreciated.

**დიანა თირქია**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ქალაგანიძე**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## ტელეკომპანია „მთავარი არხის“ საინფორმაციო სამსახური

ტელემედიის დახმარებით საზოგადოება ეცნობა სხვადასხვა საკითხს მსოფლიოს მასშტაბით; აანალიზებს ახალ ამბებს და იყალიბებს შეხედულებებს. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა ინფორმაციას მრავალი არხით იღებს, მაინც ეჭვქვეშ დგას მიუკერძოებლობის საკითხი. ობიექტურობის დეფიციტი საზოგადოების მხრიდან მედიის მიმართ იწვევს უნდობლობას. წინამდებარე საკონფერენციო ნაშრომის თემა ტელეკომპანია „მთავარის“ საინფორმაციო სამსახურს უკავშირდება და წარმოადგენს მცდელობას, შევისწავლოთ ახალი ამბების გამოშვების კრიტერიუმების შესაბამისობა ჟურნალისტიკის პროფესიულ სტანდარტსა და ეთიკის აღიარებულ ნორმებთან.

,,მთავარი არხის" დაარსებამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია საზოგადოებაში. „რუსთავი 2“-დან წამოსულ ჟურნალისტთა ნაწილმა საქმიანობა სწორედ ამ ტელეკომპანიაში გააგრძელა. აუდიტორიისთვის გაცდხადდა, რომ არხის საინფორმაციო პოლიტიკა ოპოზიციური იდეოლოგიის მატარებელია.

კვლევის საგანია, შევისწავლოთ, რამდენად ახერხებს ტელეკომპანია „მთავარის“ საინფორმაციო სამსახური, იმუშაოს პროფესიული სტანდარტისა და ეთიკური კრიტერიუმების შესაბამისად, სწორად გააშუქოს პრიორიტეტული თემები, რისი ანალიზიც ხდება პირველ და მეორე ბლოკში მთავარი თემების შერჩევით, ასევე საზოგადოებრივი ინტერესის მქონე თემების ფორმატის მიხედვით. მედიაარხის სარედაქციო პოლიტიკის შეფასება იმ გამოტოვებული თემების იდენტიფიცირების გზითაც ხდება შესაძლებელი, რომლებიც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელია.

ნაშრომში ანალიზისას გამოყენებულ იქნა კვლევის თვისებრივი მეთოდები.

**Diana Tirkia**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Nino Chalaganidze**
Doctor, Associate Professor

## Information Service of TV company "Mtavari Arkhi"

With the help of telemedia, the public is informed about various issues worldwide. It analyzes news and forms opinions. However, despite the fact that the population receives information through a number of channels, the issue of impartiality is still in doubt. The lack of objectivity leads to public distrust towards the media. The topic of the present conference paper is related to the information service of TV company "Mtavari" and represents an attempt to study the compliance of the news release criteria with the professional standard of journalism and recognized norms of ethics. The establishment of the "Mtavari Arkhi" caused a great stir in the society. Some of the journalists who left "Rustavi 2" continued their work in this TV company. It became clear to the audience that the news policy of the channel is the carrier of the opposition ideology. The subject of the research is to study the extent to which the "Mtavari" TV company's information service is able to work in accordance with professional standards and ethical criteria, to correctly cover the priority topics, which are analyzed in the first and second blocks by selecting the main subjects, as well as points of public interest according to the format. The evaluation of the media channel's editorial policy becomes possible by identifying the omitted topics that are of high public interest. Qualitative research methods were used in the analysis of the paper.

**ხატია ხარბედია**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზაზა ცოტნიაშვილი**
დოქტორი, პროფესორი

## კონფლიქტების გაშუქება ქართულ ონლაინ მედიაში (ცხინვალის რეგიონი, "ინტერპრესნიუსი", საკვლევი პერიოდი -1.01.2024-31.03.2024)

თანამედროვე ქართულ ონლაინ მედიაში კონფლიქტების გაშუქება აქტუალური, საპასუხისმგებლო და პრობლემატურია. სამწუხაროდ, კაცობრიობის განვითარების მიუხედავად, კონფლიქტების რაოდენობა და მასშტაბები გაიზარდა. საქართველოში ორი აქტიური კონფლიქტის რეგიონი გვაქვს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სახით. ამ თემაზე ქართული ონლაინ ჟურნალისტიკა აქტიურად წერს. ჩვენი ინტერესის საგანი გახდა ავტორიტეტულ ონლაინ გამოცემა "ინტერპრესნიუსში" ცხინვალის რეგიონის გაშუქების საკითხი.

ჩვენი კვლევის ობიექტივში მოექცა დასახელებული გამოცემის მიერ გაშუქებული აქტუალური პრობლემები, რომლებიც მიმდინარე წლის სამი თვის პერიოდში შევისწავლეთ.ჩვენი ჰიპოთეზის თანახმად, კონფლიქტები(ცხინვალის რეგიონში) არ შუქდება ინტენსიურად და სიღრმისეულად. შესწავლილი მასალის საფუძველზე, ძირითად აქტუალურ საკითხებად წარმოჩნდა ერგნეთის ინცინდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფორმატში გამართული შეხვედრები, სადაც დომინირებს წარმოშობილი პრობლემების მოლაპარაკების გზით გადაჭრის მცდელობები, რასაც "ინტერპრესნიუსი" ობიექტურად აშუქებს. გვხვდება მასალები, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა პროცესების შესახებ, რაც ასევე აინტერესებს ქართულენოვან მკითხველს. აღნიშნულ საკითხთა გაშუქება გამოირჩევა ობიექტურობით, მაგრამ გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ცხინვალის რეგიონის პრობლემატიკა მეტი ინტენსივობით უნდა შუქდებოდეს.

**Khatia Kharbedia**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Zaza Tsotniashvili**
Doctor, Professor

## Coverage of the Conflict in Georgian Online Media
## (Tskhinvali Region, "Interpress News", Research Period - 1.01.2024-31.03.2024)

The coverage of conflicts in modern Georgian Online Media is full of responsibility and problematic. Unfortunately, despite the development of humanity, the number and scale of conflicts have increased. In Georgia, we have two active conflict regions in the form of Abkhazia and Tskhinvali Region. Georgian online journalism is actively writing about this topic. The issue of coverage of the Tskhinvali Region in the authoritative online publication "Interpressnews" became the subject of our interest. The focus of our research was the current problems covered by the named publication, which we studied in the period of three months of the current year. According to our hypothesis, the conflicts (in the Tskhinvali Region) are not covered intensively and in depth. Based on the studied material, the meetings held in the format of Ergnet's incident prevention and response mechanism appeared to be the most urgent issues, where the attempts to solve the problems through negotiation dominate, which is objectively covered by "Interpress news". The coverage of the mentioned issues is characterized by objectivity, but we are left with the impression that the problems of the Tskhinvali Region should be covered with more intensity.

**მარიამ ვეკუა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ქალაგანიძე**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## საინფორმაციო პროგრამის წამყვანის სპეციფიკა (პირველი არხის საინფორმაციო პროგრამა, მოამბის" მაგალითზე)

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებიდან ინფორმაციის სწრაფ გავრცელებას ტელევიზიის განვითარებამ შეუწყო ხელი. ტელევიზიისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ინფორმაციის პერსონიფიკაცია, ანუ მისი დაკავშირება რეალურ ადამიანთან, კონკრეტულ პიროვნებასთან. იმისათვის, რომ ინფორმაცია ობიექტურად და სწორად გაშუქდეს, მთავარია ჟურნალისტი - პერსონა, რომელსაც შესწევს უნარი პროფესიუნალურ დონეზე, მიუკერძოებლად გააშუქოს ამბავი, გაითვალისწინოს საზოგადოებრივი ინტერესი და სარგებელი.

მასმედიის თავისუფლების განხორციელების მექანიზმს ქმნის დამოუკიდებლობა. ის მედიის ორგანიზაციულ-ეკონომიკურ მდგომარეობას, სტატუსს განსაზღვრავს. თავისუფლება და დამოუკიდებლობა მასმედიაში ერთმანეთის გარეშე არ არსებობს და ერთურთის წინაპირობას ქმნის.

ჟურნალისტიკის ისტორია სიტყვის თავისუფლებისთვის ბრძოლის ისტორიაა. მსოფლიო ყოველდღიურად იცვლება და ვითარდება, შესაბამისად, ახალი ამბები მრავალმხრივ სიანტერესო და მრავლფეროვანია. ინფორმაციის სიჭრელე და ვრცელი ინფორმაციული ნაკადების მოზღვავება ჟურნალისტების მხრიდან განსაკუთრებულ სიფრთხილესა და პროფესიონალურ დამოკიდებულებას მოითხოვს. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივ მაუწყებლობას ჰყავს დიდი რაოდენობით მაყურებელი, რომლებსაც გადაცემა „მოამბის" მეშვეობით შესაძლებლობა აქვთ ახალ ამბებს ყოველდრიურად, დღეში რამდენჯერმე გაეცნონ.

თემის მიზანია დადგინდეს, რამდენად სანდოა არხის საინფორმაციო პოლიტიკა და დაცულია თუ არა, ერთი მხრივ, პროფესიული სტანდარტი და, მეორე მხრივ, ჟურნალისტური ეთიკის ნორმები. დემოკრატიულ ქვეყნებში მასმედია დამოუკიდებელი სოციალური ინსტიტუტია და მას ქვეყანაში მოქმედი კონსტიტუციით სრული თავისუფლება ენიჭება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მასმედიის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ინფორმაციის მოძიება, გავრცელება და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაა.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას, დადგინდეს, არის თუ არა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი ობიქტური; საინფორმაციო სამსახურის ჟურნალისტები კი - სატელევიზიო სტრუქტურის ფორმირებაში ჩართული პროფესიონალები, რომლებიც გამორჩეულ როლს ასრულებენ ქვეყნის მოსახლეობის ინტეგრაციისა და დემოკრატიზაციის პროცესში.

**Mariam Vekua**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Nino Chalaganidze**
Doctor, Associate Professor

## Specifics of a News Anchor (Georgian Public Broadcaster 1TV "Moambe Case")

The rapid spread of information through mass media was facilitated by the development of television. The personification of information- connecting it with a real individual, a specific person, is especially characteristic of television. In order for the information to be covered objectively and correctly, the most important subject is a journalist - a person who has the ability to cover the story impartially at a professional level, taking into account the public interest and benefits. The mechanism for the implementation of mass media freedom is created by independence. It determines the organizational-economic situation and status of the media. Freedom and independence in the mass media do not exist without each other and create a prerequisite for one another. The history of journalism is the history of the struggle for freedom of speech. The world is changing and developing every day, therefore, the news is interesting and diverse in a wide variety of ways. The abundance of information and the influx of extensive informational flows require special caution and professional attitude from journalists. It should be noted that public broadcasting has a large number of viewers who have the opportunity to get to know the news several times a day through the "Moambe" program. The purpose of the topic is to determine how reliable the information policy of the channel is and whether the professional standard is respected on the one hand and the norms of journalistic ethics on the other hand. In democratic countries, mass media is an independent social institution and it is given full freedom by the current constitution of the country. Based on the above, the most important function of the mass media is the search for information, distribution and formation of public opinion. The present paper is an attempt to determine whether the first channel of the Georgian Public Broadcaster is objective; the journalists of the news service are professionals involved in the formation of the television structure, who play an outstanding role in the process of integration and democratization of the country's population.

**ლილე სვანაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჭალაგანიძე**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## მედიამოხმარების ტრანსფორმაცია ციფრულ კულტურაში (საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის მაგალითზე)

ციფრული ტექნოლოგიების სწრაფმა ევოლუციამ მედიის მოხმარების ლანდშაფტი შეცვალა. ტრადიციული მედიასაშუალებებისთვის აუცილებელი გახდა საზოგადოების ახალ მოთხოვნებთან ადაპტაცია. ჟურნალისტიკა ახალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა: როგორ უნდა მოახერხოს ტრადიციულმა მედიამ ტრანსფორმირდეს ონლაინ სივრცეში ისე, რომ მომხმარებელი არ დაკარგოს. ვინაიდან თანამედროვე ადამიანისთვის დრო ყველაზე მნიშვნელოვანია, მისი საჭიროებაა მიიღოს სასურველი და ზუსტი ინფორმაცია მაქსიმალურად მცირე დროში. შესაბამისად, მომხმარებლისთვის პრიორიტეტული გახდა პლატფორმები, რომელთა გამოყენება დღის ნებისმიერ მონაკვეთში, ნებისმიერ ადგილას შეიძლება. ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, დადგინდა, რომ ტრადიციული მედიასაშუალებების ციფრულ ვერსიებს იმაზე მეტი მომხმარებელი ჰყავს, ვიდრე თავად ტრადიციულ მედიას.

სწორედ ამ მიზნით, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველმა არხმა, BBC-ის, NY Times-ის და სხვა წამყვანი მედიაორგანიზაციების მსგავსად, შექმნა საკუთარი ვებსაიტი და ორი აპლიკაცია, რომელთაც საკმაოდ წარმატებულად იყენებს.

წინამდებარე ნაშრომში, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის მაგალითზე დაყრდნობით, დავადგენთ, ხდება თუ არა მომხმარებელთა მიგრაცია ტრადიციულიდან ონლაინ პლატფორმებზე და რატომ ურჩევნია მედიის მომხმარებელთა უმრავლესობას ტრადიციულის ნაცვლად მობილური ვერსიებით სარგებლობა.

**Lile Svanadze**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Nino Chalaganidze**
Doctor, Associate Professor

## Transformation of Media Consumption in Digital Culture (on the eExample of the First Channel of the Georgian Public Broadcaster)

The rapid evolution of digital technologies has changed the landscape of media consumption. It has become necessary for traditional media to adapt to the new demands of society. Journalism faced a new challenge: how to manage the transformation of traditional media in the online space without losing customers. Since time is the most important thing for a modern person, he/she needs to get advisable and accurate information in the shortest possible time. Accordingly, platforms that can

be used at any time of the day, at any place, became a priority for users. Considering these and other factors, it has been determined that digital versions of traditional media have more users than traditional media itself. For this purpose, the first channel of the Georgian Public Broadcaster, like the BBC, NY Times and other leading media organizations, created its own website and two applications, which it uses quite successfully. In this research, based on the example of the first channel of the Georgian Public Broadcaster, we will determine whether users are migrating from traditional to online platforms and why the majority of media users prefer to use mobile versions instead of traditional ones.

**მარიამ ჯომიდავა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ხათუნა კაჭარავა**
დოქტორი,ასოცირებული პროფესორი

## კულტურის საკითხების გაშუქება საქართველოს ტელევიზიის საინფორმაციო გადაცემებში (ტელეკომპანია “მთავარის” მაგალითზე 04/10/23-31/10/23)

მედიაში კულტურული საკითხების გაშუქებას ადამიანის განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. თემა აქტუალურობასთან ერთად საკმაოდ პრობლემატურია. აღსანიშნავია, რომ საქართველოში არსებულ მედიათა უმრავლესობაში კულტურის საკითხების გაშუქებას ნაკლები დრო ეთმობა.

ჩვენი კვლევის მიზანია გამოვიკვლიოთ რა სიხშირით შუქდება კულტურული თემები მედიაში და, თუ შუქდება, რა დრო ეთმობა მათ სატელევიზიო ბადეში. მიგვაჩნია, რომ მედიაში კულტურის საკითხების წინა პლანზე წამოწევა ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, რადგან საქართველო ისტორიულად არის მნიშნელოვანი კულტურული ღირებულებების მქონე ქვეყანა და იგი კვლავ ამ მიმართულებით უნდა განვითარდეს, ცხადია, მედიას ამ შემთხვევაში უდიდესი როლი აკისრია.

ჩვენი კვლევის ობიექტია ტელეკომპანია „მთავარის“ საინფორმაციო გამოშვება „მთავარი“, უფრო ზუსტად კი საღამოს მთავარი საინფორმაციო გამოშვება. პროგრამას სამაუწყებლო ბადეში ერთი საათი ეთმობა და ეთერში ყოველ დღე, კვირის გარდა, 21:00 საათზე გადის. ჩვენი ჰიპოთეზის თანახმად, საინფორმაციო გამოშვებაში ”მთავარი” სიუჟეტების უმრავლესობა პოლიტიკურ თემებს ეხება კულტურული საკითხები კი სამაუწყებლო ბადეში არც თუ ისე დიდ ადგილს იკავებს. შესწავლილი მასალის საფუძველზე ცხადდება, რომ საინფორმაციო გამოშვებაში, “მთავარი“, სიუჟეტების უმრავლესობა პოლიტიკურ თემებს ეხება, რაც საზოგადოების გაღიზიანებას იწვევს და მათ ფსიქიკაზეც ცუდად აისახება.

**Mariam Jomidava**
Caucasus International University
Undergradute Studies
**Scientific Supervisor: Khatuna Kacharava**
Doctor, Associate Professor

## “Coverage of Cultural Issues in Newscasts in Georgia” (on the Example of TV Company "Mtavari"; Research Period 04/10/23-31/10/23)

Media coverage of cultural issues is of great importance for human development. This topic, along with its relevance, is quite complex. It is noteworthy, that cultural issues are less covered in the majority of the media in Georgia. The primary aim of our research is to investigate whether cultural topics are really covered in the media and if they are, how much time is devoted to them. Bringing cultural topics to the forefront is important, because the country, possessing a lot of cultural values, should develop in this direction as well, and the media plays a major role in all of this. The subject of our research is "Mtavari" news program of TV company "Mtavari", more precisely, the main news program of the evening. One hour is allocated for the program in the broadcasting network and is aired every day, except Sundays, at 21:00. According to the hypothesis, the majority of stories in the "Mtavari" news broadcasts refer political topics, and cultural issues do not take up very large space in the news network. Based on the studied material, it is obvious that most of the stories in the "Mtavari" news broadcasts are related to political topics, which irritates the public and has a bad influence on their psyche.

**მონიკა გაბელია**
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მინდიაშვილი**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## რუსეთ-საქართველოს ომის რეფლექსიები აფხაზურ პრესაში

მე-20 საუკუნის 90-იანი წლების მოვლენები, კონკრეტულად, აფხაზეთის კონფლიქტი არაერთი განსხვავებული დარგისა და პროფილის მკვლევრის ინტერესის საგანია, როგორც ქართულ, ასევე აფხაზურ თუ საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში. საკითხმა მულტიდისციპლინური ხასიათი მიიღო იმდენად, რამდენადაც მეცნიერები კონფლიქტის სხვადასხვა ასპექტს იკვლევენ, რაც სრულიად ბუნებრივია იმდენად, რამდენადაც კონფლიქტის გენეტიკა მრავალი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და საინტერესოა, როგორც კონფლიქტოლოგებისთვის, ასევე ფსიქოლოგების, ლიტერატურათმცოდნეების, ჟურნალისტებისა თუ ანთროპოლოგებისთვის. ქართულ-რუსული (აფხაზური) კონფლიქტის შესწავლის თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო რაკურსი პრესაა, პრესამ ასახა და დღემდე ასახავს იმ მოვლენებს, პოზიციებს, თუ დამოკიდებულებებს, რომლებბიც თან ახლავს, ერთი მხრივ, კონფლიქტის მიმდინარეობას, ხოლო, მეორე მხრივ, კონფლიქტის

შემდგომ პერიოდს. აღსანიშნავია, რომ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხები მყისიერად წარმოჩინდა აფხაზურ პრესაში.

ამ ეტაპზე ჩვენი კვლევის საგანია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის რეფლექსიები აფხაზურ პრესაში. აღსანიშნავია, რომ როგორც ქართველმა, ასევე აფხაზმა ავტორებმაც ასახეს ქართულ-აფხაზური კონფლიქტი. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ქართულ სამეცნიერო სივრცეში აღნიშნული კონფლიქტი გაშუქებულია ქართული პოზიციიდან, რაც შეეხება აფხაზურ სამეცნიერო სივრცეს, ასახულია აფხაზური პოზიციიდან. ვფიქრობ, აფხაზი ავტორებისა და ჟურნალისტების შემოქმედებისა თუ შეხედულებების განხილვა საინტერესოა იმ კუთხით, რომ აღნიშნულის გაცნობა, საშუალებას მოგვცემს, გავიგოთ მათი დამოკიდებულებები, განწყობები და აზრი ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან დაკავშირებით.

**Monika Gabelia**
Sokhumi State University
Doctoral
**Scientific Supervisor: Nino Mindiashvili**
Doctor, Associate Professor

## Reflections of the Russian-Georgian War in the Abkhazian Press

The events occurred in the 90s of the 20th century, especially the conflict in Abkhazia is the subject of interest of many researchers from different fields and with the various profiles, not only in the Georgian and Abkhazian scientific spaces but also at the international level. The issue has multidisciplinary characteristics as the scientists are researching the different aspects of the conflict which is not surprising if we take into consideration the genetics of the conflict which gives the opportunity of various interpretations. Thus, the conflict draws the attention of not only conflictologists but also of psychologists, literary experts, journalists or anthropologists. Regarding the researching Georgian-Russian (Abkhazian) conflict, one of the most interesting points can be press analysis as it reflected and is still reflecting the events, positions and attitudes existing during the conflict on the one hand and on the other hand the post conflict period as well. It should be noted that issues related to the Georgian-Abkhazian conflict immediately appeared in the Abkhazian press. Currently, the subject of our research is the reflections of the Georgian-Abkhazian conflict in the Abkhazian press. It is worth mentioning that the conflict was reflected from both Georgian and Abkhazian authors. The significant point is that the mentioned conflict was represented from Georgian perspective in the Georgian scientific space and in opposite, it depicted Abkhazian perspective in the Abkhazian scientific space. In my opinion, being aware of the work of the Abkhazian authors and journalists is interesting and important as it gives us the possibility to find out more about their attitudes, viewpoints and opinions regarding the Georgian-Abkhazian conflict.

# სექცია
# SECTION

## სამართალი
## LAW

ქვესექცია SUBSECTION

სისხლის სამართალი CRIMINAL LAW

**გულჩინა ახმედოვა, სოფიკო კომახიძე**
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბადრი ნიპარიშვილი**
მაგისტრი, მოწვეული ლექტორი

## მოსამართლის თვითინიციატივის ფარგლები აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის გადასინჯვისას

საკონფერენციო თემა შეეხება პატიმრობის გადასინჯვასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკაში არსებულ პრობლემებს, მიმოხილული იქნება უცხოური საკანონმდებლო და სასამართლო ბაზა და შემოთავაზებული იქნება რეკომენდაციების პაკეტი - საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები, რაც უნდა გაითვალისწინონ მოსამართლეებმა პატიმრობის გადასინჯვისას. პატიმრობის, როგორც უკიდურესი ღონისძიების გამოყენება, მხოლოდ აუცილებლობისას შეიძლება, სათანადო დასაბუთებით. სასამართლო ვალდებულია პატიმრობის გადასინჯვისას საკუთარი პოზიცია დამაჯერებლად დაასაბუთოს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, სასამართლო კონტროლის გავრცელება პატიმრობის გადასინჯვისას აუცილებელია, რათა ბრალდებულს უფლებები უკანონოდ და არაპროპორციულად არ შეეზღუდოს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, სასამართლოს მიერ პატიმრობის გადასინჯვისას მტკიცების ტვირთი აღნიშნული აღკვეთის ღონისძიების გაგრძელების საჭიროებაზე ეკისრება სახელმწიფოს. გარდა იმისა, რომ გახანგრძლივებული პატიმრობა თავისუფლებას უზღუდავს ბრალდებულს, იგი ასევე ხელს უწყობს საპატიმრო დაწესებულებათა გადატვირთულობას. ხშირ შემთხვევაში სასამართლო არ ასაბუთებს, თუ რატომაა პატიმრობის ვადის გაგრძელება აუცილებელი და მხოლოდ კანონისმიერი სავალდებულო თვითინიციატივის გამო განიხილავს მას. სწორედ ამიტომ არის ეს საკითხი პრობლემური, ამასთანავე, აქტუალური.

**Gulchina Akhmedova, Sopiko Kmakhidze**
Sulkhan-Saba Orbeliani University
Master
**Scientific Supervisor: Badri Niparishvili**
Master, Visiting Lecturer

## The Scope of Judicial Self-initiation During Pretrial Detention Review

The conference theme is about the problems in judicial practice related to pretrial detention review, the foreign legal and judicial framework will be reviewed and a package of recommendations will be offered - international legal standards - that judges have to take into account. Imprisonment as an "ultima ratio" can be used only in case of necessity, with proper justification. The court is obliged

to convincingly justify its position when reviewing pretrial detention. According to the definition of the European Court of Human Rights, the spread of judicial control during the review of imprisonment is necessary so that the accused's rights are not restricted illegally and disproportionately. Also, according to the definition of the European Court of Human Rights, the burden of proving the need for the continuation of the above-mentioned measures of restraints rests with the state when the detention is reviewed by the court. In addition to the fact that prolonged imprisonment limits the freedom of the accused, it also contributes to the overcrowding of prison facilities. In many cases, the court does not justify why the extension of the prison term is necessary and considers it only due to the legally binding self-initiative. That is why this issue is problematic and urgent.

**ანა ღურწკაია**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი დგებუაძე**
დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

## გენდერული ნიშნით მკვლელობათა კვალიფიკაცია სისხლის სამართალში

„მამაკაცების მიერ ქალების მკვლელობა იმიტომ, რომ ისინი ქალები არიან“, წარმოადგენს ქალთა უფლებების შელახვის უკიდურეს ფორმას. 21-ე საუკუნეში, იმ ეპოქაში, რომელშიც გენდერული თანასწორობა უნდა იყოს დაცული და სოციალური იარლიყები, ფუნქციები - უგულვებელყოფილი, მაინც შევხვდებით ქალების მიმართ განხორციელებულ არაადეკვატურ ძალმომრეობას, რაც გამოწვეულია იმით, რომ საზოგადოება ქალებს აღიქვამს სუსტი სქესის წარმომადგენლებად და ზოგჯერ კუთვნილების, ეჭვიანობის, დაუმორჩილებლობის გამო ქალები სწორედ მისი მსხვერპლი ხდება.

არსებობს UN Women-ის სტატისტიკა, რომელიც გვამცნობს, რომ ყოველდღიურად მსოფლიოში 133 ქალი ხდება ოჯახის წევრის მსხვერპლი, სწორედ იმის გამო, რომ ისინი მდედრობითი სქესის წარმომადგენლები არიან და მათ, როგორც საკუთარ ქონებას, ისე აღიქვამენ.

საქართველოს სტატისტიკას თუ შევეხებით, ვნახავთ, რომ ფემიციდის მაჩვენებელი მზარდია. 2021 წელს საქართველოში 31 ქალი მოკლეს, 2020 წელს - 27, 2019 წელს კი ქვეყანაში ფემიციდის 22 შემთხვევა აღირიცხა. საკანონმდებლო დონეზე გამკაცრდა დამამძიმებელი გარემოებით მკვლელობის კვალიფიკაცია და ამჟამად შეადგენს თექვსმეტიდან ოც წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთას, თუმცა ნიშანდობლივია, რომ სიტყვა ,,ფემიციდი” სისხლის სამართალში არც ერთხელ არაა ნახსენები, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელის დარქმევა გენდერული ნიშნით მკვლელობის შემთხვევში ჯერ კიდევ პრობლემატურია.

პრობლემატურია ის საკითხიც, რომ, ხშირად ყოფილა შემთხვევა, როდესაც სასამართლოს აშკარად გენდერის ნიშნით ჩადენილი ქმედება დაუკვალიფიცირებია, როგორც ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი მკვლელობა, რაც იმაზე მოწმობს, რომ ჯერ-ჯერობით მკვეთრი ხაზი არაა გავლებული გენდერის ნიშნით მკვლელობასა და ოჯახის წევრის მკვლელობას შორის, რადგან მკვეთრი პოზიციის დაფიქსირება იმაზე, რომ ქალს სწორედ იმიტომ კლავენ, რომ სოციალური ფუნქცია ,რომელიც მას ბრბომ მიანიჭა, არ შეასრულა, რატომღაც წარმოადგენს გამიჯვნისთვის რთულ საგანს საზოგადოებაში, რაც აუცილებლად გამოსასწორებელია და, შესაბამისად, პრაქტიკაშიც მნიშვნელოვანი ცვლილებებია გასატარებელი ამაზე დაყრდნობით.


**Ana Gurtskaia**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Giorgi Dgebuadze**
Doctor, Assistant Professor


## Qualification of Gender-based Murders in Criminal Law

"Men killing women because they are women" is an extreme form of violation of women's rights. In the 21st century, in an era where gender equality should be protected and social labels, functions - neglected, we will still encounter inadequate violence against women, which is caused by the fact that society perceives women as representatives of the weaker sex, and sometimes women because of belonging, jealousy, disobedience They are their victims. There are UN Women statistics that inform us that every day 133 women in the world are victimized by a family member, precisely because they are female and they perceive them as their property. If we look at the statistics of Georgia, we will see that the rate of femicide is increasing. In 2021, 31 women were killed in Georgia, in 2020 - 27, and in 2019, 22 cases of femicide were recorded in the country. At the legislative level, the qualification of murder with aggravating circumstances has been tightened and currently amounts to sixteen to twenty years or life imprisonment, although it is significant that the word "femicide" is never mentioned in the criminal law, which means that, unequivocally, calling a name in the case of gender-based murder is still problematic... Also problematic is the fact that there have often been cases where the court has not qualified an act committed on the basis of gender as murder against a family member, which indicates that a sharp line has not yet been drawn between murder on the basis of gender and the murder of a family member, because thinking of a sharp position on that a woman is killed precisely because she did not fulfill the social function assigned to her by the crowd, somehow represents a difficult subject for separation in society, which must be corrected, and therefore, important changes in practice should be made based on this.

**გულიკო ახალკაცი, ლიზი ღაღანიძე**
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი გლაზოვი**
დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი

## სუროგაციის სოციალურ-სამართლებრივი პრობლემები 21-ე საუკუნეში

თანამედროვე სამყაროში სუროგაცია აქტუალური საკითხია და საზოგადოება მას სხვადასხვა ჭრილში განიხილავს. ადამიანთა გარკვეული ნაწილი მას მორალურად გაუმართლებელ ქმედებად მიიჩნევს. ნაწილი მას მეცნიერების მნიშვნელოვან მიღწევად მიიჩნევს და თვლის, რომ უშვილობის პრობლემის აღმოფხვრისათვის საუკეთესო გზაა. აღსანიშნავია, რომ სუროგაციას განმარტავენ, როგორც ექსტრაკორპორაციულ განაყოფიერებას, რაც ლათინურიდან მომდინარეობს extra- გარედან, corpus- სხეული, ანუ განაყოფიერება მშობლების სხეულს გარეთ. ზოგადად კი სუროგაცია არის პროგრამა, როდესაც მშობელი მუცლით ატარებს ნაყოფს, თუმცა აღნიშნული არ წარმოადგენს თავის ბიოლოგიურ შვილს. ნაშრომის მიზანია, უკეთ გამოიკვეთოს სუროგაციის სოციალურ-სამართლებრივი პრობლემები.

სიღრმისეულად იქნას გაანალიზებული აღნიშნული საკითხის ცნება და სახეები. ასევე, განიხილება საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებული პრეცედენტები. ნაშრომის სხვადასხა ეტაპზე წარმოდგენილი მსჯელობა დამყარებული იქნება შედარებით-სამართლებრივ ასპექტებზე. გარდა ამისა, გამოიკვეთება სუროგაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები და საზოგადოების დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხაზი გაესმება დღევანდელ რეალობაში არსებულ პრობლემებს, რომლებიც თან ერთვის სუროგაციის პროგრამის განვითარებას და შემოთავაზებული იქნება მისი გადაჭრის ალტერნატიული გზები.

ნაშრომში წარმოდგენილი მასალა მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ საზოგადოებაში დამკვიდრებულ კრიტიკულ შეკითხვებს პასუხი გაეცეს და ობიექტურად იქნას განხილული სტერეოტიპული ხედვები.

**Guliko Akhalkatsi, Lizi Ghaghanidze**
Ilia State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Giorgi Glazovi**
Doctor, Visiting Lecturer

## Socio-legal Problems of Surrogacy in the 21st Century

In the modern world, surrogacy is an actual issue, and society discusses it in different ways. Some people consider it a morally unjustifiable act. Some consider it as a wonderful achievement of science and believe that it is the best way to eliminate the problem of infertility. It should be noted that surrogacy is defined as extracorporeal insemination, which comes from the Latin extra-outside,

corpus-body, i.e. insemination outside the body of the parents. In general, surrogacy is a program when the mother carries a fetus in her womb, although it does not represent her biological child. The purpose of the scientific work is to better outline the socio-legal problems related to surrogacy. The concept and aspects of the mentioned issue should be analyzed in depth. Also, precedents in Georgia and foreign countries are discussed. The reasoning presented at the different stage of the work will be based on comparative-legal aspects. In addition, the pros and cons of surrogacy and the public's attitude towards this issue will be highlighted. It should be noted here that the problems in today's reality, which are attached to the development of the surrogacy program, will be highlighted and alternative ways of solving it will be proposed. The material presented in the work will allow us to answer critical questions established in society and objectively consider stereotypical views.

**მარიამ გელაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გია მეფარიშვილი**
დოქტორი, პროფესორი

### პირობით ვადამდე გათავისუფლების გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტის შეფასება და ანალიზი თანამედროვე ქართულ სამართალში

წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება თანამედროვე ქართულ სამართალში პირობით ვადამდე გათავისუფლების გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტის შეფასებასა და ანალიზს, რაც ემყარება არსებული პრაქტიკისა და მარეგულირებელი კანონმდებლობის ფუნდამენტურ კვლევას. ზემოხსენებული თემის აქტუალურობა განაპირობა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის არასახარბიელო მდგომარეობამ, აგრეთვე, არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის არსებობამ, ამასთან, ხსენებულ კონცეპტთან დაკავშირებით ზოგადსამართლებრივი გამოკვლევების სიმცირემ, ვინაიდან პირობით ვადამდე გათავისუფლების გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტი ფაქტობრივად გამოუკვლეველია, რასაც ადასტურებს ის გარემოებაც, რომ იგი მეცნიერული კვლევის ინტერესის საგანი არასოდეს ყოფილა, ნაშრომი მიზნად ისახავს დადგინდეს პირობით ვადამდე გათავისუფლების გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტის რაობა და სამართლებრივი ბუნება, შეფასდეს მისი ადეკვატურობა და ეფექტურობა, განისაზღვროს პრაქტიკაში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის გზები, ასევე, შემოთავაზებული იქნას მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები აღნიშნულ თემასთან მიმართებით სამართლებრივი ურთიერთობების სრულყოფისათვის.

ნაშრომში მოცემული დასკვნები, დებულებები და რეკომენდაციები, ამასთან, წარმოდგენილი პრობლემების თავმოყრილი ანალიზი გარკვეულწილად გაუადვილებს ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს ორიენტირებულად წარმართონ მეცნიერული კვლევის პროცესი.

**Mariam Gelashvili**
Caucasus International University
Doctoral
**Scientific Supervisor: Gia Meparishvili**
Doctor, Professor

## Assessment and Analysis of the Standard of Justification of Parole Decision in Modern Georgian Law

The presented paper is dedicated to the evaluation and analysis of the standard of justification of the decision on parole in modern Georgian law, which is based on the fundamental research of the existing practice and regulatory legislation. The relevance of the above-mentioned topic was determined by the unfavorable state of the domestic legislation, as well as the existence of non-homogeneous judicial practice and the lack of general legal studies regarding the mentioned concept, since the standard of justification of the decision on conditional release is actually unexplored, which is also confirmed by the fact that it has never been the subject of interest in scientific research. The aim of the work is to determine the amount and legal nature of the standard of justification of the decision on parole, to evaluate its adequacy and effectiveness, to determine the ways of solving the problems raised in practice, and also to offer scientifically substantiated recommendations for the perfection of legal relations in correspondence with the mentioned topic. The conclusions, provisions and recommendations mentioned in the paper, along with the collected analysis of the presented problems, will make it easier for those interested in this issue to conduct the scientific research process in a focused manner.

**ელენა მოსულიშვილი, თათია კოტია**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: კახი სამხარაძე**
მაგისტრი, მოწვეული ლექტორი

## ოჯახში ძალადობის პრევენცია

ძალადობა საკმაოდ გავრცელებული და ერთ-ერთი ყველაზე მწვავე გლობალური პრობლემაა. ხშირად ძალადობის მსხვერლის ფსიქო-ემოციური ფონი მძიმეა, დაუცველი რჩება მისი ჯანმრთელობა, ხშირ შემთხვევაში კი ოჯახში ძალადობის შედეგი ფატალურია.

საქართველოში გასული წლების მანძილზე აღნიშნული საკითხი დამალული და ტაბუირებული იყო. საზოგადოება ფიქრობდა, რომ ოჯახში ძალადობა არა კანონში

მოქცეული დანაშაული, არამედ ოჯახის პირადი საქმე იყო. დღეს ეს თემები საზოგადოებაში ინტერესს და აქტუალობას არ კარგავს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონფერენციო ნაშრომის მიზანია, განსაზღვროს ოჯახის წევრის, მოძალადისა და მსხვერპლის ცნება, იმსჯელოს ძალადობის ფორმებზე, ასევე შეეხოს იმ ძირითად კონსტიტუციურ უფლებებს, რომლებიც ოჯახში ძალადობის დროს ირღვევა. მნიშვნელოვანია განიხილოს ის სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც იცავს დაზარალებულს, შეაჯამოს ოჯახში განხორციელებული ძალადობის სტატისტიკა, მიმოიხილოს დამცავი და შემაკავებელი ორდერები, მისი ეფექტურობა, განიხილოს საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც მომზადდა გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან აქტიური თანამშრომლობით ოჯახში ძალადობის ელექტრონული მონიტორინგის შესახებ და საბოლოოდ, შეაჯამოს ოჯახში ძალადობის პრევენციის სამართლებრივი მექანიზმები.

აღნიშნული საკითხების განხილვა უფრო მეტად აამაღლებს საზოგადოებაში ცნობიერებას და ხელს შეუწყობს აღმოიფხვრას ოჯახში ძალადობის პრობლემა.

**Elena Mosulishvili, Tatia Kotia**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Kakhi Samkharadze**
Master, Visiting Lecturer

## Prevention of Domestic Violence

Violence is widespread and one of the most pressing global problems. Often the psycho-emotional background of the victim is severe, his health remains vulnerable, and in many cases the result of domestic violence is fatal. During the past years in Georgia, the mentioned issue was hidden and taboo. Society thought that domestic violence was not a crime under the law, but a private matter of the family. Today, these topics do not lose their interest and relevance in society. This paper aims to address several key aspects related to domestic violence, define the concept of family member, to discuss the forms of violence, mention the basic constitutional rights that are violated. mechanisms that protect the victim. To discuss the justice mechanisms that have an impact, summarize the statistics of domestic violence, to review protective and restraining orders, their effectiveness, consider the legislative amendment, which was prepared in active cooperation with the United Nations Women's Organization on the electronic monitoring of domestic violence, to determine its effectiveness and summarize the legal mechanisms of the prevention of domestic violence. Discussing these issues will raise awareness in the society and help to eliminate the problem of domestic violence.

**ლაშა სვინტრაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: სერგო ჭელიძე**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვის გარანტიები ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის წარმოებისას

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის წარმოებისას, ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიების გასაძლიერებლად უმთავრესია შემდეგი: თანამდებობაზე დანიშვნამდე შემოწმდეს ოპერატიული მუშაკის კეთილსინდისიერება და მოხდეს მისი პიროვნების ანალიზი - ხშირ შემთხვევაში, ოპერატიული მუშაკის კეთილსინდისიერებაზე ბევრია დამოკიდებული.

სახელმწიფომ ოპერატიულ მუშაკს უამრავი დისკრეციული უფლებამოსილება მიანიჭა. ამიტომ, მნიშვნელოვანია, იგი კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად მოქმედებდეს. გამოკითხვისას მოხდეს ფოტოგადაღების მკვეთრად შეზღუდვა - გადაღების შემთხვევაში, შემოწმების შემდეგ გამოკითხული პირის თანდასწრებით დაუყონებლივ განადგურდეს მოპოვებული მასალა. ეს უნდა გახდეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება, ნდობის გაზრდის თვალსაზრისით.

„ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების მაქსიმალური ვადა, ნაცვლად 12 თვისა, განისაზღვროს 9 თვემდე. 12 თვე დიდი დროა, თუნდაც, უკიდურეს შემთხვევაში, პირს ვადევნებთ თვალს და მან არაფერი იცის. მოსაფიქრებელია ის გონივრული ვადა, რაც მიზანშეწონილიც იქნება და სწრაფ მართლმსაჯულებასაც შეუწყობს ხელს. აღნიშნულ ვადად, 9 თვეს მივიჩნევ. თუ პირის ბრალეულობა ამ დროში არ დადასტურდა, უცნაურია შემდგომ პერიოდში ეს მოხდეს.

**Lasha Svintradze**
Caucasus International University
Master
**Scientific Supervisor: Sergo Chelidze**
Doctor, Associate Professor

## Guarantees of Protection of Basic Human Rights During Operational-search Activities

In order to strengthen the guarantees of human rights protection, the following is of utmost importance in conducting investigative activities: Before being appointed to the position, the integrity of the operational worker is checked and his personality is analyzed - in many cases, a lot depends on the integrity of the operational worker, therefore, it is important that he acts in accordance with the principle of integrity. During the interview, photography should be strictly limited - in case of photography, after the inspection, in the presence of the interviewed person,

the obtained material should be destroyed immediately. This should become one of the most important measures in terms of increasing confidence. According to the Law of Georgia "On Operational Search Activities", the maximum term of operational-search activities should be determined to 9 months instead of 12 months. 12 months is a long time, even if, in extreme cases, we are following a person and he does not know anything. A reasonable term should be considered, which would be appropriate and would promote speedy justice. I consider this period to be 9 months. If a person's guilt is not proven during this time, it is strange if it happens later.

**თამარ ლომიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: სერგო ჭელიძე**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

### ადამიანის ემოციის ლეგიმეტრია სისხლის სამართალში

ემოციის როლის დიმენსიოლოგია, შესაძლოა, ორი ძირითადი ასპექტით განვიხილოთ. ემოციის როლი, როგორც საფრთხე სამართლის მეცნიერებისთვის, ვინაიდან მისმა დომინირებამ, შესაძლოა, განაპირობოს სამართლის მეცნიერების ილუზორულ ცნებად გარდაქმნა და ემოციის როლი, როგორც საჭიროება, ვინაიდან ემოციის ლეგიმეტრიის გვერდის ავლით სისხლის სამართლის მართლმსაჯულება მუშაობს ერთიანი მიდგომით, რაც ცალკეული და ურთიერთგანსხვავებული შემთხვევების ერთიანი მართლმსაჯულების პრინციპისადმი დაქვემდებარებას მოიაზრებს, აღნიშნული კი არ არის ჰარმონიულ დამოკიდებულებაში სამართლის იდეასთან.

წინამდებარე ნაშრომი არის მცდელობა ადამიანის ემოციის როლის განსაზღვრისა სისხლის სამართალში.

**Tamar Lomidze**
Caucasus International University
Master
**Scientific Supervisor: Sergo Chelidze**
Doctor, Associate Professor

### Legitimacy of Human Emotion in Criminal Law

The dimensionality of the role of emotion can be considered in two main aspects. The role of emotion as a threat to the science of law, since its dominance may lead to the formation of the

science of law as an illusory concept, and the role of emotion as a necessity, since there are several cases where bypassing the legitimacy of emotion, criminal justice works with a unified approach, which is a single and mutually exclusive case. It implies submission to the principle of justice, and this is not in harmony with the idea of law.

This paper is an attempt to determine the role of human emotion in criminal law.

**თეონა გელაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: სერგო ქელიძე**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## უვადო თავისუფლების აღკვეთა, როგორც სიკვდილით დასჯის ალტერნატივა

უვადო თავისუფლების აღკვეთა, როგორც სიკვდილით დასჯის ალტერნატივა, შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი თანამედროვე მსოფლიოს დიდი გამოწვევაა. დღევანდელი მსოფლიო, რომელიც ქადაგებს ჰუმანურობას და ზენიტში აჰყავს ადამიანის უფლებები სიცოცხლის უფლებით დაწყებული - თავისუფლების უფლებით დამთავრებული, რა თქმა უნდა, წინააღმდეგ გამოდის სიკვდილით დასჯისა.

სიკვდილით დასჯა უკიდურესად რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია. თანამედროვე სამყაროში სულ უფრო ცოტაა ისეთი ქვეყანა, რომლებიც მზადა არიან მოკლან საკუთარი მოქალაქეები. საზოგადოებაში სასჯელის უმაღლესი ზომის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება იზრდება, შესაბამისად, სულ უფრო მეტი სახელმწიფო აუქმებს აღნიშნულ სასჯელს, ან თავს იკავებს მისი აღსრულებისაგან.

რთული წარმოსადგენია, მაგრამ, არც თუ ისე, შორეულ წარსულში, გასულ წელს აშშ-ს შტატში, ალაბამაში, მოხდა სიკვდილით დასჯა ახალი მეთოდით, აზოტის ჰიპოქსიით. გაეროს ექსპერტები მოუწოდებდნენ ამერიკას, არ გამოეყენებინა ჰიპოქსია, მათი თქმით, შესაძლოა სასჯელის ამგვარი გზით აღსრულებას გამოეწვია „სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა, ან თუნდაც მტანჯველი სიკვდილი, რომელიც პიროვნების წამებად იქცევა“. აღნიშნული მეთოდი გამოიყენეს პირველად მსოფლიოში. აზოტის ჰიპოქსიით სიკვდილით დასჯა გამოიყენეს 58 წლის კენეთ იუჯი სმიტზე, რომელსაც ბრალი ედებოდა 1988 წელს მღვდლის მეუღლის შეკვეთილ მკვლელობაში.

**Teona Gelashvili**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Sergo Chelidze**
Doctor, Associate Professor

## Life Imprisonment as an Alternative to the Death Penalty

Life imprisonment as an alternative to the death penalty can be said to be a great challenge in today's modern world. Today's world, which preaches humanity and places human rights at its zenith, starting with the right to life and ending with the right to liberty, is certainly against the death penalty. The death penalty is an extremely complex and controversial process. There are fewer and fewer countries in the modern world that are willing to kill their own citizens. The negative attitude towards the higher punishment is growing in the society, therefore, more and more states are canceling the said punishment or abstaining from its execution. It's hard to imagine, but in the not so distant past, last year in the US state of Alabama, there was a new method of execution, nitrogen hypoxia. UN experts urged the US not to use hypoxia, which they said could lead to "cruel, inhuman and degrading treatment, or even excruciating death, amounting to personal torture". This method was used for the first time in the world. The death penalty by nitrogen hypoxia was used on 58-year-old Kenneth Eugene Smith, who was accused of the 1988 murder of a priest's wife. The verdict was executed on January 25, 2023.

**ნინო წიკლაური, ნატო წიკლაური**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ირომაშვილი**
დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი

## ნარკომანია-საფუძველი მშობლის უფლების ჩამორთმევის

ნარკოტიკის მოხმარება ყოველთვის იყო პრობლემური საკითხი როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო დონეზე. ჩვენი ნაშრომის მიზანია, განიხილოს, რამდენად უარყოფითი ზეგავლენა აქვს ბავშვებზე მშობლის მიერ ნარკოტიკის მოხმარებას. მშობლის უფლებები და მოვალეობები ჩვენი კანონმდებლობით ზედმიწევნით არის ჩამოყალიბებული. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების ჩამორთმევა უკანასკნელი ზომაა.

მშობელი, რომელიც სისტემატურად თავს არიდებს მშობლისათვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებას/არაჯეროვნად იყენებს მშობლის უფლებებს, უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვზე, სწორედ ამიტომ ნარკოტიკის მომხმარებელ მშობელს ჩამოერთმევა მშობლის უფლება და მოვალეობა.

მოგეხსენებათ, ნებისმიერი ნარკოტიკული საშუალება არა მხოლოდ პირის ფიზიკურ თუ მენტალურ ჯანმრთელობაზე ახდენს უარყოფით გავლენას, არამედ მის გარშემო მყოფ ადამიანებზეც.

ნარკომანია არა მხოლოდ ცალკეული ინდივიდის პრობლემაა, არამედ ამ დაავადების კომპლექსურობა და დაძლევის სირთულე მისი უარყოფითი ზემოქმედების ფარგლებში გამოიხატება, რომელიც ხშირად აზროვნების რადიკალურ ცვლილებას/სოციალურ ნგრევას იწვევს პიროვნებაში. ჩვენი მსჯელობის მიზანია, განვიხილოთ, რა უარყოფითი გავლენა აქვს ნარკოტიკის მოხმარებას ბავშვის ფსიქიკაზე. აღვწერთ და მოვიშველიებთ ნარკოდამოკიდებული მშობლის მიერ შვილზე გავრცელებული უარყოფითი ზემოქმედების დამადასტურებელ ფაქტებს და იმ სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომლებიც განსახილველ თემას შეესაბამება.

**Nino Tsiklauri, Nato Tsiklauri**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Ketevani Iromashvili**
PhD Student, Visiting Lecturer

## Drug Addiction-basis for Deprivation of Parental Rights

Drug using has always been a problematic issue both in Georgia and internationally. My work aims to discuss the negative effect of using drugs. The rights and duties of parents are carefully established by our legislation. In general, deprivation of parental rights and duties is the last measure. A parent who systematically avoids fulfilling parental responsibilities and misuses parental rights has a negative impact on the child. A drug-using parent will be deprived of parental rights and duties. Parental substance addiction is subject to our review and deliberation. As you know, drug has a negative impact not only on a person's physical or mental health, but also on the people around him. Drug addiction is not only a problem of an individual, but the complexity of this disease and the difficulty of overcoming it are expressed within its negative effects, which often lead to a radical change of thinking or social destruction in a person. The purpose of my discussion is to discuss the negative impact of using drug. Let me describe accurately, those court decisions, which are strictly consistent with the topic we are discussing.

**ნინო ლომაშვილი, ირაკლი კეთილაძე**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: მიხეილ სადრაძე**
მაგისტრი, მოწვეული ლექტორი

## ფულის გათეთრების ქართული და საერთაშორისო სტანდარტები

ნაშრომი ეხება ფულის გათეთრების საერთაშორისო და ქართულ სტანდარტებს, მათ მსგავსებაგანსხვავებებს. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულის გამოყენება განმტკიცებულია ისეთი საერთაშორისო კონვენციებით როგორებიცაა: 1990 წლის სტრასბურგისა და ვარშავას 2005 წლის კონვენციები. ფულის გათეთრება, როგორც ტრანსანციონალური დანაშაული მოცემულია პალერმოს ოქმში, რომლის წევრიცაა საქართველო. სწორედ აღნიშნულის საფუძველზე შეკავშირდნენ სახელმწიფოები საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. საქართველოს კანონმდებლობა ფულის გათეთრების დანაშაულის შემადგენლობის, საპროცესო ღონისძიებების, ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობის მექანიზმებთან მიმართებით, სრულად თანხვედრაშია საერთაშორისო კონვენციურ სტანდარტებთან თუმცა არსებობს გარკვეული განსხვავებები და გამოწვევები. ნაშრომში განსაზღვრულია დანაშაულის წარმოშობის მიზეზები როგორიცა: ეკონომიკურ-გლობალური და პოლიტიკური მიზეზები. ქვეყნებს შორის თანამშრომლობის მიზნით განხილულია ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები როგორიცა ფინანსური სამოქმედო სამუშაო ჯგუფი “FATF” მთავრობათშორისი ორგანიზაციები რომლებიც ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის წინააღმდეგო ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტებს ადგენენ, ასევე ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების შემფასებელი ორგანიზაცია „Moneyval” და განხილული იქნება საქართველოს დამოკიდებულება მათ სტანდარტებთან მიმართებით.

**Nino Lomashvili, Irakli Ketiladze**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Mikheil Sadradze**
Master, Visiting Lecturer

## International and Georgian Standards of Money Laundering

The work deals with international and Georgian standards of money laundering, their similarities and differences. The use of money obtained through crime is strengthened by such international conventions as: the 1990 Strasbourg Convention and the 2005 Warsaw Convention. Money laundering as a transnational crime is included in the Palermo Protocol, of which Georgia is a member. It is on this basis that the states united to fight against international crime. Georgian legislation on the composition of the money laundering crime, procedural measures, local and international cooperation mechanisms is fully in line with international conventional standards,

although there are some differences and challenges. The paper defines the causes of crime, such as: economicglobal and political reasons. For the purpose of cooperation between countries, such international organizations as the Financial Action Task Force "FATF", intergovernmental organizations that establish international standards for combating money laundering and terrorism, as well as the organization for evaluating anti-money laundering measures "Moneyval". ", the attitude of Georgia in relation to their standards is discussed and discussed.

**შალვა ღაღანიძე, თამაზ შარიქაძე**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: მიხეილ სადრაძე**
მაგისტრი, მოწვეული ლექტორი

## ფემიციდის უარყოფის პრობლემატიკა სასამართლოს განაჩენებით

პირველ რიგში, სამართლებრივად რელევანტურია აღინიშნოს, რომ ფემიციდი ესაა მკვლელობა ჩადენილი გენდერის ნიშნით, ქალის მიმართ, რაც გამოწვეულია ქალისა და მამაკაცის როლის არასწორი აღქმითა და გააზრებით, რასაც ხშირ შემთხვევაში მივყავართ აღნიშნული დანაშაულის ჩადენამდე. პრობლემა არის საერთო, სოციალური საშიშროების მქონე, რომელთან ბრძოლაც მრავალჯერადი ხასიათის უნდა იყოს და მკაცრი ღონისძიებები გატარდეს, არამარტო პროკურატორის, არამედ საერთო სასამართლოების მხრიდანაც. წინამდებარე ნაშრომის მთავარი მიზანიც იქნება ის, რომ წარმოჩენილ იქნეს არსებული პრაქტიკის ხარვეზი, სასამართლოს გულგრილი დამოკიდებულება ქმედების ფემიციდად კვალიფიკაციასთან მიმართებით, ხოლო პრობლემის აღმოსაფხვრელად რეკომენდაციების სახით გამოყენებული იქნება საერთაშორისო პრაქტიკა, გამყარებული კონვენციებითა და ევროპული სასამართლოების გადაწყვეტილებებით. სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს, შურისძიების, ან ეჭვიანობის ფონზე ჩადენილ მკვლელობებზე გადაწყვეტილების მიღებისას, ის თუ რა უძღოდა წინ მსგავსი მოტივის აღძვრას, შურისძიების მოტივის წარმომშობი, ხომ არ იყო გენდერული დისკრიმინაცია. ლიბერალური პოლიტიკა ნეგატიური შედეგის მომტანია, ამიტომ სასამართლომ თავი არ უნდა აარიდოს გენდერული დისკრიმინაციის გამოვლენას, რაც ამ პრობლემის აღმოფხვრისათვის ერთი დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. საკვანძო სიტყვები: ფემიციდი, გენდერული დისკრიმინაცია, სქესი.

**Shalva Ghaghanidze, Tamaz Sharikadze**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Mikheil Sadradze**
Master, Visiting Lecturer

## The Problem of Denying Femicide by Court Decisions

First of all, it is legally relevant, that femicide is a gender related killing of a woman, which is caused by wrong perception of woman and man's social role and quite often, that is what takes us to committing this actual crime. The issue is common, socially dangerous, fighting against it must be intense and strong actions needs to be held, not only by prosecutor's office, but also by general courts. Main point of aforementioned article is to show indifferent attitude from courts in accordance with qualification of femicide. And to eliminate this problem as a source of recommendation will be used international practice, based on conventions and European Court decisions. General courts need to keep in mind, how the revenge motive originated, what was the reason of it, maybe it was gender discrimination. Liberal politic brings us negative consequences, that is why general courts must not prevent disclosure of gender discrimination, on the contrary, they need to strive for revealing it, that action by courts will be one huge step forward for eliminating this problem. Keywords: femicide, gender discrimination, gender.

**მარიამ მამალაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ვლადიმერ მაჭარაშვილი**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## საგამოძიებო მოქმედებები ჩხრეკა-ამოღება

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე და 120-ე მუხლის მიხედვით, თუ პირის მიმართ დასაბუთებული ვარაუდი არსებობს, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, გარკვეული საგამოძიებო მოქმედებები იწყება, რომელთაგან ჩხრეკა-ამოღება ყველაზე აქტუალურია, რაც ხშირად გამოიყენება პრაქტიკაში, ხოლო მისი ფორმისა და წესის დაუცველობა პრობლემას წარმოადგენს. კანონის თანახმად ჩხრეკა-ამოღებას სასამართლო განჩინება ესაჭიროება, თუმცა დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, აღნიშნული ქმედება შესაძლოა განჩინების გარეშე პროკურორის დადგენილებით, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში განხორციელდეს. ამ დროისათვის, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, ცვლილებები არ გვესახება, თუმცა პრაქტიკული თვალსაზრისით, სიახლე გვაქვს და ჩხრეკა-ამოღება ვიდეო ფირის საშუალებით უნდა იყოს გადაღებული, რადგან არ მოხდეს სამართალდამცავისაგან კანონის დარღვევა და სამართლის ნორმიდან გასვლა.

ჩემი მოხსენება უკავშირდება ჩხრეკა-ამოღების იურუდიულ ბუნებას, მისი ჩატარების წესსა და პროცედურებს. კანონის საფუძველზე, თემა ეხება მოცემული საგამოძიებო მოქმედებების ძირითად კონცეფციებსა და პრაქტიკაში გამოხატულ საკითხებს. ჩხრეკა-ამოღების ვიდეო გადაღება განხილვის საგანია და შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ თემაზე საუბარი. სწორედ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმოგინდგენთ პრეზენტაციას.


**Mariam Mamaladze**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Vladimer Macharashvili**
Doctor, Associate Professor


### Investigative Actions Search-seizure

According to articles 119 and 120 of the Criminal Law Code of Georgia, if there is a justified assumption against a person that he has committed a crime, investigative actions are carried out. The most relevant of these actions is search-seizure, it is most often used in practice, and the insecurity of its form and procedure is a problematic issue. According to the law, search-seizure requires a court ruling, however, based on the practice of Georgia today, search-seizure can be carried out without a decision, by the prosecutor's decree, in case of urgent need. there are no changes in the Procedure Code of Georgia at this moment although from a practical point of view, it is new that search-seizure should be recorded on a video tape in order his law enforcement officers do not violate the law and deviate from the norm of the law.

My report is related to the legal nature of search and seizure, the manner and procedures of its conduct. Based on the law, the topic refers to the basic concepts of the given investigative action and the issues expressed in practice, video recording of search and seizure is the subject of discussion, and therefore it is important to talk about this topic. I will present the topic in relation to this issue.

**Mariam Tagvadze, Lizi Kelbakiani**
Tbilisi State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Tamar Berishvili**
Assistant

## The Dark Side of the Digital Age: Combating Human Trafficking Online- Investigations, Prosecutions, Sanctions and Measures

In today's digital age, the internet has opened new avenues for traffickers to carry out their illicit activities. Despite the numerous benefits of technology, it also presents a dark side, offering criminals unprecedented opportunities for recruitment, marketing, and exploitation. Traffickers once considered uneducated, now leverage the internet's accessibility and anonymity to fulfill their nefarious goals. With the click of a button, they can reach potential victims worldwide. It's crucial to recognize the significant role that technology plays in facilitating human trafficking and to address this issue with urgency. the transnational nature of human trafficking often requires coordination between multiple jurisdictions, further complicating investigations and prosecutions. combating human trafficking in the digital age requires a multi-faceted approach encompassing investigations, prosecutions, sanctions, and preventive measures. To sum up, as modern technology continues to evolve and integrate into our daily lives rapidly, it becomes imperative to acknowledge its darker aspects. Heightened awareness surrounding the potential risks associated with technology and the internet is crucial, especially among children and young adults.

## სექცია
## SECTION

# სამართალი
# LAW

ქვესექცია
SUBSECTION

კერძო სამართალი
PRIVATE LAW

**გრიგოლ ახალაია**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: როინ მიგრიაული**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების არსებობის გაგრძელების თავისებურებანი

დაშლილი მეწარმე სუბიექტის - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების არსებობის გაგრძელების შესაძლებლობების ფარგლები ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, წარმოდგენილია ,,მეწარმეთა შესახებ'' საქართველოს კანონის მნიშვნელოვანი და საყურადღებო ცვლილებების ფონზე იმ საკითხების ჯეროვანი წარმოჩენისთვის, რომლებმაც შედარებით ახლებურად დანერგეს დაშლილი მეწარმე სუბიექტის/სამეწამრეო საზოგადოების მიერ არსებობის გაგრძელების კონდიციები. ამავდროულად, უნდა ითქვას ისიც, რომ ,,მეწარმეთა შესახებ''საქართევლოს კანონის 87-ე მუხლი თავისივე ფორმულირებით ერთგვარი ნოვაციაა და ის აქამდე აღნიშნული კანონის წინა რედაქციებში არ გვხდებოდა.

პრობლემური საკითხები, რომელებიც დაკაშვრებულია პრაქტიკაში დაშლილი სამეწარმეო საზოგადოების არსებობის გაგრძელების შესაძლებლობების შემოწმების სირთულესა და გამოვლენასთან, განსახილველ თემას აქტუალობისა და სიახლის მხრივ მატებს სიცხადეს, იმდენად, რამდენადაც, ,,მეწარმეთა შესახებ'' კანონით დადგენილი გარემოებები არ გამოირჩევა აღნიშნული თემის მიმართ მომწესრიგებელი და მარეგულირებელი ნორმების სიუხვითა თუ სიცხადით, რაც ბუნებრივია, პრაქტიკაში მეტად პრობლემურ ფონს ქმნის.

თითოეული მდგრადად და ჯეროვნად ფუნქციონირებადი სამეწარმეო საზოგადოება, კომპანია, უნდა ექცეოდეს სახელმწიფოს ობიექტივში იმ მოტივითა და მიზნით, რომ მათ სახელმწიფოს მხრიდან კანონისა და საჯარო წესრიგის ფაგლებში, მიიღონ მეტი ხელშეწყობა, ტრამპლინის ერთგვარი ბერკეტები, რომლებიც მათ არსებობას გაახანგრძლივებს და განვითრების მეტ შესაძლებლობას მისცემს.

**Grigoli Akhalaia**
Caucasus International University
Doctoral
**Scientific Supervisor: Roin Migriauli**
Doctor, Associate Professor

## Peculiarities of the Continued Existence of a Wound-Up Company

This thesis aims to adequately demonstrate those issues that have caused a relatively new manifestation of the conditions of the continued existence of a wound-up company as a result of significant remarkable changes in the Law of Georgia on Entrepreneurs. In addition, Article 87 of

the Law of Georgia on Entrepreneurs, is a kind of innovation in its formulation and has not been found in previous editions of the above-mentioned law.

The problematic issues, which are related to the difficulty of checking and identifying the possibilities of continuing the existence of a wound-up company in practice. The latter emphasizes the relevance and novelty of the subject of the study, as the circumstances established by the Law on Entrepreneurs lack clearly defined regulatory and governing norms for the subject matter, which certainly creates a very difficult situation in practice.

Each sustainable and well-functioning entrepreneurial society, company, should be viewed through the lens of the state with the motive and purpose that they receive more support from the state within the framework of law and public order, a kind of springboard levers that will prolong their existence and give them more opportunities for development.

**ლუკა ქარდავა**
წმინდა ანდრიას სახელობის
საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: მერი კეთილაძე**
დოქტორი, პროფესორი

## სამუშაო დრო და მისი ხანგრძლივობა

XII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე მინდა წარვადგინო თემა შრომის სამართლიდან გამომდინარე საკითხზე, რომელთან დაკავშირებითაც გიგზავნით თეზისს. თეზისი უშუალოდ შეეხება, დასაქმებული პირის უფლებას, სამუშაო დროსა და მის ხანგრძლივობას, სამუშაო დროის სიმწირეს, სადაც ის არ მოიცავს შესვენების დროს, შესვენების დროის ხანგრძლივობას. უშუალოდ ყველაზე დიდ პრობლემატურ საკითხს ამ თემასთან დაკავშირებით ვხედავ იმაში, რომ შესვენების დრო არ არის ანაზღაურებადი დამსაქმებლის მიერ, როდესაც დასაქმებული შესვენების დროს იყენებს, რათა აღადგინოს ის ენერგია, რომელიც შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებაში (მისი გარკვეული დროის შესრულებაში დახარჯა) გაწია და შემდგომ დაუბრუნდეს ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შრომითი საქმიანობის განხორციელებას. შესაბამისად, შესვენების დროს იყენებს, რათა შრომითი ურთიერთობა შესრულდეს პირნათლად, სრულად და უხარვეზოდ. ამასთანავე, შესვენების დროის აუნაზღაურებლობა მას, თავის მხრივ, აიგივებს დასვენების დროსთან, რაც შეუსაბამოა. დასვენების დროს პირი არ იმყოფება დამსაქმებლის ტერიტორიაზე, რაც მას მოქმედების სრულ თავისუფლებას აძლევს, განსხვავებით შესვენების დროისაგან.

ჩემ მიერ ზემოთ მოყვანილ საკითხებს და მათი გადაჭრის გზებს წარმოვადგენ უშუალოდ კონფერენციაზე არგუმენტირებულად.

**Luka Qardava**
St. Andrew's Georgian University
Bachelor
**Scientific Supervisor: Meri Ketiladze**
Doctor, Professor

## Working Time and Its Duration

At the 12th international scientific conference, I would like to present a topic on the issue of labor law, in connection with which I am sending you a thesis. The thesis directly concerns the right of an employed person to working time and its duration, the scarcity of working time, where it does not include break time, the duration of break time I see the biggest problem with this topic is that the break time is not paid by the employer. When the employee uses the break time to restore the energy that he expended in performing the work provided for in the employment contract (he spent a certain amount of time in performing it) and then returns to the performance of labor activities provided for in the same contract Therefore, he uses the time of the break so that the labor relationship can be fulfilled clearly, fully and without any defects. Moreover, non-compensation of break time, in turn, equates it with rest time, which is inappropriate. During rest, a person is not on the employer's territory, which gives him complete freedom of action, unlike during breaks. I will present the issues mentioned above and the ways to solve them directly at the conference.

**ლანა გურეშიძე, ანა ბანცაძე**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბესარიონ ზოიძე**
პროფესორი

## ციფრული ურთიერთობების მნიშვნელობა, მოსალოდნელი საფრთხეები და სამართლებრივი დაცვის მექანიზმები

თანამედროვე ეპოქაში ციფრული ურთიერთობები უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. XXI საუკუნეში ონლიან პლატფორმები სამართლებრივი ურთიერთობის დამყარების ალტერნატიულ გზად იქცა. ელექრონულმა კომერციამ მჭიდროდ მოიკიდა ფეხი, შესაბამისად, იგი დიდი სისწრაფით ანაცვლებს ვაჭრობის კლასიკურ ფორმას. სოციალური ქსელები კომერციული თუ არაკომერციული ურთიერთობების ახალ სივრცედ გადაიქცა. დისტანციურად ურთიერთობის წარმოება, ერთი შეხედვით, მარტივი და ხელსაყრელია, მაგრამ ის, თუ რამდენად სარისკოა იგი, ამაზე ნაკლები ფიქრობს. რეალობა აჩვენებს, რომ ელექტრონულ გარიგებებს ყოველთვის არ მოჰყვება სასურველი შედეგი, რომ იგი რამდენადაც მარტივია, იმდენად სახიფათოა.

დისტანციური ურთიერთობების ეპოქაში, მნიშვნელოვანია საკითხი, თუ როგორ რეგულირდება პასუხისმგებლობის საკითხი შეცდომით დადებულ, არასასურველი შედეგის მქონე დისტანციურ ხელშეკრულებებში?! რა ბერკეტები არსებობს წარმოქმნილი საფრთხის პრევენციისათვის როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე?! ან რა სამომავლო პერსპექტივებია ციფრული ურთიერთობების განვითრების მხრივ?! კვლევის მიზანია სწორედ ჩამოთვლილ საკითხებზე მსჯელობა, არსებული პრობლემების წარმოჩენა და მათი სამართლებრივი ანალიზი, რისთვისაც ნაშრომში გამოყენებულია ისტორიული, ემპირიული, შედარებითი კვლევის მეთოდები.

**Lana Gureshidze, Ana Bantsadze**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Besarion Zoidze**
Professor

## Importance of Digital Relationships, Expected Threats and Legal Protection Mechanisms

Importance of digital relationships, expected threats and legal protection mechanisms, in the modern era, digital relationships are gaining more and more importance. In the 21st century, online platforms have become an alternative way of establishing legal relations. Electronic commerce closely implemented, therefore, it is rapidly replacing the classical form of trade. Social networks have turned into a new space for commercial or non-commercial relations. At first glance, producing a long-distance relationship is easy and convenient, but less people think about how risky it is. Reality shows that electronic transactions do not always have the desired result, that it is as easy as it is dangerous. In the era of long distance relationships, the question of how liability is regulated in erroneous distance contracts with unintended consequences is important?! What levers exist for the prevention of emerging threats both at the national and international level?! Or what are the future prospects for the development of digital relations?! The purpose of the research is to discuss the listed issues, to present the existing problems and their legal analysis, for which historical, empirical and comparative research methods are used in the work

**ლევან კუპატაძე, ლუკა კორხელი**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი ლეონიძე**
დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი

## მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე დადებული გარიგების ბათილობა სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე დადებული გარიგების ბათილობასა და მასთან დაკავშირებულ სამართლებრივ პრობლემებს. მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე დადებული გარიგების ბათილობა არის საოჯახო სამართლის რთული, განვითარებადი სფერო, რომელიც სსკ-ის 1160-ე მუხლით წესრიგდება, რაც პრობლემურს ხდის პირთა ინტერესის დაცვას ქონებაზე. როდესაც ერთ-ერთი მეუღლე დებს გარიგებას მეორისგან დამოუკიდებლად, ისე, რომ მას არ ატყობინებს/ნებართვას არ იღებს, ამით იმ პირს, რომლის გარეშეც დაიდო გარიგება, ეზღუდება სამართლებრივი ბერკეტები მისი უფლების დასაცავად. ხშირ შემთხვევაში პირის ინტერესი დაკავშირებულია უშუალოდ ამ ქონებასთან, რაც წინ მიუძღვის ერთ-ერთი მეუღლის ინტერესების შელახვას და აქედან გამომდინარე, 1160-ე მუხლის მე-2 ნაწილი ვერ უზრუნველყოფს პირის ინტერესის დაცვას ქონების მიმართ. ასეთი პრეცენდენტი ბევრია სასამართლო პრაქტიკაში.

სწორედ მათი ანალიზის საფუძველზე, განხილულ იქნება, თუ რა პრობლემას შეიძლება წააწყდნენ მეუღლეები საერთო საკუთრებაში არსებულ ქონებაზე დადებული გარიგების შემთხვევაში, 1160-ე მუხლის მეორე ნაწილთან მიმართებით, რომელიც შესაძლებლობას უკარგავს ერთ-ერთ მეუღლეს დაიცვას საკუთარი ინტერესები თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე. ასევე, თუ როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო ამ შემთხვევაში და რა სამართლებრივი ბერკეტებით უნდა ისარგებლოს მხარემ აღნიშნულ შემთხვევაში.

**Levan Kupatadze, Luka Korkheli**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Irakli Leonidze**
PhD Student, Visiting Lecturer

## Invalidity of Concluded Transactions on Matrimonial Property (Analysis of Judicial Practice)

The article is dedicated to invalidity of the transactions concluded on the jointly owned property of the spouses and related legal problems. Matrimonial property and concluded agreements are family law's a complicated, progressive field, which is regulated by Article 1160 of the civil code, which makes it problematic to protect a person's interest on property. When one spouse makes an

agreement independently of the other, without notifying/permission of the spouse, whose permission is not obvious, has limited leverage to defend his/her right. In many cases, the person's interest is directly related to this property, which leads to the violation of the interests of one of the spouses and according to that, part 2 of Article 1160 cannot ensure the protection of the person’s interest on the property. Similar precedents are too many in the judicial practice. On the basis of the analysis, it will be discussed what problems the spouses may face in case of agreements on matrimonial property, in relation to the second part of Article 1160, which deprives one of the spouses opportunity to protect his/her interests on jointly owned property. Also, how the court should act in this case and what legal leverages can be used by claimant/defendant.

**მარი ბოლქვაძე**
წმ. ანდრიას სახელობის ქართული უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: მერი კეთილაძე**
დოქტორი, მოწვეული ლექტორი

## შრომის ანაზღაურება

თანამედროვე საზოგადოებაში შრომის ანაზღაურების და შემოსავლების უთანასწორობის საკითხი კრიტიკული პრობლემა გახდა. შრომის ანაზღაურების პრობლემა, კერძოდ, დაბალი ხელფასები, წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას, რის წინაშეც მილიონობით დასაქმებული დგას, რაც, დამეთანხმებით, გავლენას ახდენს მათ ეკონომიკურ სტაბილურობაზე, კეთილდღეობასა და ზოგადად ცხოვრების ხარისხზე. სამწუხარო რეალობაა, რომ დღესდღეობით უამრავი დასაქმებულის შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და პასუხისმგებლობები აღემატება შესაბამის ანაზღაურებას. ეს ვითარება არღვევს არა მხოლოდ შრომის კანონებს, არამედ იწვევს იმასაც, რომ დასაქმებული ფაქტობრივად იღებს მინიმალურ ხელფასზე ნაკლებს სამუშაოზე დამატებითი საათებისთვის.

მსგავსი შემთხვევები ხაზს უსვამს სამართლიანი შრომითი პრაქტიკის დარღვევას და იმის უზრუნველყოფას, რომ დასაქმებულნი სამართლიანად მიიღებენ კომპენსაციას იმ დროისა და ძალისხმევისთვის, რაც მათ შრომაში წვლილი მიუძღვით. მიმაჩნია, რომ დაბალი ხელფასების ძირითადი მიზეზების მოგვარებით შესაძლებელია შეიქმნას მეტად სამართლიანი შრომის ბაზარი, სადაც დასაქმებულნი მიიღებენ სამართლიან კომპენსაციას, რაც ხელს შეუწყობს როგორც მათ განვითარებას, ისე შრომის სრულყოფილად და ჯეროვნად შესრულებას, რაც, რა თქმა უნდა, აისახება კონკრეტული კომპანიებისა თუ სექტორების კარგ მომსახურებაზე.

**Mari Bolkvadze**
ST. Andrews Georgian University
Bachelor
**Scientific Supervisor: Meri Ketiladze**
Doctor, Visiting Lecturer

## Defining Compensation

In modern society, the issue of wage and income inequality has become a critical problem. The issue of wages, particularly low wages, is a significant challenge facing millions of workers, which arguably affects their economic stability, well-being and overall quality of life. It is a sad reality that nowadays the obligations and responsibilities stipulated by the labor contract of many employees exceed the corresponding remuneration. This situation not only violates labor laws, but also results in the employee actually receiving less than minimum wage for overtime work. Similar cases highlight the violation of fair labor practices and ensuring that employees are fairly compensated for the time and effort they contribute to their work. I believe that by solving the main causes of low wages, it is possible to create a more fair labor market, where employees will receive fair compensation, which will contribute to their development, as well as the perfect and thorough performance of work, which of course, will be reflected in the good services of specific companies or sectors.

**მარიამ გულდედავა, ანი ბიჩინაშვილი**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**ხელმძღვანელი: ირაკლი ლეონიძე**
დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი

## ალიმენტის ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ

საოჯახო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ალიმენტის გადახდა. ალიმენტს მშობელი იხდის ნებაყოფლობით, ან იძულებით, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. სასამართლო არა მარტო აკისრებს მშობელს ალიმენტის გადახდას, არამედ განუსაზღვრავს თანხის ოდენობასაც, რაც პრობლემური და საინტერესო საკითხია ქართულ კანონმდებლობაში. მთავარი მიზანი სასამართლოსთვის არის ბავშვის ინტერესები და შვილის მიმართ ორივე მშობლის თანასწორუფლებიანობის კოდექსისეული ვალდებულების დაცვა.

მნიშვნელოვანია ბავშვი იზრდებოდეს ნორმალურ პირობებში, დაცული იყოს მისი უფლებები და ამაში ორივე მშობელს ერთნაირი წვლილი მიუძღვოდეს. სასამართლო ამ მიზნის მისაღწევად საკმაოდ რთულ გზას გადის, ვინაიდან კოდექსი ყველა შესაძლო ფაქტობრივ გარემოებას ვერ გაითვალისწინებდა, რა ხდება მაშინ, თუ მშობლის მატერიალური მდგომარეობა და შვილის საჭიროება ვერ ემთხვევა ერთმანეთს და მშობელს

არ აქვს ის შემოსავალი, რაც შვილს ნორმალური რჩენა-აღზრდისთვის ესაჭიროება, სასამართლომ ირიბად მოთხოვოს მშობელს უფრო მაღალანაზღაურებადი სამსახურის პოვნა, თუ ბავშვის ნორმალური რჩენა-აღზრდის პირობები გადაწიოს უკანა პლანზე.

კვლევის მიზანი ამ პრობლემების უკეთ შესწავლა და აღმოფხვრის გზების ძიებაა. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, სასამართლოს გამოწვევები, შეაფასოს თითოეული სიტუაცია ინდივიდუალურად, შესაბამისი საჭიროებიდან გამომდინარე ისე, რომ არ დაარღვიოს პირთა თანასწორობის პრინციპი.

**Mariam Guldedava, Ani Bichinashvili**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Irakli Leonidze**
PhD Student, Visiting Lecturer

## Determination of the Amount of Alimony by the Court

Alimony is paid by the parent voluntarily or compulsorily based on the court decision. The court not only obliges the parent to pay alimony, but also determines the amount, which is a problematic and interesting issue in Georgian legislation. The main objective for the court is the interests of the child and the protection of the codified obligation of equality of both parents towards the child. It is important that the child grows up in normal conditions, that his rights are protected and that both parents contribute equally to this. The court goes through a rather difficult path to achieve this goal, since the Code could not take into account all possible factual circumstances, what happens if the parent's financial situation and the child's needs do not match each other, and the parent does not have the income that the child needs for normal living and upbringing, the court indirectly requires the parent finding a higher-paying job or putting the normal child-rearing conditions into the background. The purpose of the research is to better study these problems and find ways to eliminate them. It is also important to challenge the court to evaluate each situation individually, depending on the relevant needs, without violating the principle of equality of persons.

**მარიამ კვიჟინაძე, თამაზ გოგოლაძე**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი ლეონიძე**
დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი

## საქორწინო ასაკი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში და მისი რეგულირების საერთაშორისო პრაქტიკა

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საქორწინო ასაკთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც რეგულირებულია სამოქალაქო კოდექსის მე-5 წიგნით, თუ რას მოიცავს ზოგადად ქორწინების არსი და რა მნიშვნელობას იძენს ასაკი აღნიშნული აქტის განხორციელებაში. განვითარების რა გზა განვლო და რა ცვლილებები განიცადა აღნიშნულმა საკითხმა.

ნაშრომის მიზანია იმ საკითხების მიმოხილვა, რომლებიც დაკავშირებულია ემანსიპაციის და, ზოგადად, ნაადრევი ქორწინებით გამოწვეულ სამედიცინო და ფსიქო-სოციალურ პრობლემებთან. საერთაშორისო პრაქტიკა სხვადასხვაგვარად არეგულირებს საქორწინო ასაკს. ათეულობით ქვეყანაში მინიმალურ საქორწინო ასაკად დადგენილია 12 წელი. ზოგიერთ ქვეყანაში კი მინიმალური საქორწინო ასაკი საერთოდ არ არის განსაზღვრული.

ქართული საოჯახო სამართალი იზიარებს გერმანულ პრაქტიკას და თანხვედრაშია მასთან, თუმცა მათგან საფრანგეთში ქალის ასაკი 15, ხოლო მამაკაცის 18 წელია. განსხვავებით ევროპული სახელმწიფოებისაგან, აშშ მინიმალურ საქორწინო ასაკად განსაზღვრავს 21 წელს. საინტერესოა, უნდა გაიზარდოს ან შემცირდეს თუ არა მექორწინეთა ასაკი, რაც ქართული სამართლის მეცნიერებაში დღესაც აქტუალური განხილვის საგანია. განვიხილავთ, თუ რა შედეგების მომტანი შესაძლოა იყოს აღნიშნული ცვლილებები და რა გავლენის მოხდენა შეუძლია მას საშუალო სტატისტიკაზე.

**Mariam Kvizhinadze, Tamazi Gogaladze**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Irakli Leonidze**
PhD Student, Visiting Lecturer

## The Legal Age in Georgian and Its Regulation in the Civil Code, Along With Its International Practice

The preceding document discusses issues related to Georgia's legislation, particularly in connection with questions regulated by Chapter 5 of the Civil Code, concerning general principles of law and the significance of age in the implementation of certain acts. It explores various paths of development and changes attempted in addressing these issues. The aim of the document is to analyze matters related to emancipation and general problems arising from medical and psycho-social issues. International practice regulates the age of marriage in different ways. In some

countries, the minimum marriageable age is set at 12 years. While in others, there is no universally defined minimum age. Georgian family law follows German practice and is consistent with it, although in France, the legal age for women is 15 and for men is 18. Unlike European countries, the USA defines the minimum marriage age at 21. It is interesting whether the age of married couples should be increased or decreased, which is currently a subject of discussion in Georgian legal studies. The potential consequences of such changes and their occurrence can be examined based on average statistics.

**ნიკოლოზ მურადოვი, აკაკი ქათამაძე**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ამირანაშვილი**
დოქტორი, მოწვეული ლექტორი

## ხელოვნური ინტელექტის გავლენა შრომის სამართალზე და დასაქმებულთა ადგილების შემცირების პრობლემა

ნაშრომის კვლევის მიზანია ხელოვნური ინტელექტის (AI) შრომის სამართალთან ურთიერთმიმართების, ტექნოლოგიური გამოწვევებისა და პროგრესის ანალიზი, რაც განაპირობებს დასაქმებულთა ადგილების შემცირებას. ხელოვნური ინტელექტის მახასიათებლებია, მაგალითად, გაუმჯობესებული უსაფრთხოება, პროდუქტიულობა, შეცდომების შემცირება, დროის დაზოგვა და სხვა.

უარყოფითადაა მიჩნეული დამსაქმებლის მიერ AI-ს აქტიურად გამოყენება, რაც იწვევს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას დასაქმებულთან. ასევე, არ შეიძლება, ხელოვნური ინტელექტი თავად შეცდეს და შეასრულოს სამუშაო არასწორად.

ნაშრომში განხილული იქნება საკანონმდებლო მოწესრიგება რამდენიმე ქვეყნისა, რომლებიც, აჩქარებენ ან ანელებენ ხელოვნური ინტელექტის განვითარებას ბევრ სფეროში. მთავარი ამოცანაა, სახელმწიფომ დაიცვას დასაქმებულთა ინტერესები და იზრუნოს სამუშაოს ხარისხიან შესრულებაზე, რაც კანონმდებლობით უნდა მოწესრიგდეს.

კვლევაში ყურადღება დაეთმობა ევროპარლამენტის მიერ AI სფეროში შემუშავებულ რეგულაციებს, რაც დიდ სიახლეს წარმოადგენს და მნიშვნელოვანია მისი თანმდევი შედეგები. სტატისტიკით, დამსაქმებელთა 80% იყენებს ხელოვნურ ინტელექტს, რაც ხაზს უსვამს მის ეფექტურობას.

კვლევა მიზნად ისახავს სადავო და ქართული სამართლისთვის პოტენციურად აქტუალურ საკითხებზე მსჯელობას. წარმოდგენილი იქნება საკანონმდებლო მოწესრიგების თაობაზე ავტორთა ხედვა და როგორ უნდა იყოს AI პრაქტიკაში გამოყენებული.

**Nikoloz Muradovi, Akaki Katamadze**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Giorgi Amiranashvili**
Doctor, Visiting Lecturer

## The Impact of Artificial Intelligence on Labor Law and the Problem of Downsizing

The purpose of the paper's research is to analyze the interaction of artificial intelligence (AI) with labor law, technological challenges and progress, which leads to the reduction of employee positions. Features of artificial intelligence include, for example, improved security, productivity, reduced errors, time savings, and more. The active use of artificial intelligence by the employer, which leads to the termination of the employment contract with the employee, is considered negative. Also, the artificial intelligence itself cannot make mistakes and perform the work incorrectly. The paper will discuss the legislative arrangements of several countries, which accelerate or slow down the development of artificial intelligence in important areas. The main task of the state, on the one hand, is to protect the interests of the employees and, on the other hand, to take care of quality performance of work, which should be regulated by legislation. In the research, attention will be paid to the regulations developed by the European Parliament in the field of artificial intelligence, which is a great innovation and it is important to discuss its accompanying results. According to statistics, 80% of employers use artificial intelligence, which emphasizes its effectiveness.

**ციცი ჯოლბორდი, ნინო წიწრიაშვილი**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ჟორჟოლიანი**
მაგისტრი, მოწვეული ლექტორი

## მომხმარებელთა უფლებების დაცვა ციფრულ სამყაროში (საქართველოს მაგალითზე)

თანამედროვე სამყაროში ტექნიკის განვითარებამ ხელი შეუწყო გარიგების, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის, ონლაინ რეჟიმში ინტეგრაციას. აღნიშნული სფერო განსაკუთრებით კოვიდ პანდემიის პირობებში დაიხვეწა, რადგან ადამიანებმა გააანალიზეს, რომ დისტანციური კომუნიკაცია მათთვის მეტად კომფორტული და მოსახერხებელია, ვინაიდან ის ნაკლებ დროს, ენერგიასა და რესურსს საჭიროებს. თუმცაღა, ელექტრონული კომერცია, თავის მხრივ, მოითხოვს რისკებისა და მისგან მომდინარე საფრთხეების დადგენის აუცილებლობას, ვინაიდან ეს უკანასკნელი პირდაპირ გავლენას ახდენს მომხმარებელთა უფლებებზე, კონკრეტულად მათ უსაფრთხოებაზე, რაც ხშირად გამოიხატება კონკრეტული პიროვნების ნებაში სამართლებრივად დასაძრახი ჩარევით.

აქედან გამომდინარე, ინტერესი ამ საკითხისადმი ფართომასშტაბიანია, მათ შორის ევროკავშირის წევრ ქვეყნებშიც. ჩვენი მიზანია წარმოდგენილი ნაშრომით დაგანახოთ, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხი არა მხოლოდ რეალურ, არამედ ციფრულ სამყაროშიც უმნიშვნელოვანესია, ასევე შევადაროთ საქართველოსი და მსოფლიოს პრაქტიკა, გამოვყოთ ის ძირითადი სირთულეები თუ გამოწვევები, რომლებიც დღეს არსებობს.


**Tsitsi Jolbordi, Nino Tsitsriashvili**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Giorgi Zhorzholiani**
Master, Visiting Lecturer


## Protection of Consumer Rights in the Digital World (on the Example of Georgia)


In the modern world, the development of technology has helped to integrate contract law as a legal institution online. This field has improved especially under the conditions of the covid pandemic, as people have analyzed that remote communication is more comfortable and convenient for them, since it requires less time, energy and resources. However, electronic commerce, in its turn, requires the necessity of determining the risks and threats arising from it, since the latter directly affects the rights of consumers, specifically their security that can be easily violated by human's intervention. Therefore, interest in this issue is widespread, including in EU member states. Our goal is to show with the presented paper that the issue of human rights protection is important not only in the real world, but also in the digital world, as well as to compare the practice of Georgia and the world and highlight the main difficulties and challenges that exist today



**თამთა უბილავა, მარიამ გულიშვილი**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ხუბულია**
დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი


## დასაქმებულის დისკრიმინაციისგან დაცვის მექანიზმები


შრომითი დისკრიმინაცია არის პირის განსხვავებული მოპყრობა, რომლის მიზანია მისთვის თანაბარი შესაძლებლობების ჩამორთმევა დასაქმების დროს, წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში და პროფესიული საქმიანობის

განხორციელებისას, რაც პირდაპირ კავშირშია დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის ძალთა ბალანსის ასიმეტრიულ გამომჟღავნებასთან. შრომითი დისკრიმინაციისგან დაცვა ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა, შრომის სამართალი კი იცავს ამ უფლებას, კონსტიტუციაც შეიცავს უზოგადეს დანაწესს ამის შესახებ.

ჩვენი კვლევის მიზანია დისკრიმინირებული პირის მოთხოვნათა იდენტიფიცირება,მათი საფუძვლებისა და ფარგლების განსაზღვრა, გავიაზროთ, რომ დასაქმებულს შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად სამი ალტერნატიული მექანიზმის გამოყენება შეუძლია:

- ✓ სახალხო დამცველი,
- ✓ სასამართლო,
- ✓ შრომის ინსპექცია.

თუმცა, რომ არ დადგეს საჭიროება ამ მექანიზმების გამოყენებისა, მიზანშეწონილია, რომ წინასახელშეკრულებო ურთიერთობის კანდიდატებს დამსაქმებელმა გააცნოს კანონით განსაზღვრული დებულებები თანაბარი მოპყრობის პრინციპის შესახებ, კანონმდებლობამ უნდა შემოგვთავაზოს დასაქმებულის უფლებების დაცვის მაქსიმალურად ეფექტური მექანიზმები და საჭიროებისამბერ გამოყენებულ იქნეს არა მხოლოდ ეროვნული, არამედ საერთაშორისო ნორმები, ILO-ს კონვენციები, რეკომენდაციები, ევროპის სოციალური ქარტია, რომლის ზოგიერთ მუხლს საქართველოც სავალდებულო ძალის მქონედ აღიარებს.

**Tamta Ubilava, Mariam Gulishvili**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Nino Khubulia**
PhD Student, Visiting Lecturer

## Mechanisms for Protecting the Employee From Labour Discrimination

Labour discrimination is a different treatment of a person aimed at depriving individuals of equal opportunities for employment during pre-contractual relations and in professional activities, resulting in an asymmetric distribution of power between the employer and the employee. Protection from labour discrimination is a fundamental human right, and labour law safeguards this right, with the constitution providing the framework for its protection. The aim of our research is to identify instances of discrimination, specify their rights and obligations, and suggest three alternative mechanisms for resolving labour discrimination disputes: labor inspectorate, a court, and a public defender. However, if there is no need to use these mechanisms, it is advisable for the employer to familiarize candidates for pre-contractual relations with the statutory provisions on the principle of equal treatment. Legislation should offer the most effective mechanisms for protecting employee rights and, if necessary based not only on national but also on international norms, conventions of the ILO, recommendations, and the social charter of Europe, which some provisions Georgia has already ratified

**ვერიკო ლეთოდიანი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: როინ მიგრიაული**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## ფიზიკური პირების გადახდისუუნარობა და მისი საკანონმდებლო მოწესრიგების აუცილებლობა

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ" გადახდისუუნარობის ახალმა კანონმა ფიზიკური პირები კანონის რეგულირების მიღმა დატოვა, როცა ჯერ კიდევ 1996 წლის საქართველოს კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" არეგულირებდა ფიზიკურ პირთა მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების გახსნას. მომდევნო, 2007 წელს, მიღებული „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების" შესახებ კანონი კი იურიდიულ პირებთან ერთად ინდივიდუალურ მეწარმეებსაც აძლევდა შესაძლებლობას გადახდისუუნარობის რეჟიმი გავრცელებულიყო მათზე.

ფიზიკურ პირთა ჭარბვალიანობა ნეგატიურ გავლენას ახდენს არა მხოლოდ ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე, არამედ მათი ცხოვრების ხარისხზეც. დღეს მოქმედი გადახდისუუნარობის კანონს მიღმა დარჩენილი ვალაუვალი ფიზიკური პირები, წლების განმავლობაში ირიცხებიან მოვალეთა რეესტრში და მოკლებულნი არიან შესაძლებლობას გაიუმჯობესონ ეკონომიკური მდგომარეობა. ნაშრომში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია კონტინენტური ევროპისა და ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში არსებული ფიზიკური პირების გადახდისუუნარობის მოდელებზე, ვინაიდან ჭარბვალიანობის აღმოფხვრისთვის აუცილებელია ქმედითი საკანონმდებლო მექანიზმების შემუშავება.

**Veriko Letodiani**
Caucasus International University
Master
**Scientific Supervisor: Roin Migriauli**
Doctor, Associate Professor

## Insolvency of Natural Persons and the Necessity of Its Legal Regulation

The new Insolvency Law “on Rehabilitation and Collective Satisfaction of Creditors' claims" left natural persons outside the scope of the law, while the 1996 Georgian Law "On Bankruptcy Proceedings" regulated the opening of insolvency proceedings against individuals. The next, 2007 Law on "Insolvency Proceedings" allowed individual entrepreneurs, along with legal entities, to apply the insolvency regime to them. Over indebtedness of individuals, has a negative impact not only on the country's sustainable economic development, but also on their quality of life. Insolvent individuals who remain outside the scope of current insolvency law remain in the register of

debtors for years and are deprived of the opportunity to improve their economic situation. The conference paper mainly focuses on the models of insolvency of natural persons existing in the countries of continental Europe and common law, since it is necessary to develop effective legislative mechanisms for the elimination of over indebtedness.

**ნათია რეხვიაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ხარიტონაშვილი**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## სასამართლოს მეშვეობით პირგასამტეხლოს შემცირება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით სასამართლოს მინიჭებული აქვს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების უფლებამოსილება. მითითებული მუხლის ანალიზი მნიშვნელოვანია, სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე სუბიექტების როგორც მოვალის, ისე კრედიტორის უფლებრივ ჭრილში, ვინაიდან პრიგასამტეხლოს შემცირება როგორც სამართლებრივ, ასევე მატერიალურ შედეგებს ითვალისწინებს სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე ორივე მხარისათვის. მოვალეს უმსუბუქებს ფულად ვალდებულებას, ხოლო კრედიტორს პირიქით, თავისი მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებაში უშლის ხელს.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია სიღრმისეული ანალიზი ჩაუტაროს სასამართლოს გადაწყვეტილებებს ამ მუხლთან დაკავშირებით და განმარტოს რა სტანდარტებით ხელმძღვანელობს სასამართლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის გამოყენებისას.

ნაშრომის მიზანია სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზის ფონზე, მოახდინოს იმის განსაზღვრა, თუ რა შემთხვევებში იყენებს სასამართლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლს და ყოველ კონკრეტულშემთხვევაში როგორ განმარტავს მას. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში არაერთი შემთხვევაა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის გამოყენებისა.

ნაშრომი გაგვაცნობს უახლე სგადაწყვეტილებებს ამ მუხლის თაობაზე.

ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი არ გვთავაზობს სამართლებრივ წინაპირობებს, რა შემთხვევებშიც შესაძლებელია სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალ ოდენობად მიჩნევა, საჭირო გახდა www.matsne.gov.ge, 420-ე მუხლი, ბოლო წვდომა 23.01.2024 სასამართლო გადაწყვეტილებების ანაზილის ფონზე განისაზღვროს, რის საფუძველზე ამცირებს სასამართლო პირგასმტეხლოს და მიიჩნევს მას, ,,შეუსაბამოდ დიდ ოდენობად“; გარდა ამისა განისაზღვროს ის, თუ როგორ განსაზღრავს პირგასამტეხლოს ოდენობას სასამართლო პირგასამტეხლოს შემცირებისას, ანუ რა ოდენობას მიიჩნევს სასამართლო პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობად. გარდა სასამართლო გადაწყვეტილებებისა,

ნაშრომი განიხილავს სამართლის მეცნიერთა მოსაზრებებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის ირგვლივ და ამასთან, შემოგვთავაზებს ანალიზსა და შეფასებებს აღნიშნული ნორმის მართლზომიერად გამოყენების თაობაზე.

აღნიშნული ანალიზის შედეგად მოხდება იმის განსაზღვრა, რამდენად აქტიურად ხდება პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ და რა ოდენობით, რაც შემდგომში საკითხით დაინტერესებული პრაქტიკოსებისა და თეორეტიკოსებისთვის იქნება სახელმძღვანელო, რათა მოახდინონ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის ანალიზი.

**Natia Rekhviashvili**
Caucasus International University
Doctoral
**Scientific Supervisor: Nino Kharitonashvili**
Doctor, Associate Professor

### Reduction of Penalty by Court

The Civil Code of Georgia gives a discretion to the court to reduce an unconditionally high penalty. A legal analysis of this norm is important for both parties to the contract, for debtor and for the creditor as well. Since the reduction of a penalty takes into account the results for both parties participating in the contractual relationship. It eases the debtor’s financial obligation, and on the contrary prevents the creditor from fully satisfying his demand. This paper aims to propose a fundamental analysis of court decisions regarding this article and to explain what standards the court is guided by when applying an Article420 of a Civil Code of Georgia. This paper aims to decide in which cases uses a court mentioned article, also how it interprets in various cases by analyzing court decisions. In Georgian judicial practice, there are many cases of the of mentioned, the paper will introduce us to the latest decisions regarding this article. Since this article does not propose us the legal prerequisites, in which cases the court may consider extortion to be an inappropriately high amount, it was necessary to determine what standard/standards guide the court in applying it, based above the court decisions analyze. In addition to court decisions, the paper examines the opinions of legal scholars regarding Article 420 of the Civil Code of Georgia and offers analysis and evaluations regarding the proper application of the mentioned norm. The mentioned analysis will determine how actively and how must is the court reducing the penalty which will be a guide for practitioners and theoreticians interested in the issue to analyze Article 420 of the Civil Code of Georgia.

**ნია ჭელიძე, ციალა კუჭუხიძე**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ამირანაშვილი**
ასისტენტ-პროფესორი

## პლატფორმის (გიგ) ეკონომიკის ადგილი შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში და საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები გიგ-მუშაკებისთვის შესაბამისი პირობებისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად

ტექნოლოგიური რევოლუციების თანამდევად ონლაინური პლატფორმების როლი იზრდება, რაც შრომით ურთიერთობათა კონტექსტს გარკვეულწილად ცვლის. ამ ჰორიზონტზე ჩნდება გიგ-ეკონომიკაც, რომელიც თავისუფალ საბაზრო სისტემასთან დაკავშირებული ღია სივრცეა, მას საფუძვლად არასაშტატო მომუშავეთა შრომა უდევს. სამსახურების დეფიციტის პირობებში, ერთი შეხედვით, მოქნილი და თავისუფალი სამუშაო გრაფიკი უმუშევრობის გადაჭრის მიმზიდველ პერსპექტივად გვევლინება, თუმცა, ის არ ხვდება სამართლებრივი რეგულირების ეპიცენტრში და, ამდენად, მნიშვნელოვანი გამოწვევების წარმოშობის წყაროა.

დაბალი და საშუალო ეკონომიკური განვითარების მქონე ქვეყნებში გიგ-მუშაკების შრომითი პირობებისა და მათი სოციალური დაცვის შესახებ კვლევები მწირია, არ არსებობს მათი სოციალური დაცვის პროგრამებიც.

წინამდებარე კვლევა აანალიზებს ძირითად სამართლებრივ პრობლემას – რა გამოწვევების წინაშე დგას სახელმწიფო გიგ-მუშაკების შრომითი პირობებისა და მათთვის სოციალური გარანტიების უზრუნველსაყოფად?

დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემის მიზნით, კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნება შედარებითსამართლებრივი ანალიზი ევროპული ქვეყნების კანონმდებლობასთან, ხოლო, საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის გაანალიზებით, შესაძლებელი გახდება, განისაზღვროს გიგ-მუშაკებისთვის ღირსეული და სამართლიანი შრომითი პირობების შექმნაზე ორიენტირებული სამომავლო პოლიტიკის ორიენტირები.

**Nia Tchelidze, Tsiala Kutchukhidze**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Giorgi Amiranashvili**
Assistant Professor

## The Place of the Platform (Gig) Economy in the Labor Relationship and the Challenges Facing Georgia to Ensure Appropriate Conditions and Guarantees for Gig Workers

The global economic transformation has put the need to adapt to the changes. The role of online platforms is increasing, which changes the context of labor relations to some extent. On this

horizon, the gig economy is also appearing, which is an open space connected to the free market system, based on the work of freelancers. Seemingly flexible and free work schedules appear to be an attractive prospect for solving unemployment, however, it's not at the epicenter of legal regulation and thus, is the source of forming significant challenges. In countries with low and medium economic development, there are few studies about the working conditions of "gig" workers and their social protection. The following research paper analyzes the main legal problems corresponding to what role Gig (economy) plays in labor relations and also, what challenges the government faces while ensuring working conditions and social guarantees for gig workers. In order to find key solutions for these problems, within the framework of the research, a comparative legal analysis was used with the legislation of European countries. Moreover, the analysis of international standards and practice enables to outline future policies focused on creating decent and fair working conditions for gig workers.

**ნინო ხაზალია**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: მერი კეთილაძე**
დოქტორი, მოწვეული ლექტორი

## კრედიტორის ინტერესი რეაბილიტაციის რეჟიმში

რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს კანონი ცხადყოფს, რომ ქვეყნის პრიორიტეტი გახდა მეწარმე სუბიექტების რეაბილიტაცია. რეაბილიტაციის რეჟიმში პროცესი იმგვარად უნდა წარიმართოს, რომ კრედიტორული მოთხოვნები სრულად დაკმაყოფილდეს, თუმცა თუ კი კრედიტორული მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება შეუძლებელია, რეაბილიტაციის გეგმა შეიძლება ითვალისწინებდეს კრედიტორული მოთხოვნების იმგვარ დაკმაყოფილებას, რომლის დროსაც თითოეული კრედიტორი მინიმუმ იმდენს მიიღებს, რასაც მოვალის გაკოტრებისას მიიღებდა.

ნაშრომში განხილულია, თუ როგორ არის დაცული და დაბალანსებული კრედიტორების ინტერესები, ასევე განსაზღვრულია როგორ მოქმედებს და როგორ იცავს კანონი კრედიტორების უფლებებს რეაბილიტაციის რეჟიმში.

ნაშრომის მიზანია დაადგინოს, კანონი სამართლიანად ექცევა თუ არა კრედიტორებს, არის თუ არა მათი ინტერესები დაცული მაშინ, როცა კანონის მთავარი მიზანი მოვალის საწარმოს გადარჩენა და მისი მაქსიმალური ხელშეწყობაა იმისთვის, რომ დარჩეს ბაზარზე და გააგრძელოს ეკონომიკური საქმიანობა.

**Nino Khazalia**
Caucasus International University
Master
**Scientific Supervisor: Meri Ketiladze**
Doctor, Visiting Lecturer

### Creditor's Interest in Rehabilitation Regime

Law of Georgia on ‘’ rehabilitation and the collective satisfaction of creditors' claims ‘’ shows that the priority of the country has become the rehabilitation of the entrepreneurial entities. In the regime of the rehabilitation, the process should proceed in such a way that the creditor’s demands are fully satisfied, however, if it is impossible to fully satisfy the creditor’s demands, the rehabilitation plan may provide for the satisfaction of the creditor’s demands in such a way that each creditor will receive at least as much as he would have received in the case of the debtor’s bankruptcy. The paper discusses how the interests of creditors are protected and balanced, as well as how the law affects and protects the rights of creditors during the rehabilitation regime. The paper aims to determine whether the law treats creditors fairly and whether their interests are protected, while the main goal of the law is to save the debtor’s enterprise and to promote it to the maximum, to remain on the market and continue economic activity.

**თათია მაწონაძე, მარიამ გუჩმანიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ხარიტონაშვილი**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

### უღირსი მემკვიდრისათვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის საფუძვლის სამართლებრივი რეგულირების პრობლემატიკა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საკანონმდებლო მოწესრიგების თვალსაზრისით, იმ მრავალ სფეროთაგან, რომელიც საზოგადოების ყოფიერების განმსაზღვრელ საკითხებს უკავშირდება, მათ შორის მოიცავს მემკვიდრეობითი სამართლის კარსაც, რომელიც პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გამოყენებადია, ხოლო, მემკვიდრეობითი სამართლის ერთ-ერთ უმიშვნელოვანეს და, ამავდროულად, აზრთა სხვადასხვაობის გამომწვევ თემად გვევლინება უღირსი მემკვიდრის ინსტიტუტი.

კანონის ფორმულირება ხარვეზიანია და მხოლოდ მამკვიდრებლის ნების გამოვლენისთვის ხელშეშლისთვის ითვალისწინებს უღირს მემკვიდრედ ცნობას, რაც პრაქტიკაში განხორციელებისას არა კანონმდებლის მიერ დასახული მიზნის შედეგს იძლევა, არამედ პირიქით, როდესაც პირს შეიძლება მამკვიდრებლის მიმართ სისხლის სამართლის დანაშაული ჰქონდეს ჩადენილი და მაინც მიიღოს მემკვიდრეობა, არსებული ნორმის

არასწორი ინტერპრეტაცია იწვევს საზოგადოებაში ნორმის არსებობის მნიშვნელობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენების საფუძველს, შეგვიძლია გავითვალისწინოთ იმ ქვეყნების პრაქტიკა, რომლებიც აფართოვებენ იმ ქმედებათა წრეს, რაც უღირს მემკვიდრედ ცნობის საფუძველია. ჩვენი მოხსენებაც უკავშრდება იმ ძირითად კონცეფციებს, რომლებმაც აღნიშნული თემა განხილვის საგნად აქცია, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1310-ე მუხლი.

**Tatia Matsonadze, Mariam Guchmanidze**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Nino Kharitonashvili**
Doctor, Associate Professor

## The Problem of Legally Regulating the Grounds for Depriving an Unworthy Heir of the Right of Inheritance

The Civil Code of Georgia, from the perspective of legislative regulation, encompasses numerous areas relevant to defining societal issues. Among these, inheritance law stands out as a significant aspect. In the modern world, inheritance law is the most frequently utilized branch of law in practice. This is because, in accordance with the existing framework, every citizen possesses the right to freely and independently dispose their property. The ownership of private property and its transfer to another individual, either through law or by will, is a routine part of our lives. The concept of the unworthy heir emerges as one of the most challenging and divisive topics within inheritance law. Commonly, the property owned by an individual is passed down to their heir according to their own preferences. However, this often results in property being transferred into the hands of an undesirable and unscrupulous heir against the original owner's wishes. The lack of information, as well as incorrect interpretations of the law and conflicts between norms, render the institution of the unworthy heir a highly topical and problematic issue. Consequently, our report delves into the fundamental concepts that have brought this topic to the forefront of discussion.

**ზაზა სურგულაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი მუკბანიანი**
დოქტორანტი, ასისტენტი

## სასამსახურო ხელშეკრულების გამიჯვნა შრომითი ხელშეკრულებისაგან

ზოგადად, საწარმოს ხელმძღვანელობა, როგორც ბიზნესის მართვის ერთიანი სისტემა, მართვის თეორიისა და მენეჯმენტის დარგში დაგროვილი მოწინავე გამოცდილების შემოქმედებით გამოყენებას გულისხმობს. უმთავრესად ხელმძღვანელთა ნიჭსა და შესაძლებლობაზეა დამოკიდებული, რამდენად რენტაბელური იქნება კონკრეტული საწარმო. დირექტორები კორპორაციული მართვის მექანიზმის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ, ისინი ასრულებენ ისეთ ფუნქციებს, როგორებიცაა რაიმე ქმედების უშუალო განხორციელება, ტრანზაქციის შესრულების კონტროლი, კომპანიის სტრატეგიული განვითარების მიმართულების დადგემვა და სხვა.

შპს-ის მიერ დირექტორთან სამართლებრივი ურთიერთობა მყარდება ორი სამართლებრივი აქტის საფუძველზე: დანიშვნის აქტით და შრომის(სასამსახურო) ხელშეკრულებით, ხოლო თავად სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობისათვის საკმარისია მხოლოდ დანიშვნის აქტის გამოცემა.

**Zaza Surguladze**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Giorgi Mukbaniani**
PhD Student, Assistant

## Separation of Service Contract From Labor Contract

In general, the management of an enterprise, as a unified system of business management, involves the creative use of management theory and advanced experience accumulated in the field of management. It mainly depends on the talent and ability of the managers, how profitable a particular enterprise will be. Directors are an important part of the corporate management mechanism, they perform such functions as Direct implementation of any action, control of transaction performance, setting the direction of the company's strategic development, etc. The legal relationship between the LLC and the director is established on the basis of two legal acts: the act of appointment and the labor contract. For the origin of the legal relationship itself, only the issuance of the act of appointment is sufficient.

**ნატო ოსაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: მერი კეთილაძე**
დოქტორი, მოწვეული ლექტორი

## სპეციალიზებული სასამართლოს როლი გადახდისუუნარობის სისტემაში

ქართულ გადახდისუუნარობის სამართალში განხორციელებულ ცვლილებებს სასამართლოს დისკრეცია ფორმალურ საწყისებამდე დაჰყავს. სასამართლოს უფლებამოსილებას ზედმიწევნით განსაზღვრავს „რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონი, რომლის თანახმადაც, გადახდისუუნარობის საქმეებს განიხილავენ თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების მოსამართლეები ვიწრო სპეციალიზაციით.

გადახდისუუნარობის დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნებისმიერი წარმოება, რომელიც მიმდინარეობს ან/და შესაძლოა მიმდინარეობდეს გადახდისუუნარო მოვალის მიმართ, ეფექტურია მინიმალური რესურსის გაღების (იქნება ეს დრო თუ ფინანსური რესურსი) და მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით. სასამართლოს გადატვირთულობამ, შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მოვალის, კრედიტორების და სახელმწიფოს ინტერესს ინვესტირების ჭრილში. არაერთი კვლევა აჩვენებს, რომ საქართველოში ბიზნესის დაწყება გაცილებით მარტივი და ხელმისაწვდომია, ვიდრე ბიზნესის გაკოტრება (საკანონმდებლო რეფორმის განხორციელებამდე საშუალოდ ორ წელს უდრიდა).

გადახდისუუნარობის სპეციალიზებული სასამართლოს შექმნა სტრატეგიული ნაბიჯი იქნება, როგორც ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობის, ისე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მხრივ. ვინაიდან ბიზნეს სუბიექტებისთვის მნიშვნელოვანია ეფექტურობა, იგი მნიშვნელოვნად შეამცირებს პროცესის მონაწილეთა დანახარჯის რისკს და უზრუნველყოფს სამართლიან გარემოს.

**Nato Osadze**
Caucasus International University
Master
**Scientific Supervisor: Meri Ketiladze**
Doctor, Visiting Lecturer

## The Role of the Specialized Court in the Insolvency System

The changes made to the Georgian insolvency law shift the discretion of the court to the formal beginnings. The authority of the court is precisely determined by the Law "On Rehabilitation and Collective Satisfaction of Creditors", which stipulates that insolvency cases are to be considered by judges specialized in the field, located in the city courts of Tbilisi and Kutaisi.

Depending on the specifics of the insolvency field, any ongoing or potential proceedings against an insolvent debtor are effective in order to minimize resource usage, whether it be time or financial resources, and to maximize profit. Court congestion may cause irreparable damage to the interests of the debtor, creditors, and the state in terms of investment. Several studies indicate that starting a business in Georgia is much easier and more affordable than undergoing bankruptcy (which took an average of two years before the implementation of legislative reform).

The establishment of a specialized insolvency court will be a strategic step, both in terms of promoting local business and attracting foreign direct investment. Since efficiency is crucial for business entities, it will significantly reduce the cost risk for process participants and provide a fair environment.

# სექცია
# SECTION

# სამართალი
# LAW

ქვესექცია SUBSECTION

საჯარო სამართალი PUBLIC LAW

**ანა მარია კვაბზირიძე, ნინო ხორხელი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: კახაბერ გოშაძე**
დოქტორი, მოწვეული ლექტორი

## პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი - სიახლე პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონში და მისი იმპლემენტაციის პერსპექტივები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ახალი კანონი ქართული საკანონმდებლო სივრცისთვის 2024 წლის ერთ-ერთ ცენტრალურ და მასშტაბურ სიახლეს წარმოადგენს. იგი ევროპის კავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ეროვნული საკანონმდებლო ბაზის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცის გამოხატულებაა. მისი უმთავრესი ნოვაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დამკვიდრებაა. აღნიშნული საკმაოდ აქტუალური და კომპლექსური საკითხია და მის ირგვლივ თავს იჩენს ისეთი ასპექტები, როგორებიცაა ოფიცრის კომპეტენცია, ფუნქცია-მოვალეობები, დამოუკიდებლობა, დაქვემდებარების და ანგარიშვალდებულების სახე, ორგანიზაციათა წრე, რომელთათვისაც ოფიცრის დანიშვნა ვალდებულების სახეს ატარებს, დანიშვნის წესი და სხვა მრავალი.

ჩვენთვის საინტერესოა, რამდენად საკმაირისია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ გატარებული ღონისძიებები ცნობიერების დონის ასამაღლებლად, ოფიცერთა კვალიფიციურობისა და ამ ინსტიტუტის ეფექტურობისთვის. ნაშრომში აქცენტირებული იქნება ოფიცერთან დაკავშირებული ყველა ზემოთჩამოთვლილი საკითხი და საკანონმდებლო სისტემაში არსებული საჭიროებები თუ კანონმდებლის მიზანდასახულობა, რომელიც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ინსტიტუტის დაარსებას დაედო საფუძვლად.

**Ana Maria Kvabziridze, Nino Khorkheli**
Caucasus International University
Master
**Scientific Supervisor: Kakhaber Goshadze**
Doctor, Visiting Lecturer

## Personal Data Protection Officer - News in the Law on Personal Data Protection and Prospects for Its Implementation

Law of Georgia on personal data protection is one of the central and large-scale innovations of 2024 for the Georgian legislative space. It is the representation of the obligation assumed by the association agreement with the European Union, to harmonize the national legal base of personal data protection with the European legislation. Its main innovation is the establishment of a personal data protection officer, that is a very complex issue and includes such aspects as the competence, function-duties, independence, form of subordination and accountability, the circle of

organizations for which the appointment of an officer is an obligation, the manner of selection and many others. We are interested in how far the vents planned by the Personal Data Protection Service are sufficient to raise the level of awareness, the qualification of officers and the efficiency of this institution. The paper will emphasize all the above-mentioned issues related to the officer, the needs in the legislative system, or the legislator's purposefulness, which was the basis for the establishment of the Personal Data Protection Officer Institute.

**რევაზ ბერულავა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: მინდია უგრეხელიძე**
დოქტორი, პროფესორი

## საკუთრების უფლების დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე

ნაშრომში განხილულია თანამედროვე, კომპლექსური და მრავალგანზომილებიანი კონფლიქტიდან წარმოშობილი საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული მოუგვარებლობის მიზეზები და მისი დარეგულირების შესაძლო მცდელობები. საკუთრების უფლების დაცვა წარმოადგენს საზოგადოების ფუნდამენტურ საყრდენს, რომელიც ემსახურება არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ ინდივიდთა ავტონომიისა და საზოგადოების სტაბილურობის ქვაკუთხედს. საერთაშორისო სამართლისა და სამეცნიერო ლიტერატურის შედარებითი ანალიზის საფუძველზე განხილულია ,, ოკუპირებული საკუთრების" უფლებების დაცვასთან დაკავშირებული გამოწვევები და სირთულეები. გამოკვლეულია ოკუპაციის გავლენა ქონების მფლობელობაზე, გამოყენებასა და გადაცემაზე. შეფასებულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე საკუთრების უფლებების დასაცავად არსებული მექანიზმების ეფექტურობა.

არსებულ რეალობაში არსებობს საოკუპაციო ძალაუფლების ან სხვა აქტორების მიერ ექსპლუატაციისა და ბოროტად გამოყენების რისკი, შესაბამისად, განხილულია, ოკუპანტი სახელმწიფოების მიერ საკუთრების მითვისების უკანონობისა და ბათილობის რეგულირების საკითხები. ნაშრომი საინტერესოა, რადგან საკუთრების უფლებების დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიაზე წარმოადგენს კონფლიქტის ფართო დინამიკის კრიტიკულ, მაგრამ ჯერ შეუსწავლელ და საინტერესო განზომილებას. საკითხის სამართლებრივი, სოციალურ-პოლიტიკური და ჰუმანიტარული ჩარჩოების გარკვევით.

**Revaz Berulava**
Caucasus International University
Master
**Scientific Supervisor: Mindia Ugrekhelidze**
Doctor, Professor

## The Protection of the Right to Property in Occupied Territories

The paper discusses the reasons for the intractability related to property rights arising from the modern, complex, and multidimensional conflict and the possible attempts to settle it. Protection of property rights is a fundamental pillar of society, which serves not only as an economic pillar but also as a cornerstone of individual autonomy and social stability. Based on the comparative analysis of international law and scientific literature, the challenges and difficulties related to the protection of the rights of "occupied property" are discussed. The effect of occupation on ownership, use and transfer of property is investigated. The efficiency of the existing mechanisms for the protection of property rights in the occupied territories has been evaluated. In the current reality, there is a risk of exploitation and abuse by the occupying power or other actors, therefore, the issues of regulating the illegality and invalidity of property appropriation by the occupying states are discussed. The paper is interesting because the protection of property rights in the occupied territory represents a critical, yet understudied and interesting dimension of the broader dynamics of the conflict. By clarifying the legal, socio-political, and humanitarian frameworks of the issue.

**აქსანა გუჩუა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბექა ქანთარია**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობა ადგილობრივ თვითმმართველობაში დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისათვის

ქვეყნის კონსტიტუცია განსაზღვრავს მოქალაქის სტატუსს, უფლებებსა და მოვალეობებს, რომლის განხორციელება მას კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიაზე შეუძლია. თანამედროვე პოლიტიკური სისტემის ცენტრალური ფიგურა მოქალაქეა, რამდენადაც ის აფუძნებს სახელმწიფოს, მონაწილეობს მისი მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მოქალაქის ჩართულობის ხარისხი დიდ წილად განსაზღვრავს, თუ რამდენად ახდენს ის სახელმწიფოსთან იდენტიფიცირებას და პირიქით. სახელმწიფოსთან მიკუთვნებულობის განწყობა ზეგავლენას ახდენს მოქალაქეთა ჩართულობის მაჩვენებელზე. დემოკრატიული

საზოგადოების განვითარების პროცესში მოქალაქეებსა და მმართველ ძალას შორის ურთიერთობების დამყარება და ანგარიშვალდებულების მექანიზმის არსებობა პრიორიტეტული საკითხია.

მოქალაქეთა ჩართულობის უმთავრესი ფასეულობებია მართვის პროცესში საზოგადოებრივი ინტერესების ასახვა/გათვალისწინება, პროცესების გამჭვირვალობა, მოქალაქეებსა და მთავრობას შორის პასუხისმგებლობისა და ნდობის უზრუნველყოფა.

თემის მიზანია, მოქალაქეთა ჩართულობის არსებული ფორმების გარდა, განხილულ იქნას ჩართულობის ისეთი ფორმა, სადაც ერთ სივრცეში იქნებიან თავმოყრილი მოქალაქეები, მთავრობის და თვითმმართველობის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო სექტორი, სივრცე იქნება მუდმივმოქმედი და მულტიფუნქციური.

**Aksana Guchua**
Caucasus International University
Doctoral
**Scientific Supervisor: Beka kantaria**
Doctor, Associate Professor

## The Importance of Citizens' Involvement in Local Self-government for the Development Of a Democratic Society

The constitution of the country determines the status of the citizen, the rights and duties that he can exercise in the territory of a particular country. The central figure of the modern political system is the citizen, insofar as he/she establishes the state, participates in the process of its management and decision-making. The degree of citizen involvement largely determines how much he/she identifies with the state and vice versa. The mood of belonging to the state affects the rate of citizen engagement. In the process of development of a democratic society, the establishment of relations between citizens and the ruling power and the existence of accountability mechanism is a matter of priority. The main values of citizen involvement are: reflection/consideration of public interests in the management process, transparency of processes, ensuring responsibility and trust between citizens and the government. The purpose of the topic is to consider, in addition to the existing forms of citizen involvement, such a form of involvement where citizens, government and self-government representatives, non-governmental organizations and the civil sector will be gathered in one space, the space will be permanent and multifunctional.

**ანნა შიოშვილი**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამთა ზაალიშვილი**
მაგისტრი, მოწვეული ლექტორი

## კოსოვო და სახელმწიფოდ აღიარების მნიშვნელობა საერთაშორისო სამართალში

საერთაშორისო სამართალში აღიარება გულისხმობს სახელმწიფოს ნების გამომჟღავნებას, რომელიც მიმართულია ახლად წარმოქმნილ სახელმწიფოსთან ურთიერთობის ნორმალიზაციისკენ. გაეროს წესდების მე-2 მუხლი სუვერენიტეტის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს სახელმწიფოთა თანასწორობის, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევისაკენ სწრაფვას, ვინაიდან სუბიექტის სახელმწიფოებრიობის აღიარება შეიძლება გადამწყვეტი იყოს მის ეროვნულ კანონმდებლობაში ამავე სუბიექტის უფლებებისა და მოვალეობების განსასაზღვრად. აქედან გამომდინარე, იკვეთება საკითხის აქტუალურობა.

ჩემს კვლევაში მინდა ხაზი გავუსვა პრობლემურ საკითხს საერთაშორისო „ზედამხედველობას" დაქვემდებარებული ტერიტორიების სტატუსთან დაკავშირებით, კოსოვოს მაგალითზე (გამომდინარე გაეროს და სხვა საერთაშორისო თუ რეგიონალური ორგანიზაციის ძალისხმევიდან, „მშვიდობის აღმშენებლობის" სტრატეგიების კონტექსტში).

მოგეხსენებათ, პრობლემურია იმის განსაზღვრა, თუ ვის მიერ უნდა იქნეს დადგენილი აკმაყოფილებს თუ არა მოცემული ტერიტორიული ერთეული 1933 წლის მონტევიდეოს კონვენციით გათვალისწინებულ სახელმწიფოებრიობის კრიტერიუმებს. თუმცა, მე შევეცდები დავადგინო, თუ რა გავლენა იქონია აღნიშნული ,,პრეცედენტის" აღიარებამ მსოფლიო თანამეგობრობის აღქმაზე sui generis წარმონაქმნების სუვერენულობასთან დაკავშირებით.

**Anna Shioshvili**
Tbilisi State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Tamta Zaalishvili**
Master, Visiting Lecturer

## Kosovo and the Significance of Recognition as a State in International Law

In international law, recognition signifies the deliberate expression of a state's intent, aiming to establish normalized relations with a newly formed state. Article 2 of the UN Charter underscores the pursuit of equality, territorial integrity, and political independence among states as fundamental aspects of sovereignty. Recognition of a state's status can significantly influence the rights and obligations attributed to it within national legislation, thus underscoring the relevance of this issue. In my research, I aim to shed light on the intricate challenges surrounding the status of territories under international "supervision," using Kosovo as a case study (stemming from the efforts of the

United Nations and other international or regional bodies within the context of "peace-building" strategies). Determining whether a territorial unit meets the criteria for statehood outlined in the Montevideo Convention of 1933 poses a significant challenge. Nevertheless, my study endeavors to assess the impact of recognizing such "precedents" on the global community's perception of the sovereignty of sui generis entities.

**დავით ხაზალაშვილი**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეა კაველიძე**
დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი

## ბიკამერალიზმის დინამიკა მსოფლიოში და საქართველოს პერსპექტივები

ბიკამერალიზმის იდეასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავებისას არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ავტორებმა არ გაიზიარეს ბიკამერალიზმის იდეა და არჩევანი ქვეყნის პირველ კონსტიტუციაში მონოკამერალურ პარლამენტზე გააკეთეს. საქართველომ 1995 წელს მიღებულ კონსტიტუციაში გაითვალისწინა სამომავლო დათქმა, რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების დადგომისთანავე ამოქმედდებოდა ორპალატიანი პარლამენტი. დღესდღეობით კი საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მოქმედი რედაქცია ორპალატიანი პარლამენტის ჩამოყალიბებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ ითვალისწინებს.

მოცემული საკონფერენციო ნაშრომის მიზანია განვიხილოთ ბიკამერალიზმის გავრცელების დინამიკა მსოფლიოში, ვიმსჯელოთ, დემოკრატიული სახელმწიფოსთვის პარლამენტის რომელი, მონოკამერული თუ ბიკამერალური, მოდელებია ძირითადად დამახასიათებელი. ასევე, კონფერენციაში შევეხებით ევროპის ქვეყნებში არსებულ ვითარებას, ბიკამერალიზმის დადებით თუ უარყოფით მხარეებს განვიხილავთ, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ორპალატიანი პარლამენტის არსებობა, რა პოლიტიკურ-სამართლებრივი ხელისშემშლელი ფაქტორების გამო ვერ ხერხდება მისი ამოქმედება და ვიმსჯელებთ ბიკამერალიზმის პერსპექტივებზე საქართველოში.

**Davit Khazalashvili**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Tea Kavelidze**
PhD Student, Visiting Lecturer

## The Dynamics of Bicameralism in the World and Prospects of Georgia

Different opinions emerged related to the idea of a two-chambered legislative parliament, throughout the formation of the 1921 Constitution of Georgia. The framers of the 1921 Constitution of Georgia did not agree with the idea of bicameralism and embraced a unicameral parliament system for the first constitution of the country. Georgia considered the provision for a bicameral parliament in the constitution adopted on August 24, 1995, to be instituted all over the entire expanse of the country as soon as it will be have appropriate conditions, it will be fulfilled comprising with the Council of the Republic and the Senate. Currently, according to the current functioning version of the 1995 Constitution of Georgia the formation of a bicameral parliament is envisaged after the full restoration of Georgian jurisdiction over the entire territory of the country. The conference paper aims to explore the global spread of bicameralism, examining the predominant parliamentary models in democratic states, evaluating the pros and cons of bicameral systems. The paper will also highlight the importance of bicameral parliaments, identify political and legal barriers to their establishment, and discuss the potential for bicameralism of Georgia.

**დავით პეტრიაშვილი**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გურამ ღვინჯილია**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## ევროკავშირის 12 რეკომენდაციის პრობლემური ასპექტები და საქართველოს რეალობა

საქართველოს ურთიერთობა ევროკავშირთან დაიწყო საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ 1992 წელს. ევროკავშირის ინიციატივები მიზნად ისახავდა დემოკრატიული პრინციპების ხელშეწყობას და საბაზრო ეკონომიკის განვითარებას. თუმცა, ბოლო წლებში გამოჩნდა გამოწვევები, მათ შორის, შეუსრულებელი საარჩევნო დაპირებები და პოლიტიკური პოლარიზაცია 2020 წლის არჩევნების შემდეგ, რამაც ურთიერთობების დაძაბვა გამოიწვია. 2022 წელს რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის ფონზე, ევროკავშირმა გამოსცა რეკომენდაციები, რათა საქართველო პროევროპულ გზაზე დარჩეს. ევროკომისიამ ჩამოაყალიბა 2022 წელს საქართველოს ევროკავშირში წევრობის

კანდიდატის კრიტერიუმები, რომლებიც ფოკუსირებულია პოლიტიკურ ერთიანობაზე, ინსტიტუციურ მთლიანობაზე, სასამართლო რეფორმაზე, ანტიკორუფციულ ზომებზე, მედიის თავისუფლებასა და უმცირესობათა უფლებებზე.

კანდიდატის სტატუსის მინიჭების მიუხედავად, საქართველომ გატარებული რეფორმების გარდა, უნდა შეძლოს ევროკავშირის მიერ გაცემული რეკომენდაციების ყოველდღიურობაში დანერგვა, რათა მოხდეს პოლიტიკურ პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა. ევროკავშირის კრიტერიუმების მხოლოდ შესრულება საკმარისი არ არის; მდგრადი განვითარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დემოკრატიული ღირებულებების დაცვისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსის მიღებისკენ.

**Davit Petriashvili**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Guram Gvinjilia**
Doctor, Associate Professor

## The Problematic Aspects of the 12 Recommendations of the European Union And the Reality of Georgia

Georgia's relationship with the European Union began after the collapse of the Soviet Union and Georgia's independence in 1992. EU initiatives were aimed at promoting democratic principles and developing a market economy. However, challenges have emerged in recent years, including broken election promises and political polarization after the 2020 elections, which have strained relations. Against the backdrop of the Russia-Ukraine conflict in 2022, the European Union issued recommendations to keep Georgia on the pro-European path. The European Commission has established criteria for Georgia's EU membership in 2022, focusing on political unity, judicial reform, anti-corruption measures, media freedom and minority rights. Although the recommendations were strengthened at the legislative level, issues related to political polarization and civil society involvement remained a problematic issue. Despite the candidate status, apart from the reforms carried out, Georgia will be able to implement the recommendations issued by the European Union in everyday life in order to involve the civil society in political processes. Sustainable development is vital to the protection of democratic values and the adoption of the status of the member state of the European Union.

**გიზო ქემერტელიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გურამ ღვინჯილია**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზი აგვისტოს ომის საქმეზე

საქართველო სახელმწიფოებრიობის განვითარების და სუვერენიტეტის მოპოვება/განმტკიცების პროცესში არაერთხელ გახდა უცხო ქვეყნების გავლენის გავრცელების ობიექტი, რომლებიც მუდმივად ცდილობდნენ საკუთარი პოლიტიკური და სამართლებრივი ვექტორის თავს მოხვევას. აღნიშნულ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება რუსეთის ფედერაცია, რომელიც ორ საუკუნეზე მეტია ცდილობს საქართველოს არ მისცეს სუვერენულად გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. საქართველო მუდმივად ცდილობდა და ცდილობს სამხედრო, პოლიტიკური, სამართლებრივი ბერკეტების გამოყენებით თავი დააღწიოს რუსულ მარწუხებს.

სამართლებრივი ბრძოლის ნათელი ილუსტრაციაა საქართველოს მიერ წარმოებული პროცესები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ. ჯამში სულ ოთხ საქმეზე გამოიტანა გადაწყვეტილება სტრასბურგმა, სადაც მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვა ქართულმა სახელმწიფომ. ოთხივე გადაწყვეტილება ნათელი დასტურია, რომ საქართველო იყენებს ყველა მშვიდობიან პოლიტიკურ და სამართლებრივ ინსტრუმენტს, რათა აღდგეს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა.

**Gizo Kemertelidze**
Cuacasus International University
Master
**Scientific Supervisor: Guram Ghvinjilia**
Doctor, Associate Professor

## Analysis of Decisions of the European Court of Human Rights on the August War Case

Georgia, in the process of developing statehood and gaining/strengthening sovereignty, repeatedly became the object of spreading the influence of foreign countries, which constantly tried to bend their own political and legal vector. The number of the mentioned countries includes the Russian Federation, which has been trying for more than two centuries not to give Georgia the opportunity to make a sovereign decision. Georgia constantly tried and is trying to get rid of Russian threats by using military, political and legal levers. A clear illustration of the legal battle is the proceedings conducted by Georgia in the European Court of Human Rights against Russia. In total, Strasbourg made a decision on four cases, where the Georgian state won important victories. All four decisions are clear proof that Georgia uses all peaceful political and legal instruments to restore the territorial integrity of our country.

**მერი კანთელაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა ტურავა**
დოქტორი, პროფესორი

## ადმინისტრაციული სასამართლოს უფლებამოსილება და კონტროლის საზღვრები

ადმინისტრაციული აქტების მიმართ საჯარო მმართველობის ორგანოებს გააჩნიათ მიზანშეწონილობის და კანონიერების კონტროლის უფლებამოსილება, სასამართლოს მხოლოდ კანონიერების კონტროლი - შეაფასოს ფაქტების მიმართ კანონის შესაბამისობა. სასამართლო კონტროლი ხორციელდება დროის მიმართ, აქტის კანონიერების შემოწმება საქმის განხილვის დროისათვის არსებული კანონმდებლობით. სასამართლო კონტროლი ეფუძნება ასევე გადაწყვეტილების ეფექტურობას, საქმის განხილვის დროულობას, რომ მიღებული გადაწყვეტილება აღსრულდეს უმოკლეს ვადაში, რომ ყველამ შეძლოს მართლმსაჯულებაზე წვდომა სასამართლოსადმი მიმართვის უფლებით.

ადმინისტრაციული ორგანოები ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას ეყრდნობიან დისკრეციულ უფლებამოსილებას, სასამართლო კონტროლის განხორციელებისას ვერ იჭრება მათ დისკრეციაში დავის სრულად გადაწყვეტის მიზნით, ასეთ შემთხვევაში იგი უფლებამოსილია მიიღოს ნაწილობრივი გადაწყვეტილება და დაავალოს აქტის გამომცემს ხელახალი შესწავლის შედეგად აქტის გამოცემა. მას საკუთარი დისკრეციის ფარგლები გააჩნია იმ შემთხვევაში, თუ საჯარო მმართველობის ორგანოს კანონით არ განეკუთვნება ეს უფლება. სასამართლო დისკრეციის ფარგლებში გადაწყვეტილებით მოაწესრიგებს საკითხს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოკვლეულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით და ვერ გასცდება წარმოების პროცესში მოკვლეულ ფაქტებსა და გარემოებებს.

**Meri Kantelashvili**
Caucuses International University
Doctoral
**Scientific Supervisor: Paata Turava**
Doctor, Professor

## The Power of Administrative Court and the Limits of Control Judicial Review

In relation to administrative acts, public administration bodies have the authority to control the expediency and legality, the court only controls the legality-to evaluate the conformity of the law to the facts. Judicial control is carried out with respect to time, checking the legality of the act according to the existing legislation at the time of the case review. Judicial control is also based on the effectiveness of the decision, the timeliness of the consideration of the case, that the decision is executed in the shortest possible time, that everyone can access justice with the right to appeal to the court. Administrative bodies rely on discretionary authority when issuing an administrative act,

when exercising control, the court cannot interfere in their discretion in order to fully resolve the dispute, in such a case, it is authorized to make a partial decision and instruct the issuer of the act to issue the act as a result of re-examination. It has its own scope of discretion in case the public administration body is not assigned this right by law. The court, within its discretion, will settle the matter with a decision based on the factual circumstances investigated by the administrative body and cannot go beyond the facts and circumstances found during the proceedings.

**ნატალია ანესაშვილი, ნატალი ბადრიაშვილი**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკა სირაძე**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის ცნობა/არცნობის საერთაშორისო სამართლებრივი შედეგები და მისი მნიშვნელობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის

დღესდღეობით საქართველოსთვის უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, კერძოდ, ჩვენს ტერიტორიაზე წარმოქმნილი ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკა. ნაშრომის მიზანია, პირველ რიგში, განვმარტოთ ცნობა/არცნობის ინსტიტუტი საერთაშორისო სამართალში და მისი მნიშვნელობა ახალ წარმონაქმნთა სახელმწიფოდ მიჩნევაში, რათა განახორციელონ საკუთარი სუვერენიტეტი, ასევე, ამ ინსტიტუტისადმი მიდგომების/განმარტებების/ ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობა.

შემდგომში განვიხილავთ ქვეყანათა არსებულ პრაქტიკას და პოზიციას, ვეცდებით დავადგინოთ, თუ რამდენად ლეგალურია სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ სხვა სახელმწიფო(ები)ს მიმართ კონკრეტული ტერიტორიული ერთეულის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობა/არ ცნობის მოწოდება, რომლიდან გამომდინარეც ვიმსჯელებთ, არის ახალი სუბიექტის ცნობა სახელმწიფოს უფლება თუ მოვალეობა.

ცნობის ინსტიტუტზე საუბრისას, რელევანტურია წარმოვაჩინოთ, შეუძლია თუ არა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დარღვევით შექმნილი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ცნობას მოახდინოს უკანონობის ლეგალიზაცია სწორედ ისე, როგორც რუსეთის ფედერაცია ცდილობს მოახდინოს ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის მიმართ. ნაშრომის დასასრულ შევაჯამებთ საქართველოს და სხვა ქვეყნების პრაქტიკას, რაც უფრო ნათლად წარმოაჩენს, თუ რა გავლენა აქვს არცნობას, როგორც პრობლემის გადაწყვეტის არაძალისმიერ გზას.

**Natalia Anesashvili, Natali Badriashvili**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Eka Siradze**
Doctor, Associate Professor

## The International Consequences of Recognition of the So-called Republic of Abkhazia and Its Importance for the Protection of Territorial Integrity of Georgia

Nowadays, the biggest challenge for Georgia is the issue of territorial integrity, in particular, the so-called Republic of Abkhazia. The goal of this paper is, firstly, to define the institution of recognition/non-recognition in international law and its meaning for new formations to be recognized as states, so that they can exercise their sovereignty, as well as the need to establish approaches/uniform practices to this institution. Next, we will discuss existing state practice/interpretation and we will try to deduce if it is legal for a state or group of states to urge others to recognize an entity as a state, from which we will examine if recognition is an obligation or a right of a state. Speaking about the institution of recognition, it is relevant to demonstrate whether the recognition of a state, which was formed by a breach of International Law can legalize unlawfulness, just like what the Russian Federation is trying to do with the so-called Republic of Abkhazia. At the end of the paper, we will summarize the practice of Georgia and other countries, which will clarify the power of non-recognition as a way to settle international disputes peacefully.

**ბადრი ხატიძე**
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გურამ ღვინჯილია**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერება უსაფრთხოების სექტორის რეფორმირების ფარგლებში

უსაფრთხოების სექტორი წარმოადგენს სახელმწიფოს ერთ-ერთ ფუძემდებლურ ბირთვს, რადგან მასში შემავალი ინსტიტუტები უზრუნველყოფენ სახელმწიფოსა და მისი მოსახლეობის უსაფრთხოებას. მოცემული ამოცანების შესრულების კვალდაკვალ უსაფრთხოების სექტორის საქმიანობა ხასიათდება საიდუმლოების მაღალი ხარისხითა და გარკვეული კომპლექსური და სპეციფიკური ასპექტებით, რომლებიც საფუძველს იძლევა დღის წესრიგში უსაფრთხოების სექტორის ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანი, დემოკრატიული საზედამხედველო მექანიზმების დამკვიდრების და გაძლიერების აუცილებლობისა. ამდენად, კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება უსაფრთხოების სექტორში შემავალი ინსტიტუტების საქმიანობის გარე ზედამხედველობის, კონკრეტულად, საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერებას,ვინაიდან საქართველოს

კანონმდებლობის მიხედვით, პარლამენტი წარმოადგენს უსაფრთხოების სექტორის ძირითად მაკონტროლებელ ორგანოს. უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის შესაბამისი მექანიზმების არსებობა ხელს უწყობს უსაფრთხოების სექტორში შემავალი ინსტიტუტების მიერ დარღვევათა თავიდან აცილებას, მათი საქმიანობის ქმედითობის, ეფექტიანობის განმტკიცებასა და, საბოლოოდ, კარგი მმართველობის დამკვიდრებას. ეს უკანასკნელი წარმოადგენს „ჟენევის უსაფრთხოების სექტორის მმართველობის ცენტრის“ (DCAF) მიერ უსაფრთხოების სექტორის რეფორმირების ფარგლებში შემუშავებული პოლიტიკის ძირითად ბირთვს, რომელიც უშუალოდ ეფუძნება უსაფრთხოების სექტორში შემავალი ინსტიტუტების მიერ საქმიანობის გამჭირვალედ განხორციელებას, ანგარიშვალდებულებას, პლურალიზმს, მონაწილეობას, პარტნიორობას, ეფექტიანობას, ქმედითობას, რეაგირების უნარს, კანონის უზენაესობასა და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფას.წარდგენილ თემაში განხილულია უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობის საერთაშორისო, ადგილობრივი პრაქტიკა და საპარლამენტო კონტროლის ძირითადი მექანიზმები ევროპის ქვეყნების მაგალითზე.

ნაშრომი ხაზს უსვამს უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერების მნიშვნელობას უსაფრთხოების რეფორმირების ფარგლებში. ამასთან დაკავშირებით, მასში წარმოდგენილი და განხილულია, საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, ის ძირითადი ნორმები და მექანიზმები, რომლებიც ხელს უწყობს უსაფრთხოების სექტორისადმი საპარლამენტო ზედამხედველობის გაუმჯობესებას.

**Badri Khatidze**
Ilia State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Guram Gvinjilia**
Doctor, Associate Professor

## Strengthening the Parliamentary Oversight Over the Security Sector Within the Framework of Security Sector Reform

Security sector is one of the fundamental areas of the state, as the institutions being the integral part of the sector, ensure the security of the state and its population. Following the implementation of those tasks, the activities of the security sector are characterized by a high degree of secrecy and certain complex and specific aspects, which provide the basis for the need to establish and strengthen the security sector accountability and effective, democratic oversight mechanisms. Thus, strengthening the external oversight of the activities of the institutions of security sector, specifically the parliamentary oversight, has the paramount importance, since in accordance with the legislation of Georgia, the Parliament is the main body having the oversight function over the security sector.The existence of relevant mechanisms of parliamentary oversight over the security sector provide the prevention of violations by the institutions of security sector and strengthen

efficiency and effectiveness of their activities, as well as contribute to the establishment of good governance. The aforementioned represent the core policy developed by the "Geneva Centre for Security Sector Governance" (DCAF) within the framework of security sector reform, which is directly based on rigorous implementation of activities by the institutions of security sector, accountability, pluralism, participation, partnership, effectiveness, efficiency, responsiveness, ensuring the rule of law and basic human rights and freedom.The presented topic discusses the national and international practice of oversight over the security sector and the main mechanisms of the parliamentary oversight under the example of the European countries. The paper emphasizes the importance of strengthening the parliamentary oversight over the security sector within the framework of security reform. In this regard, it presents and discusses the main norms and mechanisms that contribute to the improvement of parliamentary oversight over the security sector, taking into account international standards and best practices.

**ნია ხარატიშვილი**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გურამ ღვინჯილია**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## Restitution in integrum- დარღვევის გამოსწორების ძირითადი ფორმა

საერთაშორისო სამართლის სუბიექტის მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც არღვევს საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმას, იწვევს პასუხისმგებლობას. აღნიშნული მოიცავს სამ კომპონენტს:

1. დარღვევის აღმოფხვრა;
2. დარღვევის გამოსწორება;
3. მომავალში მსგავსი დარღვევის თავიდან არიდება.

დარღვევის გამოსწორების ძირითად ფორმად მიჩნეულია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა (restitution in integrum). საინტერესოა, რატომ არის ეს პრინციპი აღიარებული საერთაშორისო სამართალში დარღვევის გამოსწორების ძირითად ფორმად და რა მექანიზმებს იყენებენ სახელმწიფოები უკანონო შედეგის აღმოფხვრისა და მდგომარეობის ისე გამოსწორებისთვის, თითქოს დარღვევას ადგილი არ ჰქონია. ამ საკითხთან დაკავშირებით, ქართულ კანონმდებლობაში გარკვეულ ცვლილებებსაც ვხვდებით, სწორედ ამ პრინციპით ხელმძღვანელობს საქართველო ,,თაქთაქიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ საქმის ხელახალი განხილვის დროს. ჩემი კვლევა ემსახურება ამ პრინციპის მნიშვნელოვნების დამტკიცებასა და აღსრულების მექანიზმების განმარტებას პრეცედენტული სამართლის დახმარებით.

**Nia Kharatishvili**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Guram Gvinjilia**
Doctor, Associate Professor

## Restitution in Integrum - the Main Form of Cure of Breach

The action or inaction of the subject of international law, which violates the international legal norm, causes responsibility. This includes three components:
1. Elimination of violation
2. Correcting the violation
3. Avoiding similar violations in the future.

Restitution in integrum is considered the main form of remedying the violation. It is interesting why this principle is recognized as the main form of remedying a violation in international law and what mechanisms are used by states to eliminate the illegal result and correct the situation as if the violation had not occurred. Regarding this issue, we find certain changes in the Georgian legislation, it is this principle that guided Georgia "Taktakishvili against Georgia" during the re-examination of the case. My research serves to prove the importance of this principle and to explain the enforcement mechanisms with the help of case law.

**ნინი ბულია, დათო ირემაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გურამ ღვინჯილია**
დოქტორი,ასოცირებული პროფესორი

## პერსონალური მონაცემების დაცვა და არასრულწლოვანი

სოციალურ ღირებულებათა სისტემაში არასრულწლოვანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, მის თავისუფლებას, საუკეთესო ინტერესების დაცვას, პატივსა და ღირსებას უზენაესი მნიშვნელობა აქვს. იმის მიხედვით, თუ როგორ ზრუნავს სახელმწიფო არასრულწლოვნის უფლებების, თავისუფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის, შეიძლება ვიმსჯელოთ მის დემოკრატიულ და ჰუმანურ ხასიათზე. ბავშვთა უფლებების დაცვა მართლმსაჯულების აღსრულების პროცესში ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. არასრულწლოვნების პერიოდი ადამიანის ცხოვრების უაღრესად საპასუხისმგებლო პერიოდია.

2015 წელს, პირველად საქართველოს ისტორიაში, შეიქმნა და ამოქმედდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც ძირითად მიზნად ბავშვის

საუკეთესო ინტერესის დაცვასა მასზე მორგებულ ჰუმანური მართლმსაჯულების უზრუნველყოფას ისახავს. ამ ყველაფერთან ერთად ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემები, რაც იქნება წარმოდგენილი ნაშრომის კვლევის ობიექტი.

ნაშრომში განხილული იქნება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: არასრულწლოვნის დაცვის პრინციპები; ბავშვის, როგორც მონაცემთა სუბიექტის უფლებები; თანხმობა, როგორც ბავშვის მონაცემების დამუშავების კანონიერი საფუძველი. გარდა ზემოაღნიშნულისა, კვლევაში გაანალიზებული იქნება როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო კანონმდებლობა, არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვასთან მიმართებით.

პერსონალური მონაცემები მნიშვნელოვან კვლევის ობიექტს წარმოადგენს. ეს არის მნიშვნელოვანი უფლება და პერსონალური მონაცემების დაცვის გარეშე სრულწლოვნის და არასრულწლოვნის უფლებები არ იქნება ჯეროვნად დაცული. ამასთანავე არასწრულწლოვანი უფრო მოწყვლადია და მარტივად შეიძლება მისი უფლებების შელახვა, ვიდრე სრულწლოვნის და შესაბამისად კანონდემბლობა საფუძვლიანად უნდა იცავდეს მას.

**Nini Bulia, Dato Iremadze**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Guram Gvinjilia**
Doctor, Associate Professor

## Protection of Personal Data and Minors

In the system of social values, the life and health of the minor, his freedom, protection of the best interests, honor and value are the most important. Depending on how the state cares for the protection of the rights, freedom and legal interests of minors, we can judge its democratic and humane character. Protection of children's rights is one of the priority issues in the justice process. Adolescence is a highly responsible period of a person's life. In 2015, for the first time in the history of Georgia, the Juvenile Justice Code was created and put into effect, the main goal of which is to protect the best interests of the child and ensure humane justice tailored to him. Along with all this, one of the important issues is the minor's personal data, which will be the research object of the presented paper. The paper will discuss such important issues as: principles of protection of minors; rights of the child as a data subject; Consent as a legal basis for processing child data. In addition to the above, the research will analyze both national and international legislation regarding the protection of minor's personal data. Personal data is an important research object. This is an important right and without the protection of personal data, the rights of adults and minors cannot be adequately protected. However, a minor is more vulnerable and his rights can be easily violated than an adult, and therefore the legislation must thoroughly protect him.

**ნათია ხორავა**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამთა ზაალიშვილი**
დოქტორი,მოწვეული ლექტორი

## სავალდებულო არაღიარების მნიშვნელობა საერთაშორისო სამართალში

ზოგადად, სახელმწიფოთა აღიარება საერთაშორისო სამართალში მიჩნეულია, როგორც კონსტიტუციური, ან დეკლარაციული აქტი. დეკლარაციული თეორიის ფარგლებში აღიარება მხოლოდ პოლიტიკური აქტია და ემსახურება ფაქტის კონსტატაციას. საწინააღმდეგოდ, კონსტიტუციური თეორიის ფარგლებში აღიარება საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეში აყალიბებს ისეთ სახელმწიფოს, რომელიც აღიარების აქტამდე არ არსებობდა.

სავალდებულო არაღიარების კონცეფცია ფაქტობრივად ეყრდნობა აღიარების კონსტიტუციურ გაგებას იმდენად, რამდენადაც არაღიარების პოლიტიკის ქმედითობას განსაზღვრავს აღიარების სამართლებრივი შედეგები, რომლებიც დეკლარაციული თეორიის ფარგლებში შეზღუდულია და მხოლოდ ფორმალურ, პოლიტიკურ ხასიათს ატარებს. სავალდებულო არაღიარების პოლიტიკა საერთაშორისო თანამეგობრობას სთავაზობს ქმედით ინსტრუმენტს, არ იქნეს აღიარებული რეჟიმი, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო სამართალთან.

არაღიარების პოლიტიკა, რომელიც მოქმედებს უშიშროების საბჭოს ან გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუციების ფორმით პრაქტიკაში, არსებითად მნიშვნელოვანია სახელმწიფოებისთვის, რომელთა ტერიტორია ოკუპირებული ან ანექსირებულია. კვლევის მიზანია, განსაზღვროს სავალდებულო არაღიარების მნიშვნელობა საერთაშორისო სამართალში გაეროს პრაქტიკასთან მიმართებით, რაც არსებითია საქართველოს მსგავსი სახელმწიფოებისთვის.

**Natia Khorava**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Tamta Zaalishvili**
Doctor, Visiting Lecturer

## Importance of Mandatory Non-recognition in International Law

In general, the recognition of states in international law is considered as a constitutional or declaratory act. Within the framework of the declaratory theory, recognition is only a political act and serves to ascertain the facts. On the contrary, within the framework of the constitutive theory, recognition in the international law forms a state that did not exist before the act of recognition. The concept of mandatory non-recognition relies on the constitutional understanding of recognition to the extent that the effectiveness of the policy of non-recognition is determined by

the legal consequences of recognition, which are limited within the framework of the declaratory theory and have only a formal, political character. The policy of mandatory non-recognition offers the international community an effective tool not to recognize a regime that is in conflict with international law. Non-recognition policy, which operates in practice in the form of resolutions adopted by the Security Council or the General Assembly, is essentially important for states whose territory is occupied or annexed. The purpose of the study is to determine the importance of mandatory non-recognition in international law in relation to the practice of the United Nations, which is essential for states like Georgia.

**ნინო ჯოლია**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზვიად გაბისონია**
დოქტორი, პროფესორი

## პერსონალურ მონაცემთა დაცვის ახალი საკანონმდებლო რეგულაცია: გამოწვევები და შესაძლებლობები

ინფორმაცია თანამედროვე ტექნოლოგიების მთავარი შემადგენელი ნაწილია, რომელსაც იგი სხვადასხვა მიზნით აქტიურად იყენებს. ბუნებრივია, ამ დროს მუშავდება რიგი პერსონალური მონაცემები. პერსონალურ მონაცემებზე მოთხოვნა კი განუწყვეტლივ იზრდება, რადგან იგი თანამედროვე ტექნოლოგიების ძირითადი მამოძრავებელი ძალაა. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი მიღებულ იქნა 2023 წლის 14 ივნისს, ხოლო ის ძალაში შევიდა 2024 წლის 1 მარტს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაცია წარმოადგენს საქართველოს მიერ ევროპის კავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებას. ახალი კანონი არაერთ მნიშვნელოვან ცვლილებასა და ნოვაციას ითვალისწინებს, მათ შორის აფართოებს მონაცემთა სუბიექტების უფლებებსა და ზრდის მათი დაცულობის ხარისხს.

აღნიშნული ცვლილებების იმპლემენტაციის შედეგად ქვეყანაში მნიშვნელოვნად ამაღლდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტი და განმტკიცდება ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური უფლება.

ახალი კანონი ბიზნესს გარკვეული გამოწვევებისა და შესაძლებლობების წინაშე აყენებს. ერთი მხრივ, კომპანიებს მოეთხოვებათ ახალ საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, მეორე მხრივ კი მათ შესაძლებლობა ეძლევათ, გააძლიერონ ძალისხმევა იმ პირთა უფლებების დასაცავად, რომელთა მონაცემებსაც ამუშავებენ.

**Nino Jolia**
Caucasus International University
Doctoral
**Scientific Supervisor: Zviad Gabisonia**
Doctor, Professor

## New Legal Regulations on Personal Data Protection: Challenges and Opportunities

Information stands as the cornerstone of modern technologies, actively utilized for multifarious purposes. Naturally, a plethora of personal data is processed during this era. The demand for personal data is constantly increasing, serving as it is the main driving force of modern technology. The new legislation of Georgia, titled "On Personal Data Protection," was ratified on June 14, 2023, and came into effect on March 1, 2024. Harmonizing of the legal framework for personal data protection constitutes an obligation undertaken by Georgia pursuant to the association agreement with the European Union and the association agenda. The new law introduces a slew of significant changes and innovations, such as the broadening of data subjects' rights and the enhancement of their protection levels. These alterations are poised to elevate the standard of personal data protection nationwide, bolstering the paramount constitutional right to the inviolability of an individual's private life. The advent of the new law poses both challenges and opportunities for businesses. On the one hand, companies are mandated to navigate and adhere to the latest legal stipulations. On the other hand, they are afforded the chance to fortify their endeavors in safeguarding the rights of individuals.

**სალომე მაღრაძე**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გურამ ღვინჯილია**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## დიპლომატიური იმუნიტეტი ადამიანის უფლებათა კონტექსტში

დიპლომატიური იმუნიტეტი ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა საერთაშორისო ურთიერთობებში. ამ პრინციპის მიხედვით, უცხო სახელმწიფოს მოხელეების როგორც ოფიციალური, ასევე, დიდწილად, პირადი საქმიანობა არ ექვემდებარება ადგილობრივი სასამართლოების და სხვა ორგანოების იურისდიქციას. იგი შექმნილია იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს და მათ შესაბამის წარმომადგენლებს, რათა თავისუფლად და უსაფრთხოდ შეასრულონ თავიანთი მოვალეობები, თუნდაც პოლიტიკური დაძაბულობისა და შეიარაღებული

კონფლიქტის დროს. მიუხედავად მისი სარგებლიანობისა, ის დიდი ხანია კამათის საგანია საერთაშორისო სამართალში. მისი სარგებლიანობის მიუხედავად, დიპლომატიური იმუნიტეტი შეიძლება მივიჩნიოთ ადამიანის უფლებების რეალიზებისთვის ერთგვარ დაბრკოლებად, რადგან ის შეიძლება გამოყენებულ იქნას დიპლომატების მიერ, როგორც ჩადენილი დანაშაულებისთვის პასუხისმგებლობის არიდების მექნიზმი.

ამ ნაშრომში განხილულ იქნება დიპლომატიური იმუნიტეტისა და ადამიანის უფლებების კვეთა: ხელს უშლის თუ არა დიპლომატიური სამართალი ადამიანის უფლებათა რეალიზაციას, შესაძლოა თუ არა დიპლომატიური იმუნიტეტისა და პრივილეგიების ბოროტად გამოყენება დიპლომატების მიერ და ასევე, დგება თუ არა დიპლომატიური წარმომადგენლების დაუსჯელობის საკითხი, როდესაც ისინი პასუხისმგებელნი არიან jus cogens ნორმებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაზე.

**Salome Maghradze**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Guram Gvinjilia**
Doctor, Associate Professor

## Diplomatic Immunity in the Context of Human Rights

Diplomatic immunity is one of the oldest and most widespread practices in international relations. According to this principle, foreign government officials are not subject to the jurisdiction of local courts and other authorities for both their official and, to a large extent, their personal activities. It is designed to facilitate relations between states by allowing their respective representatives to conduct their duties freely and safely, even during periods of political tension and armed conflict. Despite its usefulness, it can also be seen as an obstacle to human rights, since it can be defined as a mechanism of evasion of criminal responsibility committed by diplomats. In this paper, the intersection of diplomatic immunity and human rights will be discussed: whether diplomatic law prevents the realization of human rights, also whether the abuse of diplomatic immunity and privileges by diplomats is possible. This chapter explores the question of whether the immunity of diplomatic agents leads to impunity when they are responsible for violations of jus cogens human rights.

**თამარ შვანგირაძე, თეონა ელაშვილი**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით ჯაიანი**
მაგისტრი, მოწვეული ლექტორი

## განგრძობადი ოკუპაცია და საერთაშორისო ხედვები საქართველოსთან მიმართებით

თანმიმდევრული, ხშირი და ფარული გაფართოება მეორე სახელმწიფოს ტერიტორიასა ან რესურსებზე, არღვევს მთელ რიგ ძირეულ საერთაშორისო პრინციპებს, როგორებიცაა სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობა, მათი ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობა და საზღვრების ურღვეობა. საბოლოოდ კი ერთი სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული მსგავსი ქმედება მიიჩნევა საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ ვალდებულებათა უხეშ დარღვევად.

მიგეხსენებათ, წლების განმავლობაში საქართველო რუსეთის მხრიდან განგრძობად ოკუპაციას განიცდის. ზემოხსენებული გამოიხატება აგრესორი სახელმწიფოს ქმედებებით საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე უკანონო საზღვრების დაწესებაში, მოქალაქეთა დაკავებასა და მათ მიმართ არაადამიანურ მოპყრობაში.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საქართველომ არაერთი საჩივრით მიმართა რუსეთის წინააღმდეგ. ხოლო უშუალოდ განგრძობადი ოკუპაციის შესახებ საქმეზე ვერდიქტი სტრასბურგის სასამართლომ 2024 წლის 9 აპრილს გამოიტანა. გადაწყვეტილებაში ნათლად ჩანს, რომ ოკუპირებულ რეგიონში განვითარებულ მოვლენებზე სრული პასუხისმგებლობა რუსულ მხარეს ეკისრება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უკვე დასმული პრობლემატური საკითხი უფრო ვრცლად და კრიტიკულად იქნება განხილული სწორედ საქართველო რუსეთის წინააღმდეგ რიგით მეოთხე საქმესთან მიმართებით.

**Tamar Shvangiradze, Teona Elashvili**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Davit Jaiani**
Master, Visiting Lecturer

## Continued Occupation and International Views Towards Georgia

The term 'continued occupation' refers to the consistent, frequent, and covert expansion of control or influence by one state over the territory or resources of another state. The latter violates a number of fundamental international principles, such as the sovereign equality of states, the inviolability of their territorial integrity, and the inviolability of borders. Finally, such an action by the state is considered a gross violation of obligations defined by international law. As you know,

Georgia has been continuously occupied by Russia for years. The above is reflected in the actions of the aggressor state in the establishment of illegal borders on the territory controlled by Georgia, the detention of citizens and inhumane treatment of them. The Strasbourg court issued a verdict on the ongoing occupation on April 9, 2024. The decision clearly shows that the full responsibility for the events in the occupied region rests with the Russian side. Based on the above, the problematic issue that has already been raised will be discussed more extensively and critically in contrast to the fourth case of Georgia against Russia.

**თამარ ცხომელიძე, თინათინ ტალახაძე**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: მერი კაპანაძე**
დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი

## საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებისა და მექანიზმების ქმედითობა შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვთა უფლებების დასაცავად

გლობალური მასშტაბით შეიარაღებული კონფლიქტების ზრდა შემაშფოთებელი ტენდენციაა ბოლო წლების განმავლობაში. ეს განსაკუთრებულ პრობლემებს იწვევს და კრიტიკულ გამოწვევას წარმოადგენს კონფლიქტის ზონებში მყოფი ბავშვების უფლებების დასაცავად, რომლებიც არაპროპორციულად განიცდიან ძალადობასა და ექსპლუატაციას.

მოცემული ნაშრომი ემსახურება იმ სამართლებრივი ინსტრუმენტებისა და მექანიზმების ქმედითობის განხილვას, რომლებიც ადგენენ მკაფიო სტანდარტებს ბავშვთა უფლებების დაცვისათვის შეიარაღებული კონფლიქტების დროს. ეს საკანონმდებლო ჩარჩოები ავალდებულებს სახელმწიფოებს მიიღონ ზომები ბავშვების შეიარაღებულ ძალებში იძულებითი გაწვევის თავიდან ასაცილებლად, უზრუნველყონ განათლებასა და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა და ხელი შეუწყონ კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ბავშვების ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის მხარდაჭერას.

საკითხავია, რამდენად ხდება საერთაშორისო სამართლით დადგენილი ამ ინსტრუმენტების აღსრულება პრაქტიკაში და მნიშვნელოვანია გავიგოთ, რა არის საჭირო ისეთი ხარვეზების აღმოსაფხვრელად, როგორებიცაა, ანგარიშვალდებულების მექანიზმების ნაკლებობა და შეზღუდული რესურსები, რომლებიც ხელს უშლის ბავშვთა უფლებების ეფექტურ დაცვას კონფლიქტის ზონებში.

**Tamar Tskhomelidze, Tinatin Talakhadze**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Mery Kapanadze**
PhD Student, Visiting Lecturer

## Effectiveness of International Legal Instruments and Mechanisms to Protect Children's Rights in Armed Conflicts

The rise of armed conflicts on a global scale represents a concerning trend observed in recent years. This poses particular problems and is a critical challenge for protecting the rights of children residing in conflict zones, who are disproportionately affected by violence and exploitation. This paper aims to assess the efficacy of legal instruments and mechanisms that establish clear standards for the protection of children's rights during armed conflicts. These legal frameworks oblige states to take measures to prevent the forced recruitment of children into the armed forces, ensure access to education and health care, and facilitate the physical and psychological rehabilitation of children affected by conflict. The question is to what extent these instruments established by international law are enforced in practice, and it is crucially important to understand what is needed to eliminate such gaps as the lack of accountability mechanisms and limited resources that prevent the effective protection of children's rights in conflict zones.

**თამარი ტრაპაიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ლაკერბაია**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## სამედიცინო შეცდომასა და პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას შორის მიზეზობრივი კავშირი, როგორც სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობის საფუძველი

პაციენტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის სამედიცინო პერსონალის (სამედიცინო დაწესებულების) მიერ დაშვებული შეცდომის შედეგად მიყენებული ზიანის იურიდიულ კვალიფიკაციას და ასეთ დროს წარმოშობილი ვალდებულების შესწავლას როგორც მეცნიერული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ისეთ პირობებშიც კი, როდესაც ქართულ კანონმდებლობაში არსებობს რამდენიმე სამართლებრივი აქტი, რომლებიც ეხება პაციენტის უფლებათა დაცვას, ექიმის პროფესიული საქმიანობის ფარგლებს და მის თანმდევ უფლება-მოვალეობებს, აგრეთვე, თანმხლები რისკების მართვის წესებსა და პირობებს, ამ სფეროში წარმოშობილი მრავალი საკითხი

მწვავე პრობლემად რჩება. ჯანმრთელობის უფლების დაცვაზე საზოგადოებრივი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად აუცილებელია ამ დარგში წარმოქმნილი ურთიერთობების იურიდიული შეფასება და კვლევა.

ნაშრომის მიზანია, სამართლებრივი კუთხით, სამედიცინო შეცდომით გამოწვეული ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის აუცილებელი კომპონენტების განსაზღვრა, მიზეზობრივი კავშირის როლის გამოკვეთა და მასთან დაკავშირებული საკითხების სიღრმისეული ანალიზი. აგრეთვე, სამედიცინო შეცდომასთან დაკავშირებული დავების რეგულირებისას ისეთი საკითხების გამოყოფა, რომლებიც განსაკუთრებით ართულებს ასეთი ხასიათის სამართალურთიერთობების რეგულირებას.

**Tamar Trapaidze**
Caucasus International University Doctoral
**Scientific Supervisor: Tamar Lakerbaia**
Doctor, Associate Professor

## Causal Relation Between Medical Error and Deterioration of Patient's Health, as the Basis Of Medical Personnel's Legal Liability

The legal qualification of damage, caused by medical error and scientific study of responsibilities that should be taken by a party that caused a patient suffer harm as a result of their medical negligence, is certainly a subject of high importance by practical and scientific means simultaneously. Although there are several legislative acts that regulate issues concerning patient rights, keeping the rights of medical professionals in legitimate bounds, rules of management of accompanying risks in medical service sphere in Georgia, several issues still remain critically problematic in this field. In order to meet social requirements concerning the realization of right to health, profound scientific study and detailed evaluation of rights and responsibilities revealing during medical service errors appear to be compulsory. The main purpose of the topic is to determine the main components that are needed to coexist in order to establish the legal basis for compensating damages that stem from harm done to one's health or life during medical service and to underline the importance of causality. The aim of thesis is also to emphasize issues, making the topic especially problematic, for the new ways of regulating them in an easier way to become available.

**ანუკი ხარაძე**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი რუსიაშვილი**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

### აბორტის უფლება - დანაშაული თუ არჩევანი

აბორტი საკამათო საკითხია, რომელიც საზოგადოების ერთი ნაწილისთვის, მორალური და ეთიკური გადმოსახედიდან, მკვლელობას წარმოადგენს, მეორე ნაწილი კი საკუთარი სხეულის ბედის გადაწყვეტას ქალის პირად ავტონომიურ უფლებად თვლის - „ჩემი სხეული, ჩემი არჩევანი“. რელიგიური, ეთიკური და კულტურული საკითხები გავლენას ახდენს კანონმდებლებზეც. არსებობს ქვეყნები: ანდორა, მალტა, აშშ-ს დიდი ნაწილი, სადაც აბორტი აკრძალულია და გამონაკლისები არ არსებობს. დანარჩენ ქვეყნებში კი წინაპირობების არსებობისას დაიშვება, როგორც საქართველოში, სადაც 12 კვირამდე აბორტი ნებაყოფლობითია, ხოლო 12-დან 22 კვირამდე პერიოდში კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში კეთდება.

კვლევის ფარგლებში განვიხილავთ „ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის“ კანონში ბოლოს შესულ ცვლილებებს, რომლებმაც გააძნელა აბორტის გაკეთება. ვისაუბრებთ ქართულ და საერთაშორისო სამართლის მიდგომებზე, განვიხილავთ ფეტუსის სიცოცხლის უფლების საკითხს, რომელიც უპირისპირდება დედის უფლებებს. ვიმსჯელებთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე და აშშ-ს მდგომარეობაზე, სადაც 21 შტატში აკრძალეს, ან გაამკაცრეს აბორტის რეგულაციები. საბოლოოდ კი დავამტკიცებთ, რომ აბორტის უფლება უნდა იყოს ქალის დისკრეფციული უფლებამოსილება და ის უნდა წყვეტდეს თავისი სხეულის და ჩასახული ემბრიონის ბედს, მითუმეტეს მაშინ, როცა სასწორზე საკუთარი სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ან სხვა მნიშვნელოვანი ინტერესია.

**Anuki Kharadze**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Anuki Kharadze**
Doctor, Associate Professor

### Right to Abortion - a Crime or a Choice

Abortion is a controversial topic, which for some people represents murder from a moral and ethical point of view, while the others consider it a woman's personal autonomous right to decide the fate of her own body - "My body, my choice."Religious, ethical and cultural issues also affect legislators. There are countries: Andorra, Malta, a large part of the USA, where abortion is prohibited and there are no exceptions. In other countries, it is allowed if there are prerequisites, as in Georgia, where

abortion up to 12 weeks is voluntary, and in the period from 12 to 22 weeks it is done in cases provided for by law. With this study, we will discuss the latest changes in the "Artificial Termination of Pregnancy" law, which made it more difficult to have an abortion. We will talk about the views of Georgian and international law, the issue of the fetus's right to life against the mother's rights. We will discuss the decisions of the European Court of Human Rights and the situation in the USA, where 21 states have banned or tightened abortion regulations. Finally, we will prove that the right to abortion should be a woman's discretionary right, and she must decide the fate of her body and the embryo, especially when her life, health or other important interest is at stake.

**ხატია ლეონიძე**
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლევან ჯაყელი**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფა ციფრულ გარემოში: ქართული საკანონმდებლო ბაზა და ძირითადი გამოწვევები

პერსონალური მონაცემების დაცვა, როგორც ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლება, არის კონცეფცია, რომელმაც აქტუალობა მოიპოვა ბოლო წლებში, განსაკუთრებით ციფრული ტექნოლოგიების ზრდისა და პერსონალური ინფორმაციის მზარდი შეგროვებისა და დამუშავების შემდეგ. ციფრული ტექნოლოგიების ფართომასშტაბიანმა ინტეგრაციამ ბავშვების ცხოვრებაში წარმოშვა გადაუდებელი აუცილებლობა, მათი პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული კონკრეტული გამოწვევების გადაჭრის გზების ძიებისთვის. ამ ეპოქაში ბავშვები ინტენსიურად არიან ჩართულნი ონლაინ აქტივობებში (სოციალური მედია, სათამაშო პლატფორმები და ა.შ.), რაც მათ პერსონალური მონაცემების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკის წინაშე აყენებს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბავშვებს, განვითარების სტადიიდან გამომდინარე, არ აქვთ უნარი სრულად გაიგონ პერსონალური მონაცემების ონლაინ გაზიარების შედეგები. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს მშობლებისა და საგანმანათლებლო სივრცეში მასწავლებლების ჩართულობას ბავშვების ციფრული კეთილდღეობის დაცვაში, ასევე ცნობიერების ამაღლების ნაწილში.

ნაშრომი იკვლევს ბავშვთა პერსონალური მონაცემების დაცვის სპეციფიკურ საკითხებს, პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობას, როგორც არასრულწლოვანთა უსაფრთხოების ფუნდამენტურ გარანტიას, აგრეთვე თანხმობის ინსტიტუტის არსსა და პრაქტიკაში მისი რეალიზების გამოწვევებს.

**Khatia Leonidze**
Batumi Shota Rustaveli State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Levan Jakeli**
Doctor, Associate Professor

## Ensuring Protection of Personal Data of Minors in the Digital Environment: Georgian Legal Framework and Key Challenges

Protection of personal data as universally recognized human right is a concept that has gained relevance in recent years, especially after the growth of digital technologies and the increasing collection and processing of personal information. The large-scale integration of digital technologies into children's lives has created an urgent need to find ways to solve specific challenges related to the protection of their personal data. In this era, children are intensively involved in online activities (social media, gaming platforms, etc.), which exposes them to various risks related to misuse of personal data. It is worth noting that children, depending on the stage of development, do not have the ability to fully understand the consequences of sharing personal data online. Therefore, the involvement of parents and teachers in the educational space in protecting children's digital well-being, as well as in raising awareness, is of great importance. The paper examines the specific issues of protection of children's personal data, the importance of personal data protection as a fundamental guarantee of the safety of minors, as well as the essence of the institution of consent and the challenges of its realization in practice.

**მარიამ მოსულიშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გურამ ღვინჯილია**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## საავტორო უფლებების მოწესრიგება საქართველოს კანონმდებლობაში

XXI საუკუნეში საავტორო უფლებები ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. ტერმინი „საავტორო უფლებები" იმ უფლებათა ერთობლიობას გულისხმობს, რომელიც ავტორს აქვს მის მიერ შექმნილ ნაწარმოებზე და ვრცელდება ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის შედეგზე.

საავტორო სამართლის ისტორიული საფუძვლები ჯერ კიდევ ძველ რომსა და საბერძნეთში იღებს სათავეს. თანამედროვე საავტორო უფლებები ორ ნაწილად იყოფა: პირადი არაქონებრივი უფლებები და ქონებრივი უფლებები.

პირადი არაქონებრივი უფლებები მოიცავს: ავტორობის უფლებას, სახელის უფლებას, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებას და ა.შ. კერძოდ, ავტორის ქონებრივი უფლებები მჭიდრო კავშირშია არაქონებრივ უფლებებთან, ასევე ინტელექტუალური საკუთრება

საქართველოს კონსტიტუციით არის დაცული და ნათლად ჩანს, რომ შემოქმედებითი თავისუფლებით უზრუნველყოფილია არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქე, არამედ ყველა ადამიანი და, შესაბამისად, წარმოადგენს არა ,,მოქალაქის'', არამედ ,,ადამიანის უფლებას'', კონსტიტუციის მეოცე მუხლი იცავს ხელოვანისთვის თავისუფალი შემოქმედების პროცესს და ამ დებულებებით კონსტიტუცია იმპერატიულად განაცხადებს, რომ დაუშვებელია სახელმწიფოს მიერ ხელოვანისთვის იმის დადგენა, თუ როგორ უნდა დაინახოს მან სინამდვილე და როგორ უნდა ასახოს ეს ხედვა საკუთარ შემოქმედებაში, ასევე დაუშვებელია ცენზურა შემოქმედებით საქმიანობაში. თუმცა, შესაძლოა, გვქონდეს დაცულ სფეროში ჩარევა და ეს ყოველივე უნდა ეყრდნობოდეს კანონიერ საფუძველს, რომელიც მოიცავს სისხლისსამართლებრივ ან სხვა სახის სანქციას.

საქართველოში ფუნქციონირებს საავტორო უფლებათა ასოციაცია, რომელიც აერთიანებს ქართველი ავტორების დიდ ნაწილს, ადმინისტრირებას უწევს სხვადასხვა კატეგორიის უფლებებს, რაც საშუალებას აძლევს საავტორო უფლებების მფლობელებს ეფექტურად დაიცვან თავიანთი უფლებები.

**Mariam Mosulishvili**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Guram Gvinjilia**
Doctor, Associate Professor

## Regulation of Copyright in the Legislation of Georgia

Copyright is one of the most important and pressing issues of the 21st century. The term "copyright" refers to the set of rights that the author has over the work created by him and extends to the result of intellectual-creative work.

The Copyright law has its historical roots in ancient Rome and Greece. Modern copyrights are divided into two parts: personal non-property rights and property rights.

Personal non-property rights include: the author's right, the right of name, the right to inviolability of the work, etc. In particular, the author's property rights are closely related to non-property rights, as well as intellectual property is protected by the Constitution of Georgia, and it is clear that creative freedom is guaranteed not only to the citizens of Georgia, but to all people, and therefore it is not a "citizen's" right, but a "human right". Article 20 of the Constitution protects the artist's free creative process, and with these provisions, the Constitution imperatively declares that it is not allowed for the state to determine for the artist how he should see reality and how he should reflect this vision in his own work, and censorship in creative activity is also not allowed. However, we may have to intervene in a protected area, and all this must be based on a legal basis, which includes criminal or other sanctions.

Georgia also has a copyright association, which unites a large number of Georgian authors, manages various categories of rights, which allows copyright owners to effectively protect their rights.

**ზურაბ ბიჭოლაშვილი, ლუკა ლაგურაშვილი**
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ტატანაშვილი**
მოწვეული ლექტორი

## პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხი ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტების ჭრილში

დღეისათვის მსოფლიოს 134 ქვეყანაში მიმდინარეობს კვლევა ფულის ინოვაციური ფორმის – ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტის დასანერგად. საქართველოს ეროვნული ბანკიც აქტიურად მუშაობს ციფრული ლარის პროექტზე. ერთ-ერთი უმთავრესი სამართლებრივი საკითხი, რომელზეც ყურადღება მახვილდება ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ კონცეფციაში, მომხმარებელთა კონფიდენციალურობის უზრუნველყოფაა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია:

1. შეისწავლოს, ციფრული ლარის ადმინისტრირებისას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული რა კატეგორიის მონაცემები იქნება ხელმისაწვდომი როგორც ეროვნული, ისე კომერციული ბანკებისთვის.
2. გამოკვეთოს ის მიზნები, რომლებთან შესაბამისობაშიც უნდა ხორციელდებოდეს პერსონალურ მონაცემთა დამუშავება, რათა იგი მართლზომიერად ჩაითვალოს.
3. მიმოიხილოს მონაცემთა შენახვასთან დაკავშირებული სამართლებრივი რისკები, რადგან, ციფრული ლარის პროექტის მიხედვით, ჯერაც არაა გადაწყვეტილი, თუ რომელი ტექნოლოგიის (განაწილებული თუ ცენტრალიზებული რეესტრის) გამოყენებით შეიქმნება ბაზები.

ზემოთხსენებული საკითხები განხილულია ევროკომისიის საკანონმდებლო წინადადების, მონაცემთა დაცვაზე ევროკავშირის კომპეტენტური სტრუქტურების მოსაზრებების და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის (რომელიც მოწინავე სახელმწიფოა ამ დარგში) კომერციული ბანკების სტანდარტული ხელშეკრულებებისა და კონფიდენციალურობის პოლიტიკის ანალიზზე დაყრდნობით.

**Zurab Bitcholashvili, Luka Lagurashvili**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Tamar Tatanashvili**
Visiting Lecturer

## Protection of personal data in the scope of Central Bank Digital Currencies

Nowadays, 134 countries all around the globe are conducting research on the introduction of an innovative form of money – Central Bank Digital Currency (CBDC). The National Bank of Georgia is also actively working on the project of Digital Lari (DGEL). One of the main legal issues that is highlighted in the concept published by the National Bank of Georgia is ensuring customer

confidentiality. The purpose of this paper is: 1. To study, during the administration of DGEL, what categories of data defined by the law of Georgia "On Personal Data Protection" will be available to both national and commercial banks. 2. To outline the purposes for which the data should be processed in order for it to be considered legitimate. 3. To review the legal risks related to data storage, as, according to the project of DGEL, it has not yet been decided which technology (distributed or centralized ledger) will be used to create the databases. The aforementioned issues are discussed based on the legislative proposal of the European Commission, the opinions of the competent authorities of the European Union on data protection and the analysis of the adhesion contracts and privacy policies of commercial banks of the People's Republic of China (which is the leading state in terms of implementing CBDC).

# სექცია
# SECTION

# მედიცინა
# MEDICINE

## ქვესექცია
## SUBSECTION N1

**გიგი წილოსანი, გვანცა ბექაური**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი/ერთსაფეხურიანი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: დალი ღაღანიძე**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## ქონდროპათია-უჯრედული თერაპია PRP თერაპიით

საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის ნორმალური ფუნქციონირება დიდწილად სასახსრე ზედაპირის ხრტილოვან ქსოვილზეა დამოკიდებული. ხრტილის ასაკობრივი ცვლილებებია მინერალიზაცია, რის გამოც ვითარდება ართროზი. ართროზი სახსრების დისტროფიული დაავადებაა. ამ ტიპის დაზიანებები ფართოდ არის გავრცელებული და გულ-სისხლძარღვთა და ონკოლოგიური დაავადებების შემდეგ მე-3 ადგილზეა. 1980-იან წლებში ჩატარდა ეპიდემიოლოგიური კვლევა პოპულაციისაა, მას შემდეგ აღარ ჩატარებულა, რის შედეგადაც მოსახლეობის 11%-ს გამოუვლინდა ართროზი.

ხრტილოვანი ქსოვილის აღდგენა თანამედროვე მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. დღესდღეობით ერთ-ერთ ეფექტორულ ტექნოლოგიას წარმოადგენს PRP (თრომბოციტების ზრდის ფაქტორი) ოსტეოართრიტების სამკურნალოდ. სასახსრე ხრტილის ჯანმრთელობა დამოკიდებულია ანაბოლური და კატაბოლური რეაქციების ზუსტ ბალანსზე. ამ პრინციპის გათვალისწინებით, გარკვეული დადებითი ბიოლოგიური აგენტების გამოყენება შეიძლება წარმატებული იყოს ჯანსაღი ბალანსის მისაღწევად.

PRP, რადგან მას ათავისუფლებს თრომბოციტების α-გრანულები, როგორც მის შემადგენლობაში შემავალი ზრდის ფაქტორები, ფართოდ გამოიყენება ქსოვილის ტრანსფორმაციის პოტენციალის დასარეგულირებლად, რაც ასევე ამცირებს ტკივილს.

ჩვენი მთავარი მიზანია, დავადგინოთ რა მეთოდებია გამოყენებული ხრტილის რეგენერაციისთვის მსოფლიოში, ინერგება თუ არა PRP თერაპია საქართველოში და რა შედეგებია ამ მიმართულებით.

**Gigi Tsilosani, Gvantsa Bekauri**
Caucasus International University
Bachelor/One Step
**Scientific Supervisor: Dali Ghaghanidze**
Doctor, Associate Professor

## Chondropathy - Cell Therapy With PRP Therapy

The normal functioning of the musculoskeletal system largely depends on the cartilage tissue of the articular surface. Age-related changes in cartilage are mineralization, which is why arthrosis develops. Arthrosis is a dystrophic disease of the joints. This type of injury is widespread and ranks 3rd after cardiovascular and oncological diseases. An epidemiological study of the population was

conducted in the 1980s, and has not been conducted since then, as a result of which 11% of the population was diagnosed with arthrosis.

Cartilage tissue restoration is one of the important tasks of modern science. Today, one of the effective technologies is PRP (platelet growth factor) for the treatment of osteoarthritis. The health of articular cartilage depends on the exact balance of anabolic and catabolic reactions. With this principle in mind, the use of certain positive biological agents can be successful in achieving a healthy balance.

PRP, because it releases platelet-derived growth factors contained in α-granules, is widely used to regulate tissue transformation potential, which also reduces pain.

Our main goal is to determine what methods are used for cartilage regeneration in the world and whether PRP therapy is introduced in Georgia and what the results are in this field.

**მარიამ პეტრიაშვილი, გიორგი სონღულაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი/ერთსაფეხურიანი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნანა თევზაძე**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## SPIRULINA მომავლის საკვები და ბუნებრივი თერაპიული კომპონენტი სპირულინას ცილოვანი სპექტრი ფიკოციანინების ანტიკანცეროგენული თვისება

ბოლო წლებში დაგროვდა უამრავი გამოკვლევა, რომელთა თანახმად, ლურჯ-მწვანე წყალმცენარე სპირულინას გააჩნია მნიშვნელოვანი თერაპიული ეფექტი ზოგიერთი სახეობის ავთვისებიან ზრდაზე, ანტირადიაციული ეფექტი, მძიმე მეტალების საწინააღმდეგო, იმუნომოდულატორული, ანტივირუსული და ანტიმიკრობული ფარმაკოლოგიური აქტივობა. დიდ ინტერესს იწვევს წყალმცენარის ცილოვანი სპექტრი, განსაკუთრებით, მისი ძირითადი ცილოვანი ინგრედიენტი ბილიპროტეინი ფიკოციანინი. იგი ოლიგომერული ცილაა a და β სუბერთეულებით და გვხვდება ტრიმერული და ჰექსამერული ფორმით.

დაგროვილი ლიტერატურული მონაცემებით, სპირულინას ფიკოციანინს გააჩნია ძლიერი ანტიკანცეროგენული ეფექტი კიბოს ისეთ ტიპებში, როგორიცაა ძუძუს კიბო, ფილტვისა და მსხვილი ნაწლავის კიბო, ლეიკემია, ძვლის ტვინის კიბო და სხვა.

მრავალრიცხოვანმა ლიტერატურულმა მონაცემებმა გამოიწვია ჩვენი დაინტერესება წყალმცენარე სპირულინას ცილებით და სამუშაოში წარმოდგენილია Spirulina Platensis კულტივირებისა და მისი ცილების ქრომატოგრაფიული ფრაქციონირებით მიღებული მონაცემები.

**Mariam Petriashvili, Giorgi Songhulashvili**
Caucasus International University
Bachelor/One Step
**Scientific Supervisor: Nana Tevzadze**
Doctor, Associate Professor

### SPIRULINA - Future Food and Natural Therapeutic Component; Protein Spectrum of Spirulina; Anticarcinogenic Properties of Phycocyanins

In recent years, many studies have accumulated, according to which blue-green algae spirulina has a significant therapeutic effect on some types of malignant growth, anti-radiation effect, anti-heavy metal, immunomodulatory, antiviral and antimicrobial pharmacological activity. The protein spectrum of algae is of the greatest interest, especially its main protein ingredient-the biliprotein phycocyanin. It is an oligomeric protein with α and β subunits and is found in trimeric and hexameric form.

According to the collected literature data, spirulina phycocyanin has a strong anti-carcinogenic effect in such types of cancer as breast cancer, lung and colon cancer, leukemia, bone marrow cancer and others.

Numerous literature data has led to our interest in the proteins of Spirulina algae, and this work presents the data obtained by the cultivation of Spirulina Platensis and the chromatographic fractionation of its proteins.

**ია ბაჩილავა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი/ერთსაფეხურიანი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატო ბუკია**
დოქტორი, პროფესორი

### ფსიქო-ემოციური სტრესის გავლენა ორგანიზმზე

ფიზიკური და ფსიქოლოგიური სტრესი არღვევს სხეულის ნორმალურ და ემოციურ ფუნქციონირებას, რაც პოტენციურად იწვევს ჯანმრთელობის პრობლემებს და დაბერების დაჩქარებას. სტრესი იწვევს გლუკოკორტიკოიდების გამოყოფას, რაც გავლენას ახდენს მეტაბოლურ პროცესებზე. ხანგრძლივი ექსპოზიცია შეიძლება გამოწვეული იყოს ისეთი მავნე ფაქტორებისგან, როგორიცაა პარკუჭების გაფართოება და კოგნიტური დაქვეითება.

გენდერული განსხვავებები გავლენას ახდენს სტრესის რეაქციებზე, ქალები, როგორც წესი, აჩვენებენ უფრო ძლიერ რეაქციებს, ვიდრე მამაკაცები და აქვე მნიშვნელოვანია ოქსიტოცინის როლი სტრესის კონტროლში. ოქსიტოცინმა, რომელიც ჩართულია სტრესის

რეგულირებაში, შეიძლება შეაფერხოს კორტიზოლის გამოყოფა, განსაკუთრებით დადებითი სოციალური ურთიერთობებისას.

ვირთაგვებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტმა აჩვენა ადაპტაციური ქცევის დაქვეითება სტრესის პირობებში, ოქსიტოცინის შეყვანით კი ამცირებდა ზოგიერთ რთულ ეფექტს. სტუდენტთა გამოკითხვამ გამოავლინა სტრესის დაძლევის საერთო მექანიზმები, როგორიცაა შოკოლადი, მუსიკა და სოციალური ინტერაქცია. სტრესის მართვა გადამწყვეტია საერთო კეთილდღეობისთვის და იმსახურებს ყურადღებას როგორც ფსიქოლოგიური, ასევე ფიზიოლოგიური პერსპექტივიდან.

**Ia Bachilava**
Caucasus International University
Bachelor/One Step
**Scientific Supervisor: Nato Bukia**
Doctor, Professor

## Impact of Psycho-emotional Stress on the Body

Physical and psychological stress disrupt normal bodily and emotional functioning, potentially leading to health issues and accelerated aging. Stress triggers the release of glucocorticoids, impacting metabolic processes. Prolonged exposure can be caused by the help of some aspects, such as ventricular enlargement and cognitive decline.

Gender differences affect stress responses in different ways; with women typically showing stronger reactions than man. Oxytocin, involved in stress regulation, may inhibit cortisol release, especially when there are positive social relationships.

An experiment on rats has shown decreased adaptive behavior under stress; with oxytocin administration mitigating some effects. A student survey revealed common stress coping mechanisms such as chocolate, music, and social interaction. Stress management is crucial for overall well-being and warrants attention from both psychological and physiological perspectives.

**ქეთევან ბითაძე, მარიამ პავლიაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი/ერთსაფეხურიანი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნანა თევზაძე**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## SPIRULINA მომავლის საკვები, სპირულინას კულტივირება ლაბორატორიულ პირობებში და მისი ანტიბაქტერიული და ანტივირუსული თვისებების კვლევა

ლურჯ-მწვანე წყალმცენარე სპირულინა-Spirulina ბოლო წლებია მეცნიერების აქტიური შესწავლის საგანია. Spirulina ხასიათდება მაღალი კვებითი ღირებულებით. სწორედ ამიტომ მას “მომავლის საკვების” ტერმინი მიენიჭა და განიხილება, როგორც სრულიად უსაფრთხო საკვები დანამატი ცხოველებისა და ადამიანისათვის, განსაკუთრებით ასტრონავტებისათვის.

ბოლო წლებში ეს წყალმცენარე მეცნიერების და მედიკოსების განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს, რადგან მის მიერ სინთეზირებული ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები მნიშვნელოვან თერაპიულ როლს ასრულებენ მრავალი დაავადების მკურნალობაში. იგი განიხილება, როგორც საკვები დანამატი, ფუნქციური ეკოსაკვები და ბუნებრივი წამალი.

მეცნიერული კვლევების თანახმად, სპირულინას გააჩნია ანტიკანცეროგენული და ანტირადიაციული ეფექტი, იმუნომოდულატორული, ანტივირუსული და ანტიმიკრობული ფარმაკოლოგიური აქტივობა.

სამუშაოში წარმოდგენილია ორი სახეობის Spirulina Maxima და Spirulina Platensis-ის კულტივირების ტექნოლოგია ლაბორატორიულ პირობებში და მათი ანტიბაქტერიული და ანტივირუსული ფარმაკოლოგიური აქტივობის შესწავლის შედეგები.

**Ketevan Bitadze, Mariam Pavliashvili**
Caucasus International University
Bachelor/One Step
**Scientific Supervisor: Nana Tevzadze**
Doctor, Associate Professor

## SPIRULINA - the Food of the Future; Cultivation of SPIRULINA Under Laboratory Conditions and Study of Antiviral and Antibacterial Properties

Spirulina, a blue-green algae, has been the subject of active scientific research in recent years. Spirulina is characterized by high nutritional value. That is why it has been given the term "food of the future" and is considered as a completely safe food supplement for animals and humans, especially for astronauts.

In recent years, this algae has been of great interest to scientists and doctors, as the biologically active compounds synthesized by it play an important therapeutic role in the treatment of many diseases. It is considered as a food supplement, functional eco-food and natural medicine.

According to scientific studies, spirulina has anti-carcinogenic and anti-radiation effects, immunomodulatory, antiviral and antimicrobial pharmacological activity.

This work presents the cultivation technology of two species of Spirulina Maxima and Spirulina Platensis in laboratory conditions and the results of studying their antibacterial and antiviral pharmacological activities.

**მარიამ ტვილდიანი, თინათინ სამუშია**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი/ერთსაფეხურიანი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: დალი ღაღანიძე**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## აუტისტური სპექტრის აშლილობა და ღეროვანი უჯრედული როლი მის მკურნალობაში

ყველა ჩვენგანი ვცდილობთ, ვიყოთ განსხვავებული ერთმანეთისაგან, აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვები ბუნებრივად განსხვავებულები იბადებიან. აუტიზმის სპექტრის აშლილობა ნეიროგანვითარების დაავადებაა, რომელიც ბავშვის საკომუნიკაციო უნარებს მკვეთრად აქვეითებს. დაავადება ასევე მოიცავს შეზღუდულ ქცევას, ინტერესებსა და აქტივობებს. იგი აერთიანებს: აუტიზმს, ასპერგერის სინდრომს, ბავშვობის დეზინტეგრირებულ აშლილობას.

კვლევამ აჩვენა საგრძნობლად გაზრდილი სიხშირე აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებისა, სიხშირემ ბოლო 40 წლის მანძილზე მოიმატა 40-ჯერ. დღესდღეობით მისი სრულიად განკურნება შეუძლებელია. ღეროვანი უჯრედების გამოყენება მსგავსი პაციენტებისათვის, ჯერჯერობით, აპრობირებული მკურნალობის მეთოდს არ მიეკუთვნება, მაგრამ ალტერნატიული მკურნალობის მეთოდია.

ჩვენი მიზანია, დავადგინოთ აუტისტური აშლილობის მქონე ბავშვების სამკურნალოდ რა თერაპიებიაა გამოყენებული. იყენებენ თუ არა მკურნალობის ალტერნატიულ მეთოდს - უჯრეთულ თერაპიას საქართველოში და რა შედეგებია მიღწეული.

**Mariam Tvildiani, Tinatin Samushia**
Caucasus International University
Bachelor/One Step
**Scientific Supervisor: Dali Ghaghanidze**
Doctor, Associate Professor

## Autism Spectrum Disorder and the Role of Stem Cells in Its Treatment

All of us try to be different from each other. Children with autism spectrum disorders are born naturally different. Autism spectrum disorder is a neurodevelopment disease that dramatically reduces a child's communication skills. The disease also includes limited behavior, interests, and activities. It combines: autism, Asperger's syndrome, disintegrated childhood disorder.

The research has shown a significantly increased incidence of children on the autism spectrum, with the incidence increasing 40-fold over the past 40 years. Nowadays it is impossible to completely cure it. The use of stem cells for such patients is not yet a proven treatment method, but it is an alternative treatment method.

Our goal is to identify what therapies are used to treat children with autistic disorder; if alternative methods of treatment - cellular therapy - are being used in Georgia and what results have been achieved.

**მარიამ თუნგია, მაგდა იაკუბიძე**
ევროპის უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე ყიფშიძე**
მოწვეული ლექტორი

## ღეროვანი უჯრედების თერაპია - ახალი მიდგომა ინსულინის მწარმოებელი უჯრედების დიფერენცირებაში

წლებთან ერთად დიაბეტის მკურნალობის სტანდარტული გზები ცვლადია და დიდი პოპულარობით სარგებლობს მედიცინის სფეროში, ასევე აქტუალურობას არ კარგავს ამ პათოლოგიის მქონე პაციენტებშიც, ვინაიდან ღეროვანი უჯრედების თერაპიაზე დიდ იმედებს ამყარებენ მკვლევრები, როგორც ტიპი 1 შაქრიანი დიაბეტის განკურნების ინოვაციურ მეთოდზე.

ღეროვანი უჯრედების თერაპიული მიდგომა მნიშვნელოვანია შაქრიანი დიაბეტის სამკურნალოდ. შაქრიანი დიაბეტის მქონე პაციენტებში პანკრეასის ბეტა უჯრედების დეფიციტი განაპირობებს ინსულინის დანაკლისს ორგანიზმში, თუმცა, ვინაიდან ღეროვანი უჯრედები დიფერენცირებისა და თვითგანახლების უნიკალური შესაძლებლობით

გამოირჩევიან, თავისუფლად შეიძლება მათი ინსულინმაპროდუცირებელ უჯრედებად გარდაქმნა.

დიფერენციაციის მექანიზმი შემუშავებულია თანმიმდევრული ციტოკინების, ან სიგნალიზაციის მოდულატორის მკურნალობის გამოყენებით, სპეციფიკური დოზებით, რათა გაააქტიურონ, ან დათრგუნონ ძირითადი სასიგნალო გზები, რომლებიც აკონტროლებენ ინდუცირებული პლურიპოტენტური ღეროვანი უჯრედების დიფერენციაციას პანკრეასის β-უჯრედებად.

ეკონომიკური და ტექნოლოგიური თვალსაზრისით, სიცოცხლისუნარიანი ღეროვანი უჯრედების თერაპიული მიღწევა ჯერ კიდევ მრავალი დაკვირვებისა და გამოწვევის წინაშე დგას.

წინამდებარე მიმოხილვაში განვიხილავთ გამოწვევებს, მიღწეულ პროგრესს, ტექნოლოგიურ შესაძლებლობებსა და შაქრიანი დიაბეტის განკურნების მომავლის პერსპექტივებს.

**Mariam Tungia, Magda Iakubidze**
European University
Bachelor
**Scientific Supervisor: Salome Kipshidze**
Visiting Lecturer

## Stem Cell Therapy - a New Approach to the Differentiation of Insulin-producing Cells

Over the years and many experiments, the standard ways of treating diabetes have changed and are very popular, both in the field of medicine, and they do not lose their relevance in patients with this pathology, since researchers place great hopes on stem cell therapy as an innovative method of curing type 1 diabetes.

The therapeutic approach of stem cells is important as a promising way to treat diabetes mellitus. In patients with diabetes, the deficiency of pancreatic beta cells leads to a lack of insulin in the body, however, since stem cells have a unique ability to differentiate and self-renew, they can be freely transformed into insulin-producing cells.

The differentiation mechanism has been engineered using sequential cytokine or signaling modulator treatments at specific doses to activate or inhibit key signaling pathways that control the differentiation of induced pluripotent stem cells (iPSCs) into pancreatic β-cells.

From an economic and technological point of view, the therapeutic achievement of viable stem cells still faces many observations and challenges.

In this review, we discuss the challenges in the field, the progress made, the technological opportunities, and the future prospects for the treatment of diabetes mellitus.

**ნათია ქათამაძე**
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ყანდაშვილი**
დოქტორი, პროფესორი

**პრობიოტიკების როლი შაქრიანი დიაბეტის მკურნალობაში**

კუჭ-ნაწლავის ტრაქტი ამჟამად განიხილება, როგორც ენდოკრინული სისტემის ერთ-ერთი დიდი ორგანო. მიუხედავად იმისა, რომ ენტერო-ენდოკრინული უჯრედები შეადგენენ ეპითელური უჯრედების მთლიანი პოპულაციის მხოლოდ 1%-ს, სხვა უჯრედებისგან განსხვავებით, იგი გამოიმუშავებს 20-ზე მეტ ჰორმონს. ნაწლავური პეპტიდების გამოყოფით, რომლებსაც შეუძლიათ იმოქმედონ როგორც ლოკალურად, ასევე პერიფერიულად და ცენტრალურად, ნაწლავის ლორწოვანის სტრუქტურული მახასიათებლებით ენტერო-ენდოკრინულ უჯრედებს შეუძლიათ რეაგირება მოახდინონ ნაწლავის გარემოში არსებულ ცვლილებებზე.

აღმოჩნდა, რომ ორგანიზმის იმუნური სისტემის დაახლოებით 80% ლოკალიზებულია კუჭ-ნაწლავის ტრაქტში, რაც მიუთითებს ნაწლავის დიდ მნიშვნელობაზე. აღნიშნულ ორგანოში წარმოქმნილი დაავადებების პრევენციის, ან მკურნალობის დროს ნაწლავი გვთავაზობს იმუნური პასუხის რეგულირების უნიკალურ შესაძლებლობას. ამიტომ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ენდოკრინული აქტივობა უკვე დიდი ხანია ინტერესის სფეროა.

კონცეფცია, რომ ნაწლავი ასევე აკონტროლებს პანკრეასის კუნძულების აქტივობას, მხარდაჭერილი იყო ექსპერიმენტებით, რომლებიც აჩვენებდა, რომ ცხოველებში ნაწლავის ექსტრაქტების მიღება ამცირებს სისხლში გლუკოზის დონეს. მიკრობული საზოგადოების ეკოსისტემის შემადგენლობა დინამიურია და მისი შემადგენლობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული.

ცხოველთა მოდელების გამოყენებით ბოლოდროინდელი ექსპერიმენტები მიუთითებს, რომ ნაწლავის მიკროფლორა რეგულირდება ფაქტორებით, მათ შორის გენებით, მედიკამენტებით და მიღებული საკვებით. ძალიან მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ ნაწლავის მიკროფლორა ადვილად იცვლება საკვების ზეგავლენით. ნაწლავის ბარიერი/განვლადობა თამაშობს გადამწყვეტ როლს სიმსუქნისა და ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის განვითარების პროცესში.

ნაწლავის ეპითელიუმი არის ბარიერი, მისი ძირითადი ფუნქცია არის შეზღუდოს ნაწლავის მიკროფლორის, ადგილობრივი ლოკალური იმუნური პასუხის და ორგანიზმის სხვა ნაწილების ინტერაქცია. ნაწლავის ბარიერის მთლიანობა ინარჩუნებს ლორწოვანის ფუნქციას, რაც ძალიან მნიშნელოვანია თავდაცვის მექანიზმების ჩამოყალიბებაში.

ცხოველებზე ჩატარებული კვლევების მიხედვით, ლიპოპოლისაქარიდები ასევე ჩართული არიან შაქრიან დიაბეტთან დაკავშირებული პროცესების რეგულაციაში, რისთვისაც დამახასიათებელია ანთებითი პასუხის გაძლიერება.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო დაგვედგინა ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის მქონე პაციენტებში დისბაქტერიოზის გავლენა დისპეფსიურ გამოვლინებებზე. გასტრო-ინტესტინური ტრაქტის მდგომარეობის შეფასების მიზნით ხდებოდა პაციენტების გამოკითხვა ჩვენ მიერ შემუშავებული კითხვარით, რომელიც შეიცავდა მარტივ კითხვებს (მაგ. გაწუხებთ თუ არა ფაღარათი, ყაბზობა, მეტეორიზმი, სწრაფად დანაყრების შეგრძნება და აშ.); საწყის სეტაპზე გამოკითხულ იქნა 18 -დან 75 წლამდე ასაკის 132 პაციენტი, მათ შორის 87 ქალი და 45

მამაკაცი. 132 პაციენტიდან ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტით დაავადებული იყო 98 პაციენტი. ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის მქონე პაციენტების შერჩევა მოხდა გლიკირებული ჰემოგლობინის დონის მიხედვით, კერძოდ, შეირჩა პაციენტები, რომელთაც ჰქონდათ გლიკირებული ჰემოგლობინი >6,5%. შეირჩა შაქრიანი დიაბეტის ტიპი 2-ის მქონე 58 პაციენტი, რომელთაც განავლის ბაქტერიოლოგიური კვლევის გზით ჩაუტარდათ ნაწლავური მიკროფლორის კვლევა პრობიოტიკებით მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ. მათ შეადგინეს I საკვლევი ჯგუფი. ასევე შეირჩა 12 პაციენტი, რომელთაც დააკომპლექტეს აღნიშნული საკვლევი ჯგუფის საკონტროლო ჯგუფი.

ასევე ჰომა-ინდექსის გათვალისწინებით, შეირჩა პრედიაბეტის/ინსულინრეზისტენტობის მქონე 14 პაციენტი - II საკვლევი ჯგუფი და საკონტროლო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა 6 პაციენტით. ორივე ჯგუფის პაციენტებს უტარდებოდა მკურნალობა პრობიოტიკების ნაკრებით, რომელშიც, ლიტერატურაზე დაყრდნობით, ძირითადი როლი დაეკისრა Lactobacillus rhamnosus-ის გამოყენებას.

ჩვენ შევიმუშავეთ შემდეგი შემადგენლობის ნაკრები: Bifidobacterium bifidum, Bifidobacterium breve, Bifidobacterium longum, Lactobacillus acidophilus, Lactobacillus casei, Lactobacillus plantarum, Lactobacillus rhamnosus, Lactobacillus lactis ssp.Lactis, Streptococcus thermophilus- 20 X109 , რომელსაც ვაძლევდით შემდეგი დოზით: 2 კაფსულა დღეში 3-ჯერ, ანუ 6 კაფსულა დღე-ღამეში 12 კვირის განმავლობაში. საკვლევ ჯგუფში სტატისტიკურად დამუშავდა მკურნალობამდე და მკურნალობის შედეგად მიღებული მონაცემები შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: ფაღარათი, შეკრულობა, მეტეორიზმი, გულძმარვა, გულისრევის შეგრძნება, სწრაფად დანაყრება;

სტატისტიკური კვლევის შედეგად მიღებულია: ფაღარათი - შემცირდა 60%-ით, საკონტროლო ჯგუფში გაიზარდა 33%-ით; შეკრულობა - საკვლევ ვჯგუფში შემცირდა 73.5%-ით, საკონტროლო ჯგუფში უცვლელია, შებერილობა- საკვლევ ჯგუფში შემცირდა 73.9%-ით, ხოლო საკონტროლო ჯგუფში შემცირდა 14.3%-ით; გულძმარვა- საკვლევ ჯგუფში შემცირდა 60.7%-ით, საკონტროლო ჯგუფში უცვლელია; გულისრევა - საკვლევ ჯგუფში შემცირდა 64%-ით, საკონტროლო ჯგუფში შემცირდა 33.3%-ით; სწრაფად დანაყრება- საკვლევ ჯგუფში შემცირდა 79,4%-ით, საკონტროლო ჯგუფში შემცირდა 25%-ით. ერთმანეთს შევადარეთ II საკვლევი ჯგუფის და მისი საკონტროლო ჯგუფის ჩივილები. კვლევის შედეგებით, ფაღარათი - II საკვლევ ჯგუფში შემცირდა 71.4%-ით, მის საკონტროლო ჯგუფში გაიზარდა 50%-ით; შეკრულობა - II საკვლევ ჯგუფში შემცირდა 57.1%-ით, მის საკონტროლო ჯგუფში რაოდენობა არ შეცვლილა; შებერილობა - II საკვლევ ჯგუფში შემცირდა 57.1%-ით, მის საკონტროლო ჯგუფში რაოდენობა შემცირდა 14.2%-ით; გულძმარვა - II საკვლევ ჯგუფში შემცირდა 66.7%-ით, მის საკონტროლო ჯგუფში უცვლელია; გულისრევა - II საკვლევ ჯგუფში შემცირდა 66.7%-ით, მის საკონტროლო ჯგუფში გაიზარდა 50%-ით; სწრაფად დანაყრება: II საკვლევ ჯგუფში შემცირდა 83.3%-ით, მის საკონტროლო ჯგუფში კი უცვლელია.

ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის მქონე პაციენტებში, ანუ I საკვლევ ჯგუფში უცვლელი ანტიდიაბეტური მკურნალობის ფონზე, პრობიოტიკების გამოყენებით 3 თვის მანძილზე მოხდა გლიკირებული ჰემოგლობინის შემცირება 0.24 %-ით, ასევე II საკვლევ ჯგუფში განისაზღვრა ჰომა-ინდექსი, წონა და წელის გარშემოწერილობა მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ. სტატისტიკური კვლევის შედეგად, ჰომაინდექსის საშუალო მაჩვენებელი II საკვლევ ჯგუფში შემცირდა 34.42%-ით, მის საკონტროლო ჯგუფში კი - 1.32%-ით, წონის საშუალო მაჩვენებელი II საკვლევჯგუფში შემცირდა 2.2%-ით, ხოლო მის საკონტროლო ჯგუფში - 1.36%-ით; წელის გარშემოწერილობა: II საკვლევ ჯგუფში შემცირდა 4.3%-ით, მის საკონტროლო ჯგუფში გაიზარდა 1.4%-ით.

შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის მქონე პაციენტებში და ინსულინრეზისტენტობის მქონე პაციენტებში მიკროფლორის გაუმჯობესებამ დადებითი გავლენა მოახდინა დისპეფსიურ გამოვლინებებზე. კერძოდ, ხანგრძლივი დროით (12 კვირა) პრობიოტიკების ჩართვა ( Bifidobacterium bifidum, Bifidobacterium breve, Bifidobacterium longum, Lactobacillus acidophilus, Lactobacillus casei, Lactobacillus plantarum, Lactobacillus rhamnosus, Lactobacillus lactis ssp.Lactis, Streptococcus thermophilus- 20 X109 ), დოზით 6 კაფსულა დღეში მნიშვნელოვან დადებით გავლენას ახდენს გასტრო-ინტესტინურ ჩივილებზე, გლიკირებული ჰემოგლობინის შემცირებაზე, ასევე წონის რეგულირებაზე.

**Natia Katamadze**
Tbilisi State Medical University
Doctoral
**Scientific Supervisor: Tamar Kandashvili**
Doctor, Professor

## The Role of Probiotics in the Treatment of Diabetes Mellitus

The gastrointestinal tract is currently considered one of the large organs of the endocrine system. Although entero-endocrine cells make up only 1% of the total population of epithelial cells, unlike other cells, it produces more than 20 hormones. By secreting intestinal peptides, which can act both locally, peripherally and centrally, entero-endocrine cells with the structural features of the intestinal mucosa can respond to changes in the intestinal environment.

It turned out that about 80% of the body's immune system is localized in the gastrointestinal tract which indicates the great importance of the intestine. The intestine offers a unique opportunity to regulate the immune response during the prevention or treatment of diseases originating in the said organ. Therefore, the endocrine activity of the gastrointestinal tract has long been an area of interest.

The concept that the intestine also controls the activity of the pancreatic islets was supported by experiments showing that administration of intestinal extracts to animals reduced blood glucose levels. The ecosystem composition of the microbial community is dynamic and its composition depends on many factors.

Recent experiments using animal models indicate that gut microflora is regulated by factors including genes, medications, and dietary intake. It is very important to take into account the fact that the intestinal microflora is easily changed by the influence of food.

The intestinal barrier/permeability plays a critical role in the development of obesity and type 2 diabetes The intestinal epithelium is a barrier, its main function is to limit the interaction of intestinal microflora, the local immune response and other parts of the body The integrity of the

intestinal barrier maintains the function of the mucosa, which is very important in the formation of defense mechanisms.

According to animal studies, lipopolysaccharides are also involved in the regulation of processes related to diabetes mellitus, which are characterized by the enhancement of the inflammatory response.

The aim of our study was to determine the influence of dysbacteriosis on dyspeptic manifestations in patients with type 2 diabetes. In order to assess the condition of the gastrointestinal tract, patients were surveyed with a questionnaire developed by us, which included simple questions (eg, do you suffer from diarrhea, constipation, flatulence, feeling full quickly, etc.) 132 patients aged 18 to 75 years were interviewed at the initial setup., including 87 women and 45 men. Out of 132 patients, 98 patients had type 2 diabetes. Patients with type 2 diabetes mellitus were selected as first study group according to the level of glycated hemoglobin (glycated hemoglobin >6.5%) 12 patients were also selected to form the control group for first study group. Also, taking into account the HOMA-index, the group with prediabetes/insulin resistance with 14 patient was formed- Second study group.

For control group we choose 6 patients, who had insulin resistance. Patients in both groups were treated with a set of probiotics, in which, based on the literature, the main role was assigned to the use of Lactobacillus rhamnosus. We developed a set of the following composition: Bifidobacterium bifidum, Bifidobacterium breve, Bifidobacterium longum, Lactobacillus acidophilus, Lactobacillus casei, Lactobacillus plantarum, Lactobacillus rhamnosus, Lactobacillus lactis ssp. Lactis, Streptococcus thermophilus- 20 X109, which we gave to patients 2 caps. 3 times a day or 6 caps a day for 12 weeks. Analyzing the results of the survey, it was found that out of 98 patients with type 2 diabetes, 76 patients had 3 or more gastro-intestinal complaints, namely flatulence - 72% of cases, constipation -16%, diarrhea -12% In the study group, the data obtained before and after the treatment were statistically processed according to the following indicators: diarrhea, constipation, flatulence, heartburn, feeling of nausea. As a result of the statistical research, it was obtained: diarrhea - decreased by 60%, in the control group it increased by 33%; Constipation - decreased by 73.5% in the study group, unchanged in the control group, bloating - decreased by 73.9% in the study group, and decreased by 14.3% in the control group; heartburn - decreased by 60.7% in Thesis (in English) * 750-1300 symbols the study group, unchanged in the control group; Nausea - decreased by 64% in the study group, decreased by 33.3% in the control group; We compared the complaints of the second study group and its control group.

According to the results of the study: diarrhea in the second study group decreased by 71.4%, in its control group it increased by 50%; Constipation - second study group decreased by 57.1%, its control group did not change; Bloating - second study group decreased by 57.1%, its control group decreased by 14.2%; Heartburn- in second study group decreased by 66.7%, in its control group it is unchanged; Nausea - decreased by 66.7% in second study group, increased by 50% in its control group; In patients with type 2 diabetes, on the background of unchanged antidiabetic treatment, using probiotics for 3 months, the reduction of glycated hemoglobin by 0.24% Also, second study group, HOMA index, weight and waist circumference were determined before and after treatment.

As a result of the statistical research, the following results were obtained: the average index of HOMA in the second study group decreased by 34.42%, and in its control group - by 1.32%, the average weight in the second study group decreased by 2.2%, and in its control group - by 1.36%; Waist circumference: second study group decreased by 4.3%, its control group increased by 1.4%.

After the inclusion of probiotics in the treatment of our study groups, in contrast to the control group where no probiotic treatment was performed, a reduction of some dyspeptic complaints was obtained, which in our opinion should be due to the correction of pronounced dysbacteriosis (confirmed by bacteriological examination of feces before treatment), which is also confirmed by literature data. As for the feeling of nausea, after the treatment, the condition of a certain number of patients improved from this point of view as well. As it is known, the feeling of nausea can be connected with the appearance of ketone bodies in the blood during hyperglycemia - ketosis. By regulating glycemia, this condition may be corrected. Treatment with probiotics had relatively little effect on reducing the feeling of heartburn, which is quite common and may be related to other anatomical features and pathologies of the esophagus and stomach.

გასაძლიერებლად. ინფლუენსერ მარკეტინგი გახდა თანამედროვე PR სტრატეგიების ქვაკუთხედი, რომელიც იყენებს სოციალურ მედიაში დიდი მიმდევრების მქონე პირების პოპულარობას და სანდოობას პროდუქტების, სერვისების ან მიზეზების დასამტკიცებლად. მათი ინდუსტრიის შესაბამის ინფლუენსერებთან თანამშრომლობა საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს, მიაღწიონ მაღალ მიზნობრივ აუდიტორიას და ეფექტურად გააძლიერონ თავიანთი შეტყობინებები. მაკროინფლუენსერებიდან, მილიონობით მიმდევრით დაწყებული, მიკროინფლუენსერებით დამთავრებული, ნიშების მიმზიდველობით, ბრენდების შესასწავლი ვარიანტების ფართო სპექტრია. სოციალური მედია, ხელს უწყობს საზოგადოების ფორმირებას საერთო ინტერესების, მიზეზების ან ბრენდების გარშემო. ორგანიზაციებს აღნიშნული თემები, შეუძლიათ გამოიყენონ ადვოკატირების ხელშეწყობისთვის, ინიციატივების მხარდაჭერის მობილიზებისთვის და სოციალური ცვლილებების განსახორციელებლად. სოციალური მედიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა პიარში არის მისი მდიდარი მონაცემები და ანალიტიკა. პლატფორმები, გვთავაზობენ აუდიტორიის დემოგრაფიის, პრეფერენციებისა და ქცევის ძლიერ ინფორმაციას, რაც აძლევთ უფლებას PR პროფესიონალებს დახვეწონ თავიანთი სტრატეგიები რეალურ დროში, გამოხმაურებისა და შესრულების მეტრიკის საფუძველზე. ჩართულობის მეტრიკის, მიღწევისა და კონვერტაციის მაჩვენებლების გაანალიზებით, ორგანიზაციებს შეუძლიათ დახვეწონ თავიანთი შეტყობინებები, ოპტიმიზაცია გაუკეთონ კონტენტის სტრატეგიებს და ზუსტად შეაფასონ თავიანთი PR ძალისხმევის გავლენა. გამოწვევები და მოსაზრებები, მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მედია უამრავ შესაძლებლობებს წარმოადგენს პიარის პროფესიონალებისთვის, მას ასევე გააჩნია გამოწვევების საკმაოდ დიდი წილი. მრავალი სოციალური მედიის არხის ეფექტურად მართვა მოითხოვს ფრთხილად დაგეგმვას, თანმიმდევრულ მონიტორინგს და დროული რეაგირების მექანიზმებს. უფრო მეტიც, სოციალური მედიის ვირუსული ბუნება ნიშნავს, რომ პიარის კრიზისი შეიძლება სწრაფად გამწვავდეს, რაც საჭიროებს სწრაფ და გადამწყვეტ მოქმედებას რეპუტაციის ზიანის შესამცირებლად. გარდა ამისა, დეზინფორმაციისა და ყალბი ამბების ეპოქაში ავთენტურობისა და სანდოობის შენარჩუნება მნიშვნელოვან გამოწვევას უქმნის PR პრაქტიკოსებს. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციებს, დაიცვან გამჭვირვალობა, მთლიანობა და ეთიკური სტანდარტები თავიანთ სოციალურ მედია-კომუნიკაციებში, რათა აშენონ და შეინარჩუნონ ნდობა აუდიტორიასთან.

დასკვნის სახით, სოციალური მედიის მარკეტინგი გამოირჩევა მიზნობრივი აუდიტორიის ჩართულობით და ბრენდის პოპულარიზაციაში მორგებული შინაარსისა და ანალიტიკაზე ორიენტირებული კამპანიების საშუალებით. მეორე მხრივ, საზოგადოებასთან ურთიერთობა სპეციალიზირებულია ნდობისა და სანდოობის ჩამოყალიბებაში მედიასთან ურთიერთობის, კრიზისული კომუნიკაციისა და საზოგადოების ჩართულობის გზით. ორივე დისციპლინის ძლიერი მხარეების ინტეგრაციით, ორგანიზაციებს შეუძლიათ მიაღწიონ ყოვლისმომცველ საკომუნიკაციო სტრატეგიას, რომელიც ეფექტურად აღწევს და რეზონანსდება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს გრძელვადიან წარმატებას და მდგრად ზრდას. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მედიის მარკეტინგსა და საზოგადოებასთან ურთიერთობას განსხვავებული ფუნქციები და მიდგომები აქვთ, ისინი ხშირად ემთხვევა და ავსებს ერთმანეთს ინტეგრირებული კომუნიკაციის სტრატეგიებში. სოციალური მედიის მარკეტოლოგებსა და PR პროფესიონალებს შორის ერთობლივი ძალისხმევით შეიძლება მაქსიმალურად გაზარდოს ბრენდის ხილვადობა, სანდოობა და ჩართულობა სხვადასხვა არხსა და აუდიტორიაში. დღევანდელ ურთიერთდაკავშირებულ სამყაროში, სადაც ბრენდის აღქმა რეალურ დროში შეიძლება ჩამოყალიბდეს ონლაინ ინტერაქციისა და მედიის გაშუქებით, ამ დისციპლინებს შორის თანამშრომლობა შეუცვლელი

ხდება. შეტყობინებების გასწორებით, წვდომის გაძლიერებით და სოციალური და ტრადიციული მედიის არხების ავთენტური ჩართულობის ხელშეწყობით, ორგანიზაციებს შეუძლიათ არა მხოლოდ ეფექტურად გადალახონ გამოწვევები, არამედ გამოიყენონ შესაძლებლობები, რათა დაამყარონ მნიშვნელოვანი კავშირები თავიანთ აუდიტორიასთან.

ამრიგად, სოციალური მედიის მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დაახლოება წარმოადგენს არა მხოლოდ სტრატეგიულ იმპერატივს, არამედ ძლიერ კატალიზატორს მუდმივი ბრენდის კაპიტალის შესაქმნელად მზარდ კონკურენტუნარიან ბაზარზე.

დასასრულს, სოციალური მედია თანამედროვე საზოგადოებასთან ურთიერთობის შეუცვლელ ინსტრუმენტად იქცა, რომელიც უბადლო შესაძლებლობებს სთავაზობს ორგანიზაციებს, დაუკავშირდნენ, ჩაერთონ და გავლენა მოახდინონ აუდიტორიაზე გლობალური მასშტაბით. სოციალური მედიის პლატფორმების ძალაუფლების სტრატეგიული გამოყენებით, PR პროფესიონალებს შეუძლიათ გააძლიერონ ბრენდის ხილვადობა, მართონ რეპუტაცია, ხელი შეუწყონ მნიშვნელოვან ურთიერთობებს და მიაღწიონ ხელშესახებ ბიზნეს შედეგებს დღევანდელ ციფრულ ლანდშაფტში. თუმცა, სოციალური მედიის პიარში, წარმატება მოითხოვს კრეატიულობის, სტრატეგიული აზროვნებისა და განვითარებადი ციფრული ლანდშაფტის ღრმა გაგებას. რამდენადაც სოციალური მედია განაგრძობს განვითარებას, მისი როლი საზოგადოებასთან ურთიერთობის პრაქტიკის ჩამოყალიბებაში უფრო გამორჩეული გახდება, რაც ხაზს უსვამს ინოვაციებისა და ადაპტაციის მნიშვნელობას ეფექტური კომუნიკაციისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მისაღწევად.

**Beka Skhirtladze**
Sokhumi State University
Doctoral
**Scientific Supervisor: Giorgi Berulava**
Doctor, Professor

## Social Media as One of the Important Means (Methods) of Public Relations

The integral role of social media in public relations in a Digital Age where communication has no boundaries, appeares one of the main drivers in the field of public relations (PR). Over the time, social media has had a huge impact on organizations in terms of communicating with audience and managing brand image. Social media platforms have become an indispensable source for creating and spreading a targeted message, building relationships and shaping public perception. Social media marketing focuses on reaching and engaging a specific target audience through various social media platforms. It often involves creating and promoting content that is tailored to audience demographics, interests, and behaviors. One of the most important advantages of social media in PR is its ability to provide instant access to a wide audience. Platforms like Facebook, Twitter, Instagram, LinkedIn and TikTok collectively boast billions of active users. Through these channels, organizations can communicate with stakeholders, customers, media representatives and influencers in real time and facilitating immediate engagement. Unlike traditional media channels, social media offers direct lines of communication between organizations and their target audiences.

This directness allows brands to communicate authentically, respond promptly to questions or give feedback, and develop a sense of transparency. By engaging in conversations on platforms like Twitter or Facebook, companies can humanize their brand and build up trust with their followers. Social media plays a critical role in building brand awareness and managing reputation. By consistently sharing valuable content, showcasing company culture and highlighting achievements, organizations can strengthen their visibility and credibility in the digital landscape. Moreover, social media monitoring methiods allow PR professionals to track mentions, sentiments and trends, enabling proactive reputation management and crisis mitigation. Unlike social media, public relations focuse on building up and maintaining positive relationships between an organization and its various stakeholders. It involves proactive communication efforts to enhance brand reputation and credibility. Influencer marketing has become a cornerstone of modern PR strategies, leveraging the popularity and credibility of individuals with large social media followings to endorse products, services or causes. Partnering with relevant influencers in their industry allows organizations to reach highly targeted audiences and effectively amplify their messages. There is a wide range of options for brands to explore from macro-influencers with millions of followers to microinfluencers . Social media helps build up communities around shared interests and brands. Organizations can use these topics to promote advocacy, mobilize support for initiatives, and effect social changes. Another important advantage of social media in PR is its rich data and analytics. The platforms offer powerful insights into audience demographics, preferences and behavior, allowing PR professionals to refine their strategies based on real-time feedback and performance metrics. By analyzing engagement metrics, reach and conversion rates, organizations can refine their messaging, optimize content strategies and accurately measure the impact of their PR efforts. Challenges and Considerations Thesis (in English) * 750-1300 symbols While social media presents many opportunities for PR professionals, it also comes with its fair share of challenges. Effectively managing multiple social media channels requires careful planning, consistent monitoring, and timely response mechanisms. Moreover, the viral nature of social media means that a PR crisis can quickly escalate, requiring swift and decisive action to minimize reputational damage. Additionally, maintaining authenticity and credibility in an age of misinformation and fake news poses a significant challenge for PR practitioners. It is critical for organizations to uphold transparency, integrity and ethical standards in their social media communications in order to build and maintain trust with their audience.

In conclusion Social media marketing excels at targeting audience engagement and brand promotion through customized content and analytics-driven campaigns. Public Relations, on the other hand, specializes in building trust and credibility through media relations, crisis communication, and public engagement. By integrating the strengths of both disciplines, organizations can achieve a comprehensive communications strategy that effectively reaches and resonates with various stakeholders, ultimately contributing to long-term success and sustainable growth. Although social media marketing and public relations have different functions and approaches, they often overlap and complement each other in integrated communication strategies. In today's interconnected world, where brand perceptions can be shaped in real time by online interactions and media coverage, collaboration between these disciplines becomes indispensable. By aligning messaging, amplifying reach and fostering authentic engagement across social and traditional media channels, organizations can not only effectively overcome challenges, but also capitalize on opportunities to make meaningful connections with their audiences. Thus, the

convergence of social media marketing and public relations is not only a strategic imperative, but a powerful catalyst for building up lasting brand equity in an increasingly competitive market.

In conclusion, social media has become an indispensable modern public relations instrument, offering organizations unparalleled opportunities to connect, engage and influence audiences on a global scale. By strategically harnessing the power of social media platforms, PR professionals can enhance brand visibility, managing reputation, foster meaningful relationships and achieve tangible business results in today's digital area. However, success in social media PR requires creativity, strategic thinking and a deep understanding of the evolving digital landscape. As social media continues to evolve, its role in shaping public relations practice will become more prominent, highlighting the importance of innovation and adaptation to achieve effective communication and stakeholder engagement.

**ლაშა აბულაძე**
დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: რუსუდან დალაქიშვილი**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## მდგრადი განვითარება აწმყო და მომავალი

21-ე საუკუნემ ახალი დღის წესრიგის წინაშე დააყენა მსოფლიო. აუცილებელი გახდა ისეთი მიმართულებების წინ წამოწევა, როგორებიცაა გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური საკითხები, რომელთა ეფექტიანი რეალიზაციითაც მიიღწევა მშვიდობიანი, განვითარებაზე ორიენტირებული და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბება. ამ ყველაფრის უზრუნველყოფის საუკეთესო საშუალებად საზოგადოების მხრიდან მდგრად განვითარებაზე ზრუნვა გვევლინება. წინამდებარე ნაშრომში განხილულია მდგრადი განვითარების ისტორია და ის თანამედროვე ტენდენციები, რომლებიც ამ მიმართულებით არსებობს.

ასევე, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა გაეროს მიერ 193 ქვეყანასთან ერთად 2030 წლისთვის დასახულ მდგრადი განვითარების 17 მიზანს და მათ შესასრულებლად მთავრობებისა და მოქალაქეების კოორდინირებული მუშაობის აუცილებლობს.

ნაშრომის ფარგლებში აქცენტები კეთდება სოციალური მიმართულებით ისეთ მნიშვნელოვან დარგებზე, როგორებიცაა: განათლება, გარემოს დაცვა და ჯანდაცვა. სხვადასხვა მაგალითის საფუძველზე გაკეთებული დასკვნები მკითხველისთვის ნათელს გახდის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია დღევანდელი თაობების მიერ მიმდინარე საჭიროებების დაკმაყოფილება ისე, რომ ხელი არ შეეშალოს მომავალ თაობებს საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბიზნესის მხრიდან სოციალური პასუხისმგებლობის გამოვლენისა და გარემოზე ზრუნვის მნიშვნელობას.

**Lasha Abuladze**
David Agmashenebeli National
Defence Academy of Georgia
Bachelor
**Scientific Supervisor: Rusudan Dalakishvili**
Doctor, Associate Professor

## Sustainable Development Present and Future

The 21st century has presented the world with a new agenda. It has become necessary to advance such issues as environmental, social and economic problems, with the effective realization of which the formation of a peaceful, development-oriented and inclusive society will be achieved. The best way to provide all this is to take care of sustainable development from the side of the society. The present work discusses the history of sustainable development and the modern trends that exist in this field. The significant attention isalso paid to the 17 goals for sustainable development set by the United Nations with 193 countries by 2030 and the need for coordinated work of governments and citizens to fulfill them. Within the framework of the work, emphasis are set on such important social fields as: education, environmental protection and health care. Conclusions made on the basis of various examples will make it clear to the reader how important is to present without compromising the ability of future generations to meet their own needs. Special attention is paid to the importance of showing social responsibility and caring of the environment in the 21-st century.

**ლუკა ნადირაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**ლიკა ხანიკაშვილი**
ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერისტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე სილაგაძე**
ასოცირებული პროფესორი

## ეფექტურობის გაუმჯობესების მეთოდები მარკეტინგის გუნდებისთვის

დინამიურად ცვალებადი ბაზრისა და მომხმარებელთა საჭიროებებთან დაკავშირებული მზარდი გამოწვევების ეპოქაში მარკეტინგის გუნდის ეფექტურობის ოპტიმიზაცია უმნიშვნელოვანესია ორგანიზაციული წარმატებისთვის. ნაშრომი განიხილავს სხვადასხვა მეთოდოლოგიას, რომლებიც მიზნად ისახავს მარკეტინგის გუნდების ეფექტურობის გაუმჯობესებას.

ნაშრომი მოიცავს მონაცემთა ანალიტიკის გამოყენებას შემდგომი მიდგომების განხილვისას: შიდაორგანიზაციული თანამშრომლობის ხელშეწყობა, ეფექტური კომუნიკაციის სტრატეგიები(ეფექტური კომუნიკაციის სტრატეგიები აუცილებელია მარკეტინგის გუნდში გამარტივებული ოპერაციებისა და მიზნების დასახვისთვის. რეგულარული უკუკავშირის მექანიზმების, გამჭვირვალე კომუნიკაციის არხების დანერგვა და ღია დიალოგის კულტურის ხელშეწყობა ზრდის ნდობას, ერთიანობას და კოლექტიურ ანგარიშვალდებულებას),პროფესიული უნარების განვითარება, ქოუჩინგი და მიზნებით მართვა.

ნაშრომის მიზანია გამოკვეთოს ადაპტირებადი და ქმედითუნარიანი მიდგომები, რომლებიც მორგებულია მარკეტინგის გუნდების უნიკალურ საჭიროებებსა და გამოწვევებზე.


**Luka Nadirashvili**
Caucasus International University
Master
**Lika Khanikashvili**
Business and Technology University
Bachelor
**Scientific Supervisor: Salome Silagadze**
Associate Professor


## Effectiveness of Improving Methods for the Marketing Teams


In an era of dynamically changing markets and increasing challenges related to customer needs, optimizing the effectiveness of the marketing team is paramount for organizational success. The paper examines various methodologies aimed to improving the effectiveness of marketing teams. The paper includes the use of data analytics for the following approaches: promotion of intra-organizational cooperation, effective communication strategies (effective communication strategies are necessary for streamlined operations and goal setting in the marketing team. Implementation of regular feedback mechanisms, transparent communication channels and promotion of culture for an open dialogue and collective accountability) , development of professional skills, coaching and management by goals. The paper also aims to outline adaptable and actionable approaches tailored to the unique needs and challenges of marketing teams.

**სალომე დევაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბადრი გეჩბაია**
პროფესორი

## AI თანამედროვე მარკეტინგში Netflix-ის მაგალითზე

ხელოვნური ინტელექტის და მარკეტინგის კოლაბორაციაზე შეგვიძლია განვიხილოთ მედია სფეროს გიგანტი "Netflix". AI ალგორითმები ახდენენ მომხმარებლის გამოცდილების პერსონალიზებას მომხმარებლის მიერ გენერირებული კონტენტის კურირებით, სპამის გაფილტვრით და ხარისხზე დაფუძნებული კონტენტის ორგანიზებით. AI-ზე მომუშავე ინსტრუმენტები, ბუნებრივი ენის დამუშავებით ბლოგის თანმიმდევრული პოსტებსა და აღწერილობებს ქმნიან. ისინი ასევე ავტომატიზირებენ ვიდეოს წარმოებას, კადრების რედაქტირებიდან სუბტიტრების შექმნამდე.
მიკერძოებულობის წინააღმდეგ, Netflix ახდენს მონაცემების დივერსიფიკაციას, პრიორიტეტს ანიჭებს გამჭვირვალობას და სამართლიანობას ეთიკური გაიდლაინებისა და AI ჩარჩოებით. კომპანია ხელს უწყობს მარკეტერების, კრეატიული გუნდებისა და AI-ს შორის თანამშრომლობას, რაც ხელს უწყობს დაბალანსებულ მიდგომას ადამიანის გამოცდილების გასაუმჯობესებლად.
სერვისის გათიშვისას, Netflix-ის ვირტუალური ასისტენტები დაუყოვნებლივ უკავშირდებიან დაზარალებულ მომხმარებლებს და სთავაზობენ კომპენსაციას. მიუხედავად გამოწვევებისა, AI გვპირდება რევოლუციურ ცვლილებებს მარკეტინგში,ბიზნესის უპრეცედენტო პერსონალიზაციასა და ინოვაციურ სტრატეგიებს. ადამიანური კრეატიულობისა და ტექნოლოგიური შესაძლებლობების სინერგიის წყალობით, კომპანიებს შეუძლიათ შესთავაზონ ავთენტური და ეთიკური მარკეტინგული გამოცდილება, რაც გააძლიერებს მათ მიმზიდველობას ბაზარზე.

**Salome Devadze**
Caucasus International University
Doctoral
**Scientific Supervisor: Badri Gechbaia**
Professor

## Ai in Modern Amrketing on the Example of Netflix

On the collaboration of artificial intelligence and marketing, we can consider media giant Netflix. Artificial intelligence algorithms personalize the user experience by curating user-generated content, filtering spam and organizing content based on quality. AI-powered tools use natural

language processing to create coherent blog posts and descriptions. They also automate video production, from editing footage to creating subtitles.

Against bias, Netflix diversifies data, prioritizing transparency and fairness with ethical guidelines and AI frameworks. The company encourages collaboration between marketers, creative teams and AI, promoting a balanced approach to improving the human experience.

In the event of a service outage, Netflix's virtual assistants immediately contact affected users and offer compensation. Despite the challenges, AI promises revolutionary changes in marketing, unprecedented business personalization and innovative strategies. Through the synergy of human creativity and technological capabilities, companies can offer authentic and ethical marketing experiences that will enhance their appeal in the marketplace.

# სექცია
# SECTION

## ბიზნესი და ტექნოლოგიები
## BUSINESS AND TECHNOLOGY

### ქვესექცია SUBSECTION
### ეკონომიკა ECONOMICS

**გიორგი აბაშიძე**
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბადრი გეჩბაია**
დოქტორი, პროფესორი

## ციფრული და ცირკულარული ეკონომიკის გადაკვეთა: ციფრული ინსტრუმენტების მნიშვნელობა ცირკულარული ეკონომიკის ჩამოყალიბების პროცესში

დღეს მსოფლიო იმყოფება წრფივი ეკონომიკიდან ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში. ტრანსფორმაციის პროცესი მჭიდროდ არის დაკავშირებული რესურსების ეფექტიან მართვასთან, ბიზნეს ოპერაციებთან და ადამიანის ქცევასთან. აღნიშნული სამი მიმართულება წარმოადგენს სწორედ ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის უმნიშვნელოვანეს ინდიკატორს (European Commission, 2021). იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ციფრულმა ეკონომიკამ შეცვალა არა მარტო გზა, თუ როგორ იწარმოება პროდუქცია და მომსახურება, არამედ ის, თუ როგორ ვცხოვრობთ, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ციფრულ ეკონომიკას აქვს შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ინდიკატორზე და დააჩქაროს გადასვლა უფრო მდგრად ეკონომიკურ სისტემაზე, ანუ ცირკულარულ ეკონომიკაზე.

გაციფრულება ავტომატურად არ გულისხმობს ეკონომიკაში ცირკულარული პროცესების უზრუნველყოფასა და მდგრად ეკონომიკურ განვითარებას. აღნიშნული მიიღწევა მხოლოდ ციფრული საშუალებების სწორი და ეფექტიანი გამოყენებით. ციფრულ ტექნოლოგიებს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ეკონომიკის მდგრადობის უზრუნველყოფაში პროდუქტების, რესურსების, მასალებისა და ნარჩენების გაუმჯობესებული მართვით.

წარმოდგენილი ნაშრომი იკვლევს ციფრული და ცირკულარული ეკონომიკის თეორიულ და პრაქტიკულ საფუძვლებს, განსაზღვრავს გზებს, რომლითაც გაციფრულებას შეუძლია ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესის დაჩქარება.

**Giorgi Abashidze**
Batumi Shota Rustaveli State University
Doctoral
**Scientific Supervisor: Badri Gechbaia**
Doctor, Professor

## Navigating the Intersection: Harnessing Digital Factorsls for Circular Economies

Today, the world is in the process of transitioning from a Linear Economy to a Circular Economy. This transformation is closely linked to issues such as effective resource management, business operations, and human behavior. These are three, the most significant indicators of the transition to a Circular Economy (European Commission, 2021). The Digital Economy has not only altered the way, products are produced and consumed but also transformed the way we live. We can assert that the Digital Economy can influence all of these indicators and facilitate the acceleration of the

transition to a sustainable, Circular Economy. Digitization doesn't automatically imply that Circular Economic processes and sustainable economic development will be provided. With the right incentives, data, and digitally-enabled solutions, it can accelerate and facilitate the transition to a sustainable Circular Economy. This paper delves into the essence and theoretical foundations of the Digital and Circular economy, defines how the Digital Economy accelerates the transition to a Circular Economy, evaluates the current level of Digital Economy development to assess a country's readiness for transitioning to a Circular Eeconomy.

**ნესტან ვარშანიძე**
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოქტორანტურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია წიკლაშვილი**
დოქტორი, პროფესორი

## აკვაკულტურული მეურნეობების გამოწვევები: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითი

ლურჯი ეკონომიკა ახალი კონცეფციაა, რომელიც ეყრდნობა ოკეანის რესურსების მდგრად გამოყენებას, ოკეანის ბიომრავალფეროვნების გაუმჯობესებასა და დაცვას, სამუშაო ადგილების შექმნას. მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი, 3 მილიარდი ადამიანი, ცხოვრობს სანაპირო ზოლიდან 200 კილომეტრში. 2020 წლიდან აქტიურ ფაზაშია საქართველოს კანონი „აკვაკულტურის შესახებ", რომელიც ხელს უწყობს სანაპირო რეგიონებში ლურჯი ეკონომიკის პრინციპების გააზრებასა და მის ეფექტიან დანერგვას. კვლევის მიზანია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული თევზისა და ზღვის პროდუქტების წარმოების სექტორის შესაძლებლობების ანალიზი და აკვაკულტურის მეურნეობების ბიზნეს მოდელებისათვის საჭირო რესურსების ანალიზი.

განხორციელებული კვლევის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები. მოცემულია ავტორისეული ხედვები/პოზიცია და რეკომენდაციები. ამ სექტორში მომუშავე პირთა უმრავლესობა ნაკლებად ინტერესდება ახალი თეორიული ცოდნის შეძენითა და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული აკვაკულტურული მეურნეობები დაბალი პროდუქტიულობით ხასიათდებიან, მნიშვნელოვანი პრობლემაა იქთიოლოგების ნაკლებობა. მნიშვნელოვანია აკვაკულტურული მეურნეობებისათვის ინფრასტრუქტურის შენარჩუნება, ცოდნის გაზიარების ხელშეწყობა, ახალი პრაქტიკის დანერგვა და ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

**Nestan Varshanidze**
Batumi Shota Rustaveli State University
Doctoral
**Scientific Supervisor: Natia Tsiklashvili**
Doctor, Professor

## Challenges of Aquaculture Farms: The Example of the Autonomous Republic of Adjara

The Blue Economy is a relatively new concept that relies on the sustainable use of ocean resources for economic growth, improved livelihoods, creating jobs and preserving the health of ocean systems. Approximately half of the world's population, which is around 3 billion people, live within 200 kilometers of a coastline. Since 2020, the Georgian Law „On Aquaculture" has been in its active phase, which promotes the understanding of the principles of the Blue Economy in coastal regions and its effective implementation. The purpose of this study is to analyze and assess the potential of introducing fish and seafood production sector, characteristics existing aquaculture farms, and reasons that hinder the increase of farms' productivity in the Autonomous Republic of Adjara. The author's perspectives/positionand recommendations are provided. As indicated by the research findings, the majority of individuals working in this sector show less interest in acquiring theoretical knowledge and sharing practical experiences. The existing aquaculture farms in the Autonomous Republic of Adjara have low productivity, it is crucial to strengthen aquaculture farms with government support. An important problem is also the absence of ichthyologists.

**ქრისტინა ბუზალაძე**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნაზირა კაკულია**
ასოცირებული პროფესორი

## ლურჯი ეკონომიკის გამოწვევები და მისი გავლენა თანამედროვე მსოფლიოზე

ნაშრომში განხილულია ლურჯი ეკონომიკის წარმოშობისა და განვითარების ისტორია, კონცეფციის გააზრება სხვადასხვა სკოლისა და მეცნიერის გადმოსახედიდან, მისი როლი მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევისა და გლობალური, ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემების გადაჭრის მიმართულებით. ნაშრომი მოკლედ წარმოადგენს ლურჯი ეკონომიკის სიკეთეებსა და მის როლს ისეთ მნიშვნელოვან მაჩვენებელში, როგორიცაა მთლიანი სამამულო პროდუქტი, მისი ზრდის ტენდენციები და მასზე დადებითად მოქმედი ფაქტორები. ასევე, მოხსენიებულია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მსოფლიოში არსებული თანამედროვე გამოწვევები, ზოგადად, მსოფლიოში არსებული სიტუაცია და ზემოთ თქმულის ფონზე ქართული რეალობა.

**საკვანძო სიტყვები:** *ლურჯი ეკონომიკის ჩამოყალიბების ისტორია; ლურჯი ეკონომიკის კონცეფციის მიმოხილვა; მსოფლიო და ქართული რეალობა.*

**Kristina Buzaladze**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Nazira Kakulia**
Associate Professor

## Challenges of the Blue Economy and its Impact on the Modern World

The paper discusses the history of the origin and development of the Blue Economy, understanding the concepts from the perspective of different institutions and scientists, its role in achieving the goals of sustainable development and solving global, economic and social problems. The paper briefly presents the benefits of the Blue Economy and its role in such an important indicator as the Gross Domestic Product, its growth trends and the factors affecting it positively. The paper highlights the general situation in the World, contemporary challenges related above-mentioned issue and what is Georgian reality in this background.

**Key word:** The history of Blue Economy, an overview of Blue Economic concepts, the World and Georgian reality.

**ანა გოგიაშვილი**
ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანი კალანდია**
დოქტორი

## ეფექტური კომუნიკაციების როლი და სწორი სტრატეგიების დასახვა კრიზისულ ვითარებაში

თანამედროვე ბიზნესსამყაროში კომპანიები, გარკვეულწილად, მიდრეკილნიც კი არიან კრიზისებისადმი, რადგან ტექნოლოგიური პროგრესი ხელს უწყობს კრიზისების წარმოშობასა და გაღრმავებას. კრიზისი გარდაუვალია ბევრი მიზეზით, მათ შორის, ადამიანთა უნებლიე გადაცდომებისა თუ წინასწარ განზრახული, მიზანმიმართული დანაშაულებრივი ქმედებების გამო. მნიშვნელოვანია, რომ კომპანიები მუდმივად მზად იყვნენ პოტენციური კრიზისებისათვის და უზრუნველყოფდნენ საფრთხის მომენტში პერსონალთან დროულად დაკავშირებას, საჭირო ინფორმაციის გავრცელებას და ბიზნესის უწყვეტობას.

სწორი სტრატეგიის დასახვისა და კრიზისული კომუნიკაციების წარმართვის მნიშვნელობას ცხადყოფს ისეთი ცნობილი კომპანიების შემთხვევები, როგორებიცაა Nike (გლობალური პანდემიის მიერ გამოწვეული სირთულეების დაძლევა მომხმარებლებთან სწორი კომუნიკაციის შედეგად) და Balenciaga (მძაფრი კრიტიკა საზოგადოებისგან, რომელმაც საგრძნობლად დიდი ზიანი მიაყენა ფირმის როგორც ფინანსურ მხარეს, ასევე რეპუტაციას). კვლევაში განხილულია, რა სტრატეგიები და მექანიზმები განაპირობებენ კრიზისული სიტუაციის გადალახვას და რა როლი ენიჭება სწორ და ეფექტურ კომუნიკაციას.

**Ana Gogiashvili**
Kutaisi International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Ani Kalandia**
Doctor

## The Role of Effective Communication and Strategy in Crisis Situations

In the modern business world, companies are increasingly susceptible to crises, largely due to technological advancements that can trigger the emergence and deepening of crisis. Crisis is inevitable for many reasons and can arise from inadvertent human errors or deliberate criminal acts. Therefore, it is crucial for companies to remain continuously prepared for potential crises, having prompt communication with personnel, providing them with necessary information for business operations in case of any hazard. The significance of adopting the right strategy and implementing effective crisis communication is exemplified by notable cases involving well-known companies like Nike (which successfully navigated pandemic-related challenges through effective customer communication) and Balenciaga (which faced severe public criticism, resulting in significant financial and reputational damage). This research will delve into the strategies and mechanisms that contribute to overcoming crisis situations, highlighting the role of accurate and efficient communication.

**ელენე ზაალიშვილი, მარიამ მარკოზაშვილი**
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია ალადაშვილი**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## მოსახლეობის დასაქმების პრობლემები კახეთის რეგიონში

თანამედროვე პირობებში დასაქმების პრობლემა აქტუალურია როგორც მსოფლიოს მასშტაბით, ასევე საქართველოში, სადაც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2023 წლის მონაცემებით, უმუშევრობის დონე 16.4%-ს შეადგენს. საქართველოში უმუშევრობის არსებულ მდგომარეობას განაპირობებს შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მის მიწოდებას შორის არსებული დისბალანსი. მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმება, მათი სამუშაოთი უზრუნველყოფა, ნებისმიერი სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულება და ძირითადი მიზანია.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია: კახეთის რეგიონში დასაქმების პრობლემების გამომწვევი მიზეზების აღმოჩენა, უმუშევრობის სოციალურ-ეკონომიკური შედეგების გამოვლენა და აღნიშნული პრობლემების გადაჭრის გზების შეთავაზება, ვინაიდან დღეს

საქართველოში დასაქმების ხელშეწყობა და უმუშევრობის შემცირება ერთადერთი გზაა ჩვენი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მათი სოციალური დამკვიდრებისთვის. დასაქმების საკითხი საკმაოდ პრობლემურია კახეთის რეგიონში, რასაც ადასტურებს ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკითხვაც, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 107-მა რესპონდენტმა. მიღებული შედეგებით გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები:

- სამსახურით კმაყოფილია გამოკითხულთა მცირე ნაწილი;
- ანაზღაურება შეუსაბამოა არსებულ მოთხოვნებთან და შესასრულებელი სამუშაოს სიმძიმესთან;
- კადრების ხშირი ცვლა;
- სამუშაო ადგილების სიმცირე, რის გამოც, ახალგაზრდების უმეტესობას საზღვარგარეთ სურს წასვლა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია მთელი რიგი ღონისძიებების გატარება, რომ შესაძლებელი გახდეს არსებული მდგომარეობის სიმძიმის შემსუბუქება.

**Elene Zaalishvili, Mariam Markozashvili**
Iakob Gogebashvili Telavi State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Maia Aladashvili**
Doctor, Associate Professor

## Employment Problems of the Population in Kakheti Region

Nowaday the problem of employment is relevant worldwide, as well as in Georgia, where according to the 2023 data of National Statistics Service  the unemployment rate is 16.4%. The current state of unemployment in Georgia is determined by imbalance between the labor demand and its supply in the market. Effective employment of the population and providindg them with as many workplaces as possible should be the priority goal of any country's socio-economic policy.

The aim of the paper is: Finding the reasons of employment problems in Kakheti region, identifying the main causes, socio-economic consequences of unemployment and proposing the ways to solve these  problems.The only way to improve the economic situation of our population and establish their social existence is to promote employment and reduce unemployment in Georgia. The issue of employment is quite problematic in Kakheti region as it was also confirmed by the survey conducted by us, in which 107 respondents participated . The obtained results revealed the following tendencies:

- A small part of the interviewees is satisfied with their job.
- Salary is irrelevant with existing requirements and the severity of the work;
- The frequent change of personnel;
- Lack of jobs, due to which, most of the young people want to go abroad.
- Based on these data, it is necessary to take relevant steps to make it possible to alleviate the severity of the current situation.

**ანა ლაფაჩი**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მიქიაშვილი**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## ერთიანი ციფრული ბაზარი და დასაქმების ახალი შესაძლებლობები

გლობალური ეკონომიკა და ბიზნესი სულ უფრო მეტად არის დამოკიდებული ციფრულ ტექნოლოგიებზე, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს კადრების მოძიების, დასაქმების, დამაგრების და კვალიფიკაციის ამაღლების პროცესებზე. ციფრულ ერად წოდებული XXI საუკუნე პიროვნული და პროფესიული განვითარების მეტ შესაძლებლობებს იძლევა. ინტერნეტი, ხელოვნური ინტელექტი და მსგავსი ტექნოლოგიები სწრაფად ცვლის ბიზნეს-გარემოს და იმ მოთხოვნებს, რომლებსაც დამსაქმებელი სამუშაოს მაძიებელს უყენებს. ამასთან, ერთი დამქირავებლის მოძიების მაგივრად ხდება დროებითი სამუშაოს, ან რაიმე სამუშაოს ნაწილის მოძიება შესაბამისი ანაზღაურებით. მსგავსი სამუშაოების წილის ზრდა ვირტუალური ურთიერთობების ზრდას გამოიწვევს და აჩქარებს ჰომო საპიენს კიბერნეტიკუსის ჩამოყალიბებას, რომელიც რეალურ, წარმოსახვით და ელექტრონულ სამყაროში ცხოვრებას უნდა შეეგუოს. ნაშრომის მიზანია, თანამედროვე ტექნოლოგიების გავლენის თავისებურებების გამოვლენა დასაქმების სფეროში.

ციფრული ტრანსფორმაცია ყველაზე მასშტაბურად ცვლის შრომით ურთიერთობებს. ტრადიციულთან ერთად მეტ ადგილს იკავებს დისტანციური დასაქმება, დროებითი, ნაწილობრივი და მოკლევადიანი დისტანციური შრომითი საქმიანობა. მსგავს ურთიერთობებს გიგ-ეკონომიკასაც უწოდებენ, სადაც შრომითი რესურსების ერთობლივი გამოყენება ხდება მსოფლიოში მიმოფანტულ ფირმებში გუნდური ან ინდივიდუალური მუშაობის ციფრული სერვისების გამოყენებით.

**Ana Lapachi**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Nino Mikiashvili**
Doctor, Associate Professor

## United Digital Market and New Employment Opportunities

The global economy and business are increasingly dependent on digital technologies, which in turn affects the process of recruiting, hiring, retaining and upskilling. Called the Digital Era, the 21st century provides more opportunities for personal and professional development. The Internet, artificial intelligence and similar technologies are rapidly changing the business environment and the requirements that employers puts to the job seekers. In addition, instead of looking for one employer, a person is looking for a temporary job or a part of a job with an appropriate salary. The increase in the share of such works will lead to the growth of virtual relationships and accelerates

the formation of Homo Sapiens Cyberneticus which must adapt to live in the real, imaginary and electronic world. The aim of the paper is to reveal the features of the influence of modern technologies in the field of employment. Digital transformation is changing labor relations on the largest scale. Online employment, temporary, part-time and short-term remote labor activities take more place along with traditional ones. Such relationships are also called the Gig Economy, where labor resources are shared in companies scattered around the world using digital services for teamwork or individual work.

**დავით მამულაშვილი**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნაზირა კაკულია**
ასოცირებული პროფესორი

## საქართველოში განახლებადი ენერგიის პოტენციური წყაროები და მათი გავლენა მდგრად განვითარებაზე

საქართველო დიდ პოტენციალს ფლობს განახლებადი ენერგიის მიმართულებით, რაც ქვეყნის მდგრად განვითარებას უქმნის ხელშემწყობ პირობებს სხვადასხვა მიმართულებით. კერძოდ, ჰიდროენერგეტიკული რესურსები, მზის, ქარის, გეოთერმული და ბიომასის ენერგია შეიძლება გახდეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის, გარემოს დაცვისა და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

საქართველოს აქვს დიდი პოტენციალი მზის, ქარის, გეოთერმული და ბიომასის ენერგიის მიმართულებითაც. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს პლატოები და მთიანი რეგიონები იდეალურ პირობებს ქმნის მზისა და ქარის ენერგიის გამოყენებისთვის. ამავდროულად, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში შესაძლებელია გეოთერმული ენერგიის ათვისება, ხოლო ტყიან ზონებსა და სოფლის მეურნეობის დარგში ბიომასის ენერგიაც კარგად გამოსაყენებელი რესურსია. ეს ყოველივე ქვეყანას ეკოლოგიურად სუფთა ენერგიას მოუტანს და, ამავდროულად, შეამცირებს იმპორტირებული ნავთობისა და გაზის მოცულობას.

ნაშრომი შეეხება განახლებადი წყაროების ათვისებასთან დაკავშირებულ გარკვეულ გამოწვევებს. მასში განხილულია განახლებადი ენერგიის განვითარება საქართველოში,თუ რა სახის სარგებელის მოტანა შეუძლია მას. პირველ რიგში, ეს ენერგოუსაფრთხოების ამაღლებასა და იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებას გულისხმობს. აგრეთვე, ეკოლოგიური თვალსაზრისით ნაკლებ გამონაბოლქვს იწვევს და ხელს უწყობს გარემოს დაცვას, რაც უმნიშვნელოვანესია კლიმატის ცვლილებების პირობებში. ასევე, იაფი და ადგილობრივი რესურსების ათვისება გააიაფებს ენერგიის ღირებულებას და მოხმარებისთვის უფრო ხელმისაწვდომს გახდის. განახლებადი ენერგია მრავალ ახალ სამუშაო ადგილსა და ინვესტიციებს შექმნის, რაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის იქნება ხელშემწყობი.

**David Mamulashvili**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Nazira Kakulia**
Associate Professor

## Potential Sources of Renewable Energy in Georgia and Their Impact on Sustainable Development

Georgia has great potential in the field of renewable energy, which creates favorable conditions for the country's sustainable development in various directions. In particular, hydropower resources, solar, wind, geothermal, and biomass energy can become the most important sources for ensuring energy security, environmental protection, and economic development.

Georgia also has great potential in solar, wind, geothermal, and biomass energy. The plateaus of western and eastern Georgia and the mountainous regions create ideal conditions for the use of solar and wind energy. At the same time, it is possible to develop geothermal energy in the Samtskhe-Javakheti region, while biomass energy is also a useful resource in forested areas and the agricultural sector. All this will bring clean energy to the country and at the same time reduce the volume of imported oil and gas.

The work deals with certain challenges associated with the development of renewable sources. The work discusses the development of renewable energy in Georgia. What kind of benefits it can bring? First, this implies improving energy security and reducing dependence on imports. Also, from an environmental point of view, it causes less emissions and contributes to environmental protection, which is crucial in climate change. Besides, the development of cheap and local resources will reduce the cost of energy and make it more affordable for consumers. Renewable energy will create many new jobs and attract investments, which will contribute to the country's economic development.

**თამუნა ხაჩიძე**
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანდრია თურვანდიშვილი**
მაგისტრი, მოწვეული ლექტორი

## მინის ჭერის გამომწვევი ფაქტორები ორგანიზაციულ იერარქიაში (საქართველოს მაგალითზე)

ორგანიზაციებში ქალები განიცდიან დისკრიმინაციას სხვადასხვა ფორმით, ერთ-ერთი მათგანი კი არის მინის ჭერი. მინის ჭერი უარყოფითი დამოკიდებულებებისა და ცრურწმენების ერთობლიობაა, რომელიც ხელს უშლის ქალებს ორგანიზაციული იერარქიის მაღალ საფეხურზე ასვლასა და გენდერული თანასწორობის მიღწევაში სამუშაო ადგილის

დაკავებას. ამდენად, არც არის გასაკვირი, რომ ორგანიზაციებში ქალების საჭირო კომპეტენციების არსებობა აუცილებელია, რადგან მათი მენეჯერულ პოზიციებზე ყოფნით ორგანიზაცია მეტ ინვესტირებას ახორციელებს ინოვაციებში. გარდა ამისა, კომპანიას აქვს უკეთესი საბაზრო ინოვაციები, ფინანსური მაჩვენებლები, საბაზრო ღირებულება და ეფექტური მენეჯმენტი. თუმცა, მცირეა ქალების რაოდენობა მენეჯერულ, განსაკუთრებით, ტოპ მენეჯერულ პოზიციებზე.

საქართველოში გენდერული როლებისა და სტერეოტიპების შედეგად აიხსნება ის ფაქტი, ერთი მხრივ, რომ დასაქმებულ კაცთა რაოდენობა აღემატება დასაქმებულ ქალთა რაოდენობას და მეორე მხრივ, მოსაზრებაც, რომ ქალებს უფრო მეტი ბარიერის გადალახვა უწევთ კარიერული ზრდისთვის, ვიდრე კაცებს. აქედან გამომდინარე, სამუშაო გარემოში ქალების მცირე რაოდენობა მინის ჭერის არსებობით შეიძლება აიხსნას, რაც სხვადასხვა ფაქტორით არის განპირობებული. საკვლევი თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, მოხსენების მიზანია მინის ჭერის გამომწვევი ფაქტორების იდენტიფიცირება სამუშაო ადგილზე.


**Tamuna Khachidze**
Ilia State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Andria Turvandishvili**
Master, Visiting Lecturer


## Factors that Cause Glass Ceiling in the Organizational Hierarchy (On the Example of Georgia)


Women face discrimination in various forms. One of which is a "Glass Ceiling". The 'Glass Ceiling' is a combination of negative attitudes and prejudices that prevent women from moving up the organizational hierarchy and achieving gender equality in the work environment. It is important that women with high copetence and holding the managerial or top managerial skills should have positions in organizations, as women are considered to be guarantors for more invest in innovations. In addition, organization has better innovations, financial indicators, profits, market value and effective management. Therefore, not surprisingly, employment of women with expertise knowledge and competences in organizations is vitally important. Gender roles and stereotypes in Georgia explain the fact that the number of employed men exceeds the number of employed women and women have to overcome more barriers for career growth than men. Therefore, the small number of women in workplace can be explained by existence of 'Glass Ceiling', which is due to various factors. Due to the relevance of the research topic, the purpose of the conference report is to identify the factors causing the 'Glass Ceiling' in the workplace.

**გიორგი ხუციშვილი**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნაზირა კაკულია**
ასოცირებული პროფესორი

## ლურჯი ეკონომიკის მზარდი პოტენციალი ქართულ ეკონომიკურ რეალობაში

დღევანდელ მსოფლიოში ლურჯი ეკონომიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში. ზღვის რესურსების რაციონალური გამოყენება საშუალებას იძლევა, მოხდეს ეკონომიკური ზრდის და გარემოს დაცვის ჰარმონიული შეხამება. ამ გააზრებიდან გამომდინარე, მრავალი ქვეყანა ზრდის ინვესტიციებს ლურჯი ეკონომიკის სფეროში.

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, ზღვისპირა რეგიონები და მდიდარი ბუნებრივი რესურსები ქმნის ხელსაყრელ გარემოს ლურჯი ეკონომიკის განვითარებისათვის. ლურჯი ეკონიმიკა მოიცავს ზღვის რესურსებზე დაფუძნებულ საქმიანობას, როგორებიცაა თევზჭერა, ნავთობისა და გაზის მოპოვება, ნავსადგურების ოპერირება, ტურიზმი და ა.შ. თუმცა, ქვეყნის პოტენციალი ჯერჯერობით სრულად არ არის გამოყენებული.

წინამდებარე ნაშრომი წარმოაჩენს ლურჯი ეკონომიკის როლს ქართული ეკონომიკის დივერსიფიკაციასა და განვითარებაში. განხილულია კონკრეტული სექტორები- საზღვაო ტრანსპორტი და ლოგისტიკა, აკვაკულტურა, ენერგეტიკა და ტურიზმი. გაანალიზებულია მათი დღევანდელი მდგომარეობა, არსებული გამოწვევები და პერსპექტივები. ასევე, მოცემულია ხედვა ინვესტიციების მოზიდვის, სამართლებრივი გარემოს გაუმჯობესებისა და ადამიანური რესურსების განვითარების კუთხით. ნაშრომი აგრეთვე ხაზს უსვამს ლურჯი ეკონომიკის მნიშვნელოვნებას საქართველოსთვის არა მხოლოდ ეკონომიკური სარგებლის, არამედ გარემოსდაცვითი უპირატესობების გამოც. ზღვის ეკოსისტემების სწორი მართვა და ზღვის რესურსების მდგრადი გამოყენება მნიშვნელოვანია ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის შენარჩუნებისათვის.

**Giorgi Khutsishvili**
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Nazira Kakulia**
Associate Professor

## The Growing Potential of the Blue Economy in Georgian Economic Reality

In today's world, the blue economy plays a significant role in ensuring sustainable development. The rational use of marine resources allows for harmonious economic growth and environmental protection. Stemming for this realization, many countries are increasing investments in the blue economy sector.

Georgia's geographical location, coastal regions, and rich natural resources create a favorable environment for the development of the blue economy. The blue economy encompasses activities based on marine resources, such as fishing, oil and gas extraction, port operations, tourism, etc. However, the country's potential in this area has not yet been fully utilized.

This paper highlights the role of the blue economy in diversifying and developing the Georgian economy. Specific sectors are discussed – maritime transport and logistics, aquaculture, energy, and tourism. Their current state, existing challenges, and prospects are analyzed. Additionally, the paper provides a vision for attracting investment, improving the legal environment, and developing human resources. The work also underscores the importance of the blue economy for Georgia not only in terms of economic benefits but also environmental advantages. Proper management of marine ecosystems and sustainable use of marine resources is crucial for preserving the country's natural wealth.

სექცია
SECTION

# ბიზნესი და ტექნოლოგიები
# BUSINESS AND TECHNOLOGY

ქვესექცია ტურიზმი
SUBSECTION TOURISM

**ილია ბატიაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გივი ყუფარაძე**
პროფესორი

## ველნეს ტურიზმი, როგორც მეწარმეობის თანამედროვე მიმართულება

Wellness ტურიზმი არის უკვე ტრილიონიანი ინდუსტრია, რომელიც დღითიდღე ვითარდება და აუცილებელია გვესმოდეს თანამედროვე გამოწვევები და შესაძლებლობები ამ დარგში, გავაანალიზოთ და გავიაზროთ დღევანდელი მდგომარეობა, რაზე დაყრდნობითაც უკეთ განვსაზღვრავთ მომავალ ტენდენციებს და შეგვეძლება დაგეგმვა ამ მიმართულების, მნიშვნელოვანია ასევე ამ ჭრილში საქათველოს შესაძლებლობების აღმოჩენა და ცნობიერების ამაღლება, რაც ხელშემწყობი ფაქტორი გახდება ადგილობრივი wellness კურორტებისთვის, კარგად უნდა გვესმოდეს და ვიცოდეთ ჩვენი ისტორია ამ მიმართულებით, შევძლოთ მისი სწორად შეფასება, ასევე სწორად შევაფასოთ ჩვენი აწმყო და მასთან ერთად ჩვენს წინაშე არსებული გამოწვევები, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ადეკვატურად აღვიქვათ ჩვენი პოტენციალი, რათა მაქსიმალურად მზად ვიყოთ ავუწყოთ ფეხი მსოფლიო ტენდენციებს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ზუსტად გვესმოდეს ამ ინდუსტრიის ეკონომიკა და სწორად ვაფასებდეთ ამ ყველაფერს, ვიცოდეთ მისი მოცულობა, მისი მომავალი განვითარების დიაპაზონი, რაც დაგვეხმარება უკეთ შევძლოთ ჩვენი მიზნების განსაზღვრა ამ მიმართულებით სამუშაოდ.

**Ilia Batiashvili**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Givi Kuparadze**
Professor

## Wellness Tourism as a Modern Direction of Entrepreneurship

Wellness tourism is already a trillion-dollar industry, which is developing day by day, and it is necessary to understand the modern challenges and opportunities in this field, to analyze and comprehend-! the current situation, based on which we can better define future trends and be able to plan in this direction, it is also important to discover opportunities for tourism in this regard and to raise awareness, which-! will become a contributing factor for local wellness resorts, we must analyze the current situation-! , be able to correctly evaluate it, as well as present challenges-! and with it the past experiences-! , it is vital to adequately perceive our potential in order to be as ready as possible to organize it. Keeping up with world tendencies-! , it is crucial to accurately understand the economics of this industry, to know its volume, its future development potential, which will help us better define our goals for working in this direction.

**თინათინ გულიაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლალი მიქელაძე**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## სასტუმროს ინოვაციური კონცეფცია

სტუმარმასპინძლობის მენეჯმენტში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, პირველ რიგში, სტუმრებისათვის დასამახსოვრებელი გამოცდილების შექმნას, სადაც სტუმრები იგრძნობენ თავს კომფორტულად. ინოვაცია სასტუმროებში არის ახალი და ხშირ შემთხვევაში ის გულისხმობს უნიკალური იდეების, ტექნოლოგიებისა და პრაქტიკის განხორციელებას სასტუმრო ინდუსტრიაში სტუმრის გამოცდილების გასაუმჯობესებლად. სასტუმროში უკვე აქვთ დანერგილი სხვადასხვა სახის ინოვაციები, რომლებითაც ისინი ცდილობენ დააკმაყოფილონ პოტენციური მომხმარებლების მოთხოვნები. კერძოდ, ინოვაციები მოიცავს ჭკვიანი სასტუმროს ნომრებს, რომლებიც აღჭურვილია ხმით გააქტიურებული განათებით და ტემპერატურის კონტროლით, მობილური შემოწმებისა და გასვლის საშუალებით, Dinner in the sky, წყალქვეშა ღვინის დავარგება.

სტუმარმასპინძლობის ინდუსტრია სულ უფრო კონკურენტუნარიანი ხდება და სასტუმროებმა იმისათვის, რომ შეძლონ კონკურენტუნარიან გარემოში საკუთარი თავის დამკვიდრება და წარმოჩენა, მნიშვნელოვანია მომხმარებლებს შესთავაზონ მუდმივად განახლებული სერვისები, რაც გამოიწვევს მათ სასტუმროებზე მოთხოვნისა და კმაყოფილი მომხმარებლების რაოდენობის ზრდას. ამ საკონფერენციო ნაშრომში შემოთავაზებულია ახალი სასტუმროს კონცეფცია, რომელიც მოიცავს ინოვაციურ სერვისებს. ახალი სასტუმროს ფუნქციონრება განსაზღვრულია საქართველოს მნიშვნელოვან ტურისტულ მუნიციპალიტეტში, შიდა ქართლში, ნადარბაზევის ტბასთან.

**Tinatin Guliashvili**
Caucasus's International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Lali Mikeladze**
Doctor, Associate Professor

## Innovative Hotel Concept

In hospitality management, great importance is given to creating a memorable experience for the guests, where the guests will feel comfortable. Innovation in hotels is new and in many cases it involves the implementation of unique ideas technologies and practices in the hotel industry to improve the guest experience. The hotel has already implemented various innovations to meet the demands of potential customers. In particular, the innovations include: smart hotel rooms equipped with voice-activated lighted and temperature control, mobile check-in and check-out, Dinner in

the sky underwater wine planting. The hospitality industry is becoming more and more competitive and in order for hotels to be able to establish themselves and present themselves in a competitive environment, it is important to offer customers constantly updated services that will lead to an increase in demand for their hotels and number of satisfied costumers. A new hotel concept in proposed in the conference paper, which includes innovative services. The functionality of the new hotel is determined in an important touristic municipality of Georgia in Shida Kartli, near Nadarbazevi Lake.

**ლევან თოდუა, ანი ჟუჟუნაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლალი მიქელაძე**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## იუნესკოს მატერიალური ძეგლები საქართველოში

1992 წლიდან საქართველო გახდა UNESCO-ს სრულუფლებიანი წევრი. საქართველოს მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-პოპულირაზაციაში აღნიშნულ ორგანიზაციას მნიშვენელოვანი როლი ეკისრება. 1994 წელს მცხეთის ისტორიული ძეგლები, გელათის მონასტერი და ბაგრატის ტაძარი, იუნესკოს მსოფლიოო კულტურული მემკვიდრეობის სიაში მოხვდა, 1996 წელს სიას ზემო სვანეთი შეუერთდა. ბაგრატის ტაძარი რეკონსტრუქციის შემდეგ, 2017 წელს "იუნესკომ" სიიდან ამოიღო, გელათი ინარჩუნებს სტატუსს, თუმცა არსებობს გამოწვევები მის კონსერვაციასთან დაკავშირებით. 2007 წელს სიას კოლხური ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები დაემატა. ეს ქვეყნის UNESCO პრესტიჟისთვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მთავრობებს პოლიტიკური დღის წესრიგში შეაქვთ ეს თემა. ხშირად ეს მსოფლიოო მემკვიდრეობის სტატუსის ტურისტულ პოტენციალთან კავშირის გამო ხდება.

რაც მეტი ძეგლი აქვს ქვეყანას სიაში, მით უფრო იზრდება მისი ტურისტული პოტენციალი და შესაბამისად იზრდება საერთაშორისო ინვესტიციები და ეკონომიკაც. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლება რეკომენდებულია გაააქტიუროს თანამშრომლობა იუნესკოსთან, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან, რათა მეტი ღონისძიება განხორციელდეს ქართული ძეგლების დაცვისა და პოპულარიზაციის მიმართულებით.

**საკვანძო სიტყვები:** *იუნესკო, ტურიზმი, მემკვიდრეობა, მატერიალური, კონსერვაცია.*

**Levan Todua, Ani Zhuzhunashvili**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Lali Mikeladze**
Doctor, Associate Professor

## UNESCO Material Monuments in Georgia

Since 1992, Georgia has become a full member of UNESCO. This organization plays an important role in the protection and promotion of tangible and intangible cultural heritage of Georgia. In 1994, historical monuments of Mtskheta, Gelati Monastery and Bagrati Cathedral were included in the UNESCO World Cultural Heritage List, in 1996 Upper Svaneti joined the list. After the reconstruction, the Bagrati temple was removed from the UNESCO list in 2017, Gelati maintains its status, although there are challenges regarding its conservation. In 2007, Kolkhi forests and wetlands were added to the list. This is so important for the country's UNESCO prestige that governments put this topic on the political agenda. Often this is due to the link of World Heritage status with tourism potential. The more monuments a country has on the list, the more its tourism potential increases, and the international investments and economy grow accordingly. Therefor, the government of Georgia is recommended to activate cooperation with UNESCO, the National Agency for the Protection of Cultural Heritage in order to implement more measures in the direction of protection and promotion of Georgian monuments.

**Key words:** UNESCO, tourism, heritage, tangible, conservation.

**მარიამ ლუკავა, ნინი ცისკარაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლალი მიქელაძე**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## თბილისი, როგორც ტურისტული დესტინაცია

საერთაშორისო ვიზიტორები, როდესაც რომელიმე ქვეყნის დედაქალაქს სტუმრობენ, უპირველეს ყოვლისა, მის ისტორიასა და კულტურას ეცნობიან. ჩვენს დედაქალაქს, თბილისს, ორივე აქვს – ხანგრძლივი ისტორია და უნიკალური კულტურა, ამიტომ მას სეზონურად საკმაოდ ბევრი ტურისტი სტუმრობს. თბილისი მსოფლიოს ქალაქების ტურიზმის ასოციაციის წევრი გახდა, რაც პოპილარიზაციისა და საერთაშორისო ბიზნეს ურთიერთობების მნიშვნელოვან განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენს. თავის მხრივ, თბილისი ტურისტებს სტუმართმოყვარე დამოკიდებულებას, საუკუნოვანი კულტურისა და თანამედროვე ინფრასტრუქტურის შერწყმას სთავაზობს. არსებობს კულტურაზე და ეკონომიკაზე ორიენტირებული ტურისტულად მიმზიდველი ქალაქები. საქალაქო ტურიზმის

განვითარებას განაპირობებს ეკონომიკური სიძლიერე, ინფრასტრუქტურა, კულტურულად და გასართობად მიმზიდველობა.

ეს ყველაფერი შეიცავს ქალაქის გარეგნულ იერსახეს, ტრადიციებს, ისტორიულ ადგილებს, არქიტექტურულ თუ არქეოლოგიურ საგანძურებს და ა.შ... საქართველოს ყველაზე დატვირთულ და ხმაურიან ქალაქში რთულია მოიწყინო, რადგან აქ ძალიან ბევრი რამ არის სანახავი, თუმცა ბევრიც გასაკეთებელი ინფრასტრუქტურული მოწყობისა, სერვისების მდგრადობისა და ვიზიტორთა უსაფრთხოების მიმართულებით.

**საკვანძო სიტყვები** : *ტურიზმი, ქალაქი, კულტურა, ეკონომიკა, ინფრასტრუქტურა.*

**Mariam Lukava, Nini Tsiskaradze**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Lali Mikeladze**
Doctor, Associate Professor

## Tbilisi as a Tourist Destination

International visitors, when they visit the capital of any country, first of all get acquainted with its history and culture. Our capital, Tbilisi, has both - a long history and a unique culture, therefore it is visited by many tourists seasonally. Tbilisi became a member of the Tourism Association of World Cities, which is an important determining factor of promotion and international business relations. On the other hand, Tbilisi offers tourists a hospitable attitude, a combination of centuries-old culture and modern infrastructure. . There are tourist attractive cities focused on culture and economy. The development of city tourism is determined by economic strength, infrastructure, cultural and entertainment attractiveness. All this includes the appearance of the city, traditions, historical places, architectural and archeological treasures, etc... It is difficult to get bored in the busiest and most noisy city of Georgia, because there are many things to see, but also a lot to do - in terms of infrastructural arrangements, sustainability of services and visitor safety.

**Keywords:** tourism, city, culture, economy, infrastructure

**მარიამ სილაგაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლალი მიქელაძე**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

**ინოვაციური მართვა ტურისტულ კომპანიებში**

ტურისტული კომპანიების ბიზნესი დღესდღეობით ერთ-ერთ წარმატებულ და მომგებიან ბიზნესად ითვლება მსოფლიოში და საქართველოც ამ მხრივ არ არის გამონაკლისი. ტურიზმი დინამიური, სწრაფად განვითარებადი სფერო გახდა და, შესაბამისად, გაიზარდა ტურისტულ საწარმოთა რიცხვიც. ტურიზმის დარგის განვითარებისთვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას ინოვაციების ფართოდ დანერგვის გზა წარმოადგენს, ტურიზმის დარგში ისე, როგორც თანამედროვე ეკონომიკური დარგის განვითარებაში, ინოვაციების როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა. საქართველოში ტურიზმის განვითარებას შეუძლია მნიშვნელოვანი ბიძგი მისცეს ეკონომიკურ აქტივობას, როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონულ დონეზე. ტურისტულ ინდუსტრიაში იქმნება მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტი, რომელიც, საბოლოო ანგარიშით, უნდა მიეწოდოს მომხმარებელს.

მენეჯმენტის ინოვაციური პროცესების დანერგვა დროთა განმავლობაში განვითარდა, რაც გამოწვეული იყო, გლობალიზაციის, ტექნოლოგიების, ორგანიზაციული სტრუქტურების ცვლილებებით. მენეჯმენტის ინოვაციური სტრატეგიების მდგენელები არიან ორგანიზაციები და ინდივიდები, რომლებიც გეგმავენ, ავითარებენ ან ნერგავენ ამ ახალ მიდგომებს. ინოვაციური მენეჯმენტი მრავალფეროვანი მიდგომებითა და პრაქტიკით ხასიათდება, რომლებიც მიზნად ისახავს ორგანიზაციულ განვითარებას, კრეატიულობას, პროდუქტიულობის ზრდას და შიდა და გარე ზემომქმედ ფაქტორებთან ადაპტაციას, რაც განპირობებულია სწრაფი და ინოვაციური მეთოდოლოგიებით, თანამშრომლების განვითარება-გაძლიერებით, მომხმარებელზე ფოკუსირებით, ჯვარედინი თანამშრომლობით, მდგრადობით და (CSR) კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობით. ზოგადად, მთავრობის როლი ტურისტულ ბიზნესში ინოვაციების მენეჯმენტის გაძლიერების საქმეში არის - შექმნას ხელსაყრელი ეკოსისტემა, სადაც ბიზნესს შეუძლია ინოვაციების შექმნა, ზრდა და კონკურენცია გლობალურ ბაზარზე.

საჭირო მხარდაჭერით, რესურსებითა და წახალისებით, მთავრობებს შეუძლიათ დაეხმარონ ინოვაციების სრული პოტენციალის გახსნას, როგორც ეკონომიკური ზრდისა და საზოგადოების პროგრესის მამოძრავებელ ძალას. ტურიზმში ინოვაციური პოლიტიკის ეფექტურად მართვისთვის საჭიროა მისი ფორმირება. დღეს, ჩვენს რეალობაში, ბიზნესსა და სახელმწიფო მმართველობაში მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ინოვაციებს და მისი პროცესების მართვას, რაშიც უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს სახელმწიფოს სტრატეგიული ხედვა და კერძო სექტორის მხადამჭერი პოლიტიკის განხორციელება. ნაშრომის მიზანია ტურისტულ კომპანიებში ინოვაციური მართვის არსებული მდგომარეობის შესწავლა, პრიორიტეტების განსაზღვრა, ინოვაციური ორგანიზაციული სისტემის დანერგვის შესაძლებლობების დადგენა და არსებული გამოწვევების დაძლევის რეკომენდაციების შემუშავება.

**Mariam Silagadze**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Lali Mikeladze**
Doctor, Associate Professor

## Innovative Management in Tourism Companies

Today, the business of tourism companies is considered one of the most successful and profitable businesses in the world, and Georgia is no exception in this regard.Tourism has become a dynamic, rapidly developing field, and the number of tourism enterprises has increased accordingly. One of the necessary conditions for the development of the tourism sector is the way of wide introduction of innovations. In the tourism sector, as in the development of the modern economic sector, the role of innovations has increased significantly. The development of tourism in Georgia can give a significant boost to economic activity, both at the national and regional levels. In the tourism industry, a variety of tourism products are created, which, in the end, must be delivered to the consumer. The introduction of innovative management processes has developed over time, which was caused by changes in globalization, technologies, and organizational structures. Makers of innovative management strategies are organizations and individuals who plan, develop or implement these new approaches. Innovative management is very important and its role is very big in the management of tourism business, the task is to achieve and formulate an innovative goal using labor, material and financial resources, which is considered as a challenge for the companies in Georgia today. Innovative activities in the field of tourism are aimed at creating new products or improving existing ones. In general, the government's role in enhancing innovation management in the tourism business is to create an enabling ecosystem where businesses can innovate, grow and compete in the global marketplace. With the necessary support, resources and incentives, governments can help unlock the full potential of innovation as a driver of economic growth and societal progress. In order to effectively manage innovative policy in tourism, it needs to be formed. today's reality, innovation and the management of its processes play an important role in business and state governance, in which the strategic vision of the state and the implementation of policies supporting the private sector are the most important factors. The purpose of the paper is to study the current state of innovative management in tourism companies, determine priorities, determine the possibilities of introducing an innovative organizational system, and develop recommendations for overcoming existing challenges.

**შამილ ქოჩქიანი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გივი ყუფარაძე**
პროფესორი

## სათავგადასავლო ტურიზმის გამოწვევები მსოფლიოსა და საქართველოში

სათავგადასავლო ტურიზმი ხშირად ტარდება ეკოლოგიურად მგრძნობიარე რაიონებში, რაც იწვევს შეშფოთებას ჰაბიტატის მოშლის, დაბინძურების და ბუნებრივი რესურსების გადაჭარბებული გამოყენების შესახებ. ამ ზემოქმედების შესამცირებლად აუცილებელია მდგრადი პრაქტიკა. უსაფრთხოება თანდაყოლილი რისკებით არის დაკავშირებული თავგადასავლებთან, როგორებიცაა ლაშქრობა, მთამსვლელობა და წყლის სპორტი, გადამწყვეტია ვიზიტორთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა სათანადო აღჭურვილობის, გაწვრთნილი გიდებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმების მეშვეობით.

**ინფრასტრუქტურის განვითარება:** განვითარება და შენარჩუნება ბილიკების მსგავსი ინფრასტრუქტურისა, ბანაკები და ვიზიტორთა ცენტრები შეიძლება იყოს ძვირი და შეიძლება შეხვდეს ადგილობრივი თემების ან გარემოსდაცვითი ჯგუფების წინააღმდეგობას.

**კულტურული სენსიტიურობა:** სათავგადასავლო ტურიზმის ბევრი მიმართულება მიეკუთვნება ადგილობრივ ან ადგილობრივ თანამეგობრობას.

**ერთობები. ბალანსირებული ინფრასტრუქტურა და ხელმისაწვდომობა:** საქართველოს ზოგიერთ სათავგადასავლო ტურიზმის ობიექტს შეიძლება არ ჰქონდეს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რაც ტურისტებისთვის წვდომას რთულს ხდის. გზების, ნიშნების და საცხოვრებლების გაუმჯობესებამ შეიძლება გააუმჯობესოს გამოცდილება.

**სეზონური ცვალებადობა:** საქართველოს კლიმატი და რელიეფი შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს, რაც გავლენას მოახდენს სათავგადასავლო ტურიზმის განხორციელებაზე.

**Shamil Kochkiani**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Givi Kuparadze**
Professor

## Challenges of adventure tourism in the world and in Georgia

Environmental Impact: Adventure tourism often takes place in ecologically sensitive areas, leading to concerns about habitat disruption, pollution, and overuse of natural resources. Sustainable practices are essential to mitigate these impacts. Safety Concerns: Adventures like trekking, mountaineering, and water sports come with inherent risks. Ensuring visitor safety through proper equipment, trained guides, and emergency response plans is crucial. Infrastructure Development: Developing and maintaining infrastructure like trails, campsites, and visitor centers can be costly

and may face opposition from local communities or environmental groups Cultural Sensitivity: Many adventure tourism destinations are also home to indigenous or local communities. Balancing tourism benefits with preserving their culture, traditions, and rights is a delicate challenge. Regulatory Framework: Establishing and enforcing regulations for adventure tourism activities, including permits, safety standards, and environmental protection measures, requires coordination among government agencies and stakeholders. In Georgia specifically:

**ანა ყაულაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნანა ახალაია**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## ინოვაციური იდეები ღონისძიებებისათვის

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ტექნოლოგია ფართოდ განვითარდა ყველა სექტორში. ეს მკვეთრად გამოჩნდა ცოტა ხნის წინ, როდესაც პანდემიის დროს მოხდა ციფრული აჩქარება ტექნოლოგიებისკენ. ეს ნაშრომი განიხილავს ახალი იდეების გამოყენებას ღონისძიების დაგეგმვის სექტორში, ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ შეუძლია ამ ინოვაციებს, გარდაქმნას ღონისძიებების ტრადიციული ფორმატები, ხელი შეუწყოს ინტერაქტიულ გარემოს და საბოლოოდ გამოიწვიოს უფრო დასამახსოვრებელი გამოცდილება. პირველი, immersive გარემო, რომელიც იყენებს გაფართოებული რეალობის (AR) და ვირტუალური რეალობის (VR) ტექნოლოგიებს, საშუალებას აძლევს ღონისძიების დამგეგმავებს, შექმნან მომხიბლავი, ინტერაქტიული სივრცეები. მდგრადობა უამრავ შესაძლებლობებს უქმნის ღონისძიებების დამგეგმავებს, რათა შეამცირონ ნარჩენები, გააუმჯობესონ რესურსების გამოყენება და ხელი შეუწყონ გარემოს დაცვას.

ეკოლოგიურად სუფთა დეკორაციიდან დაწყებული ციფრული ბილეთების გაყიდვით და ნარჩენების მართვის ინიციატივებით, მწვანე პრაქტიკის პრიორიტეტად მინიჭება ღონისძიებებს აქცევს როგორც წინდახედულ და სოციალურად პასუხისმგებელს. ტექნოლოგიური მიღწევების, მდგრადობის გათვალისწინებით, ღონისძიებათა ინდუსტრიას შეუძლია განაგრძოს აყვავება და განვითარება მონაწილეთა მოლოდინებისა და გლობალური ტენდენციების ცვალებადობის საპასუხოდ.

**Anna Kaulashvili**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Nana Akhalaia**
Doctor, Associate Professor

## Innovative Ideas for Events

Over the past two decades, technology has evolved widely across all sectors. This was demonstrated recently when the pandemic led to a digital rush towards technology. This paper examines the use of new and creative ideas in the event planning sector, highlighting how these innovations can transform traditional event formats, foster an interactive environment and ultimately lead to more memorable experiences. First, immersive environments leveraging augmented reality (AR) and virtual reality (VR) technologies allow event planners to create captivating. Sustainability offers many opportunities for event planners to reduce waste, improve resource use and help protect the environment. From eco-friendly decorations to digital ticketing and waste management initiatives, prioritizing green practices makes events both forward-thinking and socially responsible. With advances in technology, personalization, sustainability , the event industry can continue to thrive and evolve in response to changing participant expectations and global trends.

**ქეთევან ცაგურიშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლალი ოქროცვარიძე**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## აგროტურიზმი როგორც სიღარიბესთან ბრძოლის გზა (კახეთის რეგიონის მაგალითზე)

აგროტურიზმი არის ტურიზმის სახეობა, რომელიც თანამედროვე სამყაროში ცდილობს განვითარების მაღალ საფეხურებს მიუახლოვდეს. აგროტურიზმის ამოცანა დღევანდელ რეალობაში მდგომარეობს შემდეგში, მოიზიდოს ტურისტები და ჩართოს ადგილობრივი მოსახლეობა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. იგი, ერთი მხრივ, ვიზიტორს აძლევს საშუალებას, რომ უკეთ გაეცნოს და მაქსიმალურად ჩაერთოს სოფლის მეურნეობაში, მეორე მხრივ კი სოფლის მოსახლეობას ეხმარება აწარმოონ ადგილობრივი პროდუქტები და გამოიმუშავონ დამატებითი შემოსავალი, თუმცა ისიც მოგვეხსენება, რომ ზემოთ აღნიშნული დარგი არაპროგნოზირებადია, რადგან მისი განვითარება ყველაზე მეტად დამოკიდებულია გარემო პირობებზე და ინფრასტრუქტურის არსებობაზე.

განვითარებულ ქვეყნებში აგროტურიზმი განვითარების უფრო მაღალ საფეხურზეა, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში, შესაბამისად, მეორე ტიპის ქვეყნებისთვის ამ დარგის

ფუნქციონირება აუცილებელია,რათა შემცირდეს სიღარიბის დონე. საქართველოს, როგორც განვითარებად ქვეყანას, დიდი პოტენციალი გააჩნია აგროტურიზმის სფეროს გაფართოების კუთხით, მით უმეტეს, რომ უძველესი დროიდან მას, როგორც მიწათმოქმედ ქვეყანას, ისე მოიხსენიებდნენ. სწორედ ამიტომაც ამ ნაშრომის მიზანია გამოიკვეთოს თანამედროვე პირობებში მოცემული დარგის განვითარების შესაძლებლობები კახეთის რეგიონის მაგალითზე და დადგინდეს ამ რეგიონში სიღარიბის აღმოფხვრის გზები.

**Ketevan Tsagurishvili**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Lali Okrotsvaridze**
Doctor, Associate Professor

## Agritourism as a Way to Fight Poverty (on The Example of Kakheti Region)

Agrotourism is a form of tourism that is striving for increased development in the modern world. Its primary objective in today's context is to attract tourists and engage the local population in agricultural activities. On one hand, it provides visitors with the opportunity to immerse themselves in agriculture, on the other hand, it assists villagers in producing local goods and earning additional income to sustain their livelihoods. In developed countries, agrotourism has reached higher levels of development compared to developing nations. Consequently, in the latter, fostering this industry is crucial for alleviating poverty. As a developing country, Georgia possesses significant potential for expanding agrotourism, particularly given its historical identity as an agricultural nation. Thus, the aim of this study is to explore the prospects for developing this sector in modern conditions, using the Kakheti region as a case study, and to identify strategies for poverty alleviation in the area.

**ავთო წამალაიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გივი ყუფარაძე**
პროფესორი

## სამთო-სათხილამურო ტურიზმის განვითარების მდგრადი შესაძლებლობები საქართველოში

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან სათხილამურო კულტურა სეზონიდან სეზონამდე ვითარდებოდა. იქმნებოდა ახალი ინვენტარი და უმჯობესდებოდა არსებული, საზოგადობის ყურადღებაც ყოველწლიურად იზრდებოდა, რამაც ძალიან სწრაფი შედეგი გამოიღო და

მოხდა მისი ტურიზმის ერთ-ერთ სახეობად ჩამოყალიბება. ამ ყველაფერის პარალელურად ხდება სათხილამურო სპორტის ჩამოყალიბებაც. საქართველოს გეოგრაფიული მახასიათებლებიდან გამომდინარე, სამთო-სათხილამურო ტურიზმის მდგრადი განვითარება საკმაოდ მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხია, როგორც ეკონომიკური თვალსაზრისით, ასევე მთიან რეგიონებში მოსახლეობის შენარჩუნების კუთხით.

საქართველოში სამთო-სათხილამურო კურორტების სიმრავლიდან გამომდინარე, საჭიროა მოხდეს მათი სწორი დაგეგმვა, რათა ეკონომიკური განვითარება, სოციო-კულტურული გარემო და ეკოლოგიური მდგარდობა იყოს დაბალანსებული. ტურიზმის ამ დარგის ადეკვატური განვითარებისთვის, აუცილებელია მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკების გადმოტანა და დანერგვა ჩვენს ქვეყანაში, რათა შესაძლებელი გახდეს ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა და შემოსავლების გენერირება ისე, რომ ამან არ გამოიწვიოს ნეგატიური ზემოქმედება გარემოზე და არ გააუარესოს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობები. თუმცა მხოლოდ ეს საკმარისი არ არის. 2020 წელს პანდემიამ გვაჩვენა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყანაში შიდა ტურიზმის განვითარება.

**Avto Tsamalaidze**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Givi Kuparadze**
Professor

## Sustainable Opportunities for the Development of Mountain-ski Tourism in Georgia

Since the beginning of the 20th century, ski culture has evolved from season to season. Equipment of mountain-ski resort was being created and the existing one was being improved, public attention was also increasing every year, which gave results very quickly and it was established as one of the types of tourism. At the same time, the skiing sport was being formed. Due to the geographical location of Georgia, the sustainable development of mountain-ski tourism is very important for development of economy and for keeping the population in mountainous regions. Due to the abundance of mountain-ski resorts in Georgia, there is a need for their proper tourist development and bringing them into the right balance with the existing situation in the country, so that all this does not result in the dissatisfaction of the local population or distorting the appearance of the resort. For the adequate development of this field of tourism, it is necessary to observe the various winter resorts of the world and transfer their best practices to our country in order to increase the number of visitors, so that all this does not cause chaos and dissatisfaction among the population and visitors.

**ანი წიქარიძე, ანა დავითაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლალი მიქელაძე**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## სათავგადასავლო ტურიზმი საქართველოში

ტურიზმი საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ინდუსტრას წარმოადგენს. ჩამოყალიბდა ტურიზმის სხვადასხვა სახეები და მიმართულებები. სათავგადასავლო ტურიზმი გულისხმობს ეგზოტიკურ ადგილებში მოგზაურობას. სათავგადასავლო მოგზაურობად ითვლება ნებისმიერი ტურისტული აქტივობა, რომლის შემადგენელი კომპონენტებია: ფიზიკური აქტივობა, კულტურული შემეცნება და ბუნების ჩართულობა. სათავგადასავლო ტურიზმის კატეგორიას განეკუთვნება – ლაშქრობა და ალპინიზმი, მთის მდინარეებზე ნავით დაშვება, თხილამურებით სრიალი, ცხენებით ჯირითი და ა. შ.

საკონფერენციო თემაში წარმოდგენეილია განხორციელებული კვლევის შედეგები, რომლის საფუძველზეც დასტურდება, რომ საქართველოში განვითარებულია სათავგადასავლო ტურიზმის შემდეგი სახეობები: ჰაიკინგი, პარაპლანით ფრენა, სამთო-სათხილამურო და ჯომარდი. თუმცა ჩვენს ქვეყანას ყველა რესურსი გააჩნია ექსტრემალური ტურიზმის სხვა სახეობების განვითარებისთვის. შესაბამისად, საჭიროა ტურისტული ადგილების პოპულარიზაცია, ინფრასტრუქტურის მოწყობა, უსაფრთხოების ნორმების მკაცრად დაცვა და სხვა ღონისძიებების გატარება. ასევე კვლევის შედეგად დასტურდება ის ფაქტი, რომ საქართველოში სათავგადასავლო ტურიზმი არსებული მდგომარებით განვითარების ეტაპზეა.

**Ani Tsikaridze, Ana Davitadze**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Lali Mikeladze**
Doctor, Associate Professor

## Adventure Tourism in Georgia

Tourism is one of the most popular industries in Georgia. Different types and directions of tourism were formed. Adventure tourism involves travelling to exotic places. Adventure travel is considered to be any tourist activity, the components of which are: physical activity, cultural knowledge, and nature involvement. The category of adventure tourism includes hiking and mountaineering, boating on mountain rivers, skiing, horseback riding, etc. The results of the conducted research are presented in the conference topic, based on which it is confirmed that the following types of adventure tourism are developed in Georgia: hiking, paragliding, mountain skiing, and rafting. However, our country has all the resources for the development of other types of extreme tourism.

Accordingly, it is necessary to popularise tourist places, arrange infrastructure, strictly observe safety norms, and carry out other measures. Also, as a result of the research, the fact that adventure tourism in Georgia is at a stage of development is confirmed. Main search words: tourism, Georgia, adventure, nature.


**გიორგი ჯიჩოევი, მარიამ შენგელია**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლალი მიქელაძე**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი


## სასტუმროს დავარსკვლავიანების სისტემა საქართველოში

სასტუმროს და ვარსკვლავიანების სისტემა ემსახურება განთავსების ხარისხისა და სტანდარტიზაციის უზრუნველყოფას, რომელიც აყალიბებს მოგზაურთა აღქმასა და არჩევანს. 2018 წელს დაარსების დღიდან, ჰოტელ სტარმა მოიპოვა აღიარება პრესტიჟული საერთაშორისო ფედერაციებისგან, როგორიცაა HOTREC, რითაც პოზიციონირებს საქართველო, როგორც რეპუტაციის მქონე დანიშნულების ადგილი მოგზაურებისთვის.

ქართული სასტუმროს ვარსკვლავების სტანდარტები ზედმიწევნით არის შემუშავებული მოგზაურთა მრავალფეროვანი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად სხვადასხვა კატეგორიებში თანმიმდევრულობისა და ხარისხის მიზნით. სასტუმროს ვარსკვლავების რეიტინგის სისტემის გავლენა საქართველოში ტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც, უზრუნველყოფს ხარისხის გარანტიას, კონკურენტულ უპირატესობას, ვიზიტორების კმაყოფილებას, დანიშნულების ადგილის პოზიტიურ იმიჯს და ეკონომიკურ გავლენას.

რეიტინგის სისტემის შენარჩუნებითა და გაძლიერებით, საქართველოს შეუძლია გააგრძელოს ტურისტების მოზიდვა, ეკონომიკური ზრდის სტიმულირება და რეგიონში წამყვანი ტურისტული ადგილის გამყარება.

დასასრულს, საქართველოში სასტუმროს ვარსკვლავების რეიტინგის სისტემა გადამწყვეტ როლს თამაშობს ქვეყნის სტუმართმოყვარეობის ლანდშაფტის ჩამოყალიბებაში და ვიზიტორთა საერთო გამოცდილების ამაღლებაში.

**Giorgi Jichoevi, Mariam Shengelia**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Lali Mikeladze**
Doctor, Associate Professor

## Hotel Star Rating System in Georgia

The hotel star rating system serves to ensure the quality and standardization of accommodation, which shapes the perception and choice of travelers.Since its establishment in 2018, Hotel Star has gained recognition from prestigious international federations such as HOTREC, thus positioning Georgia as a reputable destination for travellers.Georgian Hotel Star Standards are meticulously designed to meet the diverse needs of travelers across different categories of consistency and quality.The impact of the hotel star rating system is an important factor in the development of tourism in Georgia, which provides quality assurance, competitive advantage, visitor satisfaction, a positive image of the destination, and economic impact. By maintaining and strengthening the rating system, Georgia can continue to attract tourists, stimulate economic growth, and establish itself as a leading tourist destination in the region.In conclusion, the hotel star rating system in Georgia plays a critical role in shaping the country's hospitality landscape and enhancing the overall visitor experience.

**მარიანა ჯოჯუა**
კავკასიის საერთშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლალი მიქელაძე**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## თანამედროვე ტექნოლოგიები ტურისტულ ბიზნესში

ტურიზმის სექტორში ციფრული ტრანსფორმაცია საკმაოდ დინამიური პროცესია. ტექნოლოგია გახდა ტურისტული გამოცდილების ყველა ასპექტის განუყოფელი ნაწილი, როგორც მოგზაურებისთვის, ასევე ბიზნესისთვის ტურიზმის ინდუსტრიაში. ძირითადად ეს დაკავშირებულია, ონლაინ დაჯავშნის სისტემებთან, მობილურ აპლიკაციებთან, AR (გაძლიერებული რეალობა) და VR (ვირტუალური რეალობა) ტექნოლოგიები, ბლოკჩეინის ტექნოლოგიასთან, (AI )ხელოვნურ ინტელექტთან. ამასთანავე, ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ყურადღება გამახვილდა ინდუსტრიის მდგრად ტურისტულ პრაქტიკასა და გარემოს დაცვაზე. მაგალითად, უკვე არსებობს ელექტრო მანქანები, ეკო-ლოჟები, მწავნე სასტუმროები, რომლებიც სწორედ გარემოს დაცვის მიზნით არის შექმნილი.

კომპიუტერული სისტემების დანერგვამ მნიშვნელოვნად გაზარდა ოპერაციების ეფექტიანობა. მას გააჩნდა კონკრეტული მიზეზები, პირველი, ინფორმაციის კონტროლმა და

ანალიზმა გააჩინა ახალი შესაძლებლობები, მეორე, ორგანიზაციის მენეჯმენტს საშუალება მისცა, ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით, მესამე, ტექნოლოგია ჩამოყალიბდა, როგორც ფუნდამენტური იარაღი მომხმარებლებთან ურთიერთობის და კომუნიკაციის თვალსაზრისით. ორგანიზაციისთვის ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და გამოყენება მის საქმანობაში წარმოადგენს მძლავრ იარაღს.

ტურიზმის განვითარების მსოფლიო დინამიკა ცხადყოფს, რომ მოგზაურობაზე მოთხოვნის კომპლექსურ ზრდას ხელი შეუწყო ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფად განვითარებამ და პრაქტიკაში დანერგვამ. თუმცა, დღევანდელი მდგომარეობით, ყველა საწარმო მზად არ არის ცვლილებებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვისთვის.

პრობლემის დასაძლევად მნიშვნელოვანია, რომ ტურიზმში მონაწილე სუბიექტებს ტექნოლოგიების გაუმჯობესებასთან ერთად ჰყავდეთ კვალიფიციური პერსონალი, რომელიც შეძლებს ამ ტექნოლოგიების გამოყენებას.

საქართველოს თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრაციამ შეცვალა ქართული ტურისტული კომპანიების ოპერაციები და მომსახურება, ისინი ცდილობენ მეტი ინვესტიცია განახორციელონ მომხმარებლისთვის ვებ-გვერდებსა და ონლაინ დაჯავშნის სისტემებში, რაც მოგზაურებს საშუალებას მისცემს დაათვალიერონ სამოგზაურო პაკეტების ფართო სპექტრი და მიიღონ მათთვის საჭირო ინფორმაციები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, ციფრული ტრანსფორმაციის პროცესების სირთულის მიუხედავად, ის მაინც განსაზღვრავს და ქმნის იმ პერსპექტივებს და რეალურ შესაძლებლობებს, რაც საბოლოოდ დადებითად იმოქმედებს მთლიანად ტურიზმის ინდუსტრიაზე. ტექნოლოგიებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი დადებითი ეფექტების მოხდენა ტურიზმის სექტორზე, ამისათვის კი აუცილებელია სწორი სტრატეგიების შემუშავება, რათა მაქსიმალურად იქნას გამოყენებული ტექნოლოგიების შესაძლებლობები.

**Mariana Jojua**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Lali Mikeladze**
Doctor, Associate Professor

## Modern Technologies in the Tourism Business

Digital transformation in the tourism sector is a very dynamic process. Technology has become an integral part of all aspects of the tourism experience tool for both travelers and businesses in the tourism industry. Mainly it is related to, online booking systems, mobile applications, AR (augmented reality) and VR(Virtual Reality) technologies, social media, blockchain technology,(AI)artificial intelligence In addition, in recent years, significant attention has been paid to the sustainable tourism practices of the industry and the protection of the environment. For example, there are already electric vehicles, eco-lodges, and hotels designed to protect the environment. The introduction of computer systems significantly increased the efficiency of

operations. It had specific reasons, first, information control and analysis created new opportunities, second, allowed the management of the organization to make effective decisions, thirdly, technology was established as a fundamental tool in terms of customer relationships and communication. The development and use of information technology for an organization is a powerful tool in its performance. The world dynamics of tourism development demonstrate that the complex increase in demand for travel has been facilitated by the rapid development of information technologies and the introduction of it in practice. However, as of today, not all enterprises are ready for change and the introduction of new technologies. To overcome the problem, it is important for the entities participating in tourism to have qualified personnel along with the improvement of technology. As a result, Georgia's modern technology integration has changed the operations and services of Georgian travel companies. Georgian travel companies are trying to invest more in customer websites and online booking systems, which will allow travelers to browse a wide range of travel packages and get the information they need. Based on the above, we can conclude, despite the complexity of the digital transformation processes, it still defines and creates the prospects and real opportunities that will ultimately have a positive impact on the tourism industry as a whole. Technology can have significant positive effects on the tourism sector, and for this it is necessary to develop the right strategies in order to maximize the possibilities of technology.

# სექცია
# SECTION

## ბიზნესი და ტექნოლოგიები
## BUSINESS AND TECHNOLOGY

ქვესექცია ინფორმაციული ტექნოლოგიები
SUBSECTION INFORMATION TECHNOLOGY

**მარინა გობაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი კაკაშვილი**
პროფესორი

## ხელოვნური ინტელექტი, ალან ტიურინგის ტესტიდან თანამედროვე სამყარომდე

კაცობრიობამ დიდი გზა გაიარა თანამედროვე ტექნოლოგიურ მიღწევებამდე. სამეცნიერო ფანტასტიკის სფეროდან ხელშესახებ რეალობამდე, ხელოვნურმა ინტელექტუალმა გადალახა თავისი ოდესღაც მიუღწეველი შესაძლებლობები და გახდა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების შეუცვლელი ნაწილი. ის მოიცავს ინდუსტრიებს ყველა მიმართულებით. თავის არსში, AI იყენებს მონაცემთა და ალგორითმების ძალას ადამიანის მსგავსი ინტელექტის სიმულაციისთვის, რაც მანქანებს საშუალებას აძლევს ისწავლონ, მსჯელობდნენ და მიიღონ გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად. ამ ყოველივეს წინ უძღოდა ალან ტურინგი და მისი ნაშრომი.

1950 წელს ალან ტურინგმა გამოაქვეყნა მთავარი ნაშრომი სახელწოდებით "გამოთვლითი მანქანები და დაზვერვა" ჟურნალში Mind. ამ დეტალურ ნაშრომში ჩნდება კითხვა - "შეუძლიათ თუ არა მანქანებს ფიქრი?"

ნაშრომში ვარაუდობდნენ, რომ უარი ეთქვათ ქვესტიდან იმის დასადგენად, შეუძლია თუ არა მანქანას აზროვნება, ნაცვლად იმისა, რომ გამოეცადა მანქანა „იმიტაციის თამაშით“. ამ მარტივ თამაშს სამი ადამიანი თამაშობს:

კაცი (A)

ქალი (B),

და დამკითხავი (C), რომელიც შეიძლება იყოს რომელიმე სქესის.

თამაშის კონცეფცია იმაში მდგომარეობს, რომ დამკითხავი რჩება ოთახში, რომელიც განცალკევებულია როგორც კაცისგან (A), ასევე, ქალისგან (B), მიზანია, რომ დამკითხავმა დაადგინოს, ვინ არის მამაკაცი და ვინ არის ქალი. დამკითხავი მათ იცნობს მხოლოდ X და Y ეტიკეტებით და თამაშის ბოლოს ის უბრალოდ აცხადებს ან 'X არის A და Y არის B' ან 'X არის B და Y არის A'. შემდეგ ჩნდება კითხვა, თუ ჩვენ ამოვიღებთ კაცს (A) ან ქალს (B) და ჩავანაცვლებთ ამ ადამიანს ინტელექტუალური მანქანით, შეუძლია თუ არა, მანქანამ გამოიყენოს თავისი ხელოვნური ინტელექტის სისტემა, რათა მოატყუოს მკითხავი (C) და დაიჯეროს, რომ ეს არის მამაკაცი ან ქალი? ეს არის ტურინგის ტესტის ბუნება, რაც გულისხმობდა ისეთი ინტელექტუალური სისტემის შექმნას, რომელსაც ვერ განვასხვავებდით ადამიანისგან.

თანამედროვე სამყაროში ხელოვნური ინტელექტი (AI) გახდა ერთ-ერთი ყველაზე ტრანსფორმაციული და სწრაფად მზარდი ტექნოლოგია. ხოლო 2022 წლის 30 ნოემბერს OpenAI-მ ChatGPT-ის განახლებული ვერსიის გამოშვებით სრულიად შეცვალა არსებული რეალობა. ის ვირუსულად გავრცელდა სოციალურ მედიაში, როდესაც მომხმარებლებმა გააზიარეს შედეგები, თუ რისი გაკეთება შეეძლო მას. ეს მოიცავდა ყველაფერს, დაწყებული მოგზაურობის დაგეგმვით, გაგრძელებული იგავ-არაკის წერით და დასრულებული კომპიუტერული პროგრამების კოდირებით. სულ რაღაც ერთ კვირაში ჩატბოტმა მილიონზე მეტი მომხმარებელი მიიზიდა.

თანამედროვე სამყაროში ხელოვნური ინტელექტის (AI) ტრაექტორია არაჩვეულებრივია. კონცეფციის დაარსებიდან საზოგადოებაში ამჟამინდელ

გავრცელებამდე, ხელოვნურმა ინტელექტუალმა განვლო შესანიშნავი გზა, ფუნდამენტურად შეცვალა ჩვენი ცხოვრება, მუშაობა და ჩვენს გარშემო არსებულ სამყაროსთან ურთიერთქმედება. გაურკვევლობისა და სირთულის პირობებში, ერთი რამ რჩება სრულიად ნათელი: AI-ის მომავალი განუყოფლად არის დაკავშირებული კაცობრიობის კოლექტიურ ქმედებებთან და გადაწყვეტილებებთან. როდესაც ჩვენ განვიხილავთ ხელოვნური ინტელექტის უამრავ აპლიკაციას, ავტონომიური მანქანებიდან და პერსონალიზებულ ჯანდაცვამდე, პროგნოზირებად ანალიტიკამდე და ბუნებრივი ენის დამუშავებამდე, აშკარა ხდება, რომ ჩვენ ვდგავართ უპრეცენდენტო ტექნოლოგიური წინსვლით განსაზღვრული ახალი ეპოქის საწყისზე. თუმცა, დიდ ძალაუფლებასთან ერთად მოდის დიდი პასუხისმგებლობა და ხელოვნური ინტელექტის ეთიკური შედეგები ჯერ კიდევ ბუნდოვანია.

**Marina Gobadze**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Giorgi Kakashvili**
Professor

## Artificial Intelligence, From the Alan Turing Test to the Modern World

Humanity has come a long way to modern technological achievements. From the realm of science fiction to tangible reality, artificial intelligence has surpassed its once unattainable capabilities to become an indispensable part of our daily lives. It covers industries across the board. At its core, AI uses the power of data and algorithms to simulate human-like intelligence, allowing machines to learn, reason and make decisions on their own. All this was preceded by Alan Turing and his work.

In 1950, Alan Turing published a seminal paper entitled "Computing Machines and Intelligence" in the journal Mind. In this detailed paper, the question "Can machines think?" was proposed. The paper suggested abandoning the quest to determine whether machines can think, instead To try out the car with the "imitation game" this simple game is played by three people:
man (A)
woman (B),

The concept of the game is that the interrogator stays in a room separated from both the man (A) and the woman (B), the aim is for the interrogator to determine who is the man and who is the woman.The interrogator knows them only by the labels X and Y, and at the end of the game he simply announces or ‘X there is A and Y is B’ or ‘X there is B and Y is A’ the question then arises if we remove a man (A) or a woman (B) and If we replace this person with an intelligent machine, can the machine use its artificial intelligence system to trick the fortune teller (C) into believing it is a man or a woman? This is the nature of the Turing test, which meant creating an intelligent system indistinguishable from a human.

Artificial Intelligence (AI) has become one of the most transformative and fastest-growing technologies in the modern world. And on November 30, 2022, OpenAI released an updated version of ChatGPT, completely replacing the existing reality. It went viral on social media as users shared

results of what it could do. This included everything from planning trips to writing fairy tales and coding computer programs. In just one week, the chatbot attracted more than a million users.The trajectory of artificial intelligence (AI) in the modern worldIt's extraordinary. From the inception of the concept to its current prevalence in society, artificial intelligence has come a long way, fundamentally changing the way we live, work, and interact with the world around us. In the face of uncertainty and complexity, one thing remains abundantly clear: the future of AI is inextricably linked to the collective actions of humanity and with decisions. As we consider the myriad applications of artificial intelligence, from autonomous vehicles and personalized healthcare to predictive analytics and natural language processing, it becomes clear that we are at the dawn of a new era defined by unprecedented technological advancements. However, with great power comes great responsibility, and the ethical implications of artificial intelligence are still unclear.

**ნიკა მარკოიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ია აფციაური**
ასოცირებული პროფესორი

## კიბერ უსაფრთხოების როლი ყოველდღიურობაში

ციფრული ტექნოლოგიების მზარდმა ტენდენციამ შესაძლებელი გახადა, ყველასათვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო გლობალური ქსელი, რომელსაც ჩვენ ინტერნეტის სახელით ვიცნობთ. განვითარებამ მოგვცა იმის საშუალება, რომ არსებული რეალობის (ბიზნესი, სამსახური, ურთიერთობები და ასე შემდეგ) ასლი შეგვექმნა ვირტუალურ სამყაროში. ყველა ჩვენი აქტივობა ციფრულ სამყაროში ტოვებს კვალს, რომლებსაც log-ების სახელით ვიცნობთ. ვინაიდან ეს ყველაფერი პირდაპირაა ჩვენს რეალურ სამყაროსთან დაკავშირებული, გაჩნდა ამ ინფორმაციის დაცვის აუცილებლობა, რათა თავიდან ავიცილოთ ინფორმაციის უცხო პირებისა და არა კეთილმოსურნე სუბიექტების ხელში მოხვედრა. სწორედ აქ ჩნდება კიბერ უსაფრთხოების როლი. ის უზრუნველყოფს ჩვენი ციფრული ინფორმაციის უსაფრთხოებას, ადგენს ინტერნეტში ქცევის წესებს (პროტოკოლებს), ასევე ხდება მისი კონსტიტუციურ დონეზე დამუშავება და კანონთან თანხვედრაში მოყვანისათვის საჭირო ღონისძიებების ჩატარება.

პირად ინფორმაციასთან აქტიური კავშირის გამო აუცილებელი გახდა კიბერ უსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლება საზოგადოებაში. ხელისუფლება აღმასრულებელ ორგანოსთან აქტიურად თანამშრომლობს, ციფრული ერთეულების ფლობის შესახებ კანონის დახვეწვისათვის. სურათის თვალნათლივ დასანახად მაგალითად მოვიყვანოთ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის დროს მომხდარი კიბერ შეტევა, რომელიც რუსულ სპეც სამსახურებთან აფილირებულმა კიბერ დამნაშევეთა ჯგუფმა ჩაიდინა. შედეგად მოხდა სახელმწიფო დონეზე მომუშავე ქსელური მოწყობილობების მდგომარეობიდან გამოსვლა და საქართველო სამი დღის განმავლობაში მოწყვეტილი იყო დანარჩენი მსოფლიოსგან. ასევე ხშირად გვაქვს შემთხვევები, როდესაც კიბერ დამნაშავეები

ითვისებენ ციფრული საფულის მისამართებს, სოციალური ქსელების, ჩვენი პირადი ცხოვრების დეტალები ცნობილი ხდება ფართო მასებისთვის, რითაც ჩვენ წინააღმდეგ ირღვევა კონსტიტუციურად გაწერილი კანონები და ვიღებთ ფინანსურ და მორალურ ზიანს.

ყოველივე ზემოთქმულის თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა გავითვალისწინოთ კიბერ უსაფრთხოების სპეციალისტების მიერ გაცემული რეკომენდაციები ციფრული ერთეულების დაცვის შესახებ. ეს რეკომენდაციები მდგომარეობს შემდეგში: ციფრული ანგარიშის პაროლი უნდა შეიცვალოს არა უგვიანეს სამი თვისა, პაროლი არ უნდა შედგებოდეს ჩვენი სახელის, დაბადების თარიღისა და ოჯახის წევრების სახელის კომბინაციისგან, პაროლი უნდა შეიცავდეს (ინგლისურ ენაზე) მინიმუმ 8 სიმბოლოს (მინიმუმ 1 დიდ ალფავიტს, მინიმუმ 1 ციფრს და ასევე სიმბოლოს). აღსანიშნავია, რომ მარეგულირებელი კომისია, რომელიც სწავლობს და აკვირდება როგორც საჯარო, ასევე კერძო კომპანიების საქმიანობას, 2021 წელს მათი შუამდგომლობით პარლამენტმა „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები მესამე მოსმენით მიიღო, რის შემდეგაც კომპანიები ვალდებულნი არიან აუცილებლად ისარგებლონ კიბერ უსაფრთხოების სერვისებით და მიღებული სენსიტიური მონაცემები დაიცვან ISO STANDART 27001-ს ერთის მიხედვით.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ კიბერ უსაფრთხოების ეფექტურობასა და უფრო მეტად გაუმჯობესებაში დიდი წვლილი მიგვიძღვის ჩვენ, ინტერნეტის მომხმარებლებს.

**Nika Markoidze**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Ia Aptsiauri**
Associate Professor

## Cyber Security Role in Daily Life

Digital industry growing trend gave us opportunity to join global network, which also known as internet. The developing process gave us opportunity to create copy of our reality, like (business, jobs, relationship) and so on. Our activities in the network leave signs, they are also known as logs. All of this digital stuff contain our sensitive date, therefore we have to do everything to avoid memory leaks. Cyber security supports our sensitive data, saves them and makes action rules(protocols). Cyber security associations trying to connect cyber rules to the constitution.

It is necessary to make people more informed about cyber security. Government with parliament trying to improve laws about digital assets. To imagine real background let's recall 2008 war to Russia, Russian cybercrime groups made cybercrime against Georgian government. Approximately 70 government sites were working with bugs for three days and Georgian government had not opportunity to establish connection between other countries in the world. Also cybercrime groups trying to steal our digital information and gain access our digital accounts, all of this stuff give them opportunities to sell our data, steal our money and make social posts through our names. To avoid incidents like this we have to listen cyber security advices. There are top ten cyber security advice about internet using (you should change account password in every three month, password must

not contain combination of our name, surname, birth date and other information like this) our password must contain at least 8 symbols with one uppercase letter, one number and symbol. Regulatory commission trying with parliament to implement laws according to ISO 27001.

At last, our role in cyber security developing process is major. strong cyber security system means, strong country.


**საბა ნიბლაძე**
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარიამ ზაქარიაშვილი**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი


## ვებ საიტი - ტექნოლოგიების ინტეგრაციის ინსტრუმენტი ტურიზმის ბიზნესში

ინტერნეტ სივრცეში Web საიტის დახმარებით ინფორმაციის განთავსება ადამიანის საქმიანობის ნებისმიერი სფეროსათვის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ასეთ სფეროებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ტურიზმის ბიზნესი, რომელშიც ინფორმაციული ტექნოლოგიების ინტეგრაცია აუცილებელია ტურიზმის ციფრული ეკოსისტემის წარმატებული ფუნქციონირებისათვის.

განასხვავებენ სამოგზაურო და ტურისტულ Web საიტებს, რომლებსაც, ძირითადად, ტურიზმის დიდ ინდუსტრიაში იყენებენ. მცირე მასშტაბის ტურიზმის ბიზნესში შესაძლოა სარეკლამოდ იქნას გამოყენებული მარტივი Web საიტი, მოგზაურებზე შთაბეჭდილების მოსახდენად, მშობლიური მხარის გასაცნობად, რაც შესაძლოა გავრცელდეს სოციალური ქსელის დახმარებით. სანიმუშოდ, ნაშრომში აღნიშნული დანიშნულების Web საიტის სიმულაციური მოდელია წარმოდგენილი, თემით „აღმოაჩინე კახეთი“.

მოდელი მხარდაჭერილია Front - End დეველოპმენტით. მისი სტუქტურული ნაწილი უზრუნველყოფილია ჰიპერ ტექსტური მარკირების ენით (HTML), ვიზუალური კასკადური სტილის ცხრილებით (CSS), ხოლო ფუნქციონალური JavaScript-ით. Web საიტის გვერდებზე ნავიგაცია ხორციელდება ჰიპერ ბმულების (Hyper Link) დახმარებით. ახლავს კახეთის შესახებ მდიდარი ფოტო გალერეა. ხასიათდება რესპონსიულობით. იყენებს Google Translator -ის ჩაშენებულ ფუნქციას.

Web საიტის სიმულაციური მოდელი „აღმოაჩინე კახეთი“ განთავსებულია GitHub უფასო პორტალზე, რაც საშუალებას იძლევა საიტის მოდელი GitHub-ის URL-ის დახმარებით გავრცელდეს ღრუბლოვან სივრცეში.

**Saba Nibladze**
Iakob Gogebashvili Telavi State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Mariam Zakariashvili**
Doctor, Associate Professor

## Web Site – An Instrument for the Integration of Technologies in Tourism Business

Placing information in the Internet space through a web site is an important component for any field of human activity. Among such fields tourism business is particularly distinguished in which the integration of information technologies is necessary for the successful functioning of the digital ecosystem of tourism. There are travel and tourism Web sites which are mainly used in the large industry of tourism. In a small tourism business a simple website can be used for advertising to impress travelers, introduce the home country that can be spread through social networking. As an example the paper includes a simulation model of this kind of website with the topic "Discover Kakheti". The model is supported by Front – End development. Its structural part is provided by HTML, CSS and functional JavaScript. Navigation on website pages is carried out through Hyper Link. It is accompanied by a rich photo gallery about Kakheti. It is characterized by responsiveness. It used the built-in functionality of Google Translator. The simulation model of the Web site "Discover Kakheti" is placed on the GitHub free portal which allows the site model to be spread in the cloud space through URL of GitHub.

**მალხაზ ტერმაკოზაშვილი**
დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: რუსუდან დალაქიშვილი**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## ხელოვნური ინტელექტი - მსოფლიოს ახალი ეპოქა

წინამდებარე ნაშრომი განიხილავს ხელოვნური ინტელექტის არსს და მის ღრმა გავლენას მსოფლიოზე, უფრო კონკრეტულად, ბიზნესსა და ეკონომიკაზე. ნაშრომში განვიხილავ საკითხებს, თუ როგორ ცვლის ხელოვნური ინტელექტი სხვადასხვა სექტორს, როგორ ახდენს ინოვაციების დანერგვას, რა გავლენა აქვს ეკონომიკურ ზრდაზე ამ საკითხებს და როგორი შეიძლება იყოს მომავალი ეპოქა. ნაშრომში განხილულია ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია ბიზნეს პროცესებში, მისი გავლენა პროდუქტიულობასა და მის როლზე ახალი ბაზრის შესაძლებლობების შექმნაში. გარდა ამისა, ნაშრომი განიხილავს ხელოვნური ინტელექტის მიღების შედეგად წარმოქმნილ

საფრთხეებსა და შესაძლებლობებს, მათ შორის მუშახელის კვალიფიკაციის ამაღლების, მარეგულირებელი სისტემის ინოვაციებს და ეთიკურ საკითხებს.

შესწავლილია შემთხვევები და წარმატების ისტორიები, რომლებიც აჩვენებს, თუ როგორ იყენებენ ბიზნესები ხელოვნურ ინტელექტს კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად, მომხმარებელთა გამოცდილების გასაუმჯობესებლად და ოპერაციების ოპტიმიზაციის მიზნით.

ხელოვნური ინტელექტის, ბიზნესისა და ეკონომიკის კვეთის შესწავლით, ეს ნაშრომი მიზნად ისახავს გავაანალიზოთ არსებული მდგომარეობა და წარმოვიდგინოთ მომავალი ეპოქა, რომელშიც ხელოვნური ინტელექტის როლი მეტად გაზრდილი იქნება.

**Malkhaz Termakozashvili**
National Defense Academy of Georgia
Bachelor
**Scientific Supervisor: Rusudan Dalakishvili**
Doctor, Associate Professor

## Artificial Intelligence - The New Era of the World

The conference paper discusses the essence of artificial intelligence and its profound impact on the world, specifically on business and economics. In the paper, I discuss the issues of how artificial intelligence is changing different sectors, how it is introducing innovations, what impact these issues have on economic growth, and what the future era might look like. The paper discusses the integration of artificial intelligence into business processes, its impact on productivity, and its role in creating new market opportunities. In addition, the paper examines the threats and opportunities arising from the adoption of artificial intelligence, including workforce upskilling, regulatory innovation, and ethical issues. Case studies and success stories show how businesses use artificial intelligence to gain competitive advantage, improve customer experience, and optimize operations. By exploring the intersection of artificial intelligence, business, and economics, this paper aims to analyze the current situation and envision a future era in which the role of artificial intelligence will be greatly increased.

**მათე ჩიდრაშვილი**
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარიამ ზაქარიაშვილი**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## ვებ საიტის ინტერაქტიური მოდელი „მსოფლიოს გარშემო“

ნაშრომში განხილულია Front End დეველოპმენტზე დაფუძნებული Web საიტის აგებისა და ინტერნეტ სივრცეში განთავსების ტექნოლოგია. სახელდობრ, წარმოდგენილია Web საიტის ინტერაქტიური მოდელი „მსოფლიოს გარშემო“, რაც საშუალებას იძლევა მივიღოთ ინფორმაცია დედამიწის კონტინენტების შესახებ. Web საიტის სტრუქტურულ მხარეს უზრუნველყოფს HTML (Hyper Text Markup Language); ვიზუალურ ეფექტებს CSS (Cascading Style Sheets), ხოლო ფუნქციონალურს JavaScript. GitHub გამოყენებულია საიტის ღრუბლოვან სივრცეში განთავსებისათვის. Web საიტის სიმულაციური მოდელი აგებულია HTML დოკუმენტის სტანდარტული მაკეტის მოთხოვნების შესაბამისად: Header; Section; Footer. საიტს აქვს მთავარი გვერდი, საიდანაც მენიუს ღილაკების (Home; About Us; Blog; Gallery; Contact), მსოფლიოს რუკის, კონტინენტების არჩევის დახმარებით შესაძლებელია ჰიპერბმულებით დაკავშირებულ გვერდებზე გადასვლა და შერჩეულ კონტინენტზე როგორც ტექსტური, ასევე გრაფიკული ინფორმაციის მიღება.

Web საიტის მოდელი მხარდაჭერილია რესპონსიულობით, რაც საშუალებას იძლევა საიტის მოდელი მოერგოს სხვადასხვა ტექნოლოგიას: სამაგიდო კომპიუტერს, ტაბლეტს, მობილურ ტელეფონს. ჩაშენებული აქვს googleTranslate Element Init() მრავალენოვანი თარჯიმნის ფუნქცია. ნაშრომში წარმოდგენილია Web საიტის მოდელის როგორც ლოკალურ, ასევე GitHub ონლაინ სივრცეში პრაქტიკული რეალიზების მეთოდოლოგია.

**Mate Chidrashvili**
Iakob Gogebashvili Telavi State University
Bachelor
**Scientific Supervisor: Mariam Zakariashvili**
Doctor, Associate Professor

## Interactive Model of the Web Site "Around The World"

The article discusses the technology of building a Web site based on Front End development and placing it in the Internet space. Namely, the interactive model of the Web site "Around The World" is presented, which allows to get information about the continents of the Earth. The structural side of the Web site is provided by HTML (Hyper Text Markup Language); CSS (Cascading Style Sheets) for visual effects, and JavaScript for functionality. GitHub is used to host the site in the cloud space. The simulation model of the Web site is built according to the requirements of the standard layout of the HTML document: Header; Section; Footer. The site has a main page, from which you can go

to Hyperlink pages and get both textual and graphic information on the selected continent with the help of menu buttons (Home; About Us; Blog; Gallery; Contact), world map, continents. The web site model is supported by responsiveness, which allows the site model to adapt to different technologies: Desktop; tablet; phone. The function „googleTranslateElementInit()“ multilingual translator is built-in. The paper presents the methodology of practical realization of the Web site model both locally and in GitHub online space.

**გიორგის ხატიაშვილი, ნიკა ნარსია**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ია აფციაური**
ასოცირებული პროფესორი

## ხელოვნური ინტელექტი: გონება თუ მექანიზმი

ხელოვნური ინტელექტი კომპიუტერული მეცნიერების დარგია, რომელიც მიზნად ისახავს ინტელექტუალურ კომპიუტერული მანქანის/პროგრამის შექმნას, რომელსაც ექნება უნარი, მიაღწიოს ადამიანის ინტელექტის გაგებას. ინტელექტუალობის დონის განსაზღვრება მეტწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ამოცანის გადაჭრა დაისახება. ხელოვნური ინტელექტის წარმოქმნის თარიღად მიიჩნევენ XIX საუკუნეს. ხელოვნური ინტელექტი არის კომპიუტერული მეცნიერების ქვეგანყოფილება. მისი მიზანია კომპიუტერებს საშუალება მისცეს ამოიცნონ შაბლონები ალგორითმების გამოყენებით და მიიღონ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები. ხელოვნური ინტელექტი ჯერ კიდევ ახალგაზრდა ინდუსტრიაა. ამიტომ, სპეციალისტებს შორისაც კი არსებობს განსხვავებული მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რა უნდა გაიგოს ხელოვნურმა ინტელექტმა და რა არა.

ბევრი, კომპიუტერული სისტემის უნარს - ისწავლოს დამოუკიდებლად, მიიჩნევს, როგორც ხელოვნური ინტელექტის აუცილებელ წინაპირობად, ხოლო სხვები მას მოიხსენიებენ, მაგალითად, როგორც მარტივ ხმოვან ასისტენტს.

ზოგადად, არსებობს ხელოვნური ინტელექტის სამი განსხვავებული ფორმა: სუსტი ხელოვნური ინტელექტი, ძლიერი ხელოვნური ინტელექტი და ე.წ. სუპერ ხელოვნური ინტელექტი.

**სუსტი ხელოვნური ინტელექტი** არის ხელოვნური ინტელექტი, რომელიც სპეციალიზირებულია ერთ სფეროში. ამ სფეროში ის შეიძლება მართლაც კარგი იყოს, მაგრამ ცოდნის სხვა სფეროებში გადატანა არ შეუძლია. ჩვენი სმარტფონები, ყველა თანამედროვე კომპიუტერი და ინტერნეტი ასევე სავსეა სუსტი ხელოვნური ინტელექტით, მაგალითად, როდესაც სმარტფონი აჯგუფებს ფოტოებს საქაღალდეებში, პროგრამა თარგმნის ტექსტებს ერთი ენიდან მეორეზე, ან YouTube გთავაზობთ შემდეგ ვიდეოს.

**ძლიერ ხელოვნური ინტელექტს** შეუძლია გამოიყენოს ის, რაც ისწავლა ერთ სფეროში, ასევე სხვა სფეროებშიც. ეს დაუშვებდა ძლიერი ხელოვნური ინტელექტის შექმნას, რომელიც

ინტელექტუალურად ადამიანების მსგავსია. მაგრამ დღემდე არ არსებობს ძლიერი ხელოვნური ინტელექტი.

**სუპერ ხელოვნური ინტელექტი** ან ხელოვნური სუპერინტელექტი ადამიანებზე ჭკვიანი იქნება და არა მხოლოდ გარკვეული პრობლემების ან დავალებების გადაჭრაში, არამედ მათ შემოქმედებით და სოციალურ შესაძლებლობებში. 2022-მა წელმა AI (ხელოვნური ინტელექტი) შემოიტანა მეინსტრიმში გენერაციული პრე-ტრენინგის ტრანსფორმატორის აპლიკაციებთან ფართო გაცნობის გზით. ყველაზე პოპულარული აპლიკაციაა OpenAI-ის ChatGPT. ChatGPT-ით ფართო გატაცებამ ის AI-ის სინონიმად აქცია მომხმარებლების უმეტესობის გონებაში. თუმცა, ის წარმოადგენს მხოლოდ იმ გზების მცირე ნაწილს, რომლითაც დღეს AI ტექნოლოგია გამოიყენება.

**დასკვნა:** ხელოვნური ინტელექტის რევოლუცია ახლა იწყება, ფაქტები მეტყველებს, რომ განვითარების ახალი ეტაპის მიჯნაზე ვართ, რაც გასახარია, რადგან ხელოვნური ინტელექტის დახმარებით ადამიანის შესაძლებლობები დღითიდღე უმჯობესდება, ჩვენი ცხოვრების რითმი დაჩქარდა, სულ უფრო მსუბუქდება ფიზიკური საკითხები და ვითარდება ინტელექტუალური სფეროები, AI შესანიშნავი დამხმარეა ადამიანის განვითარების გზაზე.


**Giorgis Khatiashvili, Nika Narsia**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Ia Aptsiauri**
Associate Professor


## Artificial Intelligence: Mind or Mechanism

Artificial Intelligence A branch of computer science that aims to create an intelligent computer machine/program capable of achieving human intelligence. Determining the level of intelligence largely depends on the task to be solved. The date of emergence of artificial intelligence is considered to be the 19th century. Artificial intelligence is a sub-discipline of computer science. Its goal is to enable computers to recognize patterns using algorithms and make independent decisions. Artificial intelligence is still a young industry. Therefore, even among specialists, there are different opinions about what artificial intelligence should understand and what it should not. Many consider the ability of a computer system to learn on its own as a necessary prerequisite for artificial intelligence. And others refer to it, for example, as a simple voice assistant. In general, there are three different forms of artificial intelligence: weak artificial intelligence, strong artificial intelligence and the so-called Super Artificial Intelligence. Weak AI A weak AI is an AI that specializes in one area. He may be really good in this area, but he can't transfer his knowledge to other areas. Our smartphones, all modern computers and the Internet are also full of weak artificial intelligence, for example, when a smartphone groups photos into folders, a program translates texts from one language to another, or YouTube suggests the next video. Strong AI A strong AI can apply what it has learned in one domain to other domains as well. This would allow the creation of

powerful artificial intelligence that is intellectually similar to humans. But to date there is no strong artificial intelligence. Super Artificial Intelligence A super artificial intelligence or artificial superintelligence will be smarter than humans, not only in solving certain problems or tasks, but also in their creative and social abilities. The year 2022 brought AI (artificial intelligence) into the mainstream through widespread introduction to generative pre-training transformer applications. The most popular application is OpenAI's ChatGPT. The widespread fascination with ChatGPT has made it synonymous with AI in the minds of most users. However, it represents only a small fraction of the ways in which AI technology is being used today.

Conclusion, the revolution of artificial intelligence is just beginning, the facts show that we are on the verge of a new stage of development, which is exciting, because with the help of artificial intelligence, human capabilities are improving day by day, the rhythm of our life has accelerated, physical issues are becoming lighter and intellectual fields are developing, AI is a great helper on the way of human development.

**გიორგი ხუციშვილი**
საქართველოს უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარიამ ავალიშვილი**
დოქტორი, პროფესორი

## ხელოვნური ინტელექტი: შესაძლებლობების მიღება, გამოწვევების მოგვარება და მომავლის ფორმირება

ხელოვნური ინტელექტი (AI) გაჩნდა, როგორც ტრანსფორმაციული ძალა, რომელსაც აქვს პოტენციალი ხელახლა განსაზღვროს ადამიანთა საზოგადოების თითქმის ყველა ასპექტი. მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნური ინტელექტი გთავაზობთ უპრეცენდენტო შესაძლებლობებს ინოვაციისა და პროგრესისთვის, ის ასევე წარმოგვიდგენს კომპლექსურ გამოწვევებს. ეს ყოვლისმომცველი ნაშრომი იკვლევს ხელოვნური ინტელექტის მრავალმხრივ ლანდშაფტს, იკვლევს მის ეთიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ განზომილებებს. ამ გამოწვევებისა და შესაძლებლობების სიღრმისეული შესწავლის გზით, ეს თეზისი ემხრობა პასუხისმგებელ მმართველობას, ეთიკურ მოსაზრებებს და პროაქტიულ სტრატეგიებს ხელოვნური ინტელექტის სრული პოტენციალის გამოსაყენებლად, მისი რისკების თავიდან არიდების გათვალისწინებით.

ამ გამოწვევების გააზრებული განხილვით, ჩვენ შეგვიძლია გავხსნათ გზა მომავლისკენ, სადაც AI ხელს შეუწყობს უფრო სამართლიანი, ინკლუზიური და მდგრადი საზოგადოების ჩამოყალიბებას.

**შესავალი:** ხელოვნურმა ინტელექტმა (AI) დაიპყრო საზოგადოების ფანტაზია და გვპირდება, რომ მოახდენს რევოლუციას ინდუსტრიებში, შემოგვთავაზებს ინოვაციებსა და გარდაქმნის ჩვენი ცხოვრებისა და მუშაობის გზას. ავტონომიური მანქანებიდან და ვირტუალური ასისტენტებიდან დაწყებული პროგნოზირებულ ანალიტიკამდე და

პერსონალიზებულ მედიცინამდე, ხელოვნური ინტელექტის აპლიკაციები კვლავ მრავლდება, რაც პროგრესის უპრეცენდენტო შესაძლებლობებს გვთავაზობს. თუმცა, ხელოვნური ინტელექტის პოტენციალის გარშემო არსებული მღელვარების ფონზე დევს გამოწვევების რთული ქსელი, რომელიც მოითხოვს სენსიტიურ განხილვას. ეს თეზისი ცდილობს გამოიკვლიოს ხელოვნური ინტელექტის რთული ლანდშაფტი, შეისწავლოს მისი გამოწვევები და ხარვეზები, ხოლო მხარს უჭერს დაბალანსებულ მიდგომას, რომელიც მაქსიმალურად გაზრდის სარგებლის მიღებას რისკების შემცირების გზით.

**AI-ს პოტენციალის შესწავლა:** AI-ის პოტენციალი, მოახდინოს რევოლუცია სხვადასხვა დარგებში, პრაქტიკულად შეუზღუდავია. ჯანდაცვის სფეროში, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით დიაგნოსტიკა და პროგნოზირებადი მოდელირება გვპირდება პაციენტის მკურნალობის პროცესის გაუმჯობესებას და ჯანდაცვის ხარჯების შემცირებას. ანალოგიურად, ფინანსებში, ხელოვნური ინტელექტის ალგორითმები გარდაქმნის რისკის მენეჯმენტს, თაღლითობის გამოვლენას და საინვესტიციო სტრატეგიებს, აძლიერებს ეფექტურობას და სიზუსტეს. გარდა ამისა, AI-ზე ორიენტირებული წინსვლა ტრანსპორტში, განათლებაში, სოფლის მეურნეობაში და წარმოებაში ცვლის ინდუსტრიებს და ხსნის ახალ შესაძლებლობებს ინოვაციისთვის. მანქანური სწავლის, ბუნებრივი ენების დამუშავებისა და რობოტიკის ძალის გამოყენებით, ხელოვნური ინტელექტი იწვევს უპრეცენდენტო პროგრესს მრავალფეროვან სექტორებში, რაც ტექნოლოგიური წინსვლის ახალ ეპოქას უდევს საფუძვლად.

**ეთიკური მოსაზრებები ხელოვნური ინტელექტის განვითარებაში:** მიუხედავად მისი ტრანსფორმაციული პოტენციალისა, ხელოვნური ინტელექტის განვითარება ბადებს ღრმა ეთიკურ კითხვებს, რომლებიც მოითხოვს სენსიტიურ ანალიზს. ხელოვნური ინტელექტის სისტემებში თანდაყოლილმა ალგორითმულმა მიკერძოებებმა შეიძლება გააძლიეროს არსებული სოციალური უთანასწორობა, რაც გამოიწვევს დისკრიმინაციულ შედეგებს ისეთ სფეროებში, როგორებიცაა დაქირავება, დაკრედიტება და სისხლის სამართალი. უფრო მეტიც, ხელოვნური ინტელექტის გადაწყვეტილებების მიღების პროცესების გაუმჭვირვალობა აჩენს შეშფოთებას ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და ინდივიდუალური უფლებების დაცვის შესახებ. ხელოვნური ინტელექტის სისტემების მიერ პერსონალური მონაცემების დიდი რაოდენობით შეგროვება და გამოყენება ასევე იწვევს კონფიდენციალურობის მნიშვნელოვან შეშფოთებას, რაც ხაზს უსვამს მონაცემთა დაცვის მძლავრი ზომებისა და ეთიკური მითითებების საჭიროებას. ამ ეთიკური მოსაზრებების განხილვა მოითხოვს მრავალმხრივ მიდგომას, რომელიც აერთიანებს სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს ხელოვნური ინტელექტის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში.

**AI გამოყენების სოციალური შედეგები:** ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენებას აქვს უდიდესი გავლენა საზოგადოებაზე, რაც გავლენას ახდენს დასაქმებაზე, ადამიანთა ურთიერთქმედებასა და სოციალურ ერთიანობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნური ინტელექტის დაფუძნებულ ავტომატიზაციას აქვს პოტენციალი, გაზარდოს პროდუქტიულობა და შექმნას ახალი სამუშაო შესაძლებლობები, ის ასევე საფრთხეს უქმნის დასაქმების ტრადიციულ მეთოდებს, რაც გამოიწვევს სამუშაოს გაქრობა-გადაადგილებას და ეკონომიკურ დისლოკაციას. უფრო მეტიც, ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების ყოველდღიურ ცხოვრებაში ინტეგრაცია ცვლის ადამიანთა ურთიერთქმედების დინამიკას, აჩენს კითხვებს ინტერპერსონალურ ურთიერთობებზე, თანაგრძნობასა და სოციალურ ნორმებზე გავლენის შესახებ. გარდა ამისა, ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის უთანასწორობამ შეიძლება გააძლიეროს არსებული სოციალური უთანხმოება და გააფართოვოს „ხიდჩატეხილობა"

ტექნოლოგიურად მდიდარ და მარგინალიზებულებს შორის. ამ სოციალური შედეგების ანალიზი მოითხოვს ყოვლისმომცველ მიდგომას, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს თანასწორობას, ინკლუზიურობას და ადამიანზე ორიენტირებულ დიზაინს ხელოვნური ინტელექტის დანერგვაში.

**ეკონომიკური დინამიკა ხელოვნური ინტელექტის ხანაში:** ეკონომიკური ლანდშაფტი სწრაფ ტრანსფორმაციას განიცდის, რადგან ხელოვნური ინტელექტის საფუძველზე მართული ავტომატიზაცია ცვლის ინდუსტრიებს, შრომის ბაზრებს და ბიზნეს მოდელებს. მიუხედავად იმისა, რომ AI-ს აქვს პროდუქტიულობის გაზრდის, ინოვაციების სტიმულირებისა და ეკონომიკური ზრდის პოტენციალი, ის ასევე წარმოადგენს გამოწვევებს, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაოს გადაადგილებასთან, შემოსავლის უთანასწორობასთან და უნარების შეუსაბამობასთან. ზოგიერთმა სექტორი შეიძლება მკვეთრად დაზარალდეს, რადგან ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები ცვლის რუტინულ ამოცანებს, რომლებსაც ტრადიციულად ასრულებენ ადამიანები, რაც იწვევს უმუშევრობისა და ეკონომიკური არასტაბილურობის შეგრძნების პროვოცირებას. უფრო მეტიც, სიმდიდრისა და ძალაუფლების კონცენტრაცია ხელოვნური ინტელექტის დეველოპერებისა და ტექნიკური გიგანტების ხელში აჩენს კითხვებს ხელოვნური ინტელექტის გამომუშავებული სარგებლის თანაბარი განაწილების შესახებ.

ხელოვნური ინტელექტის ეკონომიკური სარგებლის დაბალანსება მის პოტენციურ ხარვეზებთან მოითხოვს პროაქტიულ ინტერვენციებს, მათ შორის ინვესტიციებს განათლებაში, სამუშაო ძალის გადამზადებაში და სოციალური უსაფრთხოების ქსელებში.

**ტექნოლოგიური მოსაზრებები და გამოწვევები:** ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების სწრაფ წინსვლას თან მოაქვს მრავალი ტექნიკური გამოწვევა და მოსაზრება, რომლებიც უნდა იქნას განხილული. ეს მოიცავს საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია მონაცემთა ხარისხთან და მიკერძოებასთან, ალგორითმულ გამჭვირვალობასთან და ინტერპრეტაციასთან, კიბერუსაფრთხოებასთან და კონფიდენციალურობასთან, ასევე გადაწყვეტილების მიღების ავტონომიური სისტემების ეთიკურ შედეგებთან. გარდა ამისა, ხელოვნური ინტელექტის სისტემების სირთულე და არასასურველი შედეგების პოტენციალი ხაზს უსვამს მკაცრი ტესტირების, ვალიდაციის და მუდმივი მონიტორინგის საჭიროებას. გარდა ამისა, შეშფოთება ხელოვნური ინტელექტის ბოროტად გამოყენების შესახებ მავნე მიზნებისთვის, როგორიცაა დეზინფორმაციული კამპანიები, კიბერშეტევები და თვალთვალი, ხაზს უსვამს ეთიკური AI განვითარებისა და პასუხისმგებლობით გამოყენების მნიშვნელობას.

**პასუხისმგებელი AI მმართველობისკენ:** ეფექტური მმართველობის ჩარჩოები აუცილებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ხელოვნური ინტელექტის განვითარება და დანერგვა შეესაბამება სოციალურ ღირებულებებს, ეთიკურ პრინციპებს და ადამიანის უფლებებს. ამ ჩარჩოების გათვალისწინებით პრიორიტეტული უნდა იყოს გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და ინკლუზიურობა, რაც მოიცავს სხვადასხვა პერსპექტივას და დაინტერესებულ მხარეებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გარდა ამისა, მარეგულირებელი ზომები უნდა მოერგოს ტექნოლოგიური ინოვაციების სწრაფ ტემპს, დაამყაროს ბალანსი ინოვაციების ხელშეწყობასა და პოტენციური ზიანისგან დაცვას შორის. საერთაშორისო თანამშრომლობა აუცილებელია ხელოვნური ინტელექტის განვითარებისა და დანერგვის ჰარმონიზებული სტანდარტებისა და სახელმძღვანელო მითითებების დასამკვიდრებლად, გლობალური მასშტაბით პასუხისმგებელი AI მმართველობის ხელშეწყობისთვის. გარდა ამისა, ინვესტიციები კვლევაში, განათლებასა და შესაძლებლობების განვითარებაში აუცილებელია პოლიტიკის შემქმნელების, ინდუსტრიის დაინტერესებული მხარეების და საზოგადოების აღჭურვისთვის ცოდნითა და

ინსტრუმენტებით, რომლებიც საჭიროა ხელოვნური ინტელექტის სირთულეების სამართავად.

**საქმის შესწავლა და რეალურ სამყაროში აპლიკაციები:** ხელოვნური ინტელექტის მიღების პრაქტიკული შედეგებისა და მის მიერ წარმოქმნილი გამოწვევების საილუსტრაციოდ, ამ განყოფილებაში წარმოდგენილია საქმის შესწავლა და რეალური მაგალითები სხვადასხვა სფეროებში. ეს მაგალითები ხაზს უსვამს ხელოვნური ინტელექტის ტრანსფორმაციულ პოტენციალს და ეთიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ მოსაზრებებს, რომლებიც თან ახლავს მის განხორციელებას. ჯანდაცვისა და ფინანსებიდან განათლებამდე და სისხლის სამართლის მართლმსაჯულებამდე, ხელოვნური ინტელექტის აპლიკაციები ცვლის ინდუსტრიებს და ბადებს მნიშვნელოვან ეთიკურ კითხვებს. ამ შემთხვევის შესწავლით, ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ცოდნა ხელოვნური ინტელექტის მიღების სირთულეზე და პასუხისმგებელი მმართველობის მნიშვნელობაზე დადებითი შედეგების უზრუნველსაყოფად.

**მომავალი მიმართულებები და რეკომენდაციები:** ხელოვნური ინტელექტის მომავალს აქვს როგორც დადებითი მხარეები, ასევე გაურკვევლობა. ვინაიდან ხელოვნური ინტელექტი აგრძელებს განვითარებას და გავრცელებულია საზოგადოების ყველა ასპექტში, აუცილებელია მომავალი გამოწვევების წინასწარ განსაზღვრა და მათი პროაქტიულად მოგვარება. ეს განყოფილება გთავაზობთ რეკომენდაციებს პოლიტიკის შემქმნელებს, ინდუსტრიის დაინტერესებულ მხარეებს და მკვლევრებს, რათა მართვა გაუწიონ ხელოვნური ინტელექტის სირთულეებს და ჩამოაყალიბონ მისი ტრაექტორია ისე, რომ სარგებელი მოუტანოს კაცობრიობას. ეთიკურ AI კვლევასა და განვითარებაში ინვესტიციებიდან დაწყებული ინტერდისციპლინური თანამშრომლობისა და საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობამდე, არსებობს უამრავი შესაძლებლობა იმის უზრუნველსაყოფად, რომ AI წვლილი შეიტანოს უფრო სამართლიან, ინკლუზიურ და მდგრად მომავალში.

**დასკვნა:** დასკვნის სახით, ხელოვნური ინტელექტი წარმოადგენს ორპირიან მახვილს, რომელსაც აქვს პოტენციალი გამოათავისუფლოს უპრეცენდენტო შესაძლებლობები პროგრესისთვის და ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევებსა და რისკებს. პასუხისმგებელი მმართველობით, ეთიკური მოსაზრებებითა და პროაქტიული სტრატეგიებით ამ გამოწვევების გადაჭრით, ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ხელოვნური ინტელექტის სრული პოტენციალი უფრო სამართლიანი, ინკლუზიური და მდგრადი მომავლის შესაქმნელად. თუმცა, ამ ხედვის მისაღწევად საჭიროა კოლექტიური მოქმედება და თანამშრომლობა მთავრობებს, ინდუსტრიის დაინტერესებულ მხარეებს, აკადემიასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის. ჩვენ შეგვიძლია ერთად ჩამოვაყალიბოთ ხელოვნური ინტელექტის ტრაექტორია ისე, რომ სარგებელი მოუტანოს კაცობრიობას და ამავე დროს დავიცვათ მისი პოტენციური ხიფათისგან საზოგადოება, რაც უზრუნველყოფს, რომ ხელოვნური ინტელექტი დარჩება მხოლოდ სიკეთის ძალად მომავალ ეპოქაში.

**Giorgi Khutsishvili**
The University Of Georgia
Bachelor
**Scientific Supervisor: Mariam Avalishvili**
Doctor, Professor

## Artificial Intelligence: Embracing Opportunities, Addressing Challenges, and Shaping the Future

Artificial Intelligence (AI) has emerged as a transformative force with the potential to redefine nearly every aspect of human society. While AI offers unprecedented opportunities for innovation and progress, it also presents complex challenges that must be carefully navigated. This comprehensive thesis explores the multifaceted landscape of AI, delving into its ethical, social, economic, and technological dimensions. Through an in-depth examination of these challenges and opportunities, this thesis advocates for responsible governance, ethical considerations, and proactive strategies to harness the full potential of AI while mitigating its risks. By addressing these challenges thoughtfully, we can pave the way for a future where AI contributes to a more equitable, inclusive, and sustainable society. Introduction: Artificial Intelligence (AI) has captured the imagination of society, promising to revolutionize industries, drive innovation, and transform the way we live and work. From autonomous vehicles and virtual assistants to predictive analytics and personalized medicine, AI applications continue to proliferate, offering unprecedented opportunities for progress. However, amid the excitement surrounding AI's potential lies a complex web of challenges that demand careful consideration. This thesis seeks to explore the intricate landscape of AI, examining its promises and pitfalls while advocating for a balanced approach that maximizes benefits while mitigating risks. Exploring the Potential of AI: The potential of AI to revolutionize various domains is virtually limitless. In healthcare, AI-powered diagnostics and predictive modeling hold the promise of improving patient outcomes and reducing healthcare costs. Similarly, in finance, AI algorithms are transforming risk management, fraud detection, and investment strategies, enhancing efficiency and accuracy. Moreover, AI-driven advancements in transportation, education, agriculture, and manufacturing are reshaping industries and unlocking new possibilities for innovation. By harnessing the power of machine learning, natural language processing, and robotics, AI is driving unprecedented progress across diverse sectors, ushering in a new era of technological advancement. Ethical Considerations in AI Development: Despite its transformative potential, AI development raises profound ethical questions that demand careful scrutiny. Algorithmic biases inherent in AI systems can perpetuate and amplify existing societal inequalities, leading to discriminatory outcomes in areas such as hiring, lending, and criminal justice. Moreover, the opacity of AI decision-making processes raises concerns about accountability, transparency, and the protection of individual rights. The collection and use of vast amounts of personal data by AI systems also raise significant privacy concerns, underscoring the need for robust data protection measures and ethical guidelines. Addressing these ethical considerations requires a multifaceted approach that integrates principles of fairness, transparency, and accountability throughout the AI lifecycle. Social Implications of AI Adoption: The widespread adoption of AI technologies has profound implications for society, affecting employment, human interaction, and social cohesion. While AI-driven automation has the potential to increase productivity and create new job opportunities, it also threatens to disrupt traditional employment patterns, leading to job displacement and economic dislocation. Moreover, the integration of AI technologies into daily life alters the dynamics of human interaction, raising questions about the impact on interpersonal

relationships, empathy, and societal norms. Additionally, disparities in access to AI technologies may exacerbate existing social divides, widening the gap between the technologically affluent and the marginalized. Navigating these social implications requires a holistic approach that prioritizes equity, Thesis (in English) * 750-1300 symbols inclusivity, and human-centric design in AI deployment Economic Dynamics in the Age of AI: The economic landscape is undergoing rapid transformation as AI-driven automation reshapes industries, labor markets, and business models. While AI holds the potential to boost productivity, drive innovation, and spur economic growth, it also presents challenges related to job displacement, income inequality, and skills mismatch. Certain sectors may experience upheaval as AI technologies replace routine tasks traditionally performed by humans, leading to concerns about unemployment and economic instability. Moreover, the concentration of wealth and power in the hands of AI developers and tech giants raises questions about the equitable distribution of AI-generated benefits. Balancing the economic benefits of AI with its potential disruptions requires proactive interventions, including investments in education, workforce training, and social safety nets. Technological Considerations and Challenges: The rapid advancement of AI technologies brings with it a host of technical challenges and considerations that must be addressed. These include issues related to data quality and bias, algorithmic transparency and interpretability, cybersecurity and privacy, as well as the ethical implications of autonomous decisionmaking systems. Moreover, the complexity of AI systems and the potential for unintended consequences underscore the need for rigorous testing, validation, and ongoing monitoring. Additionally, concerns about the misuse of AI for malicious purposes, such as disinformation campaigns, cyberattacks, and surveillance, highlight the importance of ethical AI development and responsible use. Toward Responsible AI Governance: Effective governance frameworks are essential to ensuring that AI development and deployment align with societal values, ethical principles, and human rights. These frameworks should prioritize transparency, accountability, and inclusivity, incorporating diverse perspectives and stakeholders in the decision-making process. Moreover, regulatory measures must adapt to the rapid pace of technological innovation, striking a balance between fostering innovation and safeguarding against potential harms. International cooperation and collaboration are imperative to establish harmonized standards and guidelines for AI development and deployment, promoting responsible AI governance on a global scale. Additionally, investments in research, education, and capacity-building are essential to equip policymakers, industry stakeholders, and the public with the knowledge and tools needed to navigate the complexities of AI. Case Studies and Real-world Applications: To illustrate the practical implications of AI adoption and the challenges it poses, this section presents case studies and real-world examples across various domains. These examples highlight both the transformative potential of AI and the ethical, social, and economic considerations that accompany its implementation. From healthcare and finance to education and criminal justice, AI applications are reshaping industries and raising important ethical questions. By examining these case studies, we can gain insights into the complexities of AI adoption and the importance of responsible governance in ensuring positive outcomes. Future Directions and Recommendations: Looking ahead, the future of AI holds both promise and uncertainty. As AI continues to evolve and permeate every aspect of society, it is essential to anticipate future challenges and proactively address them. This section offers recommendations for policymakers, industry stakeholders, and researchers to navigate the complexities of AI and shape its trajectory in a way that benefits humanity. From investing in ethical AI research and development to fostering interdisciplinary collaboration and public engagement, there are numerous opportunities to ensure that AI contributes to a more equitable, inclusive, and sustainable future. Conclusion: In

conclusion, artificial intelligence represents a double-edged sword with the potential to unleash unprecedented opportunities for progress while also posing significant challenges and risks. By addressing these challenges through responsible governance, ethical considerations, and proactive strategies, we can harness the full potential of AI to create a more equitable, inclusive, and sustainable future. However, achieving this vision requires collective action and collaboration among governments, industry stakeholders, academia, and civil society. Together, we can shape the trajectory of AI in a way that benefits humanity while safeguarding against its potential pitfalls, ensuring that AI remains a force for good in the years to come.

# სექცია
# SECTION

## მევენახეობა-მეღვინეობა
## VITICULTURE-WINEMAKING

**ალექსანდრე შამუგია**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ოლანი გოცირიძე**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## გლობალური დათბობის და მისი თანმდევი ფაქტორების გავლენა მევენახეობა-მეღვინეობაზე

სპეციალისტების მიერ მთელი მსოფლიოს მასშტაბით სოფლის მეურნეობის დარგის მთავარ გამოწვევად 21-ე საუკუნეში სახელდება კლიმატის ცვლილება. გლობალური დათბობის მზარდმა ტენდენციამ, ამინდის არაპროგნოზირებადმა ცვლილებებმა დარტყმის ქვეშ დააყენა აგრარული სექტორის ბევრი მიმართულება. გამონაკლისი არც მევენახეობა-მეღვინეობაა. შესაძლოა, საქართველოში კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული პრობლემები ჯერ-ჯერობით მკაფიოდ არ აღიქმება, თუმცა უკვე ვლინდება გარკვეული ნიშნები, რომლებიც საყურადღებოა. მაგალითისათვის, ბოლო ათწლეულში გახშირებულმა ისეთმა ექსტრემალურმა მეტეოროლოგიურმა მოვლენებმა, როგორებიცაა ადრეული ყინვა, გვალვა, ძლიერი წვიმა, სეტყვა ყვავილობის ან მსხმოიარობის ფაზაში და სხვა... შესაძლოა დიდი და აუნაზღაურებელი დანაკარგი მიაყენოს, როგორც ცალკეულ ფერმერებს, ისე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკას. ამიტომ ეს ყველაფერი საჭიროებს დაკვირვებას, ანალიზს, სამეცნიერო კვლევებზე დაფუძნებული ეფექტური პრევენციული და გარემოსდაცვითი ღონისძიებების შემუშავებას.

ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევა ისახავს მიზანს:

ა) მოვახდინოთ მევენახეობა-მეღვინეობის დარგის ფარგლებში კლიმატის ცვლილებების გამო წარმოშობილი პრობლემების და მათგან მოსალოდნელი შედეგების იდენტიფიცირება;

ბ) შევისწავლოთ მსოფლიოს მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონებში აღნიშნულ პრობლემებთან გამკლავების გამოცდილება;

გ) შევაფასოთ საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის დარგის მდგრადობა კლიმატის გლობალური ცვლილებების კონტექსტში.

**Aleksandre Shamugia**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Olani Gotsiridze**
Doctor, Associate Professor

## Impact of Global Warming and its Associated Factors on Viticulture and Winemaking

According to all specialists in the field, climate change is the main challenge of the agricultural sector in the 21st century. The increasing trend of global warming, unpredictable weather changes have put many areas of the agricultural sector at risk. Viticulture and winemaking are no exceptions. Perhaps the problems caused by climate change in Georgia have not been clearly

perceived yet. However, there are already some signs that are worth paying attention to. For example, various extreme meteorological events, including early frosts, droughts, heavy rains, and hails during the flowering or fruiting phase, have become more frequent in the last decade. This may cause great and irreparable damage to both individual farmers and the country's economy as a whole. Therefore, we need to focus on observation, analysis, and the development of effective preventive, and environmental measures based on scientific research. The aim of our research was to: 1) identify the problems arising from climate change within the field of viticulture and winemaking and their expected consequences; 2) study the experience of dealing with the mentioned problems in the viticulture and winemaking regions of the world, and finally, 3) to assess the sustainability of the Georgian viticulture industry in the context of global climate change

**ავრორა თევზაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარიამ ხოსიტაშვილი**
დოქტორი, პროფესორი

## ხირსის ზონაში მოყვანილი რქაწითლის ჯიშის ყურძნისგან დამზადებული პორტვეინი და მადერა

საკვლევი თემა მოიცავს ხირსის ზონაში მოყვანილი რქაწითლის ჯიშის ყურძნისგან პორტვეინისა და მადერას დამზადებას, მისი განსხვავებული სპეციფიკის მიხედვით. მეღვინეობაში ცნობილია ის ფაქტი და წესი, რომ პორტვეინის დამზადების პროცესი მიმდინარეობს სავსე ჭურჭელში, ხოლო მადერას ტიპის ღვინის დამზადების პროცესი მიმდინარეობს ნახევრად სავსე ჭურჭელში, სადაც ხდება ჰაერთან ურთიერთქმედება, რის შედეგადაც იჟანგება ჭურჭელში არსებული ღვინო და იძენს განსხვებულ ტონებს და სტრუქტურას.

ჩემი კვლევის საგანს კი წარმოადგენს მუხის კასრში პორტვეინის დავარგება და შუშის ჭურჭელში მოთავსებული მადერას დავარგება მუხის ჩიფსებთან ერთად. მადერას დამზადების პროცესისას კვლევის მიზანს წარმოადგენს მადერიზაციის ხანგრძლივი პროცესის შემცირება, მუხის ჩიფსების გამოყენებითა და ჟანგბადის ხელოვნურად შეტანის გზით.

პორტვეინის დამზადებისას აქცენტი გავაკეთე მუხის კასრში დავარგებაზე, რათა შედარება ყოფილიყო შესაძლებელი. რა შედეგი მოგვცა მუხის კასრში დავარგებამ, მუხის ჩიფსებით დავარგების პროცესთან მიმართებით. საკვლევი თემის ძირითად მიზანს წარმოადგენს ღვინის წარმოების პროცესში სიახლის ძიება, გემოვნური თვისებების გამრავალფეროვნება და გაზიარება მეღვინეებისათვის.

**Avrora Tevzadze**
Caucasus International University
Master
**Scientific Supervisor: Mariam Khositashvili**
Doctor, Professor

### Port Wine and Madeira Made From Rkatsiteli Grapes Grown in the Khirsi Area

The research topic includes the production of Port wine and Madeira from Rkatsiteli grapes grown in the Khirsi area according to its different specificities. It is known in winemaking that the process of making port wine takes place in a full vessel, while the process of making Madeira type wine takes place in a half-full vessel, where the wine interacts with air, as a result of which the wine in the vessel oxidizes and acquires different tones and structure.

The subject of my research is the aging of port wine in an oak barrel and the aging of Madeira in a glass container with oak chips. During the research, I used several new methods, which I think may be good news in winemaking, therefore it also determines the relevance of the research topic. In the process of making Madeira, my research aims to reduce the long process of maderization by using oak chips and artificially introducing oxygen.

When making the port wine, I focused on aging in oak barrels, so that it would be possible to compare the results of aging in oak barrels with the process of aging with oak chips.

The main goal of the research topic is the search for novelty in the process of wine production, diversity of taste qualities, finding novelty in wine production techniques and sharing them with winemakers. The following methods were used in the research: material observation, its control, laboratory tests and verification of compliance with certification norms.

**დავით სულაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირმა მდინარაძე**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

### კახეთის ვაზის ჯიშების - გრძელმტევანასა და მცვივანი კახურის ამპელოგრაფიული და ენოლოგიური შესწავლა ჯიღაურას ექსპერიმენტულ ბაზაზე

საქართველო მევენახეობა-მეღვინეობის უძველეს კერად არის აღიარებული. ამას ადასტურებს არქეოლოგიური მასალები (Patric McGovern and others, 2017), 8000 წლიანი უწყვეტი ტრადიცია, ავტოქთონური ვაზის ჯიშების მრავალფეროვნება და სხვა. არსებული სამეცნიერო ლიტერატურის (ნ. კეცხოველი, მ. რამიშვილი, დ. ტაბიძე, 1960, ლ. უჯმაჯურიძე და სხვები, 2018) თანახმად ჩვენი ქვეყნის მევენახეობის სხვადასხვა ზონაში სულ 525-ზე მეტი

ადგილობრივი ჯიშია აღწერილი. თითოეულ რეგიონში გვხვდება როგორც წამყვანი ჯიშები, რომლებიც დიდ ფართობებზეა გავრცელებული, აგრეთვე ნაკლებად გავრცელებული ჯიშები, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში მხოლოდ საკოლექციო ნარგაობებშია წარმოდგენილი.

ადგილობრივი ვაზის ჯიშებიდან ყველაზე მეტი რაოდენობა კახეთის რეგიონს ეკუთვნის, რომელიც ქვეყნის მევენახეობა-მეღვინეობის მთავარი რეგიონია.

ჩვენს სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილია ჯიღაურას კოლექციაში დაცული კახეთის მცირედ გავრცელებული ვაზის ჯიშების - გრძელმტევანასა და მცვივანი კახურის ამპელოგრაფიული და ენოლოგიური შესწავლის შედეგები. ჯიშების შესწავლა განხორციელდა ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) დესკრიპტორების თანახმად, ხოლო ექსპერიმენტული ღვინოები დამზადებულ იქნა კლასიკური ტექნოლოგიის სქემის გამოყენებით, შემდგომ მათი ენოლოგიური მახასაითებლების (ქიმიური და ორგანოლეპტიკური) შეფასების მიზნით.

**David Sulashvili**
Caucasus International University
Master
**Scientific Supervisor: Irma Mdinaradze**
Doctor, Associate Professor

## Ampelographic and Enological Study of Kakheti Grape Varieties - Grdzelmtevana and Mtsvivani Kakhuri in the Jighaura Experimental Collection

Georgia is recognized as the oldest center of viticulture and winemaking. This is confirmed by archeological materials (P. McGovern and others, 2017), 8000 years of continuous tradition of viticulture, diversity of autochthonous grape varieties and more. According to the existing scientific literature (N. Ketskhoveli, M. Ramishvili, D. Tabidze, 1960; L. Ujmajuridze and others, 2018), more than 525 autochthonous varieties have been described in different viticulture regions of our country. In each region, there are leading varieties, which are spread over large areas, as well as less common varieties, which in some cases are only represented in collection vineyards. The largest number of local grape varieties belongs to the Kakheti region, which is the main wine-growing region of the country. Our master's thesis presents the results of ampelographic and enological study of Kakheti's rare grape varieties – 'Grdzelmtevana' and 'Mtsvivani Kakhuri' – which are preserved in the Jighaura collection. The study of grape varieties was carried out according to the descriptors of the International Organization of Vine and Wine (OIV), and experimental wines were made using the scheme of classical technology in order to further evaluate their enological characteristics.

**გიორგი ელისაბედაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ოლანი გოცირიძე**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## ჩინური ყურძნის ჯიშიდან მიღებული ღვინოების ცილოვანი სიმღვრივის მიმართ მდგრადობის კვლევა

ღვინო ალკოჰოლურ სასამელებში ერთ-ერთი გამორჩეული პროდუქტია, რომლის მოთხოვნაზე საერთაშორისო ბაზარზე მზარდი დინამიკა შეინიშნება. იმისათვის, რომ ღვინომ სწორად პოზიციონირება მოახდინოს სამომხარებლო ბაზარზე, იგი უნდა აკმაყოფილებდეს მასზე დაწესებულ საერთაშორისო ნორმებს, ორგანოლეფტიკურ სიჯანსაღეს.

ჩვენ მიერ შერჩეულ საკვლევ თემას წარმოადგენს ღვინის სიჯანსაღის ერთ-ერთი თვალსაჩინო პარამეტრი, გამჭვირვალობა. თეთრი ღვინოები მეტად არიან მიდრეკილნი ცილოვანი სიმღვირვის მიმართ. ცილოვანი სტაბილიზაციის მისაღწევად მეღვინეობაში ფართოდ გამოიყნება სხვადასხვა ნივთიერება და საშუალება. კვლევის მიზნების და ამოცანების შესასრულებლად ჩვენ მიერ ამორჩეულ იქნა თიხოვანი სტრუქტურის მქონე ნივთერება **ბენტოტინი.** ამ ნივთიერების დახმარებით, ღვინის სტაბილიზაციისთვის შეირჩა დამუშავების სხვადასხვა დრო. დამუშავების მიზანს წარმოადგენდა, ერთი მხრივ, გამჭვირვალობის მიღწევა და, მეორე მხრივ, ალკოჰოლური სასმელისთვის არომატული ნივთიერების მაქსიმალურად შენარჩუნება. აგრეთვე, ტანინების კონცენტრაციის გაზრდით ცილოვანი ნივთიერებეზე მოქმედების ეფექტურობის წარმოჩენა.

**George Elisabedashvili**
Caucasus International University
Master
**Scientific Supervisor: Olani Gotsiridze**
Doctor, Associate Professor

## Research on Resistance to Protein Turbidity of Wine Obtained from Chinuri Grapes

Wine is one of the outstanding products among alcoholic beverages the demand for which is growing rapidly in the international market. In order for the wine to be positioned correctly in the consumer market, it must meet the international norms imposed on it, organoleptic health.

One of the prominent parameters of wine health, transparency, is the research topic selected by us. White wines are more prone to protein overabundance. To achieve protein stabilization, various substances and means are widely used in winemaking. Bentotin, a substance with a clay structure, was selected by us to fulfill the goals and objectives of the research. With the help of this substance, different processing times were selected to stabilize the wine. The goal of processing was, on the

one hand, to achieve transparency and, on the other hand, to preserve the aromatic substance for the alcoholic beverage as much as possible, as well as to show the effectiveness of action on the protein substance by increasing the concentration of tannins.

**ილიკო ფოფხაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ოლანი გოცირიძე**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## სხვადასხვა დამხმარე მასალების გავლენა ღვინის ხარისხზე

ღვინის წარმოებაში პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად ხშირად გამოიყენება დამხმარე მასალები. მეღვინეობის პრაქტიკაში გამოყენებულ მასალებს და ნივთიერებებს არეგულირებს შესაბამისი რეგლამენტი, რომლის მიხედვითაც, განსაზღვრულია მათი გამოყენების ფორმები, ცალკეულ შემთხვევებში ლიმიტირებულია რაოდენობები. ღვინის ხარისხის ჩამოყალიბებაში არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმალური რეჟიმების შემუშავებას.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს მანავის მიკროზონაში მოწეული, ყურძნის ჯიშებისგან დამზადებული ღვინის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საწყისი ნედლეულის ფიზიკურ-ქიმიური მონაცემების გათვალისწინებით, შერჩევა მიზანმიმართული ტექნოლოგიური ოპერაციებისა, დადგენა ალკოჰოლური და მალო-ლაქტური ფერმენტაციების ინტენსიფიკაციის ხელშემწყობი პირობებისა.

ამ მიზნით „გიორგიწმინდას“ საწარმოში განვახორციელეთ მანავის მიკროზონაში მდებარე ვენახებიდან მიღებული კახური მწვანის ჯიშის ყურძნის გადამუშავება კლასიკური ტექნოლოგიური სქემით. ექსპერიმენტულ ნიმუშში ალკოჰოლური დუღილი წარიმართა ველური საფუარით, ხოლო საკონტროლო ნიმუშში - კულტურული საფუარით. ასევე ქვევრში დამზადდა ღვინოები საფერავის ჯიშის ყურძნიდან. ალკოჰოლური დუღილის შემდგომ ექსპერიმენტულ ნიმუშში ვაშლრძემჟავური დუღილი წარიმართა სპონტანურად, საკონტროლო ნიმუშში კი - ჩვენ მიერ შეტანილი კულტურული ბაქტერიით. საკონტროლო და ექსპერიმენტულ ღვინოებს ჩაუტარდათ ფიზიკურ-ქიმიური და ორგანოლეპტიკური ანალიზები, რომელთა შედეგები ცხადყოფს, რომ ორივე შემთხვევაში ექსპერიმენტული ღვინოების ხარისხი აღემატება საკონტროლო ღვინოების ხარისხს.

**Iliko Popkhadze**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Olani Gotsiridze**
Doctor, Associate Professor

## Effect of Different Auxiliary Materials on Wine Quality

Auxiliary materials are often used in wine production to improve product quality. The materials and substances used in the practice of winemaking are regulated by the relevant regulations, according to which the forms of their use are determined, and the quantities are limited in some cases. The development of optimal modes of technological processes is no less important in the formation of wine quality. The aim of our research was to improve the quality of wine made from grape varieties grown in the Manavi microzone (PDO), taking into account the physico-chemical data of the initial raw materials, to select targeted technological operations, to determine conditions conducive to the intensification of alcoholic and malo-lactic fermentations. For this purpose, at the Giorgitsminda enterprise, we processed the grapes of the Kakhuri Mtsvane variety obtained from the vineyards located in the Manavi microzone using the classical technological scheme. In the experimental sample, alcoholic fermentation was carried out with wild yeast, and in the main sample - with cultured yeast. Also wines in Qvevri were made from Saperavi grapes. In the experimental sample after the alcoholic fermentation, the malic-lactic acid fermentation took place spontaneously, and in the control sample - with cultured bacteria introduced by us. Control and experimental wines were subjected to physico-chemical and organoleptic analyses, the results of which revealed that in both cases the quality of experimental wines exceeds the quality of control wines.

**ლია მეგრელიშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია მირველაშვილი**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## მევენახეობა – მეღვინეობის პოტენციალის შესწავლა სამეგრელოს რეგიონში

ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობები და ვაზის ენდემურ ჯიშთა სიუხვე დიდ შესაძლებლობას იძლევა მევენახეობის ცალკეულ რეგიონებში ჯიშების გადაადგილებისა და მეღვინეობის განვითარებისათვის. ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთი გამორჩეული სამეგრელოს რეგიონია 60-მდე ადგილობრივი ჯიშით.

სამეგრელოში მევენახეობას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, რაც დასტურდება მკვლევართა და მოგზაურთა ჩანაწერებით. აქ, თითქმის ყველა სოფელში, შეიძლება ვნახოთ

ქვითკირის საწნახელის ნაშთები. არქეოლოგიური გათხრების შედეგად ვაზის სასხლავი დანებისა და საღვინე ჭურჭლის სიმრავლე დარგის ინტენსიურ განვითარებაზე მიუთითებს.

ვერტიკალური ზონალობის მიხედვით, სამეგრელოს ტერიტორიაზე გამოყოფენ მევენახეობის სამ მთავარ ზონას :

1. ზღვის სანაპირო და დაბლობი;
2. მთისპირა;
3. მაღალმთიანი;

მათ შორის, ღვინის წარმოების თვალსაზრისით, ყველაზე საინტერესო მთისპირა ზონაა. რეგიონში არსებული ჯიშებით სხვადასხვა ტექნოლოგიის მაღალხარისხიანი ღვინის დაყენებაა შესაძლებელი.

ფართოდ გავრცელებულია წითელყურძნიანი ვაზის ჯიშები - ოჯალეში, პანეში; თეთრყურძნიანებიდან - ჭვიტილური, ჩეჭიფეში,შხუჩეში და სხვა. რეგიონი ცნობილია ადგილწარმოშობის დასახელებით ,, სალხინოს ოჯალეში''.

ჩვენი კვლევის მიზანია სამეგრელოს მევენახეობა-მეღვინეობის აგროეკოლოგიური პოტენციალის შესწავლა, ადგილობრივი ჯიშების გამოკვლევა და მათგან მიღებული ღვინის ხარისხობრივი მახასიათებლის დადგენა.

**Lia Megrelishvili**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Maia Mirvelashvili**
Doctor, Associate Professor

## Exploring the Potential of Viticulture-Winemaking in the Samegrelo Region

Georgia's natural conditions and the abundance of endemic grape varieties provide a great opportunity for the movement of varieties in individual regions of viticulture and the development of winemaking. From this point of view, Samegrelo region is one of the outstanding ones with about 60 local varieties.

Viticulture occupied an important place in Samegrelo, which is confirmed by the records of researchers and travelers. Here, in almost every village, we can see the remains of a white lime press. As a result of archaeological excavations, the abundance of vine cutting knives and wine vessels indicates the intensive development of the industry.

According to the vertical zonation, three main viticulture zones are distinguished in the territory of Samegrelo:
1. Sea coast and plain;
2. mountainside;
3. highland;

Among them, the mountainside zone is the most interesting in terms of wine production potential. It is possible to make high-quality wine of different technologies with the grape varieties available in the region.

Red grape varieties like Ojaleshi, Paneshi and white grape varieties like Chvitiluri, Chechifeshi, and Shkhucheshi are widespread in Samegrelo. The region is known by the name of place of origin "Salkhino Ojaleshi".

The purpose of our research is to study the agro-ecological potential of viticulture and winemaking in Samegrelo, to examine local varieties and to determine the quality characteristics of the wine produced from them.

**მარიამ ამაღლობელი, მარიამ ავქოფაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი სამანიშვილი**
მაგისტრი, ასისტენტ-პროფესორი

## ქართლის ენდემური ჯიში ჩინური და მისი პოტენციალი ჭაჭაზე დადუღებისას

საქართველო ვაზისა და ღვინის სამშობლოა. ჩვენი ქვეყანა გამოირჩევა ვაზის ჯიშების მრავალფეროვნებით, რომელთაგანაც საუკეთესო ხარისხის ღვინო დგება. თითოეულ ჯიშს თავისი პიროვნება გააჩნია, რომელსაც ღვინის გასინჯვისას ვეცნობით.

ჩვენს ქვეყანაში გავრცელებულ ჯიშებს შორის ერთ-ერთი წამყვანი ქართლის ენდემური ჯიშია, რომელიც „ჩინურის" სახელწოდებითაა ცნობილი. მისგან დგება უმაღლესი ხარისხის როგორც თეთრი მშრალი, ისე ცქრიალა ღვინო. იმისათვის, რომ აღნიშნული ჯიშის პიროვნება ახლოს გაგვეცნო 2023 წლის სექტემბერში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დახმარებით, დავაყენეთ პირველი საექსპერიმენტო თეთრი, მშრალი ღვინო „ჩინური" და დავადგინეთ მისი პოტენციალი ჭაჭაზე დადუღებისას.

ნაშრომში განხილული იქნება აღნიშნული ჯიშის აღწერილობა, თვისებები, შესაძლებლობები, ხარისხი და პოტენციალი ჭაჭაზე დადუღებისას. ყურადღებას გავამახვილებთ სირთულეებზე, რომელთა გადალახვაც მოგვიწია მზადების პროცესში.

ჩვენ მიერ შესრულებული ნაშრომი გზამკვლევი იქნება მათთვის, ვისაც სურს აღნიშნულ ჯიშზე მუშაობა.

**Mariam Amaghlobeli, Mariam Avkopashvili**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Girogi Samanishvili**
Master, Assistant Professor

## Kartli's Endemic Variety "Chinuri" and its Potential During Fermentation on Chacha

Georgia is the homeland of vines and wine. Our country is distinguished by a variety of grape varieties, from which the best quality wine is made. Each variety has its own identity, which we

get to know while tasting the wine. Among the varieties spread in our country, one of the leading ones is the Kartli endemic variety, which is known as "Chinuri". It produces the highest quality white dry and sparkling wine. In order to get to know the distinct features of the mentioned variety, in September 2023, with the help of Caucasus International University, we prepared the first experimental white, dry wine "Chinuri" and determined its potential during fermentation on chacha. The paper will discuss the description, properties, capabilities, quality and potential of the mentioned variety when fermented on chacha. We will focus on the difficulties that we had to overcome during the preparation process. The work done by us will be a guide for those who want to work on this brand.

**მარიამ მარგველიძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ოლანი გოცირიძე**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## რაჭული წითელი ღვინოების ტექნიკური რეგლამენტები

რაჭული ღვინის სახელი, საბჭოთა კავშირის მოთხოვნების შესაბამისად, ასოცირდებოდა მხოლოდ ნახევრად ტკბილ ღვინო „ხვანჭკარასთან". რაჭის ღვინოებს გაცილებით ადრინდელი და მრავალფეროვანი ტექნოლოგიური მახასიათებლები გააჩნია. კერძოდ, რაჭული ღვინის ტექნოლოგია მოიცავს მშრალ წითელ და ვარდისფერ ღვინოებსაც, ვინაიდან, რაჭასა და იმერეთში გავრცელებული იყო, რომ ყურძნის დაწურვისას მიღებული პირველი ფრაქცია, ე.წ "ჩქეფი", იყო სწორედ ვარდისფერი. რაც ჩემთვის ყველაზე საინტერესო მიმართულება აღმოჩნდა. ალექსანდროულისა და მუჯურეთულის სრული ალკოჰოლური დუღილის შედეგად მიიღებოდა პრიმერი ტიპის მშრალი წითელი ღვინო;

ჩემი კვლევის მიზანია, აღმოვაჩინო რაჭული მშრალი წითელი ღვინის პოტენციალი, რომლისთვისაც ვმუშაობ ორ ჯიშზე - ალექსანდროულსა და მუჯურეთულზე. ექსპერიმენტში გამოყენებული იქნება წითელი ღვინის ტექნოლოგია, შემდგომ ამ ღვინოების როგორც უჟანგავი ფოლადის ცისტერნებში, ისე მუხის კასრსა და ბოთლში დავარგება; მათზე დაკვირვების შედეგად, მე მომეცემა დასკვნების გაკეთების საშუალება, თუ როგორი ტექნიკური რეგლამენტი არის უკეთესი რაჭული ყურძნის ჯიშებისგან წითელი ღვინის დაყენების დროს.

აღნიშნული ღვინოებით მსურს გავამყარო ის ფაქტი, რომ რაჭული ღვინის წარსულიც და მომავალიც მშრალი ღვინოების მიმართულებაა.

**Mariam Margvelidze**
Caucasus International University
Master
**Scientific Supervisor: Olani Gotsiridze**
Doctor, Associate Professor

## Technical Regulations of Racha Red Wines

The name of Racha wine, in accordance with the requirements of the Soviet Union, was associated only with the semi-sweet wine "Khvanchkara". Racha wines have much earlier and diverse technological characteristics. In particular, the technology of Racha wine includes dry red and Rose wines, as it was common in Racha and Imereti region, when the grapes were pressed, the first fraction (aka Chkepi) had exact rose color which turned out to be the most interesting direction for me. As a result of complete alcoholic fermentation of Alexandrouli and Mujuretuli, dry red wine of primer type was obtained; The purpose of my research is to discover the potential of Rachuli dry red wine, for which I am working on two varieties - Alexandrouli and Mujuretuli. Red wine technology will be used in the experiment, then these wines will be aged both in stainless steel cisterns and in oak barrels and bottles; As a result of observing them, I will be able to draw conclusions about what kind of technical regulation is better when making red wine from Racha grape varieties. With the mentioned wines, I would like to confirm the fact that both the past and the future of Racha wine is the direction of dry wines.

**ნინო ნატროშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი სამანიშვილი**
მაგისტრი, ასისტენტ-პროფესორი

## ვაშლ-რძემჟავა დუღილის ჩატარებისა და სულფიტირების შედეგად მიღებული შედეგების შედარება ოცხანური-საფერესა და ოჯალეშის მაგალითზე

ჩემი საკონფერენციო თემა დაფუძნებულია ჩემს სამაგისტრო კვლევაზე, რაც გულისხმობს ვაშლ-რძემჟავა დუღილის ბაქტერიით წარმართვით მიღებული ღვინისა და სულფიტირებული ღვინის შედარებას, ოცხანური-საფერესა და ოჯალეშის შემთხვევაში.

ყურძენი მოკრეფილია საგურამოს რაიონში, სოფელ ჯიღაურაში, ხოლო ღვინო დაყენებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულ მიკრო ვინიფიკაციის ლაბორატორიაში, სადაც ანალიზები რეგულარულად ტარდებოდა, რაც, შესაბამისად, ხელს უწყობდა კვლევის მუდმივ მონიტორინგს. ღვინო დადუღებულია სრულ ჭაჭაზე, დუღილის დასრულების შემდეგ მოხსნილია ჭაჭიდან და გადაღებულია. შემდეგ მოიხსნა მძიმე ლექიდან, სადაც უკვე გავყავი ღვინო და ნაწილში შევიტანე კულტურული ბაქტერია, ხოლო მეორე ნახევარში გოგირდი, რის შემდეგაც გამუდმებით ვაწარმოებდი ღვინოებისა და მასში მიმდინარე პროცესების მონიტორინგს. მიღებულ შედეგებს წარმოვადგენ კონფერენციაზე.

**Nino Natroshvili**
Caucasus International University
Bachelor
**Scientific Supervisor: Girogi Samanishvili**
Master, Assistant Professor

## Comparison of the Results of Apple-lactic Acid Fermentation and Sulfiting on the Example of Otskhanuri-Safere and Ojaleshi

My conference topic is based on my master's research, which involves the comparison of wine obtained by conducting malolactic fermentation with sulfited wine, in the case of Otskhanuri-Safere and Ojaleshi.

The grapes were harvested in the Saguramo region, in the village of Jighaura, and the wine was made in the micro-vinification laboratory on the basis of the Caucasus International University, where the analyzes were carried out regularly, which, therefore, contributed to the constant monitoring of the research. The wine was fermented on full chacha; after the fermentation finished, the wine was removed from the chacha and racked. Then it was removed from the heavy lees, where I had already divided the wine and introduced cultured bacteria into one part, and sulfur into the other part, after which I constantly monitored the wines and the processes taking place in them. I will present the obtained results at the conference.

**ნინო ფირცხალავა**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ოლანი გოცირიძე**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## ფენოლური ნაერთების რაოდენობის შედარება ბუნებრივად დაწმენდილ და დამუშავებულ ღვინოებში

ბოლო წლების სამეცნიერო ლიტერატურაში ღვინო განიხილება, როგორც ფუნქციური კვების პროდუქტი. ვიცით, რომ ღვინის დადებითი ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე სწორედ, რომ პოლიფენოლური ნაერთების არსებობით განისაზღვრება, შესაბამისად, ღვინის ხარისხის შეფასებისთვის მასში აღნიშნული ნივთიერებების კონცენტრაციას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ისინი იცავენ ცოცხალ ორგანიზმებს სხვადასხვა პათოლოგიური პროცესებისგან, ხასიათდებიან ანტიოქსიდანტური მოქმედებით. ღვინის ანტიოქსიდანტური აქტივობა პირდაპირპროპორციულად არის დამოკიდებული მასში პოლიფენოლური ნაერთების შემცველობაზე.

როდესაც საუბარია ფენოლური ნაერთების რაოდენობაზე, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ღვინის დაყენების ტექნოლოგიას. ქვევრში ტრადიციული მეთოდით დაყენებული კახური და იმერული ტიპის ქარვისფერ და წითელ ღვინოებში ფენოლები გაცილებით მაღალი შემცველობით გვხვდება. ფენოლური ნაერთები დიდ გავლენას ახდენენ ღვინის ფერზე, გემოზე, სტაბილურობასა თუ ბუკეტზე.

ზემოაღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, ჩემი კვლევის საგანს წარმოადგენს ბუნებრივად დაწმენდილ და დამუშავებულ ღვინოებში ფენოლური ნაერთების შემცველობის ერთმანეთთან შედარება. წითელი ღვინოებიდან საკვლევ ნიმუშად აღებულია 2023 წლის თავკვერი, ხოლო თეთრი ღვინოებიდან - იმავე წლის რქაწითელი. კვლევის პროცესში ალკოჰოლური დუღილისას ყურძნის მაგარი ნაწილებიდან ფენოლური ნაერთები ტრანსფორმირდნენ მოდუღარ არეში და შემდეგ ლოკალიზირდნენ ღვინომასალაში.

აღნიშნული კვლევა ცხადყოფს, რომ ღვინომასალაში არსებული ფენოლური ნაერთების ოდენობა გაცილებით აღემატება დამუშავებულ, უკვე დასრულებულ პროდუქციაში განსაზღვრული ფენოლური ნაერთების ოდენობას.

**Nino Pirtskhalava**
Caucasus International University
Master
**Scientific Supervisor: Olani Gotsiridze**
Doctor, Associate Professor

### Comparison of the Amount of Phenolic Compounds in Naturally Purified and Treated Wines

In the scientific literature of recent years, wine is considered a functional food product. We know that the presence of polyphenolic compounds determines the positive effect of wine on human health, therefore, the concentration of these substances in it is significant for evaluating the quality of wine. They protect living organisms from various pathological processes and are characterized by antioxidant action. The antioxidant activity of wine is directly proportional to the content of polyphenolic compounds in it. When it comes to the amount of phenolic compounds, the winemaking technology is very important. Phenols are found in a much higher content in the amber and red wines of Kakhetian and Imeretian types put in Kvevri according to the traditional method. Phenolic compounds have a great influence on the color, taste, stability and bouquet of wine. Based on the above-mentioned factors, the subject of my research is a comparison of the content of phenolic compounds in naturally purified and processed wines. Thavkveri of 2023 was taken as a research sample from red wines, and Rkatsiteli of the same year from white wines. During the research process, during alcoholic fermentation, phenolic compounds from the solid parts of the grapes were transformed in the fermentation area and then localized in the wine material. This study reveals that the amount of phenolic compounds present in the wine material is much higher than the amount of phenolic compounds found in the processed, already-finished products.

**ნინო აბლოთია**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირმა მდინარაძე**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## ვაზის ქართული ჯიშების - ორბელურისა და ოჯალეშის ამპელოგრაფიული და ენოლოგიური შესწავლა

დასავლეთ საქართველო მევენახეობის ზონებისა და ავტოქტონური ვაზის ჯიშების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. არსებული სამეცნიერო ლიტერატურის (კეცხოველი ნ., რამიშვილი მ, ტაბიძე დ., 1960) თანახმად 525 ადგილობრივი ჯიშიდან 354 (67%) - დასავლეთ საქართველოს რეგიონებშია წარმოდგენილი. აღნიშნული კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ვაზის ჯიშები:

1. ორბელური, (რომელიც ასევე ცნობილია სახელწოდებებით ორბელური ოჯალეში, ლეჩხუმის ოჯალეში);
2. ოჯალეში.

უნდა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, სახელწოდებიდან გამომდინარე, ამ ორი ჯიშის ერთმანეთში აღრევა ხდება, რის გამოც ადგილობრივი მევენახე-მეღვინეები ორბელურს მოიხსენიებენ ოჯალეშის სახელწოდებით. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ ორივე ჯიში ევროპის საერთაშორისო Vitis მონაცემთა ბაზაში (VIVC), ზოგიერთი მკვლევრის (Troshin L.P., Radchevski P.P.) თანახმად, წარმოდგენილია, როგორც ფრანგული ვაზის ჯიშის მერლოს სინონიმი.

გამომდინარე აქედან, ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს შემდეგი ვაზის ჯიშები: ორბელური, ოჯალეში და მერლო - შევისწავლოთ მათი ფენოტიპური განსხვავებულობის დასადასტურებლად. ჯიშები შევისწავლეთ ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) დესკრიპტორების თანახმად, ხოლო ექსპერიმენტული ღვინოები დამზადებულ იქნა კლასიკური ტექნოლოგიის სქემის გამოყენებით, შემდგომ მათი ენოლოგიური მახასიათებლების შეფასების მიზნით.

**Nino Ablotia**
Caucasus International University
Master
**Scientific Supervisor: Irma Mdinaradze**
Doctor, Associate Professor

## Ampelographic and Oenological Study of Georgian Grape Varieties – “Orbeluri” and “Ojaleshi”

Western Georgia is distinguished by the broad diversity of viticulture zones and autochthonous grape varieties. According to the existing scientific literature (N. Ketskhoveli, M. Ramishvili, D. Tabidze. 1960), 354 (67%) varieties among of 525 varieties are present in the regions of West

Georgia. Within the framework of this research, the grape varieties from Western Georgia were studied: 1. Orbeluri, which is also known by the names - Orbeluri Ojaleshi, Lechkhumi Ojaleshi and 2. Ojaleshi. It should be noted that in many cases these two varieties are confused and local growers and winemakers refer to Orbeluri by the name of Ojaleshi. Also, it should be noted that those two varieties in the Vitis database (VIVC) according to some researchers (Troshin L.P., Radchevski P.P.) are represented as a synonym of the French grape variety Merlot. Therefore, the aim of our research was to study the mentioned grape varieties: Orbeluri, Ojalesshi and Merlot to confirm their phenotypic differences. Varieties were studied according to the descriptors of the International Organization of Vine and Wine (OIV) and the experimental wines were produced using the scheme of classical technology in order to further evaluate their oenological characteristics.

**Tamar Maghradze**
The University of Milan
Doctor
**Scientific Supervisor: Ileana Vigentini**
Docto, Professor

### Management for Energy Saving During Alcoholic and Malolactic Fermentations

The relationship between sustainability and climate change has been leading winemakers to more conscious measurements in cellar, such as energy consumption. Regarding the fermentation process, energy-saving solutions have been recently considered. In particular, the exploitation of yeasts and malolactic bacteria selected to maintain a balance between fermentation yield and wine quality by increasing the standard working temperature of 2-4°C [Galitsky et al., 2005]. About 90% of electricity used by wineries is consumed by the refrigeration system - fermentation control, cold stabilization and cold storage [Malvoni et al., 2017]. Specifically, few studies addressed the quantification of required heat dissipation during alcoholic fermentation (AF) of sparkling base wines, showing that coupling innovative thermal protocols with rationally chosen yeast strains [Schwinn et al., 2019; Giovenzana et al., 2023] could lead to an energy saving of ~70% (increasing T° of 3-4°C during the fermentation process) [Escalona, 2022]. Concerning energy savings and malolactic fermentation (MLF) no studies are available in literature. It is widely accepted that co-inoculation strategies [Capozzi et al., 2019] can significantly reduce the necessity to heat tanks [Giovenzana et al., 2016].

**თამარ კაპანაძე**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლონდა მამასახლისაშვილი**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## ინტროდუცირებული ვაზის ჯიშების ამპელოგრაფიული აღწერა და სამეურნეო მაჩვენებლების შესწავლა

მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულებით საქართველო გახლავთ მნიშვნელოვანი ქვეყავანა, არა მხოლოდ იმის გამო, რომ ამ ქვეყანას გააჩნია 8000 წლიანი უწყვეტი ისტორია ღვინის დაყენებისა, არამედ იმ მიმართულებითაც, რომ აქ გვხვდება უამრავი აბორიგენული ვაზის ჯიში. ეს ყოველივე ცხადყოფს, რომ საქართველო ნამდვილად გახლავთ ვაზისა და ღვინის სამშობლო. საქართველოში არსებულ აბორიგენულ ვაზის ჯიშებთან ერთად გვხვდება უცხოეთიდან შემოტანილი არაერთი ჯიში, რომლებიც საკმაოდ კარგად ადაპტირდნენ ქართული მიწაზე. ეს ჯიშები გამოირჩევიან არა მხოლოდ ნაყოფიერებით, არამედ ხარისხიანი ღვინითაც. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ვაზებისათვის ქართული მიწა საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა.

მოცემულ პრეზენტაციაში ვისაუბრებ ინტროდუცირებული ვაზის ჯიშების, ამ შემთხვევაში, შარდონეს, რქაწითლის, ოტონელის მუსკატისა და რისლინგის ამპელოგრაფიულ აღწერაზე და მათ ბიოლოგიურ სამეურნეო მახასიათებლებზე. ნაშრომზე კვლევა მიმდინარეობდა ვაზისა და ღვინის თანამედროვე ორგანიზაციის OIV-ის დესკრიპტორების მიხედვით.

მოგეხსენებათ, საბჭოთა პოლიტიკიდან გამომდინარე, რომელიც ორიენტირებული იყო რაოდენობაზე და არა ხარისხზე, ვაზის ამპელოგრაფიული შესწავლა ბოლო პერიოდში უფრო აქტუალური გახდა. აქედან გამომდინარე, პრეზენტაცია ემსახურება ზემოთ ხსენებული ვაზის ჯიშების შესწავლას, რათა გამოვლინდეს მათთვის დამახასიათებელი ჯიშური თავისებურებები. ნაშრომზე კვლევა მიმდინარეობდა ჯიღაურას საკვლევ ბაზაზე გაშენებულ ვაზის ჯიშებზე.

**Tamar Kapanadze**
Caucasus International University
Master
**Scientific Supervisor: Londa Mamasakhlisashvili**
Doctor, Associate Professor

## Ampelographic Description of Introduced Grape Varieties and Study of Agricultural Indicators

In terms of viticulture and winemaking, Georgia is an important country, not only because this country has an 8000-year continuous history of winemaking, but also because there are many indigenous grape varieties. All this shows that Georgia is really the homeland of vines and wine. In

Georgia, along with many indigenous grape varieties, there are many varieties imported from abroad, which have adapted quite well to the Georgian soil. These varieties are distinguished not only by their fertility, but also by their quality wine. It can be safely said that the Georgian soil turned out to be quite fertile for these vines. In this presentation, I will talk about the ampelographic description of introduced grape varieties, in this case Chardonnay, Rkatsiteli, Ottonel Muscat and Riesling, and their biological and economic characteristics. The research was conducted according to the OIV descriptors of the Modern Organization of Vine and Wine. As you know, due to the Soviet policy, which was focused on quantity and not quality, the ampelographic study of vines has only recently become more relevant. Therefore, the presentation is devoted to the study of the above-mentioned grape varieties in order to reveal their specific varietal characteristics. Research on the paper was carried out on the vine varieties grown at the Jighaura research base.

**ბექა სამყურაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლონდა მამასახლისაშვილი**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## იშვიათი აფხაზური ვაზის ჯიშების ამპელოგრაფიული და ფენოლოგიური შესწავლა

ვაზის ადგილობრივი ჯიშები, როგორც ქართული აგრონომიული მემკვიდრეობის სიმდიდრე, წარმოდგენილია საღვინე ჯიშების დომინირებით, რომლებიც სასუფრე დანიშნულების ჯიშებთან ერთად, ოდითგანვე იწვევდა დიდ ინტერესს ამ დარგში. მიუხედავად იმისა, რომ ვაზის ქართული ჯიშების გარკვეული რაოდენობა შესწავლილი იყო გასულ საუკუნეში, ამპელოგრაფიული, ფენოლოგიური და ა.შ. მიმართულებით, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, დარგის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, ყველა ჯიში სრულად არ არის შესწავლილი. ამდენად, აუცილებელი ხდება იშვიათი ვაზის ჯიშების, როგორც ცოცხალ გენთა ნაკრების დაცვა და შესწავლა, მათი პოპულარიზაციის მიზნით. მევენახეობის მდგრადი განვითარება მოითხოვს ჯიშის პოტენციალის ცოდნას. ფენოტიპური ნიშნების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ისინი განაპირობებენ ვაზის უმეტეს ტექნოლოგიურ და სასელექციო ღირებულების ნიშნებს: ვაზის ზრდის სიძლიერეს, მარცვლისა და მტევნის მასას, შაქრიანობას და მჟავიანობას, მარცვლის სიმკვრივეს, წვნიანობას და ა.შ.

ჯიღაურას ექსპერიმენტულ ბაზაზე იშვიათი აფხაზური წითელყურძნიანი საღვინე ჯიშების აჟაპშისა და ლაკოიაჟის კომპლექსური, ამპელოგრაფიული, ფენოლოგიური და სხვათა მიხედვით გამოკვლევა, ჯიშების შესახებ ინფორმაციის სრულყოფა შესაძლებელს გახდის მათი პრაქტიკული და თეორიული მიზნებით რეალიზებას, ჯიშის შეჯვარებებში საწყის მასალად გამოყენების მიზნობრიობას, მათი გამრავლების შესაძლებლობას ზღვის დონიდან სიმაღლის გათვალისწინებით და სხვა.

**Beka Samkurashvili**
Caucasus International University
Master
**Scientific Supervisor: Londa Mamasakhlisashvili**
Doctor, Associate Professor

## Ampelographic and Phenological Study of Rare Abkhazian Grape Varieties

Local varieties of grapes, as the wealth of Georgian agronomic heritage, are represented by the dominance of wine varieties, which, together with table varieties of grapes, have caused great interest in this field since time immemorial. Although a certain number of Georgian grape varieties were studied in the last century in ampelographic, phenological and other direction, in accordance with the modern requirements of the field, due to the priority of the field, not all varieties have been fully studied. Thus, it becomes necessary to protect and use rare grape varieties as a living gene pool in order to popularize them. Sustainable development of viticulture requires knowledge of the potential of the variety. The study of phenotypic traits is of great importance because they determine most of the technological and selection value traits of vines: vines growth strength, grain and cluster mass, sugar content and acidity, grain density, juiciness, etc.

Complex, ampelographic, phenological and other research of rare Abkhazian red-grape wine varieties Azhapsh and Lacoyage at the Jighaura experimental base, perfecting the information about the varieties will make it possible to realize them with practical and theoretical goals, the purpose of using the variety as starting material in crossing, the possibility of their reproduction taking into account the altitude above sea level, etc.

**თამარ ყველაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარიამ ხოსიტაშვილი**
დოქტორი, პროფესორი

## ამინომჟავების გავლენა ყურძნის ტკბილის ალკოჰოლურ დუღილზე

საქართველოს ღვინის დაყენების დიდი ისტორია აქვს, რომელიც ჯერ კიდევ 8000 წლის წინ დაიწყო. საქართველოში სხვადასხვა ვაზის ჯიშიდან აყენებენ სხვადასხვა ტექნოლოგიის ღვინოებს. ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ღვინის დაყენების ორ მეთოდზე: პირველი - ტრადიციული ანუ კახური მეთოდი, რომლის მიხედვითაც დაჭყლეტილი ტკბილის დუღილი მიმდინარეობს ქვევრში, მტევნის შემადგენელ მაგარ ნაწილებთან ერთად და მეორე - ევროპული მეთოდი, როდესაც ალკოჰოლური დუღილი მიმდინარეობს ყურძის მაგარი ნაწილების გარეშე.

ალკოჰოლური დუღილი არის შაქრის გარდაქმნა ძირითადად ეთანოლად და ნახშირორჟანგად. დუღილი ერთ-ერთი პროცესთაგანია, რომელიც ღვინის სტილსა და ხარისხზე მოქმედებს. ალკოჰოლურ დუღილს, საფუვრები აწარმოებენ და ამისათვის ხელსაყრელი გარემო პირობები სჭირდებათ. საფუვრების განვითარების წინაპირობა არის ხელმისაწვდომი ნახშირწყალბადის წყარო, როგორიცაა გლუკოზა, ფრუქტოზა ან საქაროზა და საკმარისი აზოტოვანი საკვები.

კვლევის მიზანს წარმოადგენს აზოტოვანი ნივთიერებები - ამინომჟავები. კერძოდ, ამინომჟავების გავლენა ტკბილის ალკოჰოლურ დუღილზე და ღვინის შემადგენელ არომატულ კომპონენტებზე. საინტერესოა, ტკბილში ამინომჟავების შეტანა შეცვლის თუ არა უმაღლესი სპირტების, აცეტ-ალდეჰიდების და საშუალო ეთერების რაოდენობას.

**Tamar Kvelashvili**
Caucasus International University
Master
**Scientific Supervisor: Mariam Khositashvili**
Doctor, Professor

## Effect of Amino Acids on Alcoholic Fermentation of Grape Must

Georgia has a long history of wine making, which started 8000 years ago. Wines of different technologies are produced in Georgia from different grape varieties. We focused on two methods of making wine: the first - the traditional or Kakhuri method, according to which the crushed sweet is fermented in a pitcher with the solid parts of the bunch, and the second - the European method, when the alcoholic fermentation takes place without the solid parts of the grapes.

Alcoholic fermentation is the conversion of sugars into mainly ethanol and carbon dioxide. Fermentation is one of the processes affecting the style and quality of wine. Alcoholic fermentation is carried out by yeasts and for this they need favorable environmental conditions. A prerequisite for the development of yeasts is an available carbohydrate source such as glucose, fructose or sucrose and sufficient nitrogenous nutrients.

The purpose of the research is nitrogenous substances, amino acids. In particular, the influence of amino acids on the alcoholic fermentation of must and on the aromatic components of wine. It is interesting whether adding amino acids to the must will change the amount of higher alcohols, acetaldehydes and middle ethers.

**ანა ცეცხლაძე**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია კიკვაძე**
დოქტორი, მოწვეული ლექტორი

## ვაზის სელექცია საქართველოში და ვაზის ქართული ჯიშები სელექციურ პროგრამებში

საქართველოს ტერიტორიაზე ვაზის სელექციის სხვადასხვა მეთოდის შედეგად ქვეყანაში წარმოდგენილია მდიდარი და მრავალფეროვანი მემკვიდრეობა, ქართული ვაზის 525-დან 607-მდე ჯიში (სხვადასხვა წყაროების მიხედვით). თანამედროვე ინტენსიური მიწათმოქმედებისთვის აუცილებელი გახდა დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ, აგრეთვე გვალვის, მაღალი ტემპერატურის, ყინვის და სხვა არახელსაყრელი ფაქტორებისადმი გამძლე ჯიშების მიღება. ჯიშები, რომლებიც აღნიშნულ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ, იქმნება საწყისი მასალის ზედმიწევნით შესწავლითა და მათი გენების კომბინაციების გამოვლენით.

XX საუკუნეში ქართული ჯიშების სელექციაში გამოყენება დაიწყეს არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთშიც. წინამდებარე ნაშრომში განხილულია ქართველი სელექციონერების კვლევები, რის შედეგადაც გაფართოვდა ვაზის ქართული ჯიშების და საძირეების ასორტიმენტი, ტრადიციული თუ კლონური სელექციის გზით. მათ მიერ დამუშავებულ სელექციურ პროგრამებში გამოყენებული იქნა როგორც ადგილობრივი, ასევე მსოფლიო გენოფონდის გამორჩეული ჯიშები. ქართული ჯიშების გამოყენებით უცხოეთშიც შეიქმნა ათეული ახალი ჯიში. მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, აღსანიშნავია, რომ ქართული გენოფონდი მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი სელექციურ პროგრამებში და ჯერ კიდევ ასათვისებელია ქართული ვაზის გენეტიკურ რესურსებში თავმოყრილი სასარგებლო გენთა თვისებები.

**Ana Tsetskhladze**
Georgian Technical University
Bachelor
**Scientific Supervisor: Maia Kikvadze**
Doctor, Visiting Lecturer

## Grapevine Selection in Georgia and Georgian Grape Varieties in Selection programs

As a result of various methods of vine selection in the territory of Georgia, the country has a rich and varied heritage, from 525 to 607 varieties of Georgian vines (according to various sources). For modern intensive agriculture, it has become necessary to obtain varieties resistant to diseases and pests, as well as to drought, high temperature, frost and other adverse factors. Varieties that meet these requirements are created by carefully examining the starting material and identifying their gene combinations.

In the 20th century, Georgian varieties were used in selection not only in Georgia, but also abroad. The present paper discusses the studies of Georgian scientists, as a result of which the assortment of Georgian grapevine varieties and rootstocks was expanded, through traditional or clonal selection. Furthermore, in the selection programs developed by them, interesting varieties of both local and world grapevine gene pool were used. Georgian varieties have also become the primary source of some new varieties abroad. Despite the success, Georgian grapevine gene pool is represented in small quantities in selection programs and the features of useful genes collected in the genetic resources of Georgian grapevine are still in to be used to the full.

**ხატია არაბული**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბაკალავრიატი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია კიკვაძე**
დოქტორი, მოწვეული ლექტორი

## ჭრაქის მიმართ გამძლეობის სკრინინგი ვაზის ქართულ ჯიშებსა და ველურ ფორმებში

ქვეყნის ეკონომიკის განვითარება დიდად არის დამოკიდებული ყურძნის მოსავლიანობასა და ღვინის ხარისხზე, თუმცა ვაზის სოკოვანი დაავადებები აფერხებს მოსავლის ხარისხსა და რაოდენობას. ვაზის ჭრაქის საწინააღმდეგოდ ძირითადად გამოყენებულია ბრძოლის ქიმიური მეთოდი. ბრძოლის მეორე გზად რეზისტენტული ჯიშების გამოყვანა არის მიჩნეული. ახალი რეზისტენტული გენების იდენტიფიკაცია აუცილებელია ვაზის ჭრაქის (Plasmopara viticola) მიმართ მდგრადი ჯიშების მისაღებად, რომელთა გაშენებაც შესაძლებელი იქნება მსოფლიოში მაღალხარისხიანი ყურძნის ღვინის საწარმოებლად.

დღევანდელი მევენახეობის ყველაზე პრესპექტიულ მიმართულებად მიჩნეულია გამძლე და ტოლერანტული გენოტიპების ძიება V. vinifera სახეობის შიგნით - ჯიშებსა და ველურ ვაზში (V.vinifera ssp. Sylvestris Gmel.) - რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნენ პირდაპირი კულტივირებისათვის, ან, როგორც სასელექციო - საწყისი მასალა ახალი რეზისტენტული ჯიშების შესაქმნელად. წინამდებარე ნაშრომი მიმოიხილავს საქართველოსა და უცხოეთში მიმდინარე კვლევებს ვაზის ქართული ჯიშებსა და ველურ ფორმებში ჭრაქის მიმართ გამძლეობაზე, რომელიც შესრულდა OIV452-1 დესკრიპტორის მიხედვით. ჯიშ მგალობლიშვილში (Vitis vinifera) აღმოჩნდა ჭრაქის მიმართ რეზისტენტული გენები. რეზისტენტული ასეთი წყაროების გამოყენება საუკეთესო საშუალებაა დაავადების მართვისთვის, ქიმიკატების გამოყენების შემცირებისათვის და P. viticola–სგან ეფექტური დაცვის მისაღწევად ეკოლოგიურად სუფთა გზით.

**Khatia Arabuli**
Georgian Technical University
Bachelor
**Scientific Supervisor: Maia Kikvadze**
Doctor, Visiting Lecturer

## Screening of Cultivated and Wild forms of Georgian Vine for Resistance to Downy Mildew

The development of the country's economy is highly dependent on the yield of grapes and the quality of wine; however, grapevine fungal diseases hold back the quality and quantity of the harvest. The main method applied against grapevine downy mildew is chemical treatment. Breeding of new resistant varieties is considered to be the second way of struggle. The identification of new resistance genes is crucial to obtain varieties resistant to grapevine downy mildew (Plasmopara viticola), which then can be cultivated worldwide for high-quality grape and wine production.

Nowadays, the most promising direction is searching for resistant and tolerant genotypes within V. vinifera species – varieties and wild grapevine (V. vinifera ssp. sylvestris Gmel.), which can be used for direct cultivation or as material for new resistant varieties. The present paper reviews the ongoing research carried out in Georgia and abroad on the resistance to downy mildew in Georgian grapevine varieties and wild grapevine; the research was performed according to the OIV 452-1 descriptor. Downy mildew resistant genes were found in the Georgian autochthonous variety Mgaloblishvili (Vitis vinifera). Implementing such resistant sources is the best way to manage disease in an environmentally friendly way, to reduce the use of chemicals and achieve more effective protection against P. viticola,

**თეონა კაციაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ოლანი გოცირიძე**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## ტრადიციული მოტივტივე ქუდით და ყოველდღიური ჩაზელის მეთოდის შედარება ჩაძირული ქუდით მაცერაციის მეთოდთან საფერავის ჯიშის დურდოზე

ყურძნის წვენის დადუღება ღვინის დაყენების ძირითადი ტექნოლოგიური პროცესია, ანუ ყურძნის წვენი რომ ღვინოდ იქცეს, მან აუცილებლად ალკოჰოლური დუღილის პროცესი უნდა გაიაროს. ერთ-ერთ აქტუალურ თემას წარმოადგენს „ჩაძირული ქუდით ფერმენტაცია“ ქვევრში, ხოლო მეორე არის მოტივტივე ქუდით ფერმენტაცია, რომელიც არის ტრადიციული ქართული მეთოდი. ალკოჰოლური დუღილის დაწყებისას ან დაწყებამდე, როდესაც უკვე შესაძლებელი გახდება ჭაჭის ჩარევის დაწყება, ახლად ჩარეულ ქვევრში, ჭაჭაზე 2-3

სანტიმეტრის სისქეზე გააფენენ ე.წ. „ჩადს“. ჩვენ კვლევაში გამოვიყენეთ ახალი დანადგარი, რომელიც დამზადებულია უჟანგავი ფოლადისგან და გამოვიყენეთ ჭაჭის ჩასაძირად, ხოლო მოტივტივე ქუდით ფერმენტაციის შემთხვევაში ყოველდღიურად ხდება ჩაზელა ყურძნის მყარი ნაწილების და სითხის გაერთგვაროვნების მიზნით. ჩაძირულ ჭაჭას აღარ აქვს ქვევრის ზედაპირზე ამოტივტივების საშუალება, ყურძნის მყარი ნაწილები, კერძოდ, დურდო რჩება ჩაძირული და აღარ მოითხოვს ჩარევის აუცილებლობას, ხოლო ტკბილი ზემოდან მოექცევა.

ჩვენი მიზანია დავინახოთ განსხვავება თუ მსაგვსება ამ ორ სხვადასხვა მაცერაციას შორის. ალკოჰოლური დუღილის დასრულების შემდეგ განსაზღვრეთ ორივე ნიმუშის სრული ანალიზი, შემდეგ საერთო ფენოლების, ასევე ფერის ანალიზი. საინტერესოა შესადარებელი ანალიზების გაკეთება მაისს-ივნისში, რათა დავინახოთ როგორც ორგანულეპტიკურად, ასევე ქიმიურად რა განსხვავებას მოგვცემს ეს ორი ერთმანეთისგან განსხვავებული მეთოდით დამზადებული ღვინოები.


**Teona Katsiashvili**
Caucasus International University
Master
**Scientific Supervisor: Olani Gotsiridze**
Doctor, Associate Professor


## Comparison of the Traditional Floating Cap and Daily Punching down Method with the Submerged Cap Maceration Method on Saperavi Variety Must.


Fermentation of grape juice is the main technological process of making wine, that is, in order for grape juice to become wine, it must go through the process of alcoholic fermentation. One of the current topics is "submerged cap fermentation" in Qvevri, and the other is floating cap fermentation, which is a traditional Georgian method. We used a new vessel made of stainless steel and used it to sink the must.  And in the case of fermentation with a floating cap, stirring is done daily in order to homogenize the solid parts of the grapes and the liquid. Our goal is to see the difference or complementarity between these two different macerations. After the alcoholic fermentation is complete, we determined the complete analysis of both samples, then the total phenols, as well as the color analysis. It is interesting to make comparative analyzes in May-June, because we can see both organoleptically and chemically what difference these two wines produced by different methods will give us.

**ბექა ოთიაშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ოლანი გოცირიძე**
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

## კახეთის რეგიონში მოწეული, მუსკატ პეტიტ გრანის, ღვინის ტექნოლოგიური განსაზღვრა

კახეთი ქართული მევენახეობის მთავარ რეგიონს წარმოადგენს. მისი აგროეკოლოგიური მახასიათებლები იძლევა შესაძლებლობას იწარმოოს როგორც ადგილობრივი, ისე ინტროდუცირებული ვაზის ჯიშები. ჩვენი კვლევა შეეხება, კახეთის რეგიონში მოწეული მუსკატი პეტიტ გრანის ღვინის სხვადასხვა ტექნოლოგიურ ანალიზს. საქართველოში, როგორც სხვა პოპულარული ინტროდუქცირებული ვაზის ჯიშები, მუსკატური ჯიშებიც უფრო და უფრო პოპულარული და მოთხოვნადი გახდა, რის საფუძველზეც გადავწყვიტეთ, ინფორმაციული ბაზის შექმნა კონკრეტული ინტროდუქცირებული ვაზის შესახებ. მუსკატური ჯიშები გამოირჩევიან სასიამოვნო არომატით და გემოთი, რომლის ძირითადი კომპონენტები თავმოყრილია ყურძნის კანში, რომლებიც კრეფის სწორი დროის შერჩევის შემთხვევაში, მაქსიმალურად გადადიან ყურძნის ტკბილსა და ღვინოში. კვლევაში აღწერილი და დახასიათებულია კახეთში, კერძოდ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ კაკაბეთში, მოწეული მუსკატი პეტიტ გრანის სამეურნეო თვისებები, მისგან დამზადებული ქვევრის, კლასიკური, შემაგრებული და ცქრიალა ღვინოების ენოლოგიური და ენოქიმური პოტენციალის შეფასებას.

ყურძნის ტკბილის მახასიათებლების განსაზღვრამ შესაძლებლობა მოგვცა მისგან გვეწარმოებინა სხვადასხვა ტექნოლოგიისა და კატეგორიის ღვინოები, რომელთა ფონზე გამოიკვეთა, რომ დურდოსთან დაყოვნების პერიოდი პირდაპირ პროპორციულად შეესაბამება არომატული ნივთიერებების გადასვლას ღვინოში, საინტერესოა ქვევრის ტექნოლოგიაც, რომელიც ყველა ტიპის ღვინისგან განსხვავებით, გამოირჩევა უფრო მეტი არომატულობით. ამასთან შედარებით, დაბალი ხარისხის ღვინო მივიღეთ კლასიკური ტექნოლოგიით დამზადების შედეგად.

**Beka Otiashvili**
Caucasus International University
Master
**Scientific Supervisor: Olani Gotsiridze**
Doctor, Assistant Professor

## Technological Determination of Muscat Petit Gran Ripened in the Kakheti Region

Kakheti is the main region of viticulture, its agro-ecological characteristics provide the opportunity to produce both local and introduced grape varieties. Our research will concern different technological analyses of Muscat Petit Gran wine ripened in the Kakheti region. In Georgia, Muscat

varieties, like other popular introduced grape varieties, have become more and more popular and in demand, on this basis we decided to create an information base about specific introduced vines. Muscat varieties are distinguished by a pleasant aroma and taste, the main components of which are concentrated in the skin of the grapes, which, if the right time of picking is selected, are transferred to the must and wine of the grapes as much as possible. The research describes and characterizes the economic properties of muscat petit gran ripened in Kakheti, in particular, Sagarejo municipality, Kakabeti village, and evaluates the oenological and enochemical potential of kvevri, classic, fortified and sparkling wines made from it.

Determining the characteristics of grape sweetness gave us an opportunity to produce wines of different technologies and categories from it, against the background of which it was revealed that the period of delay with must is directly proportional to the transfer of aromatic substances into the wine. The kvevri technology is also interesting, which, unlike all types of wine, is more aromatic. Compared to this, we got a low- quality wine as a result of making it with classic technology.

**ხატია ცხელიშვილი**
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მაგისტრატურა
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: შენგელი კიკილაშვილი**
დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

## ტემპრანილიოს ინტროდუცირების პოტენციალის კვლევა საქართველოში

ვაზის ჯიშთა ინტროდუქციას ხანგძლივი ისტორია აქვს. ინტროდუქცია განიმარტება, როგორც ამა თუ იმ რეგიონში ახალი მცენარეებისა და ცხოველების შეტანა, ასეთ ორგანიზმებს კი ინტროდუცენტები ეწოდებათ. ზოგიერთი მათგანი გაშენებულია მრავალ ქვეყანაში „საერთაშორისო ჯიშების“ სახელწოდებით. საქართველოს მაგალითზე უნდა აღინიშნოს ფრანგული ჯიშები: ალიგოტე და კაბერნე სოვინიონი, რომელთაც გარკვეული პოპულარობა მოიპოვეს ქართველ მევენახეთა შორის. აღსანიშნავია, რომ ქართულ კოლექციებში შევხვდებით რამდენიმე „საერთაშორისო ჯიშს“, რომლებიც დღემდე არ არის შესწავლილი ჩვენი ქვეყნის პირობებში, ასეთ ვაზის ჯიშს წარმოადგენს ტემპრანილიო.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრისა და ღვინის კომპანია შუმის კოლექციებში დაცული ესპანური ვაზის ჯიში ტემპრანილიო. კვლევა მიმდინარეობა 2023-2024 წელს და საკონტროლოდ გამოყენებული იქნა ავტოქტონური ჯიში შავკაპიტო. ჯიში შევისწავლეთ კარპოლოგიური, ენოლოგიური და ბიოქიმიური მახასიათებლების მიხედვით.

კვლევის შედეგად გამოიკეთა პირველადი მონაცემები, რომელთა მიხედვითაც ტემპრალინიო საქართველოს პირობებში საშუალოდ 23% შაქარს, ხოლო 6 გ/ლ საერთო მჟავიანობას აგროვებს, რაც იძლევა შესაძლებლობას დამზადეს წითელი კლასიკური ღვინო, რომლის ქიმიური პარამეტრები სრულად შეესაბამება ამ ტიპის ღვინის მახასიათებლებს. ამასთან, ჯიში ინარჩულებს იმ ორგანოლეპტიკურ მახასიათებლებს, რომლებიც მისთვის არის დამახასიათებელი.

**Khatia Tskhelishvili**
Caucasus International University
Master
**Scientific Supervisor: Shengeli Kikilashvili**
Doctor, Assistant Professor

## Research on the Potential of Tempranillo Introduction in Georgia

The introduction of grape varieties has a long history. Introduction is defined as the introduction of new plants and animals into a particular region and such organisms are called introducers. Some of them are cultivated in many countries under the name of "International varieties". On the examples of Georgia, we should mention the French varieties: Aligote and Cabernet Sauvignon, which have gained some popularity among Georgian winegrowers. It should be noted that in the Georgian collections we will meet several "International varieties", which have not been studied under the conditions of our country, Tempranillo is. such a grape variety.

Within the framework of the research, the Spanish grape variety Tempranillo preserved in the collections of the Agricultural Scientific Research Center and the Shumi wine company was studied. The research was conducted in 2023-2024 and the autochthonous variety Shavkapito was used as control. The variety was studied according to carpological, oenological and biochemical characteristics. As a result of the research, primary data were obtained, according to which Tempranillo collects as average of 23% sugar and 6 g/l of total acidity in Georgian conditions, which gives the opportunity of make a classic red wine, whose chemical parameters fully correspond to the characteristics of this type of wine. At the same time, the variety maintains the organoleptic characteristics that are characteristic of it.

# სექცია
# SECTION
## მომავალი სტუდენტები
## PROSPECTIVE STUDENTS

**ია ეპიტაშვილი**
გარდაბნის მუნიციპალიტეტის N1 საჯარო სკოლა
მე-11 კლასი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ჩინაშვილი**
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

## გარემოსდაცვითი პრაქტიკების გამოყენება არაფორმალურ განათლებაში- როგორც პროფესიაში

პრეზენტაციაში ვისაუბრებ არაფორმალური განათლების და ახალგაზრდული მუშაკის პროფესიის მნიშვნელობაზე ადამიანის წარმატებულ პიროვნებად ჩამოყალიბებაში, რომელსაც ექნება სხვადასხვა გამჭოლი კომპეტენცია, რაც დაეხმარება გაუმკლავდეს ცხოვრებისეულ პრობლემებს. ასევე, ყურადღებას გავამახვილებ გარემოსდაცვის - ჩვენი სახლის - დედამიწის დაცვის მნიშვნელობაზე, როგორც კაცობრიობის უდიდეს გამოწვევაზე. გარემოსდაცვითი პრაქტიკების გამოყენებაზე ყველა სფეროში, მით უმეტეს, - განათლებაში; არ აქვს მნიშვნელობა, იქნება ეს ფორმალური თუ არაფორმალური; ახალგაზრდებთან, რომლებიც არიან ინტელექტუალური, ემეცნებითი თუ ერუდიციული განვითარების დაბალ საფეხურზე, აუცილებელია მათზე დავწეროთ - სწორი და თანამედროვე გამოწვევების შესახებ აქამდე არსებულთან ერთად იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ მეტად დიდი და რთული პრობლემები მომავალში.

**Ia Epitashvili**
Gardabani Municipality N1 Public School
XI Grade
**Scientific Supervisor: Ketevan Chinashvili**
Teacher of Georgian Language and Literature

## Application of Environment Practices in Informal Education - as a Profession

In the presentation I will speak about the importance of non-formal education and role of the youth worker in shaping a successful person equipped with various key competences that will help them to deal with life’s problems. Also, I will focus on the importance of protecting the environment - our home – the Earth, as the greatest challenge facing humanity. I will also concentrate on using environmental practices in all spheres especially in education - it doesn’t matter if it is formal or informal. It is necessary to inform young people who are at a low stage of intellectual, cognitive or erudite development, about the problems - about the correct and modern challenges along with the existing ones in order to avoid much bigger and more difficult problems in the future.

**მარიამ ნიჟარაძე**
„სკოლა ღონე ქვეყნისა"
მე-11 კლასი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: მანანა ქარქაშაძე**
სკოლის დამფუძნებელი

## ახალგაზრდული მოხალისეობის განვითარების ხელშეწყობა

პრობლემების გადაჭრა, სწრაფვა გარემოს გაუმჯობესებისკენ, გამოწვევების მიღება, საქმიანობაში გაბედული ნაბიჯების გადადგმა, სამუშაოს თანასწორად განაწილება და სხვადასხვა ფუნქციის შესრულების მზაობა გუნდური მუშაობის დროს, ეთიკური ნორმების დაცვა, განსხვავებულობის მიმღებლობა, საკუთარ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრება სამოქალაქო საზოგადოების მახასიათებელი უნარებია, რომლებიც ადრეული ასაკიდან უნდა განვითარდეს.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მოზარდებში მოხალისეობის განვითარებაზე ზრუნვას, როგორც საგანმანათლებლო პროცესის აქტივობას, წარმატებული შედეგი აქვს და საბოლოო მიზანია ჩამოვყალიბდეთ, როგორც სამოქალაქო საზოგადოება.

მოხალისე დინამიური და შინაგანი მოტივაციის მქონე ადამიანია, რომელიც თავისი სურვილით აკეთებს სასიკეთო საქმეებს. თავის ძალებს, ცოდნას და დროს საჭიროებისამებრ იყენებს სხვათა დასახმარებლად.

აღნიშნული მიმართულებით, არსებული პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გაანალიზების შედეგად, როგორც სკოლის მოსწავლეთა თვითმართველობის პრეზიდენტმა სამოქმედო გეგმაში მეტი წილი მოხალისეობის პროექტების განხორციელებას დავუთმე, რითაც ვეხმიანები საქართველოში ახალგაზრდული მოხალისეობის განვითარებას.

**Mariam Nizharadze**
„School Ghone Kveknisa"
XI Grade
**Scientific Supervisor: Manana Qarqashadze**
The Founder of School

## Promotion of the Development of Youth Volunteerism

Solving problems, striving for the improvement of the environment, accepting challenges, taking bold steps in activities, equal distribution of work and willingness to perform various functions during teamwork, compliance with ethical norms, acceptance of differences, understanding of responsibility for one's own activity are characteristic skills of civil society, which should be developed from an early age. Experience has shown me that caring for the development of volunteering among adolescents as an activity of the educational process has a successful result and the ultimate goal is to form a civil society. A volunteer is a dynamic and intrinsically motivated

person who of his qwn accord does good deeds. He uses his strength, knowledge and time to help others. In order to solve the problem in the mentioned direction, as a result of analyzing the experience of developed countries, as the president of the self-government of school students, I devoted more share to the implementation of volunteering projects in the action plan, thus, I support the development of youth volunteerism in Georgia.

**ანა ბედიანაშვილი**
გარდაბნის მუნიციპალიტეტის N1 საჯარო სკოლა
მე-11 კლასი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ჩინაშვილი**
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

## როგორ მივიღო ხარისხიანი განათლება სკოლაში

დღევანდელ დროში ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენს ხარისხიანი სწავლა-განათლება. ხარისხიანი განათლება მდგრადი განვითარების მიზნების სოციალურ – ეკონომიკური კომპონენტის ერთ-ერთი მთავარი მიზანია და მჭიდროდ უკავშირდება სხვა მიზნებს – სიღარიბის აღმოფხვრას, კარგ სამუშაოსა და ეკონომიკურ ზრდას, გენდერულ თანასწორობას. ამის მიუხედავად, გარემოში არსებულმა პრობლემებმა მკვეთრად უკან დასწია დღევანდელი განათლების დონე. კონკრეტულად, კოვიდ პანდემიის დროს ჩვენ მოგვიწია სწავლის ონლაინ რეჟიმში წარმართვა, რამაც დიდი ზეგავლენა მოახდინა ჩვენს ცოდნასა და აკადემიურ მოსწრებაზე. ჩვენი სკოლის მაგალითზე, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ონლაინ რეჟიმში სწავლებამ ძალიან დაამახინჯა დღევანდელი საგაკვეთილო პროცესი. მსგავსმა გარემო პირობებმა უფრო დააშორა და დაავიწყა მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესის აზრი. მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი გაკვეთილს არ ისმენს და მთელი გონებით ტელეფონზეა გადართული, იმის მიუხედავად, რომ მასწავლებლები უდიდეს ძალისხმევას დებენ, რათა ისინი ჩართონ საგაკვეთილო პროცესში.

ჩემი კვლევის მიხედვით, სკოლის მოსწავლეთა 75%-ის აკადემიურმა მოსწრებამ დაახლოებით 3-4%-ით დაიწია. მე შევისწავლე ჩემი პატარა დის და ჩემი კლასის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება. თუ დავაკვირდებით, დაბალ საფეხურებზე ბავშვებს ბევრად უფრო კარგი აკადემიური მოსწრება აქვთ, ვიდრე მაღალ, საშუალო საფეხურზე. ეს ყველაფერი იმითაა გამოწვეული, რომ პატარა ბავშვებს აქვთ მოტივაცია, მათ მშობლები უფრო მეტად აკონტროლებენ და მოუწოდებენ სწავლისკენ. მაღალ კლასებში კი გვხვდება მოსწავლეთა რამდენიმე კატეგორია: პირველი, ბავშვები რომლებიც იწყებენ მომზადებას მასწავლებლებთან და სწავლობენ, იმიტომ რომ აპირებენ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელებას და ეროვნულ გამოცდებზე გასვლას. მეორე, ესენი არიან ბავშვები, რომლებიც, უბრალოდ, წყვეტენ სწავლას, რადგან იციან, რომ ფინანსური სახსრების არქონის გამო ვერ შეძლებენ უმაღლესში სწავლას და მეასმე ტიპის ბავშვები, რომლებიც ზარმაცდებიან, მშობლებს აღარ უჯერებენ და აღარ სწავლობენ.

ზემოთ ხსენებული მაგალითებიდან შეგვიძლია მივიდეთ დასკვნამდე, რომ ხარისხიანი განათლება ძალიან მნიშვნელოვანია სიღარიბის აღმოფხვრის, კარგი სამუშაოს, ეკონომიკური ზრდისა და გენდერული თანასწორობისთვის. თუმცა კოვიდ პანდემიამ მნიშვნელოვნად უკან დასწია მისი განვითარების დონე. მის წინსვლას და განვითარებას ხელს უშლის მოსწავლეთა გაფანტულობა საგაკვეთილო პროცესის დროს. ქვეყნის ნათელი მომავლისათის ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ განათლება და განათლებული კადრია, რომელიც მას შემდეგ, უფრო მაღალ მწვერვალებზე აიყვანს. ვფიქრობ, ზემოთ წარმოვადგინე ხარისხიანი განათლების საჭიროება. ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხანაში რა წარმოადგენს იმაზე უკეთეს ადამიანურ რესურსს, როგორიც განათლებული საზოგადოებაა?!

**Ana Bedianashvili**
Gardabani Municipality N1 Public School
XI Grade
**Scientific Supervisor: Ketevan Chinashvili**
Teacher of Georgian Language and Literature

## How to Get Quality Education at School

Quality education is one of the biggest challenges nowadays. Quality education is one of the main goals of the socio-economic component of sustainable development goals and is closely related to other goals - poverty eradication, a good job and economic growth, gender equality. Despite this, the problems in the environment have sharply lowered the current level of education. Especially during the covid pandemic, we have had to conduct our studies online, which greatly affected our knowledge and academic performance. On the example of our school, I can safely say that online teaching has greatly distorted today's teaching process. Such environmental conditions made the students more distant and forget the meaning of the lesson process. Most of the students are not listening to the lesson and their whole mind is switched to their phone, despite the fact that the teachers make the greatest efforts to involve them in the lesson process. According to my research, the academic performance of 75% of school students dropped by about 3-4%. I studied the academic performance of my little sister and the students in my class. We can observe that children at lower levels have much better academic performance than at higher, middle levels. It's all due to the fact that young children are motivated, their parents control them more and encourage them to study. There are several categories of students in higher grades: first, children who start training with teachers and study because they are going to enter higher education institutions and take national exams. Second, these are the children who simply stop studying because they know that they will not be able to study in a higher education institution due to lack of financial resources, and the third type of children who become lazy, don't obey their parents and don't study anymore.

From the examples mentioned by above, we can come to the conclusion that quality education is very important for poverty eradication, good jobs, economic growth and gender equality. However, the covid pandemic has greatly reduced its development level. Its progress and development is hindered by the distraction of students during the learning process. The most important thing for the bright future of the country is education and an educated cadre, which will take it to higher heights. I think I presented the need for quality education above. In the age of technology and innovation, what is a better human resource than an educated society?!

**ნინო გაჩეჩილაძე**
„სკოლა ღონე ქვეყნისა"
მე-10 კლასი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: მანანა ქარქაშაძე**
სკოლის დამფუძნებელი

## ადამიანის უფლებები და მოვალეობანი ინფორმაციულ საზოგადოებაში

ტექნოლოგიების გავლენის გლობალური მასშტაბებიდან გამომდინარე, მიმდინარე ცვლილებების პირობებში, განსაზღვრული უნდა იქნას ჩვენი, როგორც ინფორმაციული საზოგადოების უფლებები და მოვალეობები. ჩემთვის, როგორც მომავალი პროგრამისტისთვის, საინტერესოა საქართველოს საკანონმდებლო ბაზა. ვფიქრობ, ის განვითარების ეტაპზეა და ვერ ეწევა მსოფლიო საინფორმაციო საზოგადოების გლობალურ საკანონმდებლო ბაზას. გავიხსენოთ უახლესი ეპიდემიოლოგიური სამყაროს გამოცდილება, როდესაც უფრო აქტუალური გახდა ინფორმაციული კაცობრიობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

თანამედროვე ეპოქაში ადამიანის საქმიანობის სფეროები სამხედრო, ბიოლოგიური, ტექნოლოგიური და ა.შ. ხელოვნური ინტელექტის და ზოგადად, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პოტენციალს იყენებს, რომლებიც დიდ როლს თამაშობს ადამიანის განათლებაში, ელექტრონული რესურსის მოძიებასა და განვითარების პროცესში გამოყენებაში.

საინფორმაციო ინფრასტრუქტურის გამოყენებას თან უნდა ახლდეს ინფორმაციულ საზოგადოებაში ადამიანის უფლებებისა და მოვალეობების დარეგულირება, რათა საინფორმაციო ტექნოლოგიები ადამიანისთვის საშიში იარაღი არ გახდეს. უსაფრთხოება სწრაფად ცვალებადი სინამდვილის პირობებში მუდმივი შესწავლის საკითხია.

**Nino Gachechiladze**
„School Ghone Kveknisa"
X Grade
**Scientific Supervisor: Manana Qarqashadze**
The Founder of School

## Human Rights and Duties in the Framework of Information Society

Due to the global scale of the impact of technology, in the conditions of current changes, our rights and duties as an information society should be defined. For me, as a future programmer, the legal base of Georgia is interesting. I believe it is on the stage of development and isn't able to keep up with the global legal framework of the world's information society yet. Let us recall the most recent epidemiological experience when protecting information society became more urgent. In the modern era, the fields of human activity - military, biological and technical - use the potential of artificial intelligence and information and communication technologies in general that have a vital role in human education as well as in finding and using electronic resources in the development process. The use of information infrastructure should be supported by the regulations governing human rights and obligations in the information society so that the information technologies do not become dangerous weapons for people. Security in an ever-changing world needs constant study.

**თამთა თეგეთაშვილი**
გარდაბნის მუნიციპალიტეტის
სოფელ ახალი სამგორის საჯარო სკოლა
მე-11 კლასი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეა წიკლაური**
მასწავლებელი, დირექტორი

## კლიმატის ცვლილება vs ნარჩენების მართვა

კლიმატის ცვლილება - ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (ძირითადად ათწლეულების, ან დროის უფრო ვრცელ მონაკვეთში) იდენტიფიცირებადი ცვლილება, მათ შორის, სტატისტიკური ნიშნულების ცვალებადობაა. კლიმატის ცვლილება შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც ბუნებრივი შიდა პროცესების, ასევე გარე ზემოქმედებების შედეგად, როგორებიცაა: ვულკანური ამოფრქვევები, მზის ციკლის სიძლიერის მოდულაციები, ატმოსფეროს შემადგენლობა თუ მიწათსარგებლობის ხანგრძლივი ანთროპოგენური ზემოქმედება და ცვლილება.

დღესდღეობით აქტუალურ ტერმინში „კლიმატის ცვლილება" სწორედ ანთროპოგენური კლიმატის ცვლილება იგულისხმება და უკვე არავისთვისაა სიახლე, რომ მსოფლიოში ეს

პროცესი შეუჩერებლად მიმდინარეობს, თან, რაც ყველაზე ყურადსაღებია, ტემპი წლიდან წლამდე უფრო და უფრო ჩქარდება. ბოლო დროს გლობალურ დათბობასა, მის უარყოფით გავლენებსა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე უამრავი მეცნიერი და გარემოსდამცველი ალაპარაკდა, რადგან ჩვენს პლანეტაზე ტემპერატურა სულ უფრო მაღალ ნიშნულს აღწევს. ცხოველთა გადაშენებული ან გადაშენების ზღვარზე მყოფი სახეობების რიცხვი იმატებს, იზრდება ტყის ხანძრების რიცხვი, შეინიშნება სასმელი წყლისა თუ მოსავლის ნაკლებობა, ატმოსფეროში სათბურის აირების კონცენტრაცია რეკორდული სისწრაფით იზრდება, აქტიურად მიმდინარეობს გაუტყეურება, თავს იჩენს მყინვარების დნობა მთებზე და ყინულის ფენების განლევა ოკეანეებში. ასევე კლიმატის ცვლილება გავლენას ახდენს ადამიანის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით...

აღსანიშნავია, რომ კლიმატის ცვლილების ნეგატიური და მკვეთრი, უხეში ზემოქმედება სოფლის მეურნეობაზე, ინფრასტრუქტურასა და წყლის რესურსებზე, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, გამოიწვევს მასობრივ მიგრაციას, რომელთან დაკავშირებული რისკებისა და საფრთხეების შესახებ მოლაპარაკებები წინ უძღვოდა 2015 წლის პარიზის შეთანხმებას. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ კლიმატის ცვლილება იქნება საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკის ქვეყნებიდან მოსახლეობის ევროპაში მიგრაციის მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი, ასევე ცენტრალური ამერიკიდან შეერთებულ შტატებში;

დღესდღეობით არსებული გლობალური პრობლემების ჩამონათვალი გრძელია, თითოეული მათგანი კი ადამიანის ყოველდღიური აქტივობებისა და სამრეწველო საქმიანობების შედეგია. სპეციალისტები გვაფრთხილებენ, რომ შესაძლოა, მალე ამ პროცესმა შეუქცევადი სახე მიიღოს. ამიტომ მის შესაჩერებლად საჭიროა დაუყონებლივ დავიწყოთ შესაბამისი ზომების მიღება და გავიაზროთ, რომ ეს თითოეულ ჩვენგანს ეხება, შესაბამისად, პასუხისმგებლობაც ყველას გვეკისრება.

მიზნის მიღწევა სწორედ პატარა ნაბიჯებით იწყება, ამიტომ გარემოს სიჯანსაღის შენარჩუნებაზე თითოეულმა ჩვენგანმა უნდა იფიქროს და იზრუნოს. შესაძლოა, ერთი შეხედვით, მოგვეჩვენოს, რომ ჩვენ, ცალკეულ ინდივიდებს, გლობალურ დათბობასთან ბრძოლისთვის საკმარისი ძალა არ შეგვწევს და არაფრის შეცვლა არ შეგვიძლია, მაგრამ ეს ასე ნამდვილად არაა. ყოველდღიურ ცხოვრებაში, რამდენიმე ძირითადი ჩვევის გამომუშავებით, ცნობიერების ამაღლებით და სწორი დამოკიდებულებებით სიტუაციის გაუმჯობესება სრულიად რეალური პერსპექტივაა.

ამასთან ერთად, უნდა ვიცოდეთ, რომ ნარჩენების მართვა მნიშვნელოვანი გლობალური საკითხია, რაც ბიზნესებისა და ფიზიკური პირების საქმიანობას გარემოსადმი უფრო მეგობრულს და პასუხისმგებლიანს ხდის.

თანამედროვე მსოფლიოში პლასტმასის ნარჩენები და მათ დეგრადაციასთან დაკავშირებული პრობლემები ერთ-ერთ უმთავრეს ეკოლოგიურ გამოწვევად რჩება. დღესდღეობით ასეთი სინთეტიკური შეფუთვებისა და ნივთების გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელიც კია.

ნაგავსაყრელებზე მსგავსი ნარჩენები რამდენიმე ფენად გროვდება, რის გამოც იქამდე მზის სხივებიც ვერ აღწევს, რაც დაშლას შეუწყობდა ხელს. შედეგად, ბუნებაში გამოიყოფა სათბურის აირები და მავნე ნივთიერებები. პლასტმასის დიდი ნაწილი ოკეანეებში ხვდება და წყლის ბინადრებს საფრთხეს უქმნის. ასევე ხშირად ისინი ნაწევრდება და წყალში, ხმელეთსა თუ ჰაერში მცირე ზომის ნაწილაკების სახით იფანტება.

პლასტმასის დეგრადაცია ძალიან ხანგრძლივი პროცესია და დაშლის შემდეგაც მისი დიდი ნაწილი მცირე ნაწილაკების სახით ისევ არსებობს. სწორედ ამიტომ საჭიროა მსოფლიოს მასშტაბით მათი ეკოლოგიურად სუფთა მასალებით ჩანაცვლება, რათა გარემოს დაბინძურება და მასზე ნეგატიური ზეგავლენა ამ ტემპით აღარ გაგრძელდეს. ამ

ყველაფრიდან გამომდინარე, საჭიროა აქტიურად ჩავერთოთ პლასტმასის გადამუშავების პროცესში, რაც უკვე დაწყებულია და მოითხოვს მოსახლეობის ჩართულობის ზრდას.

უკვე დავრწმუნდით, რომ გარკვეული ნარჩენების სხვადასხვა ფიზიკური ან ქიმიური პროცედურების გავლით მეორეულ ნივთიერებად გადაქცევა და წარმოები პროცესში ისევ ჩართვა მნიშვნელოვანია.

რკინა, ფოლადი, სპილენძი, ტყვია, ქაღალდი, პლასტმასი, ალუმინი, კაუჩუკი, მინა და მათი მსგავსნი ის ნარჩენებია, რომელთა გადამუშავებაც შესაძლებელია. ასევე ხელსაყრელია ელექტრო ნარჩენების, აკუმულატორებისა და ცხიმების გადამუშავება. ამ ღონისძიებების განხორციელება, რაც ნარჩენების გადამუშავებასა და ისევ გამოყენებას გულისხმობს, ბუნებრივი რესურსების ამოწურვას აღკვეთს.

გადამუშავების კიდევ ერთი უპირატესობა გახლავთ გასანადგურებელი მყარი ნარჩენების რაოდენობის შემცირება. ამგვარად ხდება შესანახი სივრცის დაზოგვა და მცირდება ნარჩენების მიერ გარემოსათვის მიყენებული ზიანი.

ნარჩენების თავიდანვე დამუშავება ჯანსაღი გადამუშავების პირველი

საფეხურია. ასევე, მნიშვნელოვანია გადასამუშავებელი ნივთიერებების სხვა ნარჩენებთან არშერევა და გადამუშავების ყუთების სწორად გამოყენება.

უკვე ნახსენები და განხილული საკითხებიდან გამომდინარე, დავრწმუნდით, რომ კაცობრიობა თავის მშობლიურ მიწასთან ერთად დიდი განსაცდელის წინაშე დგას, რაც ისევ ჩვენი საქმიანობის, მცდარი წარმოდგენებისა და დამოკიდებულებების შედეგია.

როგორც ბენჯამინ ფრანკლინი იტყოდა, „როცა ჭა ცარიელია, წყლის ფასს მაშინ ვიგებთ“.

ამიტომაა მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი თითოეული ადამიანის ცნობიერების ამაღლება ამ საკითხთან დაკავშირებით.

უნიკალური ეკოსისტემებისა და საკუთარი თავის გადასარჩენად დიდი დრო არ დაგვრჩა. თუნდაც პრობლემის წამოჭრა და მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან თუ ახლობლებთან ამაზე საუბარი უკვე მოქმედებაა. აღსანიშნავია, რომ სკოლა მეორე წელია აქტიურად ჩართულია არაერთ გარემოსდაცვით პროექტში ნარჩენების მართვის მიმართულებით და სკოლაში მიმდინარეობს ისეთი ნარჩენების შეგროვება-დახარისხება, როგორებიცაა ქაღალდი, ელექტრონარჩენები და პლასტმასა. ნარჩენებს არა მხოლოდ ვახარისხებთ, არამედ შესაბამის კომპანიებს ვაწვდით მეორადი გადამუშავებისთის. ჩვენმა აქტიურმა მუშაობამ ცნობიერების ასამაღლებლად შედეგიც გამოიღო და მხოლოდ სასკოლოო საზოგადოება კი არა, მთელი სოფელია ჩართული ამ პროცესებში.

დამატებითი აქტივობებისთვისა და ჩართულობისთვის გირჩევთ ადგილობრივ გარემოსდამცველებს შეუერთდეთ და უკეთესი მომავლისთვის მათთან ერთად იბრძოლოთ. გახსოვდეთ, რომ თქვენს, როგორც მოქალაქის როლს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, ამიტომ ძალისხმევა არ დაიშუროთ, რათა მთავრობამდე, ნებისმიერ პასუხისმგებელ პირამდე/ორგანიზაციამდე და სხვა ადამიანებამდე სათქმელი მიიტანოთ.

ცვლილებების დროაა!

**Tamta Tegetashvili**
Gardabani Municipality VLL Akhali Samgori Public School
XI Grade
**Scientific Supervisor: Tea Tsiklauri**
Teacher, Director

# Climate Change vs Waste Management

Climate change is an identifiable change over a long period of time (mostly decades or a longer period of time), including changes in statistical parameters. Climate change can be caused by both natural internal processes and external impacts, such as: volcanic eruptions, modulations of the strength of the solar cycle, the composition of the atmosphere, or long-term anthropogenic impacts and changes in land use.

Nowadays, the term "climate change" refers to anthropogenic climate change, and it is no news to anyone that this process is ongoing in the world, and what is most noteworthy, the pace is getting faster and faster every year.

Recently, many scientists and environmentalists have talked about global warming, its negative effects and related problems, because the temperature on our planet is reaching higher levels. The number of extinct or endangered species of animals is increasing, the number of forest fires is increasing, there is a lack of drinking water or crops, the concentration of greenhouse gases in the atmosphere is increasing at a record speed, deforestation is actively taking place, the melting of glaciers on the mountains and the melting of ice sheets in the oceans are occurring Climate change also affects the physical and mental health of people all over the world.

It is clear that the negative and drastic impacts of climate change on agriculture, infrastructure and water resources, especially in developing countries, will lead to mass migration, the risks and dangers of which were discussed in the lead-up to the 2015 Paris Agreement. Experts predict that climate change will be the main driver of population migration from sub-Saharan Africa to Europe, as well as from Central America to the United States.

The list of global problems that exist today is long, and each of them is the result of daily human activities and industrial activities. Specialists warn us that this process may soon become irreversible. Therefore, in order to stop it, we need to start taking appropriate measures immediately and understand that it concerns each of us, therefore, we all have responsibility.

Achieving the goal begins with small steps, so each of us should think and care about maintaining the health of the environment. It may seem at first glance that we, as individuals, do not have enough power to fight global warming and cannot change anything, but this is not true. Improving

the situation in everyday life by developing a few basic habits, raising awareness and having the right attitudes is a very real prospect.

At the same time, we should know that waste management is an important global issue, which makes the activities of businesses and individuals more environmentally friendly and responsible.

In the modern world, plastic waste and problems related to their degradation remain one of the main environmental challenges. Today, life without such synthetic packaging and things is even unthinkable.

At landfills, such waste is collected in several layers, which is why even sunlight cannot reach it, which would contribute to decomposition. As a result, greenhouse gases and harmful substances are released into nature. Much of the plastic ends up in the oceans and poses a threat to aquatic life. It is also often fragmented and dispersed in water, land or air as small particles.

Degradation of plastic is a very long process, and even after decomposition, a large part of it still exists in the form of small particles. That is why it is necessary to replace them with environmentally friendly materials around the world, so that the pollution of the environment and the negative impact on it do not continue at this rate.

Based on all this, it is necessary for us to be actively involved in the process of plastic processing, which has already started and requires an increase in the involvement of the population.

We have already made sure that it is important to convert certain wastes into secondary substances through various physical or chemical procedures and to include them again in the production process.

Iron, steel, copper, lead, paper, plastic, aluminum, rubber, glass and the like are wastes that can be recycled. It is also advantageous to recycle electrical waste, batteries and grease. The implementation of these measures, which involves recycling and reuse of waste, prevents the depletion of natural resources.

Another advantage of recycling is reducing the amount of solid waste to be disposed of. In this way, storage space is saved and the damage caused by waste to the environment is reduced.

Treating waste from scratch is the first step in healthy recycling. It is also important not to mix recyclables with other waste and to use recycling bins correctly.

Based on the already mentioned and discussed issues, we are convinced that humanity is facing a great trial together with its public land, which is again the result of wrong activities, misconceptions and attitudes. As Benjamin Franklin said, "When the well is dry, we know the worth of water."

That is why it is so important and crucial to raise the awareness of each person regarding this issue. We don't have much time left to save our unique ecosystems and ourselves.

Even bringing up a problem and talking about it with friends, family members or relatives is already an action.

It should be noted that for the second year, our school has actively been involved in a number of environmental projects in the direction of waste management, and the school is collecting and sorting such waste as paper, electronic waste and plastic. We not only sort the waste, but also deliver it to relevant companies for secondary processing. Our active work to raise awareness has yielded results, and not only the school community, but the entire village is involved in these processes.

For additional activities and involvement, I recommend joining local environmentalists and fighting for a better future with them. Remember that your role as a citizen is crucial, so make every effort to bring your message to the government, to any responsible person/organization and other people.

It's time for changes!

**თეკლა მამრიკიშვილი**
"სკოლა ღონე ქვეყნისა"
მე-11 კლასი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: მანანა ქარქაშაძე**
სკოლის დამფუძნებელი

## ინფორმაციული ნაკადის გავლენა ადამიანის ფსიქიკაზე

ადამიანის მიერ ინფორმაციის აღქმა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის ცხოვრების სოციალურ პირობებზე, ადამიანის ორგანიზმის ფიზიოლოგიურ თავისებურებებზე, მიწოდებული ინფორმაციის მოცულობაზე, ინტენსივობასა და ტემპებზე, ტექნოლოგიების ცოდნაზე, ინფორმაციის შესახებ ცოდნაზე, ინტელექტუალურ დონეზე და სხვა.

ადამიანის მიერ ინფორმაციის მიღების, შენახვის, დამახსოვრების, შესწავლის პროცესები ჯერ კიდევ არ არის გამოკვლეული, რათა შესაძლებელი გახდეს ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების ოპტიმალური გზების განსაზღვრა სიმძლავრის, სწრაფმოქმედების, ადამიანის ფსიქიკაზე გავლენისა და ა.შ. თვალსაზრისით, თუმცა ზოგიერთი დასკვნის გამოტანა შესაძლებელია.

კვლევებით მიღებული მონაცემები მეტყველებს, რომ ადამიანის შესაძლებლობები, ინფორმაციის მიღების და აღქმის თვალსაზრისით, შეზღუდულია, დღეს კი ძალიან იზრდება გასაანალიზებელი ინფორმაციის მოცულობა და ნაკადი. ადამიანის ტვინი ინფორმაციის ამ ნაკადთან ადაპტირებას ვერ ახერხებს და იგი იტვირთება ინფორმაციულად.

დღეს, როდესაც მოზარდი მიჯაჭვულია ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, გაცილებით აქტუალურია აღნიშნული საკითხი და ასოციალური ინფორმაციის როლის შესამცირებლად ღონისძიებებია გასატარებელი.

**Tekla Mamrikishvili**
"School Ghone Kveknisa"
XI Grade
**Scientific Supervisor: Manana Qarqashadze**
The Founder of School

## The Influence of Information Flow on the Human Psyche

The way people understand information is shaped by various factors including social conditions of life, physiological features of the human body, the amount, intensity and speed of information, knowledge of technologies, intellectual level and others. The processes of receiving, storing, memorizing and studying information by a person have not yet been investigated in order to make it possible to determine the optimal ways of information technology development in terms of power, speed, influence on the human psyche, etc.; however, some conclusions can be drawn. The data obtained from the research show that human abilities in terms of receiving and perceiving

information are limited. Nowadays, the volume and flow of information are increasing. The human brain is unable to adapt to this flow of information and it is overloaded with information. Today, when a teenager is attached to information and communication technologies, the mentioned issue is much more urgent, and measures should be taken to reduce the role of social information.

**ანდრია ქელდიშვილი**
ქ. თბილისის N217 საჯარო სკოლა
მე-10 კლასი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლია ზამთარაძე**
მასწავლებელი

## უცხო ენები და ვირტუალური რეალობა

ინფორმაციულ საზოგადოებაში უკიდურესად რთულია ინტერნეტისა და კომპიუტერის როლის გადაჭარბება. ინფორმაციული და კომპიუტერული ტექნოლოგიებმა შეაღწია ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში: სამუშაო, განათლება, დასვენება.

კომპიუტერული თამაშები თანამედროვე თაობის სტუდენტების ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდა. თუმცა ამჟამად კომპიუტერულმა თამაშებმა განათლების სფეროში სრული პრაქტიკული გამოყენება ვერ მოიპოვა. ამ დროისთვის უცხო ენის მასწავლებლები იყენებენ საგანმანათლებლო თამაშებს, რომლებიც სპეციალურად შექმნილია ენისა და მეტყველების მასალის შესასწავლად და პრაქტიკაში გამოსაყენებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ კომპიუტერული თამაშების გამოყენება, როგორც ავთენტური ენობრივი გარემოს შესაძლო წყარო, ხშირად არ გამოიყენება სკოლაში.

კომპიუტერული თამაშების გამოყენების უპირატესობა უცხო ენის სწავლებაში არის კლასში მეტყველების სიტუაციების შექმნის შესაძლებლობა, რაც ასტიმულირებს მოსწავლეთა მეტყველების განვითარებას მეტყველების აქტივობის ბუნებრივი პირობების მსგავს პირობებში, რაც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ მახასიათებლებს. თამაშები შეიცავს სავარჯიშოებსა და დავალებებს, რომელთა შესრულება შესაძლებელია ლექსიკურ მასალასთან მუშაობის ყველა ეტაპზე

კომპიუტერული თამაშების უმეტესობა ვირტუალური სამყაროა უამრავი პერსონაჟითა და მოვლენით, სადაც კომუნიკაციის მთავარი საშუალებაა პერსონაჟების მეტყველება, სუბტიტრებით გახმოვანებული. ამგვარად, როცა უცხო ენას ვსწავლობთ, შეგვიძლია კომპიუტერული თამაშების გამოყენება ავთენტურ მასალაზე დაყრდნობით მოსმენის ან კითხვის სწავლების საშუალებად განვიხილოთ.

აღსანიშნავია, რომ, ავთენტური მასალის აშკარა სირთულის მიუხედავად, ბევრ კომპიუტერულ თამაშს ისევე, როგორც ბევრ წიგნს, აქვს ხელმისაწვდომი ენა სტუდენტებისთვის, ნულიდან დაწყებული. კომპიუტერული თამაშის გამოყენებით, მე მქონდა შესაძლებლობა შემესწავლა ლექსიკური და გრამატიკული უნარები უფროსების დახმარების გარეშე, რადგან კომპიუტერული თამაშიდან მიღებული მასალა ჩემთვის იყო სიტყვების და გრამატიკული სტრუქტურების გამოყენების მაგალითი.

არჩეული თემის აქტუალობა მდგობარებს იმაში, რომ მოზარდების უმეტესობა დიდ დროს უთმობს კომპიუტერულ თამაშებს. სათამაშო ინდუსტრია არის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად ზრდადი გასართობი ბაზარი მსოფლიოში და ჩვენს ქვეყანაში. კომპიუტერული თამაშები არის კარგი მაგალითი იმისა, თუ რამდენ ხანს შეუძლია ადამიანს კონცეტრირება კონკრეტულ ამოცანაზე. სწორედ ამ ჩვევის მეშვეობით შესაძლოა უცხო ენების შესწავლა.

მე ავირჩიე ეს თემა, რადგან მაინტერესებდა როგორ მოქმედებდა კომპიუტერული თამაშები უცხო ენების შესწავლაზე, მინდა ვუპასუხო ამ კითხვას კომპიუტერული თამაში ''Minecraft“-ის გამოყენების მეშვეობით, რადგან ის ძალიან პოპულარულია სკოლის მოსწავლეებში.

კვლევის ობიექტია კომპიუტერული თამაშების გავლენა უცხოენების ათვისებაზე, ჩემი მიზანი იყო შესწავლა და გაანალიზება კომპიუტერულ თამაშებისა, რომლებიც გვეხმარება სიტყვის მარაგის გაზრდაში უცხო ენების მხრივ (კომპიუტერული თამაშის, ''Minecraft“-ის მაგალითის გამოყენებით) ვირტუალურ სამყაროში გადაადგილებისას ჩვენ წავაწყდებით უამრავ ახალს და იქნება ეს პერსონაჟები, ადგილები, საბრძოლო იარაღები, ძვირფასეულობა, თუ უბრალოდ ნივთი, რომელიც მომავალში დაგვჭირდება.

სამყაროში მოგზაურობის დროს უამრავ თავგადასავალს გადააწყდებით და გარწმუნებთ, უამრავ ახალსაც გაიგებთ, რაც შეიძლება არამარტო უცხო ენის შესწავლაში გამოგადგეთ, არამედ რეალურ სიტუაციაშიც. ვირტუალური თამაშის დროს ადამიანი სწავლობს უცხო ენას ისე, რომ ვერც იგებს, ამ დროს შესაძლოა გაიცნოთ ისეთი ადამიანები, რომლებიც იზიარებენ შენს აზრს და მოგიწიოთ უცხო ენაზე საუბარი, რაც ავითარებს გრამატიკას.

„Minecraft“-ს აქვს საინტერესო ჩვევა: თამაშის პერიოდში სულ გინდება ახლისა და ახლის გაგება და გაკეთება, რაც პირდაპირ ახდენს გავლენას უცხო ენის შესწავლაზე. არსებობს კიდევ უამრავი თამაში, რომლებიც დაგეხმარებათ უცხო ენების შესწავლაში, მაგრამ ყოველი თამაში დამოკიდებულია ადამიანის ფსიქოლოგიასა და გემოვნებაზე.

**Andria Keldishvili**
Tbilisi N217 public school
X Grade
**Scientific Supervisor: Lia Zamtaradze**
The Leading Teacher

## Foreign Languages and Virtual Reality

It is extremely difficult to overestimate the role of the Internet and computers in the information society. Information and computer technologies have penetrated into all spheres of human activity: work, education, leisure. Computer games have become a part of the daily life of students of the modern generation. However, currently computer games have not gained full practical use in the field of education. Currently, foreign language teachers use educational games specially designed for learning and practicing language and speech material. And, it should be noted that the use of computer games as a possible source of authentic language environment is not often used in school.

The advantage of using computer games in teaching a foreign language is the possibility of creating speech situations in the classroom, which stimulate the development of students' speech under conditions similar to the natural conditions of speech activity, which correspond to the age characteristics of students. The games contain exercises and tasks that can be performed at all stages of working with vocabulary material.

Most computer games are virtual worlds with many characters and events, where the main means of communication is the speech of the characters, voiced with subtitles. Thus, when learning a foreign language, we can consider using computer games as a means of teaching listening or reading based on authentic material.

It is worth noting that, despite the apparent difficulty of the authentic material, many computer games, as well as many books, have accessible language for students, starting from scratch. Using the computer game, I had the opportunity to learn vocabulary and grammar skills without the help of adults, because the material obtained from the computer game was for me an example of the use of words and grammatical structures.

The relevance of the chosen topic lies in the fact that most teenagers spend a lot of time playing computer games. The gaming industry is one of the fastest growing entertainment markets in the world and in our country. Computer games are a good example of how long a person can concentrate on a specific task. It is through this habit that foreign languages can be learned. I chose this topic because I was interested in how computer games affect the learning of foreign languages, I want to answer this question through the use of the computer game "Minecraft" because it is very popular among schoolchildren. The object of the study is the influence of computer games on the acquisition of foreign languages, my goal was as follows: to study and analyze what is related to computer games that helps you to increase your vocabulary in terms of foreign languages (using the example of the computer game "Minecraft") While moving in the virtual world, we will encounter a lot of new things, and they will be characters, places, weapons, jewelry or just things that we will need in the future. During your travels around the world, you will face many adventures and I am sure you will learn a lot of new things that can be useful not only in learning a foreign language, but also in a real situation. During the virtual game, a person learns a foreign language without realizing it, at this time you may meet people who share your opinion and you have to speak a foreign language, which develops grammar. "Minecraft" has an interesting habit: during the game, you always want to understand and do new things, which directly affects learning a foreign language. There are many other games that can help you learn foreign languages, but each game depends on the psychology and taste of the person.

**მარიამ კვანჭიანი, ლიზი თოთრაშვილი**
ქ. თბილისის N217 საჯარო სკოლა
მე-10 კლასი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: მანანა ნუცუბიძე**
ისტორიის მენტორი მასწავლებელი

## ვინ ვართ და საიდან მოვდივართ?

„ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდან იწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს...“ ი.ჭავჭავაძის ეს სიტყვები მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ყველა ქართველმა უნდა იცოდეს თავისი მშობლიური მიწისა და ერის ისტორია, ის, თუ ვინ არის და საიდან მოდის. ამიტომაც დავიწყეთ დიდი ლილოს ისტორიასთან დაკავშირებული ფაქტების კვლევა. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ლილო „თოვლჭრელოს“ ნიშნავს. ასე გამოიყურებოდა სერზე შეფენილი ლილო ზამთარში. ლილოს მთა მდებარეობს თბილისის აღმოსავლეთით და გვიან შუა საუკუნეებში ქართლ–კახეთის სამეფოთა საზღვარს წარმოადგენდა. ხალხური გადმოცემებისა და ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ლილოს მთაზე ადრე გადიოდა ცხენით სავალი გზა კახეთიდან მცხეთისაკენ. ლილო სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილი უნდა ყოფილიყო თბილისის აღმოსავლეთის მისადგომებთან. აქ მაცხოვრებლებმა ვერ გაუძლეს მტერთა ხშირ შემოსევებს და ბევრჯერ გადასახლდნენ. ლილოს მთის კალთებზე ოთხი დასახელებული პუნქტი იყო - დიდი ლილო, პატარა ლილო, ლენინისი და წითელუბანი. დიდი ლილო ოთხივეს ცენტრს წარმოადგენდა. ლილოს შესახებ მასალები მოიპოვება ვახუშტი ბატონიშვილთან და უ.სალთხუციშვილის კვლევებში. XVIII საუკუნის 50-იან წლებში ლილოში ივ.მაჩაბელს სამაჩაბლოდან რამდენიმე კომლი ჩამოუსახლებია, მასვე უჩუქებია საკუთარი სახლი სკოლის გასახსნელად. ისინი ითვლებიან ლილოს მეშვიდე მოსახლეებად. თანდათან ლილოს ბევრი ოჯახი შეემატა. 1810 წელს რუსეთის იმპერიის პერიოდში 10-მდე კომლი ჩამოსახლდა ჯავახეთიდან, 1968 წლიდან კი სტიქიური უბედურების შემდეგ სვანების ოჯახები დაასახლეს. ასე გამრავლდა და გაიზარდა დიდი ლილო, განვითარდა მისი ინფრასტრუქტურა. ამჟამად ლილო თბილისს ეკუთვნის და ბევრად კეთილმოწყობილია.

**Mariam Kvanchiani, Lizi Totrashvili**
Tbilisi N217 Public School
X Grade
**Scientific Supervisor: Manana Nutsubidze**
History Mentor Teacher

## Who Are We and Where Do We Come From?

The overthrow of the nation, its destruction, its mercy will begin when it forgets its history..." These words of I. Chavchavadze are very important, because every Georgian should know the history of his native land and nation, who he is and where he comes from. That's why we started researching the facts related to the history of Big Lilo. According to Sulkhan-Saba Orbeliani, Lilo means "tovlchreli". This is what Lilo looked like in winter. Lilo mountain is located in the east of

Tbilisi and in the late middle ages, it represented the border of Kartli-Kakheti kingdoms. According to folk tales and some researchers, this place was used to be a horse road from Kakheti to Mtskheti. Lilo should have been a strategically important place near the eastern approaches of Tbilisi. The inhabitants here could not stand the frequent invasions of the enemies and migrated many times. There were four named points on the slopes of Lilo Mountain - Big Lilo, Little Lilo, Leninis and Tsiliubani. Didi Lilo was the center of all four. Materials about Lilo can be obtained from Vakhushti Batonishvili and in the rerches of U. Saltkhutsishvili. In the 50s of the 18th century, I. Machabel settled several families from Samachablo in Lilo, he also gave them his own house to open a school. They are considered the seventh inhabitants of Lilo. Along with that, many families joined Lilo. In 1810, during the period of the Russian Empire, about 10 families immigrated from Javakheti. Since 1968, after a natural disaster, families from Svaneti have been resettled. This is how Big Lilo multiplied and grew, and developed its infrastructure. Now, Lilo belongs to Tbilisi and it is well equipped.

**მარიამ ჯაბადარი**
N159 საჯარო სკოლა
მე-9 კლასი
**სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ბეგიაშვილი**
მასწავლებელი

## გენდერული თანასწორობა

გენდერული თანასწორობის ცნება ნიშნავს იმას, რომ ადამიანებს აქვთ თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები, რესურსები და თავისუფლება ყველა სფეროში ცხოვრების ყველა ეტაპზე, მიუხედავად იმისა, ბიოლოგიურად ისინი ქალები არიან თუ კაცები. გენდერული თანასწორობა ეხება ყველა სფეროს, როგორებიცაა: განათლება, დასაქმება, ჯანმრთელობა, პოლიტიკა და ა.შ. გენდერული თანასწორობა აუცილებელია არა მხოლოდ ქალების, არამედ მთელი საზოგადოების კეთილდღეობისა და მდგრადი განვითარებისთვის.

დღეს, სამწუხაროდ, არის ისეთი სფეროები, სადაც ქალები განიცდიან დისკრიმინაციას, მაგალითად, პოლიტიკაში. როგორც ვიცით, ქალები პოლიტიკაში არასაკმარისად არიან წარმოდგენილნი. ჯერ კიდევ ხდება ქალებზე ძალადობა და შევიწროება. ეს არის სერიოზული პრობლემა, რომელიც გავრცელებულია მთელ მსოფლიოში და საჭიროა გამოსავლის პოვნა.

უნდა ითქვას, რომ საზოგადოებაში ქალის როლი ისეა განაწილებული, რომ ის არახელსაყრელ მდგომარეობაში დგება, რაც გავლენას ახდენს მათ კარიერულ განვითარებაზეც. ამას ემატება ეკონომიკური უთანასწორობა. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ქალები იღებენ 23%-ით დაბალ ხელფასს, ვიდრე მამაკაცები. ეს კი ხელს უშლის ცხოვრების გაუმჯობესებას. გენდერული თანასწორობა უმნიშვნელოვანესია

ადამიანის ღირსების დაცვის, ადამიანის უფლებების რეალიზაციის, მდგრადი განვითარებისა და საზოგადოების კეთილდღეობისთვის.

გენდერული თანასწორობის მისაღწევად საჭიროა გამოსავალის ძებნა. პირველ რიგში, უნდა მოხდეს გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება. ამ მიმართულებით უნდა ჩატარდეს კვლევები, რომლებიც ითვალისწინებს ქალთა უფლებებს, პერსპექტივებსა და როლებს. უნდა შეიქმნას პროგრამები, რომლებიც გაზრდის გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას საზოგადოებაში.

ქალთა ეკონომიკური ემანსიპაციის უზრუნველსაყოფად, შემოსავლების უთანასწორობის აღმოფხვრისა და ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, უნდა მოხდეს ქალთა მეწარმეობის მხარდაჭერა, მოქნილი და უსაფრთხო სამუშაო შესაძლებლობების შექმნა, ჩატარდეს მიზნობრივი ტრენინგები და განხორციელდეს ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამები. იმისათვის, რომ გაიზარდოს ქალთა წარმომადგენლობა პოლიტიკურ სფეროში, აუცილებელია ისეთი ნაბიჯი, როგორიცაა კვოტირების პრაქტიკის განხორციელება. მნიშვნელოვანია ძალადობასთან ბრძოლა. აუცილებლად უნდა მოხდეს ზომების მიღება ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და ძალადობის ქვეშ მყოფი ქალების მხარდასაჭერად. საჭიროა შეიქმნას ძალადობის მსხვერპლთა სარეაბილიტაციო სერვისები.

შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული გენდერული თანასწორობისკენ მიმავალ გზაზე, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი. საჭიროა მეტი ძალისხმევა და ბრძოლა. ამ რთულ გზაზე უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მთავრობებმა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, კერძო სექტორმა და ინდივიდებმა ერთობლივად იმუშაონ. ამ გზაზე თუ ყველა შეასრულებს თავის პასუხისმგებლობას, მაშინ თანასწორობა რეალობად იქცევა.

**Mariam Jabadari**
N159 Public School
IX Grade
**Scientific Supervisor: Nino Begiashvili**
Teacher

## Gender Equality

The concept of gender equality means that people have equal rights, opportunities, resources and freedom in all areas and at all stages of life, regardless of whether they are biologically female or male. Gender equality applies to all areas, such as: education, employment, health, politics, etc. Gender equality is essential for the well-being and sustainable development not only of women, but of the entire society.

Today, unfortunately, there are areas where women are discriminated against, for example, in politics. As we know, women are underrepresented in politics.

Violence and harassment of women still occur. This is a serious problem that is spread all over the world and a solution needs to be found.

It must be said that the role of women in society is distributed in such a way that it puts them in a disadvantageous position, which affects their career development as well. This is compounded by economic inequality. According to the World Bank, women earn 23% less than men. This prevents the improvement of life.

Gender equality is indispensable for the protection of human dignity, the realization of human rights, sustainable development and the well-being of society. A solution needs to be found to achieve gender equality.

First of all, awareness about gender equality should be raised. In this direction, research should be conducted that takes into account women's rights, perspectives and roles, and programs should be created to increase awareness of gender equality in society.

To ensure women's economic emancipation, eliminate income inequality and ensure their participation in economic decision-making, support for women's entrepreneurship, creation of flexible and secure work opportunities and training, and economic empowerment support programs should be implemented.

In order to increase the representation of women in the political sphere, steps such as the implementation of quota practices are necessary.

Fighting violence is important. It is imperative to take measures to prevent violence against women and support women who are subjected to violence. Rehabilitation services for victims of violence should be established. It can be said that significant progress has been made on the way to gender equality, but there is still a long way to go. More effort and struggle is needed. It is crucial that governments, international organizations, non-governmental organizations, the private sector and individuals work together on this difficult path. If everyone fulfills their responsibility on this path, then equality will become a reality.

CIU.EDU.GE